ეროვნული ბიბლიოთეკა

Monumenta Georgica
Publicationes Universitatis Tphilisensis

V Diplomata
№ 1.

# დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები

გამოცემული
სარგის კაკაბაძის მიერ.

# DIPLOMATA ECCLESIASTICA GEORGIAE OCCIDENTALIS

edidit
Sergius Kakabadze

წიგნი I.

Lib. I.

ტფილისი
1921

ქართული ძეგლები.

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი.

V სიგელ-გუჯრები.

№ 1.

სარგის კაკაბაძე.

# დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.

## წიგნი I.

დაიბეჭდა სიბრძნის-მეტყველების ფაკულ-
ტეტის დადგენილებით 3 მარტს 1920 წ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისი

1921

930.22(479.22)

Monumenta Georgica

Publicationes Universitatis Tphilisensis

V Diplomata

№ 1.

Sergius Kakabadze

# Diplomata Ecclesiastica Georgiae Occidentalis

Lib. I.

Tphilisi
1921

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა.

წინამდებარე გამოცემის როგორც პირველს ისე მეორე წიგნში მოთავსებული საბუთები დაცული ყოფილიყო ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოში, სადაც მე ისინი განვიხილე 1909 წელს. მცირეოდენი ნაწილი აქ მოთავსებულ მასალისა გადმოწერილია კიდევ პეტერბურგის აზიურ მუზეუმში აკად. ბროსეს ქაღალდებში დაცულ სავადებისაგან. საბუთების განხილვის დროს სახელმწიფო ქონებათა სამართველოში ქუთაისს მე იძულებული ვიყავი დაკმაყოფილებულიყავი საბუთების არა სრული გადმოწერით ღვთისმეტყველურ წინა და ბოლო სიტყვაობათა გამოკლებით, რადგანაც მუშაობა სწარმოებდა არახელსაყრელ პირობებში და მე ვისწრაფოდი მოკლე ხანში რაც შეიძლება მეტი საბუთის გადაწერას. ამ გარემოებამ იქონია გავლენა წინამდებარე გამოცემის ხასიათზე. მასში მოთავსებული საბუთები დაბეჭდილია ისე, როგორც თავის დროზე გადმოწერილ იქმნა. შეჯერება დედნებთან და მით უმეტეს გადმოუწერელ ტექსტების შევსება, საბუთების გადატანის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ კიდევ 1915 წ., ამ ჟამად შეუძლებელი იყო. ამის და მიხედვით ამ გამოცემას შეიძლება მისცემოდა წინასწარ გამოცემის ხასიათი. დროებით, რასაკვირველია, სანამ შესაძლებელი იქმნება საბუთების ჯეროვანი გამოცემა, ასეთი გამოცემასაც შეუძლია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას სამსახური გაუწიოს, მით უმეტეს თუ მივიღებთ მხედველობაში დასავლეთ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ საბუთების მეტის მეტს სიმცირეს. უკანასკნელმა მოსაზრებამ განსაკუთრებით გარდამაწყვეტინა შევუდგომოდი, პროფ. ივ. ჯავახიშვილის დასტურით, ხსენებულ საბუთების ბეჭდვას იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია წინამდებარე ორს წიგნში.

სამწუხაროდ, წიგნის ბეჭდვა მეტის მეტად გვიანდებოდა. ბეჭდვის საჩქაროდ დამთავრების მიზნით მასალა თავდაპირველად გაყოფილ იქმნა ორ ნაწილად, როგორც ის არის ამ ჟამად წარმოდგენელი ორს წიგნში. მაგრამ მიუხედავად ამისა ტექსტის ბეჭდვის დამთავრება ძლივს მოხერხდა 1920 წლის განმავლობაში. საჭირო იყო კიდევ საკუთარ სახელების მაჩვენებლის დაბეჭდვა. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში 1921 წ. თებერვალში მომხდარ ცვლილების გამო ამ მაჩვენებლის დაბეჭდვაც, მიუხედავათ მიღებულ ზომებისა, მეტის მეტად გვიანდებოდა და თუმცა ბოლოს ყველა ფორმალური დაბრკოლება გადალახულ იქმნა, მაგრამ გამოცემის დაგვიანების თავიდან ასაცილებლად გარდავსწყვიტე გამომეშვა წიგნი უმაჩვენებლოდ.

წინამდებარე გამოცემაში მოთავსებული საბუთები ეკუთვნის მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან დაწყებული ვიდრე მე-19 საუკუნის დასაწყისამდის. ეს ის დროა, როდესაც დასავლ. საქართველო ცხოვრობდა ტომობრივ სახელმწიფოებრივ

ფარგლებში და ავტონომიურად განაგებდა თავისს საკუთარ ბედს. პირველ წიგნში ამასთანავე მოყვა საბუთები ვიდრე მე-18 საუკუნის შუამდის, მეორეში კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკ. დასაწყისისა.

საბუთები, თან აღნიშნულ შემოკლებათა ან შესწორებათა გარდა, იბეჭდებოდა უცვლელად. დეფექტები საბუთებში აღნიშნულია დეფიზებით. ერთი და ორი დეფიზი აჩვენებს სათანადო რიცხვის ასოს ნაკლებობას, სამი დეფიზი უმეტესად 3—4 ასოს, და საზოგადოდ ასოების მცირე რიცხვს. ხოლო სამზე მეტი დეფიზი ასოების მეტი რიცხვის ნაკლებობას. წერტილები კიდევ ნიშნავს დედნის ტექსტის განზრახ შემოკლებას.

სარგის კაკაბაძე.

24 აგვისტო 1921 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

## პირველი წიგნისა

გვერდი

1470—1474 წ. ბიჭვინტის საბუთი № 92, შამადავლა დადიანის წიგნი საკათალიკოზო სარგოს შესახებ . . . 1
1509 წ. გელათის საბუთი № 127, მეფე ალექსანდრე II-ს შეწირულ. წიგნი 2
1513 წ. გელათის საბუთი № 61, მოძღვართ-მოძღვრის ილარიონის შეწირულობის წიგნი . . . 4
1505—1519 წ. გელათის საბუთი № 67, ნასყიდობის წიგნი ბანცაძეთაგან 5
1510—1524 წ. გელათის საბუთი № 111 მეფე ბაგრატ III-ის შეწირულ. წიგნი . . . 6
1527 წ. გელათის საბუთი № 82, ბაგრატ III-ისაგან წყალობის წიგნი ჯვარის მტვირთველ ფანჩულიძის სახელზე . . . 8
1529 წ. გელათის საბუთი № 46, ძეგლი გენათლის კათედრის აღდგენისა . 10
1540 წ. ახლ.. გელათის საბუთი № 62, მბეციძეების შეწირულ. წიგნი . . 11
1550 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი 82, ნუსხა სახოფო გლეხებისა . . . . . 13
1558—1562 წ. ბიჭვინტის საბუთი № 36, როსტომ გურიელის შეწირულ. წიგნი . . . 14
1569 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი № 21, გიორგი II-ის შეწირულ. წიგნი 17
1569 წ. ბიჭვინტის საბუთი № 47, ნიკოლოზ ხოფელის შეწირულ. წიგნი . 19
1550—1570 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, ვახ. აბაშიძის შეწირულ. წიგნი . . . 21
1570 წ. ახლ.. გელათის საბუთი № 71, ნუსხა კოხურის ბეგრისა . . . . . 27
1573 წ. გელათის საბუთი № 56, 97, 72, გიორგი II-ის შეწირულ. წიგნი 28
1565—1578 წ. გ ლათის საბუთი № 54, გიორგი II-ის ხელწერილი გიორგი ბატონიშვილის საალაპოს შესახებ . . . 31
1568 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი № 27, იმერთ დედოფლის თამარის შეწირულ. წიგნი . . . 32
1591 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 15, ლეონ მეფის შეწირულ. წიგნი . . 34
1603 წ. გელათის საბუთი № 110, როსტომ მეფის შეწირულ. წიგნი . . 35
1604 წ. გელათის საბუთი № 97, გიორგი III-ის შეწირულ. წიგნი . . . . 36
1610 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 33, მამია გურიელის შეწირულ. წიგნი . 37
1616—1620 წ. ბიჭვინტის საბუთი, სეფედავლე ამირეჯიბის ნიშნის წიგნი 39
1628 წ. ბიჭვინტის საბუთი № 3, ლევ. დადიანის შეწირულ. წიგნი . . .
1629 წ. ბიჭვინტის საბუთი № 26, ლომკაც ჭილაძის შეწირ. წიგნი . . . 47
1630 წ. გელათის საბუთი № 108, გიორგი III-ის შეწირ. წიგნი . . . . . 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

1616—1639 წ. ბიჭვინტის საბ. № 80, მალაქია კათალიკოზის შეწირ. წიგნი . 49
1616—1639 წ. ბიჭვინტის საბუთი № 60, მამუკა ჭილაძის შეწირ. წიგნი . . 50
1628—1639 წ. ხონის საბუთი, განჩინება ლევ. დადიანისა . . . . . . . . 51
1620—1640 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 5, იოსებ წულუკიძის შეწირულობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 52
1650 წ. ახლ.. გელათის წმ. გიორგის საბუთი, ნუსხა საკათალიკოზო დაკლებულ გლეხებისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 53
1656 წ. ცაგერის საბუთი, გაბრიელი ცაგერლისაგან . . . . . . . . . 55
1637—1657 წ. გელათის საბუთი № 80, ყიფიანის შეწირ. წიგნი . . . . 56
1639—1657 წ. ბიჭვინტის საბუთი № 69, საკათალიკოზო განძეულობის ანაწერი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 57
1639—1657 წ. ბიჭვინტის საბუთი № 61, ქაიხ. იაშვილის ნიშნის წიგნი . 59
1658 წ. ბიჭვინტის საბუთი № 14, ვამეყ დადიანის შეწირ. წიგნი . . . . —
1658 წ. ბიჭვინტის საბუთი № 99, სვიმონ-დემეტრე გურიელის შეწირ. წიგნი 60
1658 წ. ბიჭვინტის საბუთი № 4, ვამეყ დადიანის შეწირულ. წიგნი . . . 61
1658 წ. ბიჭვინტის საბუთი № 9, ვამეყ დადიანის შეწირ. წიგნი . . . . 62
1659 წ. ნიკორწმ. საბუთი № 4 დავით ნიკორწმინდელის შეწირ. წიგნი . . 63
1639—1659 წ. ცაგერის საბუთი. წყალობის წიგნი ალექსანდრე III-ისა ახვლედიანებისადმი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1660 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 19, ბაგრატ VI-ის შეწირ. წიგნი . . . 64
1661 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 22, მეფის და დადიანის ვამეყის შეწირულ. წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1661 წ. ბიჭვინტის საბუთი № 67, ვამეყ მეფისა და დადიანის შეწირ. წიგნი 65
1560—1662 წ. ბიჭვინტის საბუთი № 5, ვამეყ მეფისა და დადიანის შეწირ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 67
1664 წ. გელათის საბუთი № 11, გედეონ გენათელ-ნიკორწმინდელის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 68
1664 წ. ბიჭვინტის საბუთი № 35, გიორგი გურიელის შეწირულ. წიგნი . 70
1664 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 34, გიორგი გურიელის შეწირულ. წიგნი 71
1669 წ. ქუთაისის საბუთი № 7, სეხნია ჩხეიძის შეწირ. წიგნი . . . . . 72
1669 წ. ახლ.. ცაგერის საბუთი, განჩინების წიგნი . . . . . . . . . . . —
1660—1670 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 29, ქაიხოსრო იაშვილის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 73
1667—1673 წ. ბიჭვინტის საბუთი № 32, ლევან III დადიანისაგან დავით ნემსაძის კათალიკოზად დამტკიცების შესახებ . . . . . . . . 75
1375 წ. ბიჭვინტის საბუთი № 7, ლევან III დადიანის შეწირულ. წიგნი . 76
1678 წ. გელათის საბუთი № 68, ბეჟან ყიფიანის საფიცრის წიგნი . . . 77
1675—1680 წ. ახლ.. ცაგერის საბუთი, მიცემული ჭყონდიდელ-ცაგერელბედიელ გაბრიელის მიერ . . . . . . . . . . . . . . . . . 78
1682 წ. ბიჭვინტის საბუთი № 16, აფხაზეთის კათოლიკოზის დავითის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

1685 წ. ბიჭვინტის საბუთი № 29, ალექსანდრე IV-ის შეწირულ. წიგნი 80
1660—1685 წ. ცაგერის საბუთი, ჭყონდიდელ-ცაგერელ გაბრიელისაგან მიცემული პირობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . 81
1680—1685 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 24, სვიმონ ნიკორწმინდელის შეწირულობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1660—1690 წ. ნიკორწმინდის საბუთი № 53, მერაბ წულუკიძის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . 82
1673—1696 წ. ბიჭვინტის საბუთი № 62, კაცია იაშვილის პირობის წიგნი. 83
1700 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 41, ეფთიმე ხოფელის შეწირულ. წიგნი 84
1696—1700 წ. ბიჭვინტის საბუთი № 85, მერაბ წულუკიძის შეწირულ. წიგნი 85
1701 წ. ცაგერის საბუთი, გიორგი ლიპარტიანის შეწირულ. წიგნი . . . 86
1689—1701 წ. ბიჭვინტის საბუთი № 11, მამია დადიან-გურიელის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1696—1704 წ. ბიჭვინტის საბუთი № 48, ყვაპუ შარვაშიძის საფიცრის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 88
1705 წ. ბიჭვინტის საბუთი № 24, გრიგოლ კათალიკოზის შეწირულ. წიგნი —
1706 წ. ბიჭვინტის საბუთი № 75, სიგელი გრიგოლ კათალიკოზისა . . . 89
1696—1706 წ. ბიჭვინტის საბუთი № 83, ქაიხოსრო იაშვილის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 96
1707 წ. ბიჭვინტის საბუთი № 6, გიორგი ლიპარტიანის შეწირულ. წიგნი —
1696—1710 წ. ბიჭვინტის საბუთი № 76, ჩიჩუას შეწირულ. წიგნი . . . 98
1696—1706 წ. ბიჭვინტის საბუთი № 42 ხახუ ჩიჩუას შეწირულ. წიგნი . 99
1700 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 41, ფირან მხეიძის შეწირულ. წიგნი 100
1696—1710 წ. ახლ.. გელათის წმ. გიორგის საბუთი, ოტია ლორთქიფანიძის მიერ მიცემული . . . . . . . . . . . . . . . . . —
1700—1712 წ. ბიჭვინტის საბუთი № 90, გრიგოლ კათალიკოზის მიერ მიცემული . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101
1712 წ. ბიჭვინტის საბუთი № 2, გრიგოლ კათალიკოზის გარიგების წიგნი 103
1713 წ. ბიჭვინტის საბუთი № 10, გიორგი გურიელის შეწირულ. წიგნი 108
1713 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 28, გურიის დედოფლის ელენეს და გიორგი გურიელის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . 109
1700—1714 წ. ცაგერის საბუთი, ჭყონდიდელ-ცაგერელის გაბრიელის პირობის წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 110
1700—1714 წ. მარტვილის საბუთი, გაბრიელ ჭყანდიდელის შეწირულ. წიგნი 111
1700—1714 წ. მარტვილის საბუთი, შეწირულობა გაბრიელ ჭყონდიდელისა —
1700—1714 წ. მარტვილის საბუთი, გაბრიელ ჭყონდიდლის მიერ მიცემული შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . 112
1714 წ. მარტვილის საბუთი, შეწირულ. წიგნი ბეჟან დადიანისა . . . . . 113
1714 წ. ბიჭვინტის საბუთი № 31, პირობის წიგნი ევდემონ ჭყონდიდლისა 114
1714 წ. ბიჭვინტის საბუთი № 81, შეწირულ. წიგნის ნაწყვეტი . . . . —
1696—1715 წ. ხობის შესავალ გლეხების სანთლის ბეგრის ნუსხა . . . . . 115
1716 წ. გელათის საბუთი № 88, ნიკოლოზ გენათლის გარიგების წიგნი . 117

ეროვნული ბიბლიოთეკა

1720—1730 წ. ახლ.. გელათის საბუთი № 64, როდამ დედოფლის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 118
1715—1730 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 13, ბატონიშვ. ხვარამზეს შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1730 წ. გელათის საბუთი № 89, ალექსანდრე V-ის შეწირულ. წიგნი . . 119
1731 წ. ბიჭვინტის საბუთი № 38, გელათის წმ. გიორგის წინამძღვრის გაბრიელის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . 125
1731 წ. ბიჭვინტის საბუთი № 43, ან. ჩიჯავაძის ნიშნის წიგნი . . . . . 126
1720—1730 წ. გელათის საბუთი № 65, შოშიტა ერისთავის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 127
1700—1731 წ. ბიჭვინტის საბუთი № 50, შოშიტა ერისთავის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 128
1730—1731 წ. ბიჭვინტის საბუთი № 22, შეწირულ. წიგნი გრიგოლ კათალიკოზისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 129
1733 წ. გელათის საბუთი № 90, ალექსანდრე V-საგან . . . . . . . . . 130
1733 წ. ბიჭვინტის საბუთი № 17, გრიგოლ კათალიკოზისაგან . . . . . 131
1730—1734 წ. ბიჭვინტის საბუთი № 23, ალექსანდრე V-ის წყალობის წიგნი. 147
1734 წ. ახლ.. ბიჭვინტის საბუთი № 45, ლევან აბაშიძის შეწირულობის წიგნი —
1739 წ. გელათის საბუთი № 17, რაჭის ერისთავის გრიგოლის შეწირ. წიგნი 148
1696—1742 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, მერაბ ჯაიანის პირობის წიგნი 149
1720—1742 წ. ბიჭვინტის საბუთი № 30, მეფისძის მამუკას შეწირულ. წიგნი 150
1700—1742 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, საკათალიკოზო სანთლის ანაწერი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 151
1730—1742 წ. ბიჭვინტის საბუთი № 2, გრიგოლ კათალიკოზის შეწირულ. წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . —
1696—1742 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, გრიგოლ კათალიკოზის მიერ მიცემული წიგნი . . . . . . . . . . . . . . . . . 154
1745 წ. გელათის საბუთი № 59, ელენე გუნცაძის შეწირულ. წიგნი . . 157
1745 წ. ხონის საბუთი № 49, ჭუბაბრიების მიერ მიცემული წიგნი. . . —
1740—1750 წ. გელათის საბუთი № 135, ალექსანდრე V-ის შეწირულ. წიგნი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 158
1700—1750 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, საკათალიკოზო წირვის იარაღის ანაწერი . . . . . . . . . . . . . . . . . . 161
1742—1750 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, მერაბ ჯაიანის პირობის წიგნი 162
1742—1750 წ. გელათის წმ. გიორგის საბუთი, პირობის წიგნი კათალიკოზ ბესარიონისადმი . . . . . . . . . . . . . . . 163

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**1470—1474 წ.** შამადავლა დადიანის წიგნი საკათალიკოზო სარგოს შესახებ. ამ წიგნისა ბიჭვინტის საკათალიკოზო საბუთებში (№ 92) დაცულია მხოლოდ პირი, მე-XVII საუკუნეში გადაწერილი მხედრულად. ეს პირიც დაზიანებულია და მას თავი აკლია. შამადავლა დადიანი მოკვდა 1474 წ. და ეს საბუთი შეიძლება 1470—1474 წ. იყოს მიცემული. აქ მოხსენებულის იოაკიმის კათალიკოზად დადგინების დროს შედგენილია „მცნება სარჯულო", უკვე ცალკე წიგნად გამოცემული (ტფილ. 1914 წ. გამ ს. კაკაბაძისა).

----დავამტკიცე---ჯვარი და ბისონი--კეთილითა შევამკვეთ და დავასუენეთ და ვირწმუნეთ იერუსალიმისა და ანტიოქისა პატრიაქსა მიხაელს (sic) სა-რ-ქოთა და ომფორითა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეს სა[ფ]ლავისა მარჯუენითა კათოლიკოზად დავაყენეთ და საკათო[ლიკოზ]ოდ (sic) ესე გავაჩინეთ. თავსა წმიდა გიორგი მსხულებისა [თვი]სითა შესვალითა და გამოსავალითა მისითა სამსხმოთა---ითა ტყითა, წყლითა და სანადიროთა, სათევზოთა, [სა]ყანითა, რასაც მოგელია იხმარებდა, უძებარითა და საძებრითა, იმ რიგითა და წესითა, გლეხებითა ყოლათა და ჯუარის მტუირთველად ბერი ზოსიმე--ხელს გეგებერია კაჭრისშვილები ბაბადიშა და მისნნი ძმანი კახიაი და ვა[ჟ?]ბედაი, მისთანა ორნი მაშისძენი დედის მამაი და ლადარია, ორნი ნადირია მიქელა და მამი!თუალი, წუწუნარი მამ[უ]ლი და მარანი მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარი[თა] და სათევზოთა, კუირია მასხულია მისითა შვილებითა, ოთარაი წუწუნავა მისითა მამულითა, ბერია მისითა მამულითა, წყლისპირს ბონია ქრისტეშიაი მისითა მამულითა, წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღთისმშობელისა არის და ნახევარი კათოლიკოზს, ქარიანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოვლად წმიდისა არის, ნოხუდენს ოთხი კუამლი კაცი ყურუ--და სხუიტავა ანდალისშვილი შონია მათითა მამულითა, ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარითა. აგრევე დადიანის სახლის თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანი კათოლიკოზისა არის. აგრევე აგრევე (sic) სხუათა აზნაურის შვილთა ნიშანი, აგრევე სხუათა ეპისკოპოთა საფერხავი მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს, აგრევე ცუს გამოღმა და ჭუირიას წყალს შუა ვინცა [ნა]დირი მოკლას, სეფეს ყოვლად წმიდის წინ მოიღებდეს, ნურავინ დააკლებს.

ქ აგრევე ჩუენ ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა მოვიკითხეთ იადგარი ძუელთაცა აგრე ეწერა, ვინცა ხოფის საყდარს გარეშემო უპატიობა იკადროს ანუ გლეხი [და ან]უ ჯოგი წაუსხას ანუ ქურდობა ქნას ანუ სასახლეს [მი]უხდეს და გატეხოსა, ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა - - - ზედან მოუხდეს დაარბიოს დააწუას (sic) - - - მეხადილე კუამლი გლეხი დაუ - - - - - ლოდ ანუ ღალატითა კაცი მოკლას, ორი ზომა [სის]ხლი დაეურვოს. ვინცა, ძმათაგანსა უპატიობა ჳკადროს ანუ აგინოს, ათასი ბოტ[ინატი დაუ]ურვოს, აგრევე ჭუირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა არის და ნურავინ დააკლებთ და ვინ დააკლოს, რ[ისხ]ავსმცა მამა ძე და სული წმიდა და ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი ხოფისა და ყოველნი წმიდანი ღთისან (sic) ზეცისანი და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი და ვინცა ამისდა შლად და ქცევად კელყოს, რისხავსმცა ქრისტეს საფლავის მადლი, იერუსალიმს შესვლა, ჯუარცმა, აღდგომა, ნათლისღება, ამაღლება, მეორედ მოსლვა, მთაწმიდა, სინაწმიდანი, მოციქულნი, წინასწარმეტყუელნი, მღუდელთმოძღუარნი, მოწამენი, წმიდანი მამანი, მეუდაბნოენი და ქალწულნი, შემცაედების შიშთუილიბი (sic) იუდასი, კეთრი დიოს კორესი, განდგომილება ივლიანესი, ღრჭენა კბილთა და სატანჯველი მდედარისა (sic) მის უწყალოსა და ნურათამცა სინუ[ნუ]ლით (sic) ნუ იქნების კსნა სულისა მისისა კელთაგან ჯოჯოხეთისათა, უკუთუ (sic) სისხლნიცა თვისნი ქრისტესთვის დასთხივნის ა̃ნ. დამამტკიცებელნი ამათნი აკურთხნეს ღმერთმან ა̃ნ.

აქ ეთვილა ხვეული ხელისმოწერა.

**1509 წ.** შეწირულობის წიგნი იმერეთის მეფის ალექსანდრე II-სა, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 127 დაწერილი სამ

ნაჭრისაგან შემდგარ ტყავზე ზომით 164½×20 სანტმ. თითო სიტყვის შემდეგ ნიშნად იხმარება სამი წერტილი, ხშირია აგრეთვე ზედმეტი ა-ნის ხმარება. სიგელი დაბეჭდილი იყო შემოკლებით თ. ჟორდანიას „ქრონიკ." II, 326—327.

....ღთივ ზეშთა აღმატებულმან ღათაივ (sic) პატივაცემულმან და ღათაივა საკიჰრა ჰორაფიირი (sic) შემოსილმა ღამათავა (sic) გუვარგვინოსანმან იესაიან დავითაიან სოლომონი ბაგარატონიანმა ნებითა და შეწევანითა ღამარათაისათა (sic) აფხაზთა ქართაველთა რნთავეა (sic) კახთა შანშე შარავანშათა საომებთა მეფისათა და ყოვლაისა აღამოსავალეთისა და დასავალეთაიასა და სამახარისა და ჩარადილოეთასა და სამახრისა სამახრისა (bis, sic) და ორისავე ტახტისა სამეფოსა ლიხთა იმერიასა და ლიხთამერისა თუვითა მტკიცეთა ფალობითა ხელამაწიფეთა მაპყარობელმა მეფეთა მეფემა ალექსანდრე და თანამეცხედარემა ჩუენმა პატრონმა დედოფალამ თამარ და და (sic) ძეთა ჩუენთა საყავარელამა თქვენ შევედარებულმა და (sic) ძისა თქვენისამან ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულისამოდაგინეთა მაცირე ესე შესაწირავი და მოსახსენებელ დიდიასა (sic) და ზეშათა აღმატებულისა და ცათა მობაძავისა ახლისა იელუსარემისა დიდისა მონასტრისა გელათიასა (sic) და მასაშინაგნა ბარძანებულასა ხახულიასა საკურთხევალისა ღარათაისა (sic) მაშობელიასა (აქედან იბეჭდება ჩვეულებრივი მართლწერით ასო ა-ნის გამოკლებით) მოვიდეს წინაშე ჩუენსა დიდისა მონასტრისა მოძღუართ მოძღუარი ტრონი (sic) ჩუენი და სულისა ჩუენისა მოძღუარი ილარიონ გვიაჯნესა და მოვახსენეთ ხახულისა ღმრთისა მშობელსა შემოვსწირეთ ნობარევი გაღმა გამოღმა რავარახმელბსა მარგველასშვილები მათითა შესავალითა სამზღვარითა ტყითა ველითა.... პატრონისა მამისა ჩუენისაგან აშენებული და შემოწირული და ჩუენის სულისათუის და პატრონისა მამისა ჩუენისა სულისათვის მოგეცით ჩუენისა სულისა მოძღვარსა და მოძღუართა მოძღუარსა ილარიონსა და შემდგომად შენსა და სხვათაცა ვისაცა ნიშანი ჰქონდეს ამა სიგლითა გაგვიცუდებია. ვინაცა მოგიშალოს და არა გაათაოს ანუ დიდმან ანუ მცირემან ერისთავმან ანუ აზნაურმან ვინ გინდა ვინ იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გელათს ესე მოუშალოს და მოგვიშალოს ალაპი და ერთი კელაპტარი მამისა ჩუენისათუის ივანოზისთვესა და აწ ჩუენთვის დღესა ლაზარობასა გარდაიხდებოდეს ალაპი დღესა ლაზარობასა (sic) და ერთი კელაბტარი და ერთი კელაპ (sic) დაენთებოდეს, ალაპი გარდაიხდებოდეს მოძღვართმო́რსა წირვითა, ექუსითა ხუცისა წირვითა .... (წეევა... სხვათა შორის.. შვიდთა პატრიარქთა მადლითა).... დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა ასოთხმოცდაჩვიდმეტსა ინდიკტიონსა მეფობისა ჩნისასა ათხუთმეტსა კელითა ფანჩულიძის იაკობისათა.

ხვეწლად ხელისმოწერა.

**1513 წ.** შეწირულების წიგნი მოძღვართ-მოძღვრის ილარიონისა გელათის ტაძრის საბუთთაგან № 61 კარგს ეტრატზე, რომელიც შესდგება ორი ნაჭრისაგან, სიგრძით სულ 106 სანტმ., ხოლო სიგანით 18, 26 და 21 სანტმ. შუაში საბუთი დაზიანებულია. როგორც ზოგ სხვა მე-XV—XVI საუკუნის საბუთებს, შეწირულების ამ წიგნს ახასიათებს ზედმეტი ხმარება ასო ა-ნისა. ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილი, იშვიათად ორი. საბუთი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდანიას „ქრონიკ." II ტ., 343.

.... (შემდეგ გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის) ... ხახულისა და საკურათახევალისა ღმრათაის მაშობელასა შემო[გწი]რეცა მაცაიარე [ესე] შესაწირავი მე სახაითა ოდესამე [აჩრდი]ლამა მაღარადელათა მოძღვარმოზისამა მოძღვარათა მოძღვარამა ილარიონ [შემო]გწირე [პატ]ონისა (sic) მეფეთა მეფისა ალექსანდრესათავისა სულისათუისა ქუთათაისა ცისაკარასა შვილი დიდაკარსა (sic) შიგნითა უფლისაი და მიქაელი ციხისათავისეული ქილაძისა ლიპრისაგნა მიყიდია, მიგვიცემია ფასი რგვარაცა მათაი გული შეჯერებაებოდა და მესამე ძმა მათაი ციხისათავისაგნ დაგვიხსნია და მივეცითა ათასაი ადალი ტილო. აწა მე მოძღვარათა მოძალვარამა და მათაისა სულიასა მოძღვარამან შევასაწირეთა ცისაკარასა შვილნი უფალისაი და მიქაელაი და გიორაგი, ასარე რომე ყოველათა თევ-

დორობათა თავითოსა ლიტრასა საკამეველსა მოიღებედესა თაჭთარას მისითა სახლაკარითა, იყოსა ხაელაშეუავალადა რგავარაცა ნასაყიდასა მარათაებდესა და არა ოდესარა სათხოვებოდესა, ისარევე ხელა შეუვალადა იყოსა, არა ხელი შევიდოდესა მეფისა არა ციხისაცავისა (sic), არა ნაცავალისა, არა მამა სახლისასა, არა ხელისუფლისა, არა მებაჟისა, არა მეფისა კარითა გამოსულისა არა ფერი სათახოვარი არა ეთახოვებოდესა რაგვარაცა არაცა ძველადა რა სათახოვებოდესა, ისარევე ხელა შეუალადა იყოსა. ვინცა და რამანცა გავარამა კაცისა ამისადა შლადა ხელი ჰყოსა და ანუ შუა შემოვიდესა დიდი და ანუ მცირე ამისადა შლადა, ნურაოდისამაც იქანება ხსნა სულისა მისისა ნუ იელუასარემასა წასავალითა, ნუ მლარადელათა წირავითა.... მე ჯვარისა მტვირათაელასა ფანჩულიძესა იაკობსა დამიწერია და მოწამეცა ვარა ამა დაწერილისა ქორონიკონსა სა ინდიკატიონსა მეფობისა ჩუენისასა ბაგრატისსა სა[მ]სა.

ბოლოს დასმულია ჯვარი. შემდეგ მიყობა სხვა ხელით ☩ იმავე მელნით: მე: დიდისა: მონასტრისა: მოძღვართა მო῾რსა: ილარიონს: უჯეროებით: (sic) დავამტკიცებ: ამა: [წერილსა] ამას ვინცა:. მოშალოს: ჩუენადამცა: მუქ[აფ]ად განიკითხვის.

**1505—1519 წ.** მამულის ყიდვის საბუთი, დაწერილი მოძღვართ-მოძღვრის ილარიონისა და გელათის წინამძღვრის მელქისედეკ აბაშიძის დროს. ილარიონი გარდაიცვალა 1519 წ. 1505 წლამდის კიდევ გელათის წინამძღვრად იყო მანასე. ამიტომაც საბუთი მიცემული უნდა იყოს 1505—1519 წლებში. საბუთი დაწერილია ნუსხა ხუცურად კარგს ეტრატზე ზომით $55\frac{1}{2}$—$25\frac{2}{3}$ სანტმ. და ეკუთვნის გელათის ტაძრის საბუთთა რიცხვს № 67. ნიშნები დედნისა დაცულია. საბუთი მოკლედ დაბეჭდილი ჰქონდა თ. ჟორდანიას თავისს „ქრონიკ". II, 343—344.

(შემდეგ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის).... ესე დაწერილი: წიგნი: და ნიშანი დაგიწერეთ და მოგაკსენეთ თქნ გელათსა კახვილისა და საკრთხევლისა ღთისმშობელსა და მას შა დამკვიდ-

რებულთა ძმათა მოძღვართამოძღვარსა ტრონსა (sic) ილარიონს და წინამძღუარსა აბაშიძესა მელქიზედეკს და ერთსულობით ძმათა ყ˝ლთავე მე ბანცაძემან ნასყიდამნ და ჩნ შვილმნ ახლბებმნ და მამისბედმან და გაბრიელ შვლთა ჩნთა და მომავალთა ყ˝თავე მას ჟ˝ა ოდეს მთხლარაში დასთვეაძისაგან მამული ვიყიდე მისითა ბეგრითა ასრე ვითა სადამდის ვცოცხალ ვიყოთ ჩნ და ჩნი შვლნი და ჩნი შვილისშვილნი და მომავალნი და სადამდისი ისი მამული ჩნ და ჩნსა ნათესავსა ჰქონდეს მადამდისი: მისი ბეგარა ხატსა არა მოეშალოს და თუ ოდესმე მოეშალოს ბეგარა მამული ხატსავე დარჩეს ნაკევრისა ბეგარა ˙არის ხუთი თეთრი ერთი ნათხალი ღომი და ორი ათიანი ღვინო ძღვენსა გარეთ ესე არის ბეგარა ესე ასრე გავათაოთ ჩნ და ჩნმნ შვილმ˝ნ და შვილისაშვილმნ და თუ ვერა გავათაოუთ: (sic) უსარჩლელად:. მამუი (sic) დავდვათ:. და არა პასუხი მოგახსენოთ ამისანი მოწამენი:. არიან თავად ღ˝თი და მისნი წ˝დნი კაცთაგნ პატ˝ონი: ჩნი: სარგის მხეციძე და შვლნი: მისნი გიორგი ქაიხოსრო ჯანგაზ:. ზურაბ: და ფირალი მამიზბედი: ჯანიაშვილი ნაცუეალი. (sic) გაბრიელ ქრისტეშია ჯანიაშვილი და მისი: ძმისწული მიქელ და სრლადა ქალაქნი რანიმ თივაქრთილაძე ხელოსანი: მინდობაი: არაბიძე გერმანე ლობიოძე იოსებ: კანდელაკი: ესე წიგნი მე: იგის ეზდაველიძესა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამა დაწერილისა.

ბოლოს დასმულია სამი ჯვარი.

**1510—1524 წ.** შეწირულობის წიგნი იმერეთის მეფის ბაგრატისა გელათის ტაძრის საბუთთაგან № 111, დაწერილი ორი ნაჭერისაგან შემდგარ ტყავზე ზომით $114^1/_2 \times 29—22^3/_4$ სანტმ. თავი და ბოლო სიგელისა გადასულია და ძლივს იკითხება. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილი. სათაურად მეორე გვერდზე აწერია: „ქ. ესე: სიგელი: არის მთხილარას:“ სიგელი ბოძებული უნდა იყოს 1510—1524 წლ., რადგან მასში მოხსენებულია მხოლოდ ძმები ბაგრატ მეფისა. 1527 წლის გელათის სიგელში კი, რომელიც ქვემოდ და

ბეჭდილია, იხსენიება ორი შვილი ბაგრატ მეფისა—გიორგი და თეიმურაზი. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილ[illegible] ქორდ. ქრონიკ. II, 344.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატონიანმან გუირგუინოსანმან აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის ლიხთ იმერისა და ლიხთამერისა თვით ფლობითა [მპყ]რობელმნ მეფეთმეფემან ბაგრატ, ძმათა ჩუეენთა (sic) პატრონმან [ვახტანგმა და დავით] ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა შანშეს და შარვანშესითა ესე წიგნი და ნიშანი და მტკიცედ საზოლოოდ გასათავებელი სიგელი დაგიდევით და მოგეცით თქუენ ნების სოფელთა თხილელთა ერთობილთა ასრე და ამა პირსა ზედან ახლად ამისი სიგელი და გუჯარი დაგიდევით და მოგეცით, რომე თქუენსა კარსა საძალოდ და საავკაცოდ არავინ რა მოვიდეს ჩუენის კარისა გამოსული და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს არა ჯურუმი, არა ყალანი, არა ულაყი, არა ჩასაყარი ტიკი, არა ტომარა, არა გოჭი ქათამი არასთანა კარისა ჩუენისა სათხოვარი გამოსაღები არაფერი არასთანა გეთხოვებოდეს ერთის პატრონისა კურთხეულისა მამისა ჩუენისა ალექსანდრეს საღაპოს მეტი, ერთი ალაპი ხარებასა, ხუთხუთი თეთრი კუამლზედან და ორორთა თუითო[ს თე]თრისა პური და თუითოს თეთრისა ღომი და - - ალაპი ისრევე ტაძართა მიყუანებასა დღესა გარდაიხდიდეთ. ვინცა უსამართლო[დ] ძალად შინა ჩამოგიხდეს ყე და ანუ ედა (?) ვინმე მოგიხდეს, ანუ ჯოგი გაგიგ[დოს], ანუ მართალსა გრძნეულობა გითხრას, ანუ ვინმე წინა დაგიდგეს, ანუ ვინმე ქ[ალი] დაგიგდოს, ანუ უომარი ყმარწუილი [შეგიგი]ნეს, ანუ სახლად ვინმე ჩამოგიკდეს, ანუ უსამართლოდ დარბას დაგასმინოს, ანუ ვინმე მოკლსა (?), ანუ ვინმე დალი[ს] ად - - ოს, ანუ რა გინდა რა უპატიობა გიყოს, რაც გელათს იადგარშიგან სწერია დაიდევით და იმაზედან დაიურვებდით და არცა მებაჟობა გაქნევინოთ; არც მუჯირობა, არცა მეულაყობა, არასთანა არა გაქნევინოთ რა პატრონისა მამისა ჩუენისა სულისათვს გელათს საღაპოდ ყოლად წმინდისა ღთისმშობლისათუის შეგუიწირავს - - - - წყალწითელასა და რიონს შუა - - - - .... მოძღვართმოძღურის მეტი სხვათა ხელი არავის [შევიდოდეს] - -

ხვეულად ამტკიცებს მეფე

შემდეგდროინდელი ჴელით: ქ: ჩუენ ღთივა გვირგვინოსმან მეფეთმეფემან პატრონმან გ˝იგი ესე სიგელი მტკიცე და შეუცვალებელი ჩვენცა ასრე დაგვიმტკიცებია

ხვეულად: გ˝ი

ქ. ჩუენ ღმრთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან პატრონმან როსტომ ესე სიგელი დაგვიმტკიცებია ხვეულად: როსტომ

**1527 წ.** წყალობის წიგნი იმერეთის მეფის ბაგრატ III-სა სეფე ჯვარის მტვირთველის ფანჩულიძის სახელზე, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 82, დაწერილი კარგს ეტრატზე ლამაზი ხელით. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილი. ხშირად იხმარება ზედმეტი ა-ნიც. აღსანუსხავად საბუთს მეორე გვერდზე აწერია: ქ. საჯვარიმტვირთლო. ეს სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტ., 370.

(ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ) ....მეტეხათა და ხახულისა ღთისამშობელო, მეოხებითა თქვენითა და წინამძღოლობითა ჯვარითა ძისა თქვენისთა ღთივ გვირგვინოსანმან იესიან დავითიან სოლომონიან ბაგარტიონმან ნებითა და შეწევნითა ღთისათა აფხაზათა ქართველთა რანთა კახათა სომეხათა შანშე შარვაშან მეფისათა და ყოვლისა აღმოსავალეთისა და დასავლეთამადისა თვითონ მატაკიცეთ მაფალობელ ხელმწიფედ მაპყარობელმან მეფეთმეფემან ბაგრტა და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან ელენე და საყვარელათა და პირმშოთა ძეთა ჩუენთა გი˝გი და თაჰმურაზ ესე მატკიცი და უკუნისამდისა უქცეველი და უცვალებელი სიგელი გიბოძეთ თქვენ ჩუენს ერდგულსა და თვადადებით (sic) ნამასახურსა სეფე ჯვარის მატვირთელსა ფანჩულიძეს იოსებას და თქვენთა შვილთა იობს, დავითას და გი˝გისა და შვილთა და მომავალთა სახალისა შენისათა, მასა ჟამსა ოდეს ძველ ოდესმე მურვან ყარუსგან დაქცეული და აოხრებული მთვარანგელოზისა ეკლესია საფუძუელამდისა დაქაცცეული აწ მოაქანმდის არავის ხელეყო აღშე-

ნებად მისად, ინება განგებამნ ღთისამნ და ძალმან მათვარ-ანგელოზისმან აწ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და გიბარძანეთ აღშენება წმიდისა მათავარანგელოზისა ეკალესიისა და ვქენით მოკითხული და ძველად გასხიდული ყოფილიყო და მერმე ბაკურაძისაგან თქვენ გეყიდა აღსაშენებლად და ნახევარი გარეშემოთა და ამას გარეთ სხვა მისი გარეშემონი ჩუენ ვიყიდეთ და ჩუენ შემოვასწირეთ მიქელ გაბრიელ მათვარ ანგელოზასა მეფობისა ჩუენისა წასამართებელად და სულისა ჩუენისა საოხად ყოვლთა წელიწადთა შიგან დიდმარხვათა ჟამაას გვიწირებდით მეფობისა ჩუენისა წასამართებლად და სულისა ჩუენისა საოხად. ესე არა ჟამთა გამოცულილობისთვის არა ოდეს არა მოგვეშალოს თქუენ ფანჩულიძისა იოსებისგან და შვილთა და მომავალთა თქკენთაგან. აწ ნებითა ღთისათა შეგიწყალეთ და გიბოძეთ წმიდისა მიქელგაბრიელ მაიავარანგელოზისა ნოხარი ეკალესია მისითა გარეშემოთ მკვიდრად და საბოლოდ გასათავებლად.... ესე ჩუენგან ბოძებული მათვარანგელოზისა ნაოხარი ეკლესია გვიბოძებია აღასაშენებლად მისითა გარეშემოთა ბარათლომეს კერძას გარეთ სარულად მისათა საბოსტნითა და სავენახოთ....(... ვინც შეშლისა „ანუ თავადნი ანუ აზნაურის შვილნი ანუ გალეხნი“ .. ნუ იხსნების „ნუ იელუსარემს წასულითა ნუ ეკალესის შენებითა, ნუ გალახაკათ მიცემითა, ნუ ებისკოპოზთა და მაღრდელთ წირვით“)... ანუ იმა ალაგშიგან უპატიობა იკადროს ან ეკლესიის გატეხით ან შინა ჩახდომით ან მასშიგან -ა-ფის კცშიგან(?) რაგინდა რა უპატიობა ჰკადროს, რგვარც დიდისა საყადრი-[სა] დავათარშიგან ეწეროს მისის საყადრის შვილის უპატიობა, ისრე დაეორვებოდეს და ამას გარეთ არაფერი ხელი არ შემოვიდოდეს არა ჩუენგან და არა სხვათა მეფეთა და დედოფალთაგან და არა დიდისა საყდრისა მოძღვართ მოძღვრისა და წინამძღრისაგან და არა სარულად ძმათაგანთაგან.... ჩუენ მეფეთმეფეთაც დაგვიმტკიცებია და თქვენ წმიდანო და ღთშემოსილო აფახაზეთის ქათალიკოზო მალაქია და ქართლისა ქათალიკოზო ბასილიოს და დიდისა საყადრის მოძღვართ მოძღვარო მანასე და წინამძღვარო მაკარე. .. და თქვენ ჩუენისა ხელისა მაქონებელო ერისთვა ციხისთვო (sic) და დიდებულ აზნაურნო და ხელის მქონებელნო თქვენც ასრე დაუმტკიცეთ.

დაიწერა ბარძანება და სიგელი ესე ივადიკიონსა (sic) [illegible] ჩუენის ქ̃კას სიე თვეს აპარილას კზ ხელისა (sic) ჩუენისა მადივან მწიგნობარის თავაქარაშვილიისა ზურაბისათა:

ხვეული ხელისმოწერა.

**1529 წ.** ძეგლი გენათელთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის შესახებ გელათის საბუთთაგან № 46, თხელს კარგ ეტრატზე, ზომით $223^3/_4 \times 19^3/_4$ სანტიმ., დაწერილია ნუსხა ხუცურად. ძეგლი მიეკუთვნება 1529 წ., როდესაც „ქართ. ცხოვრების“ შედეგში შეტანილ გელათურ ქრონიკის თანახმად ლიხთ-იმერეთი გაყოფილ იქმნა სამ საეპისკოპოსოდ. ნიშნები დედნისა დაცულია. ძეგლი მოკლედ შეტანილი იყო თ. ჟორდანიას „ქრონიკ.“ ტ. II, 342—343.

წითურად: ზესთა არსისა და ზე აღმატებულისა და ცათა მობაძისა დიდისა საყდრისა ჩნისა ახლისა იჱლიმასა გენათისა გუჯარი. სამწყსოსა. და საეპისკოპზოსა განაჩენისა და სასამზღუროსა.

(შემდეგ გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის)... ჩნ ქს ღთისა მრ კრთხეულმნ დიდმნ მამათმთავართ მთ̃ვარმ̃ნ აღმოსავალისა და ყისა ჩრდილოს და აფხაზეთისა კათალიკოს პატრიაქმნ მალოქიონ ესე გუჯარი და სიგელი მოგაკსენეთ თქნ წ̃ა საყდარსა გელათისა და თლით შეუდგამსა და განუცდელსა: ყდ ბჭწყინვალესა (sic) ხატსა დედოფლისა ხახულისა ღისმშობელსა. და წა და ღთ შემოსილსა ანგლზთა მობაძავსა. მიტროპოლიტსა: და მღდელთ მთავარსა. გენაჲთელ ეპისკოპოს წა მეუფესა მელქისზედეკს: მს ჟსა ოდეს დიდად აღმატებულმნ ძლიერმნ და უძლეველმნ სვანმნ და მორჭმულმნ თჳთ მპყრობელმნ. აღმოსავალით. დასავალადმდე. მფლობელ მპყრობელმნ. მეფეთა შს ბრწყინვალემნ დიდად სახელოვანმნ და სხლ განთქმულმნ ღთის მსხურმნ და ღთივ გჳრგჳნოსანმნ მეფეთმეფემნ. ბაგრატ. მოუახსენა და დაგუაჯერა. რა̃მცაჲ. გენათი. საყდრად. და საეპისკოპზოდ. შევუჱქმნა. ვისმინეთ მოკსენება. მთი. რ̃ ღთისა მრ აღძრულ. იყო..... ვაკურთხეთ. და დავსივით: (sic) გეენათს: კცი უაღრესი. ანგლზთა: და გაუჩინეთ.

პატივი. და საჯდომი: ვრ. პტრიაქთა. და მეფეთაგნ. განჩენსა: ძეგლსა შა წერილარს. და გაუჩინეთ. სამწყსონი: და საკურთხი. რიონსა: და ქუთათის ქალაქსა. ზედათ. ყვირილას. გამოღმა. და ვე კაცხის: ზღუარამდის: და ხრეითს. აქეთ. რაჭის. მთამდის. ოკრიბა. სდ. ქუთათის. ქალაქ: შ̃აგან: გაღმა და გამოღმა: და ანუ. დაბანი და სოფელნი. იყვნნ. მიმოდათესულნი. გლეხნი. არცა წინათ: კადრებულ: იყო. სხვსა ეპისკოპსისაგნ: მწყსა: ვა: ძუჱლი: გუჯარი გააჩენს. და არცა. ეკადრების. სხვსა. ეპისკოპოსისა: მწყსად. და ნუცა: აწე ეკადრების: ად ყლნივე შეუცვალებელდ აქუნდეს. მღდლთმთვრეპისკოსისა გენათისასა: პირელადცა: სხუათა: ეპისკოპოსთგნ. უმეტესი. იყო. და აწცა. ისივე: პირველი: საწირავი: გ̃ნუჩინეთ. ასი: თეთრი: მიერთმოდეს. სამარადისოდ: აწირვინებდეს:. (წყეგა) ...ვინცაჲ... მშლელდ გამოჩნდეს: ანუ სხუათა ადგილთ პტრიაქნი. ანუ. აფხაზეთისა პატრიაქი. ანუ. ქართლისა. პატრიაქი: ანუ: აფხაზეთისა მეფეთმეფენი და დფლთა დედფლნი. გინა მღდელთ მთვარნი და ეფისკოპზნი ანუ მეფენი ანუ ერისთავთა ერისთავნი გინა ათაბაგნი და სპასალარნი ანუ დადიანი და გურიელი ანუ შარვანისა და სომხეთისა ერისთავთა ერისთავნი გინა ერისთავნი ანუ ერისთავი ანუ ციხითავნი (sic) ანუ ნაცვალნი და ტანუტერნი ანუ ამირათ ამირა ანუ მებაჟეთ. კლისუფალი: ანუ ნატაპეტი. აბრაამატი ანუ კრისბჭე: მანდატური. ანუ კასტრიბი ანუ მპარავთმეძიებელნი ტყისმცველთა უხუცესი ანუ ტყის მცველი: ანუ რაცა კლის მქონებელნი იყვნენ... (კრულ აფხაზეთის კათალიკოს პატრიაქთა მადლითა, ქართლისა კათალიკოს პატრიაქთა მადლით და მათთა მიმდგომთა მიტროპოლიტთა და მთვრეპისკოპოზთა და სხთა ეპისკოპოზთა მდლითა და ყ̃ლთა მართმადიდებელთა ეფისკოპოზთა მადლითა)... ა̃ნ კვრიელისონ.

შემდეგ ხელისმოწერა კათალიკოზისა,
მაკურთხეველი ხელით გამოყვანილი.

**1540 წ. ახლ.** შეწირულობის წიგნი ჯანგაზ და ფირან მხეციძეებისა გელათის ტაძრის საბუთთაგან № 62, დაწერილი ტყავზე ზომით

ეროვნული

$64^{1}/_{2}\times 20$ სანტიმ. მარჯვენა მხარე საბუთისა ფრიად დაზიანებული და უფროს მეტად მთლად დაკარგულია ნიშნად იხმარება თითო სიტყვის შემდეგ სამი წერტილი. მეორე გვერდზე სათაურად ტექსტის ხელით წაწერილია: „მხეციძისა სალაპო ჯანგაზისა და ფირანისა“. ჯანგაზ და ფირან მხეციძეები იყვნენ შვილნი 1531 წ. გარდაცვალებულ მოლარეთ-უხუცესის სარგის მხეციძისა. ამიტომ სიგელი შეიძლება დაწერილი იყოს 1540 წლის ახლოს.

---მინდობითა და შუამდგომლ[ობითა] ხახულისა და საკურთხევლისა ღთისმშობლისათ---რავს ჩვენ მხეციძეს ჯანგაზს და ფირან შე[მო]---ესე შესაწირავი ნაქალაქევი ექვსი კავამლი (sic) --იხუცესი მიქელ, მისი ძმა ზოსიმე მწყერ---და მახარტელი მგელაძე ნასყიდა ახლაძე როსტე--დი მისი შვილი ხუცესი გაბრიელ ხვინვიძ--თხე ქოცნაკ სპათარია სულთამამა მამისა[თ]-- [ო]თხი ზუთხი ორი დეოქსი სამი მწყთულ--ლთა გლეხთა ოცოცის თეთრის საკლავი---ოციანითა, ერთი კოდი იფქლი, ერთი-- ლისათვის შემოგვიწირავს ჩვენითა თე[თ]--ღრობით ბლლებისა და საყვარელიძის სა---ბით ამისგან გამოილებდეს და გვიზმიდეს აღა[პსა]--ნათლისღებასა და გვიწირვიდეს ბატონი გენათე---ნი ორი მთავარი და წაიგებოდეს იმა აღაპზ---ორი ზუთხი, ერთი დეოქსი ერთი ღლ---სამი ნაოთხალი იფქლი, სამი ნაოთ --წირავს ჩვენ ხახულისა და საკურთხევლ---ისათვის მხეციძეთა ძმათა ჯანგა ---და ადიუსაჯანს შემოგვიწირავს ც[ოდვილისა სულისა ჩუენ]ისა საოხად და იმა სოფელსა ვასამ---ეს ექვსი კვამლი კაცი მისითა---თა მთითა ბრითა სასაკლითა---მისითა საძებრითა თუქ--თა არავინ მოგვიშალ-----...............(წყევა)---მე ვარჩინო მე მივსცე [მამულ]ი--იყოს წელიწადშიდა მათგან---დეს ჯანგაზს და ფირანს და მათ---და ქონდეს აღაპი არ მოიშალ--ქონდეს თავი ხელ მაშინაცა არ--მას უკანის არ მოიშლებოდეს -ჩვენგან შეწირული იყოს ძლი--ვინცა ესე შესცვალოს რისხამცა ღ̃თი---თ (აქ დასმულია რგოლი) ჩვენ მეფეთა და გენათისა ეფ--უცესთა ჯანგაზ და ფირამ ღნ მკიღრა---

(შემდეგ დასმულია ორი ჯვარი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მე-XVI საუკ. შუაში**

ამ დროში უნდა იყოს შედგენილი საკათალიკოზო საბუთებში დაცული ნუსხა გლეხების თეთრის გარდასახადისა № 82. ნუსხა ხოფელ ეპისკოპოზის გლეხებისაა, დაწერილია თეთრ ქაღალდზე ნუსხა ხუცურად, თავი აკლია, და რაც დარჩენილა, მისი ზომა უდრის 54×15 სანტმ.

| | |
|---|---|
| ----მართებს ამზჲნაზარს დუდუნიას | ოცი თეთრი |
| მართებს კთილისა დუდუნიას | ოცდაათი თეთრი. |
| მართებს მმისბედაჲსა | ოცდახუთმეტი თეთრი. |
| მართებს მამრომჲს დუდუნიას | ხუთმეტი ნაღდი თეთრი. |
| მართებს კუტალია აბედიას და კუკუჩიას | ოცდაათი თეთრი. |
| მართებს ქრისტეშიაჲ კუტალიას | ოცი თეთრი. |
| მართებს ბ῀პატი კუტალიას მამულსაჲ | ოცი თეთრი. |
| მართებს პარკალებს | ორმოცი თეთრი. |
| მართებს გორამებსა | სამოცი თეთრი. |
| მართებს კორტიკიას | ოცდაათი თეთრი. |
| მართევს ჩიქობელსა | ხუთმეტი (sic) თეთრი. |
| მართებს მმისახარს სანაკიას | ორმოცდახუთმეტი თეთრი. |
| მართებს ი῀ე და ქეროზინს ცულუნიას | ათი თეთრი. |
| მართებს მოგელი იასავას და დარჩინასა | ოცდახუთი თეთრი. |
| მართებს ქრისტეშია ბერიას | ოცდაათი თეთრი. |
| მართებს იმარინდუაჲ ჭანტურიას ნეორე წელიწადსა | ხუთმეტი თეთრი. |
| მართებს ი῀ე ჭანტურიას | ხუთმეტი თეთრი. |
| მართებს ესტატაი შულლაიას | ხუთმეტი თეთრი. |
| მართებს ბედინაი კუკუტაიას | ხუთმეტი თეთრი. |

**წითურად**: ამას წინათ რაჲცა სწერიაჲ:. უნ῀და მაისს ბგ. (sic) მოკრეფდეთ.

მრთებს მსხულებს ხატის ბეგარაჲ: ომაისური ერთი ზროხისაჲ თეთრი: ცხომარია მმის თევნასშვილსაჲ თევნაბიას და მაოხიას

| | |
|---|---|
| მრთებს ჭანტურიებსა | ოცი თეთრი. |
| მრთებს რატიებსა | ოცი თეთრი. |
| მრთებს სლთაამს ცხომარიას | ოცი თეთრი |
| მრთებს ჩუკულიებსა | ოცი თეთრი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| მრთებს ცხომარიას და ულოიას და გურიბიას შვილსა | ოცი თეთრი |
| მრთებს თევნაბიას და მისსა გნაყოფსა | ათი თეთრი |
| მრთებს წყლის ძგელთა ხატის ბეგრაჲ ომაისური ი͠ე ილივარიასაჲ | ოცი თეთრი |
| მრთებს მაბუბია კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს დოხუჩასა კვრკულიას | ოცი თეთრი |
| მრთებს სანას͠რასა კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს ვაჟიბედიასა ლუამჭითავას | ოცი თეთრი |
| მრთებს მამისარისა კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს თქელს კუათაცხელიას (sic) | ოცი თეთრი |
| მრთებს კახაბერასა კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს გავაშელ კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს მაკაკასაჲ კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს გუგუასაჲ ლუამჭითავას | ოცი თეთრი |
| მრთებს სვმონს კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს გმჲგონი კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს დედისკთლსა კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს მმისარასა კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს პაპას კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |
| მრთებს მმისასა შონიას | ოცი თეთრი |
| მრთებს ბევროზასა შონიაჲს | ოცი თეთრი |
| მრთებს გუგულასა კვრკუჱლიას | ოცი თეთრი |

მრთებს ანდრიათვლსა ასის ნალდისა სანთელი

მრთებს ფოთელსაჲ ნავსაჲ მაისობჲსა თვთოსა ნავსაჲ თავსაჲ მუნის (sic) წონაჲ სანთელი ვინცაჲ არ მოსცეს ყ͠დ წჲ ღის მშობლი გაურისხდების და ხოფისა ღ͠ისმშობლის წინამდეგის ებისკოპოზის მადლისაგ͠ნ შეჩუჱნებულმცა არის აწდა საკუნეთაჲ სკნეთაჲსა ა͠ნ და კსნ:.

**1558—1562 წ.** შეწირულობის წიგნი როსტომ გურიელისა, ბიჭვინტის საკათალიკოზო საბუთთაგან № **36**, დაწერილი ტყავზე

ზომით $52^3/_4 \times 18^3/_4$ სანტმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ —სამი წერტილი. როსტომ გურიელი გარდაიცვალა ვახუშტით 1562 წ. ევდემონ კათალიკოზი, აქ მოხსენებული, სჩანს დანამდვილებით 1558 წლის ახლო დროიდან. სიგელიც ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს მიცემული. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. „ქრონიკ". II, 400.

ქ:. დაუსაბამოსა ღთისა მამისა, ძისა და წმიდისა სულისა, თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოვლად წმიდისა ღთისმშობლისა, თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისითა, თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ცხოველს მყოფელისა და პატიოსნისა ჯვარისათა, რომელსა ზედა განიპყრა უხსნელი მკლავნი თვისნი ქრისტემან ღთმან ჩვენმან ხსნისათვის ჩვენისა, თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდისა დიდებულისა და წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესითა, იოვანე მახარებელისითა და ღთისმეტყველისითა, წმიდათა ყოვლად ქებულთა მოციქულთა პეტრეს პავლესითა და თორმეტთავე მოციქულთა, თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა რომელი დიდსა საუფლოსა სვინაქსარსა წმიდანი სწერიან დაღიწერებიან (sic), თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარმეტყველთა დაღმდელთა (sic) მოძღვართა, მოწამეთა და ნეტართა მამათა, მამათმთავართა, ქალწულთა, მესვეტეთა, მეუდაბნოეთა და ყოველთა წმიდათა ღთისათა ზეცისა და ქვეყანისათა, ხორციელთა და უხორცოთა ღთისა და ყოველთა ამა ზედ მოწერილთა ღთისათა თავსდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ესე წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგახსენეთ თქვენ სასოსა და მეოხსა ყოველთა ქრისტიანეთასა წმიდათა უწმიდესსა შვიდ ცათა უმაღლესსა ყოვლად წმიდასა ღთის მშობელსა ბიჭვინტისასა და კათოიკე (sic) საყდართა თქვენთა ჰკადრე და მოგახსენე მე გურიელმან პატრონმან როსტომ და დედამან ჩვენმან ბატონმან დედოფალმან ქეთეონ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ და ძეთა ჩვენთა ბატონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გიორგი და ბატონმან კოსროთანგი და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე. შემოგწირეთ სახსრად და სამეოხოდ სულისა და კორცთა ჩვენთათვის და შვილთა ჩვენთა გაზრდისათვის და გაწალმართებისათვის, შემოგწირეთ ოდიშს სოფელი კიბულა მისითა სამართლიანითა მთითა, ვარითა, წყლითა, სასაფლაოთა, მისაითა საძებრითა და უძებრითა ყოველთავე ჰკადრეთ და შემოგწირეთ მას ჟამსა, ოდეს შეგვემთხვია უმზგავსო ცოდვა, შეგვიწყალეთ და მოგვრძანდით ბატონი კზი ევდემონ დალგიარეთ (sic) ალსარება ჩვენი და დაიდევით ექუსექუსი ჟამის წირვა თქვენ და შემდგომთა თქვენთა კზთა ყოველთავე სახსრად სულისა ჩემ როსტომ გურიელისათვის. ვინც და რომელმან კზმან თქვენგან განჩენილი წირვა მოიშალოს, შემცაიცვალების სჯულისა ქრისტიანობისაგან და ჩემისამც ცოდვის პასუხის გამცემი ღ~თს წინაშე ის იქნების და თქვენ ბატონმან კზმან ევდემონ წიგნიც ამ რიგი მიბოძე. ჩვენ სიგელი ესე მოგახსენეთ სიტყვით სრულქმნილი საბალოდ (sic) გასათავებელი უტყუარი და უნამუსო ჟამ დრო უძებარი არას ჟამსა და პატრონობასა შიგან შეუცვალებელი ყოვლისა სამიზეზოსა საქმისაგან უმიზეზოდ გამოსრული გისვიანოს და გიბედნიეროს ღთმან თქვენ სასოსა და მეოხსა სულისა ჩვენისასა ბიქვინტისა ღთისმშობელსა და კზსა ბატონსა თქვენსა ევდემონს და შემდგომთა შენთა ყოველთავე კზთა არავინ შემოგეცილოს და არც ვისგან მოგეშალოს არა ჩვენგან და არა [ჩვენთა შვილთაგან და არა ჩვენთა] შემდგომთა გურიელთაგან და არა მომავალთა სახლისა ჩვენისათა, არა დადიანისაგან და არა სხვათა შემდგომთა მისთა დადიანთაგან არა მოგეშალოს ესე ასრე გაგითაოთ და არა გიტყუოთ და არცა მოგეშალოს. ვინმე და რამანც გვარმან კაცმან ამისად შლად კელყოს, რისხავსმცა მამა ძე და სული წმიდა, შემცაიცვალებანი სჯულისაგან ქრისტიანობისა, ნესტორ და ერმოგინეს თანამც არის ნაწილი მისი, შემცაეხვების შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზისი, დანთქმა დათან და აბირონისა (sic) და შიშთვილი იუდასი, ნურა რათამც სინანულითა ნუ იქნების ხსნა სულისა მისისა. დამამტკიცებელნი ამისნი ღთმან აკურთხნეს ამინ

ხვეულად: როსტომ გურიელი, ქეთევან, თამარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1569 წ.** შეწირულობის წიგნი იმერეთის მეფის გიორგი II-სა გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთთაგან, დაცული საკათალიკოზო საბუთებში № 21, დაწერილია ქაღალდზე. სიგელს თავი აკლია. ყოველ სიტყვის შემდეგ ნიშნად იხმარება სამი წერტილი. სიგელი მოკლედ დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 412.

----საყდარო გელათისაო და შვიდ წილ უძლეველო მკანეოქველო დიებულო (sic), რომელმან მოიმ[უშაკე] ღთისა მიერ და გამოაჩინე თავი შენი მუშაკად და პატიოსნად ღთის მსახურებისა, რომელმან თავსა შენსა პატიოსანსა შეუკარიბე (sic) მჭელეულნი იგ სათნოებათანა, რომელმან მოიმკუ ცრემლი იგი სიკარულისანი, რომელთა მო[ღ]ვაწებითა მითი პატიოსნითა დათხეულნი იგი სისხლნი ზეცათა მეუფისა შესწირე და აღიყვანე წმიდათასა მას წმიდასა, მკნეო მკედარო დიდებულო წმიდაო გი̃გი. აწ ჩუენ ცვაფარვათა შენთა მიერ სასოებით მონდობილმან და მოსავამან თქუენმან სახელითა ღთისათ ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიან ბანკარატონიანმან (sic) ნებითა ღთისათა აფახაზთა (sic), ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვალისა აღმოსავალეთისა და დასავალეთის სამკახრისა (sic) და ჩრდილოეთისა ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა [ორისავე სამეფოსა] და საკელმწიფოსა თუით მფლობით [თუით მპყრობე]ლმნ ღთივ აღმატებულმან და ღთივ დამყარებუ[ლმან და უ]ძლეველმან ყოველთა მეფეთა შორის წარ[ჩინებულმან და სკიპტრა] პორფირ გვირგვინ შარავანდედთა შორის ბრწყინვალემან ჩუენ ღთივ გუირგუინოსანმან მეფეთმეფემან გი̃გი, ძემან დიდისა და ძლიერისა და უძლეველისა მეფეთმეფისა ბაგრატისმნ და დედოფალთდედოფალმნ სასოებით მონდობილმან და მოსავამნ თქვენმნ რუსუდან და პირმშომან სასურველ საწადელმნ ძემან ჩუენმან ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ ჩუენდა სადღენგრძელოდ და გასამარჯვებლად და მეფობისა ჩუენისა წასამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად და ალსახოცებლად შემოგწირეთ მცირე და ესე უნდო ძღვენი და შემოსაწირავი თქუენ წმიდასა და დიდებულსა წმიდასა გიგის და ღთივა გუირგვინოსნისა (sic) მეფეთმეფის მამისა ჩუენისა საჴვალედ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წოდებულსა და სასაფლაოჲსა ბაგრატ მეფისა ეკლესიასა და მაშიგან განწყობილსა ხატთა და მღრდელმონაზონთა ჩუენეშის თავსა ღელეს გაღმა ხოშტიბელის სასახლე მისითა სახლკარითა, ჭურმარნითა, ეკლესითა, სათიბითა, მასითა ზურითა, შესავალითა და გამოსავალითა, ასრე რომე ქურდიანი და ნემსაძე რომე შეიცილნეს და გავიარეთ და თარჯი ვჭკარით, აწ ამ სასახლესა და იმ თარჯს შუა იოსელიანის საზღურამდის რაც სანეფო საკარე და ხელი შევიდოდეს, ისი მეფეს ნუ დაკალდების (sic). ამას გარეთ გკადრეთ და შემოგწირეთ ამ სასახლის შემავალი მოსახლე ერთი და გლეხი გვნცელაძე (sic) ღმერთისიაი მისით შვილებით და ძმისწულითა და (sic) მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი (sic) ერთი, ტკაბელივაძე გუგუტაი მისით შვილებითა და სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, ხაჭაპურიძე გალბიაი მისითა შვილებითა და სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი ერთი, სუბუქაძე მახარაი მისით შვილითა და სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი ერთი, ქარჩხაძე ხუხუჩაის შვილები მისით შვილებითა და სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი ერთი. გუბელაძე ნასყიდაი მისით შვილებითა და სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, სუბუქაძე ძმობილაი მისით შვილებითა და სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, ჭვიტავას პარტახტი მისით სამართლიანითა ერთი, კირთაძის პარტახტი მისით სამართლიანითა ერთი. ესე გლეხები ხელშეუვალად მოგვიხსენებია, ასრე რომე ამთშიგნ სანეფო ხელი არა შევიდოდეს რა. ამას გარეთ გკადრეთ და მოგახსენეთ კიდევე ჩუნეშს ცხუკურელაძე ახალბედაი მისით სამართლიანითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, ჯალაძე გიორგი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, ხევისბერაძე მიხაროდაი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი ერთი, ხევისბერაძე გიორგაი და ინანაი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, გუბელაძე მამისთვალაი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, ჯინჭველაძე ივნაი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი ერთი, ჯინ-

ჭველაძე ხახუაი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, გუბელაძე ივანაი მისით სამართლიანითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს კვამლი ერთი, ლაღიბერიძე მამისთვალაი მისით სამართლიანითა დღეს რისაც მქონებელი იყოს კავამლი ერთი. აწ ამ ჩუნეშურს გლეხებსა რ῀ც სანეფო და საციხო ბეგარა და გამოსაღები და სამსახური შეხდებოდეს, ისი მეფესა ნურა დაკალდების რა (sic) და სხვა შემოგვიწირავს მისითა მამულითა, მთითა და ბარითა, წყალითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, ეკალესითა, (sic) სასაფლავოთა, ჭალითა, სათიბითა, შესავალითა და გამოსავალითა, საძებრითა და უძებრითა და მისით ყოვალითფერით სამართლიანითა და გვნცელაძემნ ჩუნეშურს პარტახტზედან რა რიგადცა ან სანეფო სამსახური შეხდებოდეს ან ხატის ბეგარა შეხდებოდეს, ყველას ისრევე იქმოდეს. აწე ჩუენდა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად ყოველთ წელიწადსა რვარვასა ჟამსა გვეწირევადით (sic) პატრონი კათალიკოზი და სადამდის პატრონი ევადემონ (sic) კათალიკოზი დღეგრძლად და ამოდ იყოს, ისი ნუ დაგვაკალებს წელიწადშიგან ამ მამულისათვის თორმეტსა (ეს სიტყვა შესწორებულია, დაწერილი ყოფილა: რვა რვა,) ჟამის წირვასა და რა სოფელმან მისი წესი არ დაიკალოს, ვინცა კათალიკოზი იყოს და წმიდის გიორგის მონასტერი და ეკალესია ჰქონდეს ისი ნუ დაგვაკალებს წელიწადშიგან რვარვას ჟამის წირვასა. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ მეფემნ და ანუ დედოფალმნ ანუ თავადმნ და ანუ დიდებულ῀ნ ანუ აზნაურმნ და ანუ გლეხმნ კელყოს წიგნისა ამის მოშლად და მამულისა ამის გამოხებათ, რისხავსმცა დაუსაბამო ღ῀თი.... (წყევა) დაიწერა ბზა და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეოთხესა, ქკს ორას ორმოცდაჩვიდმეტსა, თვესა ფებერვალსა ოთხსა კელითა კარის ჩუენის დივნმწიგნობრის ფრიად ცოდვილისა თავაქალაშვილის ალასითა.

ხვჟულად: გიორგი

**1569 წ.** ნიკოლოზ ხოფელის შეწირულობის წიგნი, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 47, დაწერილი თეთრ ქაღალდზე ზომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

$43\times15^{1}/_{3}$ სანტმ. თავი სიგელისა დაზიანებულია. ნიშნად იხმარება 3 წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ.

----ქებულსა და დიდებულსა ჳმაღლეს--ყდ წმიდასა და უფროსად კურთხეულსა დედოფალსა ხობისა ღვთის მშობელსა, ოდეს სხვა ხოფელი იჯდა და თათრისაგან გაოხრებული და გაცუდებული საყდარი და მონასტერი იყო, ესე მოგუცეს ჩვენ წულიკიძეს (sic) ხოფელს ნიკოლოზს, ესე აოხრებული მონასტერი და მამული. ვიგულე და ვიგულსმოდგინე და შემოგწირეთ მცირე და კნინი შესაწირავი ესე შენ თეთროსანსა ხობისა ღუთისმშობელსა თავს ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი და კამარა, სამი ატლასის პერექლები, ერთი ოდიკი, ერთი ნაქსოვისა კრეტსაბმელი, ერთი ხელი შესამოსელი სტიხარი და ფილონი ნაქსოვისა, ოლარი ნაქსოვისა, სამკლავე ნაქსოვისა, ერთი დიდი ქვაბი სპილენძი გურიადამან მოვატანინე, გავაქედინე და შემოგწირეთ ჩვენის სულის სახსრად და საოხად. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ესე ჩვენგან შეწირული ნაღვაწი გამოგწიროს ანუ დადიანმან ანუ დედოფალმა ანუ ქათალიკოზმა ანუ ვეზირმან ანუ ხოფელმან ანუ მესტუმრემან ანუ დიდმან ანუ მცირემან, რისხავს თავად ღმერთი და ხოფისა ღუთისმშობელი, ქრისტეს საფლავი და სისხლი მეწამული გოლგოთა და ცხოველს მყოფელი პატიოსანი ჯვარი, სინა მაყვალი შეუწველი, მთაწმიდა, წყეულ და შეჩვენებულ არს ოთხთა პატრიაქთაგან, სამას ათურამეტთა მამათაგან, მასმც ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ღრჭენა კბილთა დიოსკორესი და იესოს ჯვარისმცმელთანაც განიკითხვის მისი სული და ხორცი. დამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან ამინ. ამინ. კიდევ ამას გარეთ ერთი მოსახლე კაცი თათრისაგან ვიყიდე სკვ ამიკოჩა ფაცისა (sic) და მოვნათლე, დავასახლე ხოფს და ვინც კანდალაკი იყოს, იმისთვის მიმიცემია და ყოველს წელიწადს ღუთისმშობლობას ჩემი სულისათვის ჟამს სწირევდეს. ვინაც ბერები და ხუცები იყოს, იმიანათ სწირევდეს. დამიც ბეგარა ერთი ცხვარი, ერთი ლოლარიკონი სანთელი, ორის შაურის საკმეველი, სამი კოკა ღვინო, ორი ქილა ღომი, რაეთიც ეშოვებოდეს. თევზი და ყველი და კვერცხი მიართვან, თუ ის დღე მარხვა მოხდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს სახსნილო მიართვას და ჩემის სულისათვის ჟამ[illegible] რევდეს და მომიხსენებდეს და შემომიწირავს ხოფისა ღუთისმშობლისათვის ჩემი სულის სახსრად და საოხად და აწ ვინც გამოსწიროს, რომელიც ზემოს წყევლაა და შეჩვენჱბა სწერია, ისიც მოიწევს მას ზედან და ხოზისა ღუთისმშობელიც, ამინ ამინ. ქკსა სმიზ:

ხვეულად: ნიკოლაოზ ხოფელი

ქ. სხვა კიდევ ამას გარეთ ზამან ბარძიმისშვილი მოკვდა და მის ნიშანსა და ნაწირვში ამიყვანია ივანე და სარჯელია და კაკულიაი სერგია და ხატისდა შემიწირავს ხოფისა ღუთისმშობლისათვის მათის ცოლშვილით, სახლკარითა, ჭურ მამულითა, მისის ყოვლის ფერითა, დამიც ჩემის სულისათვინ ერთის საკლავის სანთელი, ოთხი ლოლრიკონი. სხვა რაცა ემართოს, ხოფელს მიაერთმევდეს და შემიწირავს მე წულუკიძეს ხოფელს ნიკოლავზს ხოფისა ღმთისმშობლისათვის. რამანცა ძემან კაცისამან ესე გამოწიროს, ანუ დადიანმან, ანუ ვაზირმან, ანუ მესტუმრემან, ანუ სხვა ვინმემ ძემან კაცმან მასცა რისხავს ღავად (sic) ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისა[ნი და ხოფი]სა ღუთ´ისმშობელი.

ხვეულად: ნიკოლაოზ.

**1550—1570 წ.** დაახლოებით ამ დროებში, პალეოგრაფიულ თვისებათა მიხედვით, და საზოგადოდ XVI საუკუნეში უნდა იყოს მიცემული ვახუშტ აბაშიძის შეწირულობის წიგნი, რომელიც დაცულია გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის ტაძრის საბუთებში ზომით $158^{1}/_{3} \times 15$ სანტმ., სიგელი დაწერილია ცუდის ხელით, თავში მდარე ღირსების მხატვრობაც აქვს წარწერით: ჯ˝ი ქ˝ე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება ოროლი წერტილი. თითო აბზაცის წინ დედანში დასმულია ჯვარი.

სახელითა დასაბამოსა ღმრთითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა უხილავისა ღმრთისა და ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობლისა და ყოველთა მისთა წმიდათა და მისთა ტაძართა შინა მყოფსა მღრდელთ მოძღურისა წმიდისა ნიკოლოზისა და მისთა საყდართათვის ვიგულეთ და

ვიგულისმოდგინეთ მე ვახუშტ აბაშიძემან გკადრეთ და მოგახსენეთ... ჩემის უბრალოს თეთრით ნასყიდი მამული და ალაგი... თქნ სამკვიდრებელსა ჩემსა წმიდასა მონასტერსა... ჩემის სულისა და კორის საკსრად და სოხებლად და ჩემთა შვილთა და ძმათა და ნათესავთა სადღეგრძელოდ, შემოგწირეთ ცელისტარასშვილის მოსყიდული ვენაკი და ალაგი მეეკუტრეს, ამისთვის წელიწადშია თორმეტს ჟამს მიწირევდეს მეეკუდრე (აქ 1 სიტყვა წაშლილია) და საზროხედ ზეშთელისა და თაყას მოსყიდული რომანაული პარტახტი მისის სამზღურითა ღვინის ბეგრის მეტი არა ეთხოვებოდეს რა იმაზედ მოსახლეს კაცსა; ღვერეს სასახლე მისის მოსახლითა და საზღურითა, ასრე რომე მოურავს ჰქონდეს იქიდამან რაც შეწირული იყოს შიართევმდეს (sic) და ამსახურებდეს თის (sic) თავს მეტსა; საზაფხულო სასახლე ხუმალალს მისის მოსახლითა საზღურითა. ზუარის მუშაობაზედა საყდრის ყმამან წელიწადშია ოთხი დღე უნდა უშველოს რაც ღვინო გამოვიდეს, იმისის მეოთხედის ოდენი სხუა ღვინო უნდა მისცენ მეზურესა ამილბართულზედა, გამოიღებდეს ერთს ლიტრას სანთელს, ერთს ცხუარსა, ერთს ლიტრას მარილსა; გლეხი ორად გრიგოლასეული და მწავისეული; ორად გუველე ბიანაურის შვილი და დათვიასეული; ერთად მურ,ვანაული, ამისი სამოსახლო დეკანოზისა ქვეშეთ შამოსამზღრული; ორად ბაბლიური და კილაური; ორად ნუკრაული, რვა დბასთან ლუვერკი; ოთხად ღვინაური, მამითური, ბელებაძე და მახნიაშვილი; ერთად ჰიჰახაური; ორად გიბიაური; ორად მოგონაძე; ერთად ვაჰარაული; მოგონაძეს ქუეშეთ ვენაკი და ალაგი მისის საზღურითა; ერთად გოგალაური და ოქროპირაული; ორად გოგინასეული და მჰედლისეული ... მართებს ამათ კუამლზედა თვითო საკლავი, შვიდშვიდი ქათამი, ოცდასამსამი კვერცხი, თვითო ლიტრა მარილი, ოროლი კოდი პური, თვითო კოდი ღომი, თვითო კოდი ქერი, ექუსექუსი კოკა ტკბილი, ოროლი კაპეეტი ოროლი მტკაველი, თვითო ჩარექი სანთელი, ნახევარნახევარ ჩარექი მკედი სელისა სანთლის გულად, ათათი ზურგი თივა, თვითო საბელი. სახასო გუველებიანაურის შვილისა და გრიგოლასი და ალიბარულის სამზღუარსა იქით და ჩხერისმელემდი და ძირულამდი გუველესიანების სამზღურამდისი; ტყე და მინდორი ლოდაური მი-

სის საზღურითა, სვიმონაური და ფარსმანაული მისის საზღურითა, წყლისაგან ყარინება ჩხერისმელემდი; ჩხერისმელე ძირულამდი, ძირულას ნახევარი, ბურთულს ზედათ გუველესიანის სამზღურამდი.

არის კიდევ შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის ჩემის სულისათვის საალაპო და ერთი სასახლე მისის საზღურითა, კაპარჭინაშვილს ზედათ სახასო ტყე და ალაგი მისის საზღურითა, უბიანი მისის საზღურითა, ესე დეკანოზსა და გამოიღებდეს ხუთს კოკას ღვინოსა. ქიქილაურზედა ოთხი კუამლი კაცი გამოიღებდენ საალაპოდ და რვას ცხუვარსა, ოთხს ყუვერულსა, რვა კოდს პურსა, ორმოცს კოკას ღვინოსა. თეთრო წყაროდალმან რასაც კუამლი ამოსდიოდეს ოროლი ჩარექი სანთელი, თვითო მარჩილის წონა საკუმეველი, ხუთხუთი ლიტრა მარილი, თვითო შულო ბამბის ნასთი, ესე დეკანოზმან და მოურავმან მოიბარონ და ასრე ქნან, წინამძღუარსა და ხუცესსა ჟამი აწირვონ და სადილი აჭამონ და თორმეტი თეთრი საწირავი ჩემიდალმან წინამძღურსა მისცენ, რვას ცხუარზედა რვას ხუცესსა ჟამი აწირვიონ. სხუა რაც ხუცესი მორჩეს, საწირავი ჩემისაგან მისცენ. მისცენ კუამლზედა რაც მიხუდეს ხარშო შეკაზმული მარილითა და მწვანვილითა, ოროლი პური ერთის ჩარექისა, ოროლი სანთელი ბამბის ნასთზედა ჩამოსხმული, საკმეველი დეკანოზმან და მოურავმან ჩაურიგოს და აკმევინოს და ყველასაც შენდობა ათქმევინოს და ნახევარ ჩარქს (sic) მარილსა და თვითოს სამიანს ღვინოსა მისცემდენ. არის მისაცემი კუამლზედა, ვინც დედაკაცი და კაცი მოვიდეს ელაზნაურთა, ქართლელთა, ფარცხნელთა, თეთრაწყაროელთა, ფაქუთელთა, წიფლელთა, კუადაურელთა, საბელთა, სასუმეთელთა, ხორთელთა, საწერეთლოელთა საყდრის ყმათა, ნატობეურელთა, მლაშელთა, აჭარელთა, წეველთა, ილმელთა, თურინელთა, ქორეთლთა (sic), ზესტაფონელთა ერგების ქიქილაურზედა ოთხის კუამლის კაცისაგან კუამლზედა საალაპოს გარეთ მოურავს და დეკანოზსა ექუსი ქათამი, ორი ქუა (sic) ლომი, ერთი კოდი ქერი, ოცდასამი კუერცხი, ორი მარკილი თივა, ნახევარი მოურავს და ნახევარი დეკანოზს და კუამლზედა კვირეში ორორის დღის მუშაობა. სხუა რაც იმ დაწერილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცზედ მორჩეს სასმელ საჭმელი ან მისაცემი, ვინც გლახა მოვიდეს, იმას მიართვით.

არის შეწირული ღმრთისათვის და მის წმიდათათვის და წმიდის გიორგის წევისათვის საალაპოდ ჩემის სულისათვის საყდართან ლომინის მოსყიდული პარტახტი ტაბატაური ერთ გლეხად, მახარებელი გაჩეჩილაძე და მისი განაყოფური და ორ გლეხად დეისმამაური და მისი განაყოფური რაც სხუას წეველს კაცსა მართებს, ისი ამათ მართებს. ამისგან ერთი ჩარექი სანთელი, ერთი ცხუარი და ერთი მრთელი საკლავი, ორი კოდი პური და ხუთი კოკა ღვინო, ერთი ლიტრა მარილი. ოთხს ხუცესსა ჟამს მიწირევდეს მისიანათ და სხუა რაც გარდარჩეს, ის დეკანოზისა იყოს და კვირეში ორორი დღე მუშაობა დეკანოზისა იყოს. ესე ფარემუზ მაჭავარიანმან და მისმან შვილმან და ნათესავმან აჭარელმან, წეველმან და ილმელმან კელოსანმან ისაქმონ.

არის შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის ჩემის სულისათვის საწერეთლოს მახარებლი ხუცესი, გამოიღებდეს ორს ჩარექს სანთელსა, მის მკედსა, ორს ცხუარსა, ერთს ლიტრას მარილსა; ქალალდისას შვილებსა (sic) ერთი ჩარექი სანთელი, მისი მკედი, ერთი ცხუარი, ორი ჩარექი მარილი, ხუთხუთი ჩაფი ღვინო ხუცესსა უნდა მიაბაროს იქიურმან კელოსნებმან და თუ დააკლდეს აჭარიდალმან მოიკითხონ ფარემუზ და იქიური კელოსანი მისცემს. აწე ამისგან კუამლზედა თვითო ჩაფი ღვინო ხუცესსა, ერთის ცხურის ხარშო, ორი ჩარექი მარილი, ერთი ჩარექი სანთელი, მისი მკედი, რვიანი ღვინო აღდგომისა და ერთის ცხურის ხარშო, ორი ჩარექი მარილი, ერთი ჩარექი სანთელი, მისი მკედი, რვიანი ღვინო; სალმრთო ზედან ერთის ცხურის ხარშო, ორი ჩარექი მარილი, ერთი ჩარექი მარილი (წინად უნდა ყოფილიყო ხახვი), მისი მკედი, რვიანი ღვინო; მარიობათ ცხურების საწესო იმავ ხუცესსა; სალმრთოზედა წინამძღუარი და ორივ დეკანოზი მივიდოდენ, ჟამსა გვიწირევდენ, ღვინოსა ხუცესი ასუემდეს, საჭმელსა ლოფელი მიართმიდეს, საწირავად კუამლზედა თვითოს გვერდს პურსა მიართვემდენ. ამისაგან ნახევარი წინამძღუარსა და ნახევარი ორს დეკანოზსა.

ეროვნული

არის შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის ჩემის სულისათვის ქორეთს ხუცის სახლი. გამოიღებდეს ერთს ცხუარს, ერთს საკლავსა, ერთს ჩარექს სანთელსა, მის მკედსა, ერთს ლიტრას მარილსა, ათს კოკას ტკბილსა; მოვიდოდეს მოურავი და კელოსანი, ცხუარზედა იმავ ხუცესსა ჟამსა აწირვინებდენ, მიართვემდენ კუამლზედა, რაც მიხუდებოდეს ცხურის ხარშოს კორცსა, ოროლს სანთელსა, მარილსა, თვითოს ჩაფს ღვინოსა, ორისოდენი (sic) მოურავსა და კელოსანსა.

არის შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის ჩემის სულისათვის მლაშეს იამანიძისეული მამული, გამოიღებდეს საადგომოდ ერთს ცხუარსა, სამს ყუვერულსა ერთს ლიტრას მარილსა, თექუსმეტს ადლს ტილოსა, ორს ლიტრას სანთელსა.

არის შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის და ვანთ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისათვის, გამოიღებდეს გოგიჩა სანაშვილსა მამულმან ერთი ცხუარი, ერთი საკლავი, ერთი ლიტრა მარილი, ერთი ჩარექი სანთელი, მისი მკედი, გამოიღოს ხუთმან სასანაურომან (sic) ხუთი გვერდი პური, ათი კოკა ღვინო კუამლზედა, გაუყოფდენ ცხურის ხარშოსა, კორცსა, მარილსა, ოროლს სანთელსა, ოროლს პურსა, რაც მიხუდეს ღვინოსა, ოროლის კაცის ოდენი მოურავსა და კელოსანსა ცხურის საწესო, ერთი ჩაფი ღვინო ზედაშეთ და ტაბლა ხუცესსა და სანთელი ხატსა.

არის შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის და ფერისცუალების ხატისათვის ჩემის სულისათვის ფაქუთს ფერისცუალობას გამოიღებდეს, სათუთური მამული ერთს ცხუარს, ერთს საკლავს, ერთს ლიტრას მარილს, ერთს ჩერექს სანთელს, მის მკედსა, ორს კოდს პურსა, ათი კოკა ღვინო ბალონიდალმან კუამლზედა გაუყოფდენ ცხურის ხარშოსა, კორცსა, მარილსა, ოროლს სანთელსა, ოროლს პურსა, ღვინისაგან რაიც მიხუდებოდეს ცხურის საწესო, ერთი ჩაფი ღვინო და ტაბლა ხუცესსა და სანთელი ხატსა, ორის კაცისოდენი მოურავსა და კელოსანსა.

არის შეწირული ღმრთისათვის და მისთა წმიდათათვის ჩემის სულისათვის წმიდის გიორგის კოდის წყაროთათვის ჰარტალს, გამოიღებდეს ერთი ოქრაძე ერთს ცხუარსა, ერთს საკლავს, ერთს

ლიტრას მარილსა, ერთს ჩარექს სანთელსა, მის მკედსა, [illegible] კოკას ტკბილსა, მივიდოდეს მოურავი და კელოსანი, ცხუარზედა იმავ ხუცესსა ჟამსა აწირვებდენ, მიართვემდენ კუამლზედა რაც მიხუდებოდეს ცხურის ხარშოსა, კორცსა, მარილსა, ოროლს სანთლსა (sic) და ღვინოსა რაც მიხუდებოდეს ცხრის (sic) საწესო, ერთი ჩაფი ზედაშე და ტაბლა ხუცესსა სათლი (sic) ხატსა, ორის კაცის ოდენი ოდენი მოურავსა და კელოსანსა.

სალმრთოდ გამოიღებდენ რასაცა კუამლი ამოსდიოდეს ბატონმან აზნაურისშვილმან და გლეხმან ოროლი ჩაფი ღვინო და თვითო ქათამი ცხურისათვის იყიდონ, ერთი ცხუარი ფარცხანელთა, თეთრაწყაროელთა და ფაქუთელთა.

ერთი (აქ 1 სტრიქონის ადგილი გამოტოვებულია) ერთი ხორითელთა საყდრის ყმამან და ნატბეურელთა, ერთი აჭარელთა, წეველთა და ილმელთა, ერთი ზესტაფონელთა, ქორეთელთა და თურინელთა, ერთი მლაშელთა ცხურის საწესო, ტაბლისა და ზედაშისა ნახევარი მას მისის თემის ხუცესსა და ნახევრისაგან ორი წინამძღუარსა და მესამედი ორს დეკანოზსა და სანთელი მას მისის თემის ხატსა.

შემიწირავს ღმრთისათვის, ყოველთა მისთა წმიდათათვის ჩემი შვილურად გაზრდილი ფასიტაი და მისნი შვილნი და ნათესავნი მისის მამულითა, რაც ჩემგან წიგნი და სიგელი ჰქონებოდეს იმითი ამისათვის, რომე ეს ჩემი სულის საქმე იმისთვის მიმიბარებია. რარიგათაც მიზამს და მსახურებს, მან და მისმა სულმან იცის და მისმან ნათესავმან და ღმერთმან და მის წმიდათ მადლმან, ასრე რომე ამასთანა არას კორციელს კაცსა კელი არა აქუს. ასრე მისის მამულით ჩემის სულისათვის შემიწირავს. თუ ვისმე მისის ნდომით მსახუროს, მადლი უთხრან, თუ არა, ეს ჩემი სულის სამსახური ეყოფის. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ დიდმან ანუ მცირემან ანუ ჩვენმა შვილმან და ძმამან და ნათესავმან და გუარის კაცმან, ანუ კათალიკოზმან და ქუთათელმან ანუ სხუამან ებისკოპოზმან ანუ წინამძღუარმან და ხუცესმან ანუ სახლისუხუცესმან და ბოქაულთუხუცესმან ანუ თავადმან ანუ აზნაურმან ანუ გლეხმან ესე ჩემი უბრალო ჩემის სულისათვის [შე]წირული მომიშალოს და შე[ცვალოს], შემცაიცვლების [სახელისა?] ქრისტიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

--- (ორიოდე ან სამიოდე სიტყვა მოხეულია) -- სული -- (აქ ადგილას ცოტა უნდა აკლდეს)

სიგელს ხელის მოწერა არა აქვს. თავში კიდევ მე-XVIII საუკ. ხელით წარწერილია: დიდის ვახუშტის შეწირულია.

**1570 წლ. ახლ.** ნუსხა კოხურის ბეგრისა, დაცული გელათის საბუთებში № 71, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით 30×30½ სანტმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება სამი წერტილი. სათაურად ნუსხას აქვს: „ქ კოხურის:. ბეგრის:. არის:.“ და სხვა ხელით კიდევ: „წყალწითელის ნუსხა:“

როგორც იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის შეწირულობის ერთ სიგელიდან სჩანს (თ. ჟორდ. ქრონიკ. II 341, ს. კაკაბ.—კოსტან. უცნ. აფხ. მეფე), წყალწითელას ახლად გაშენებული სოფელი პირველად განთავისუფლებული იყო ბეგრისაგან. ხოლო წინამდებარე ნუსხა დაწერილი უნდა იყოს სოფლის მოშენებიდან კარგა ხნის გავლის შემდეგ (შიგ მოხსენებულია რვა პარტახტი), ამიტომ ნუსხის შედგენა შეიძლება მიეკუთვნოს 1570 წლ. ახლო ხანს.

ქ:. მართებს წყალწითელას გიორგას სვინტრაძესა სანთელი ლეტრა (sic) ორი, ერთის ცხურითა, სამის ხუცის [წი]რვითა ალაპი.

მართებს გიორგ ბერიძეს გოგიტასა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, [პური] გვერდი ერთი, ღვინო ათიანის კოკითა კოკა სამი, საკლავი ერთი ათის თეთრისა და ძღვენი ორი.

მართებსა ბუჭუას გიორგი ბერიძესა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, ძღვენი ორი, მართებს (sic).

მართებს ინანას ჯანელიძესა სანთელი ლიტრა [ორი?], ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, ძღვე[ნი].

მართებს ალფასიძეს ძმობილას სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი [ორ]ი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, საქრიშობო და საყველიერო ძღვენი.

მართებს - - - ლომბსაბერიძესა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, საქრისტიშობო და საყველიერო ძღვენი.

მართებს დათიკიას ფორაძეს სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი და საკლავი ათის თეთრისა და ძღვენი ორი.

მართებს ვაჭარაძეს მიქელასა სანთელი ლიტრა ორი.

მართებს დურუცლიშვილს ათანდილასა და სიხარულასა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ოთხი, პური გვერდი ორი, ღვინო კოკა ექვსი, საკლავი ორი ათათის თე[თრისა], ძღვენი ოროლი

მართებს დათიკიას დურუცლიშვილსა სანთელი ლიტრა ორი.

მართებს გვენეტაძეს როსტევანასა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, ძღვენი ორი.

მართებს მიქელს კაკაურიძესა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, ძღვენი ორი.

მართებს მახარობელსა კაკაურიძესა სანთელი ლიტრა ორი, ლომი გვერდი ორი, პური გვერდი ერთი, ღვინო კოკა სამი, საკლავი ათის თეთრისა, ძღვენი ორი.

მართებს მამაშვილას კასაპაშვილსა სანთელი ლიტრა ერთი.

ქ. მართებს ხელოსანს ჯანელიძეს დავითასა სანთელი ლიტრა ორი და რვა პარტახი სხვარის (sic) და რაც ამ კაცებს მართებს თითოს გლეხსა, ისრე თითოს პარტახს მართებს და ისრე გარდაიხადოს, ვინც დაესახლოს და ან ვინც ჭამოს.

ბოლოს დასმულია მორგვალო პატარა ბეჭედი, რომლის წარწერა არ გაირჩევა.

**1573 წ.** შეწირულობის წიგნი გიორგი II იმერთა მეფისა, დაცული გელათის საბუთებში ნაწილ ნაწილ სხვა და-სხვა ნომრების ქვეშ, სახელდობრ № 56, 97 და 72. ზომა პირველისა სიგრძით 25, შემდეგისა 31 სანტიმ., მესამე კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად დაზიანებულია, განი $19^1/_2$—$21^1/_3$ სანტმ. საბუთი დაწერილია ქაღალდზე, რომელიც საერთოდ ძალიან დაზიანებულია, თავი კიდევ მთლად დაკარგულია. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილი, იშვიათად სამი.

---ღედოფალმნ-----ვიგულეთ და ვი---საშინელსა და ცათა--ყდარსა და მაშიგან ბრძანებულსა---ბელსა გკადრეთ და მოგახსენეთ და---ვითა დაგვიაჯნეს ჩუენი დიდად [ერდგულ]ნი ლ[ორთ]ქიფანიძე ქექაოზ და ქრთამიც მოგვართვ---და უბოძეთ გელათს დასავლეთის კარსა სასაფლაო და---ლე ულუხან იქი დავამარხეთ და გაუჩინეთ მწირველი---სათუის მღრდელ მონაზონი გერმანე და გაუჩინეთ---რვა და კელაპტარი და შევსწირეთ გლეხნი ციხიას და---შვილი მხეციძე ამოსწყდა უშვილოთ და იმისეული, გ---ლაძე გიორგი და მართებს თეთრი ოცი, ღომი კოდი·--კოკა ექვსი, ქათამი ორი და ტვირთი და მუშაობა და---ქრისტეშიაი და მართებს თეთრი ოცი, ღომი კოდი ორი, ღ[ვინო-კო]კა რვა, ქათამი ორი, თივა ზვინი ერთი, ტვრთი და მუშაო[ბა] ---დინაძე დავითაი და მართებს თეთრი ათი, ღომი კოდი [ორი? ღვი]ნო კოკა სამი და ქათამი ორი და თივა ზვინი ერთი და ტვი[რთი და] მუშაობა; და სოფარომაძე ვაჟიბედაი და მართებს თეთრი ათი, [ღომი კოდი] ორი ღვინო კოკა სამი, ქათამი ორი, თივა ზვინი ერთი და ტ[ვირთი] და მუშაობა; კავეტაძე ივნაი და მართებს თეთრი ათი, ღომი კო---ღვინო კოკა რვა, ქათამი ორი, თივა ზვინი ერთი, ტვირ[თი და მუშა]ობა; როდინაძის გიორგას პარტახტი და მართებს თეთრი--- ღომი კოდი ერთი, ღვინო კოკა სამი, ქათამი ორი, თივა ზვინი---და ტვირთი და მუშაობა; ლაშქარაული პარტახტი და მართ[ებს] თეთრი ათი, ღომი კოდი ორი, ღვინო კოკა სამი, ქათამი ო[რ]-----(აქედან იწყება № 97) ტვირთი და მუშაობა; ბიბილაური პა---ღომი კოდი ერთი, ღვინო კოკა სამი, ქათამი ორი და ტვირთი [და მუ]შაობა. ესე რატიშვილი უნათესაოთ გარდალევინდა და ასრე უცილებლათ შეგვიწირავს, რომე ამასთან საცილოდ საქმე არარავის აქუს მათ[ი]თ მამულითა და მათით საზღურითა და სამართლიანითა უკლებათ. აგრევე ფარცმანაყანევს გლეხნი ქელბაქიანის ავთანდილისაგან მონასყიდი, ასრე რომე ქელბაქიანსა მხეციძისაგან ჰქონდა მოცემუ-

ლი ნასისხარდა და მერმე ჩვენ თეთრით ვიყიდეთ და შევსწირეთ გელათს ულო[ხ]ნის (sic) სულისათვის რაცა საზნაურიშვილო ზეგარა მართებს და გამოვა, ისი შეგვიწირავს და გლეხი ფახაკაძე ახალბედაი და მართებს ღვინო რვიანით ლიტრითა კოკა ოცი, საკლავის თეთრი ათი; ფახაკაძე გიორგაი და მართებს ღვინო რვიანითა კოკითა პარტახტიანათ ორმოცი და თეთრი ათი; ფახაკაძე სიხარულაა და მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ორმოცი და საკალავის თეთრი ოცი; ფახაკაძე მუხიერაი და მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ორმოცი და საკალავის თეთრი თუთხმეტი. ფახაკაძე მაისაი და მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ორმოცი, საკლავის თეთრი თუთხმეტი; ფახაკაძის ახალბედას პარტახტი და მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ოცი, საკალავის თეთრი ათი; შიოს ფახაკაძესა მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ოცი და საკალავის თეთრი ათი, ბიძასთვალსა მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ათი, თეთრი ექუსი; კილაძე დედულისაი და მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ათი და თეთრი ექვსი. ლალაძეს გიორგის მართებს ღვინო რვიანითა კოკითა ორმოცი და თეთრი შვიდი. ესეც ჩვენით თეთრით ნასყიდი არის და არავინ რას გვემართლების ჵ არც ვის რა საქმე აქუს. აწე ყოველთ წელიწადსა ენკენის თვეს ცამეტსა ენკენიობას დღესა ულუხნის სულისათვის ალაპი გარდაიხდებოდეს და თვითან გენათელი სწირევაჲს ჟამსა და მეკუდრენიცა და თორმეტს თეთრსა გენათელს მიართმევდეს, ორს თეთრსა ალმაშენებლის მწირვესა (sic) და ორს თეთრსა სეფეს ჯვარიმტვირთელსა, ორს თეთრსა კანდელაკასა, ორს თეთრსა გედეონს, ორს თეთრსა დედოფალის მწირველსა, ორს თეთრსა გენათლის ჯვარის მტვირთველსა, ორს თეთრსა კელარსა, ორს თეთრს ბაკურაძესა. ამის საწირავათ ორი თეთრი შიოს (აქედან იწყება № 72) მისცემდეს და ამ ალაპზედან დაიხარჯოდეს ორი ცხვარი ათათის თეთრისა და წელიწადშიგან საკამეველი ათი თეთრისა და ალაპზედან თევაზი ათი თეთრისა და ყველი და მარილი ოთხი თეთრისა და პური ათი თეთრისა და ლომი და ღვინო რაც მოუნდებოდეს და ამას გარეთ თვითან მონაზანი გერმანე ყოველი წელიწადსა დიდი მარხვას უწირევადეს და ორმოცდაათის თეთრის კელაპტარსა ანთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჳეს დიდს ორშაბათსა და დილამდის დიდ ორშაბათამდის ენთებოდეს და ამ ალაპს გარეთ რაც ან თეთრი გარდარჩეს, ან ღომი და ღვინო გარდარჩეს, ისი მონაზონმან გერმნე მისმან მწირველმან იხარჯოს როგორც უნდოდეს ისრე. აგრევე გელათს სახლი საყავარელიძე გენათელი რომე მიცვალა, ის ადგილი და იმას ქვეშეთ გალავნისა და იმას შუა ბოსტნი. აწ ეს გლეხები და მამული ყოვლისა კაცისაგან შეუცილებლათ და უსარჩლავად შევიწირავს.... და ქექაოზ მისითა თეთრითა იქრთამა და ჩვენ ჩვენითა ნებითა მიგვიცემია... (წყევა) თქვენცა .. აფხაზეთისა და ქართლისა კ̃ზნო... დაუმტკიცეთ. ვინცა ამის მწირველსა მონაზონსა და ანუ მის ყამასა შესცოდოს, რა რიგადცა გელათის გუჯარშიგან უუპატიო ეწეროს, ისრე ამათი დაეურვოს.... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ქკს ორას სამოცდაერთსა, ხელითა კარის ჩვენის დივანმწიგნობრისა თავაქალაშვილის ალასითა, ნებითა ღთისათა.

ხვეულად: გიორგი

**1565—1578 წ.** ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს მიცემული ხელწერილი, დადებული იმერთა მეფის გიორგის II-ის მიერ. საბუთი დაცულია გელათის ტაძრის სიგელ-გუჯრებში № 54; დაწერილია თეთრ ქაღალდზე ზომით 32×15 სანტ.. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება ორი წერტილი. საბუთი ხელმოწერილია გიორგი მეფის გარდა რუსუდან დედოფლის მიერ, რომელიც გარდაიცვალი 1578 წ. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. „ქრონიკ." II, 404.

ქ. ჩუენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთიმერისა და ლიხთ ამერისა თვითმფალობით მპყრობელმან ღთივა ალმატებულმან და ღთივ დამყარებულმან ძლიერმან და უძლეველმან ჩუენ ღთივა გჳირგვინოსანმან მეფეთ მეფემან გი̃გი ესე უკუნისამდის გასათავებელი მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი მოკახსენეთ თქვენ ბიძის ჩვენის ცოლყოფილსა პატრონსა ანას, მას ჟამსა როდეს ბატონის ბიძის ჩვენის გიორგის სულისათვის და თქვენის სულისათვის უკუნისამდის ღთის სასუფეველსა გლეხები შესწირეთ და იმათი ბეგარა საკამევალათ და საკელაპტრეთ სანთლათ შესწირეთ და გუჯარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იადგარი გაიჩინეთ და სიგლათ დაწერინეთ და ჩვენი ხელი და ბეჭედი ყაველა ჩაურთეთ იმ სიგელსა. აწე რა რიგადცა [ამ] სიგლითა ბატონის ბიძის ჩვენის გიორგის სულისათვის და თქვენის სულისათვის ის გლეხები და მთი ბეგარა სანთლისა და საკამევალისათ.--- [საკე]ლაპტრეთ შეგეწიროს და იმ წიგნშიგნ გაგეჩინოს და გაჩენით ეწეროს ის გაჩენილი და შეწირული თქვენის სულისათვის და ბატონის ბიძის ჩვენის გიორგის სულისათვის, უკუნისამდის ისრე გათავდეს.

აქ დასმულია პატარა მორგვალო ბეჭედი გაურჩეველი წარწერით და იქვე არის ხვეული ხელისმოწერა: გიორგი. დ̃ფლი რუსუდან

**1586 წ.** შეწირულობის წიგნი იმერთ დედოფლის თამარისა გელათის წმ. გიორგის ტაძრისადმი, დაცული საკათალიკოზო საბუთებში № 27. წიგნი დაწერილია თხელს ტყავზე ზომით $46^1/_2 \times 19^1/_2$ სანტმ., ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ 3 წერტილი. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ., II, 425.

ქ ჵი ყოვლად გალობელო დედაო მაცხო---- შემოქმედო ცისა და ქვეყანისაო და შვენიერო და შრ---- განმანათლებელო ყოვლისა ქრისტიანეთასა და მისთა მოწამეო მოწამეთა მთავარო მხნეო და მხედარო წმიდაო გიორგი გელათის სადედოფლოსაო, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ მცირე და კრინი (sic) ესე შესაწირავი ტაძარსა მას მეუფისასა გელათს სადედოფლოსასა და ხატსა მას წმიდასა გიორგის ჩვენ ღმრთივ გვირგვინოსნისა მეფეთ მეფისა ბაგრატის უხუცესისა შვილის მეფეთმეფისა გიორგისა თანამეცხედრემან დედედოფალთ (sic) დედოფალმან ბატონისა დიასამიძის სახელოანის შერმაზანისა და ანას ქალმან პატრონმან თამარ სულისა ჩვენისა ფრიად ცოდვილისა საოხად და დასახსნელად და შესავედრებელად ჩვენ თამარ ყოფილმან ქრისტინე შემოგწირეთ ჩვენის იარაღითა თაჯისა და განძისაგან დავშალეთ და შევამკვეთ და გავაჭედინეთ ოქროსა ყოვლად წმიდისა კარისა ღმრთისმშობელსა ხატი და შევამკეთ პატიოსნითა თვალითა და მარგა-

ლიტითა და ამას გარეთ კიდევე ცხოველსმყოფელი პატიოსანი ოქროსა მაცხოვრისა ხატი მისითა პატიოსნითა თვალითა და მარგალიტითა ჩემის მზითვისა და ჩემი საკითხავი ჟამნი და ოთხთავი დავითნი და შემოგწირეთ ჩხარს გლეხი გოგიჩაი აბულაძე, ზაქარიაი აბულაძე, ქრისტეშიაი ლივლივაშვილი, ნიკოლოზაი ლივლივაშვილი, როსტევანაი ავჟანდაძე, ხაბა (sic) ავჟანდაძე, ნასხიდაი დავითაშვილი, იანვარაი სახეჩიძე, ნასხიდაი ავჟანდაძე, დემეტრე ყივჩაყიძე ნიკოლოზა აბულაძე ესენი მისისა ბეგრითა და გამოსავლითა. დავითაი მარგველაშვილი, ხაბულაი ზაბუქიძე. ამ გლეხების ბეგრის თეთრის გამოსავალისაგან ათის შამახურის ლიტრის კელაპტარს ანთებდენ და ერთს ჩარექს საკმეველს იყიდდენ საწირავად და ყოველსა ღმრთისმშობლობასა დღესა რვის ცხურითა ალაპსა გარდაიხდიდენ და კათალიკოზი ყოველსა ღმრთისმშობლობის დღესა ჟამსა გვიწირვიდეს ჩვენის სულისა და ამ გლეხების ბეგრისაგან ჩვიდმეტი კოდი ქერი და სამოცდათურამეტი ათიანი კოკა ღვინო კათალიკოზს საწირავად მიხუდებოდეს და ზემდგომელი ბერი ვინ გინდა ვინ დადგეს, თორმეტს საუფლოს დღეს ჟამსა გვიწირვიდეს და მას მიხუდებოდეს. ამ ბეგრისაგან ქერი კოდი ცხრამეტი, ღვინო ათიანი კოკა სამოცდაჩვიდმეტი, ლომი კასრი შვიდი, სასეფისკურეთ პური კასრი შვიდი. ჩერნათს ნასხიდაი მამიაშვილი და მისი ძმები და ელიაი ფერაძე შემოგვიწირავს და რაც იმათი ბეგარა გამოვიდოდეს, კათალიკოზს მიართმევდეს და კათალიკოზი თითოს კელაპტარს აღმინთებდეს და ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ მეფემან ანუ დედოფალმან ანუ დიდმან ანუ მცირემან ანუ თავადმან ანუ აზნაურმან ანუ კამყოლმან (sic) ანუ ვაზირმან ანუ მსახურმან ესე ჩვენგან შეწირული ჩვენის სულისა და განაჩენი წიგნი და გუჯარი მოგვიშალოს და არ გათავოს, ანუ ბატონსთანა მოციქულად მიეგზავნოს, ანუ გამოურჩიოს ამისი მოშლა, ხოლემცა (sic) რისხავს მამა ძე და სული წმიდა, ცხრა დასნი ანგელოზნი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზნი, ყოველნი წმიდანი ღმრთისანი ზეცისა და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი. ვინცა ესე ასრე არ გამითავოს და მომიშალოს, შემცაიცულების სჯულისა და ყოვლისა ქრისტიანობისაგან, შემცაედება კეთრი გეზისა, სიშტვილე იუდასი, ძრწოლა კაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისა, დათქმა დათა დაბიროჲნისა (sic), მისიმცა სული იუდას თანა [დაემკუი]დრების, ნუმცა იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ნურც [ლოც]ვითა, ნურცა წირვითა, ნურცა გლახაკთა მიცემითა, [ნურც] იელუსარემს წასულიითა, ნურცა საყდრისა შენებ[ითა], ნურცა საუფლოჲსა ხატისა მოჭედითა და ვინცა მეფემან და დედ[ოფალ]მან ესე ჩვენგან განაჩენი არ მო[გვიშალოჲს] და დაამტკიცოს, დამამტკიცებელი ადიდნეს და აღლენგძელოჲს ღმრთმან ჩვე---სათა. დაიწერა გუჯარი ესე ქ~კს ორას სამოცდათოთხმეტსა ხელითა ფრიად ცოდვილისა თავაქარაშვილის ხვაფილანდრასითა.

ხვეული ხელისმოწერა

**1591 წ** შეწირულობის წიგნი ლეონ მეფისა ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 15, დაწერილი თეთრ ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ—2 წერტილი. სიგელს თავი აკლია.

ყურადღებას იპყრობს ამ სიგელის თარიღი, რომელიც ნაჩვენებია 279 ლევან მეფის ბატონობის მეორე ინდიკტიონს. ლევან იმერეთის მეფე კი გამეფდა, როგორც ეხლა მტკიცდება, 1583 წ., ხოლო 1590 წ. ის შეიპყრო მამია დადიანმა და შხეთის ციხეში დააპატიმრა, ამ ციხეში ის გარდაიცვალა კიდეც. გამოდის, რომ ქვემოდ დაბეჭდილ სიგლის მბოძებელი ლევან მეფე და 1590 წ. მამია დადიანის მიერ ტყვექმნილი ლევანი სხვა და სხვა პირნი არიან. ამის საბოლოოდ გამორკვევა მომავალის საქმეა, ეხლა კი შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ ნიკორწმინდის სიგლის მიმცემი ლევანი მართლაც სხვა პირია, მაშინ ის იქმნებოდა შვილისშვილი 1541 წ. გამეფებულის ბაგრატ მეფისა რაჭა-არგვეთის მეპატრონეთაგან (იხ. ს. კაკაბ., სჯულმდ. ბაგრ. კურაპ.).

---ორისავე ტახტისა და სახელ ---მპყრობელმან ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმა მეფეთმეფემან პატრონმან ლეონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გი[ბოძეთ] თქვენ ნიკოლწმინდელსა ბაქრაძესა ამბროსეს, მას ჟამსა ოდეს თქვენისა ერთგულობისათვის დაგვიჯენიათ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხონჭორი სრულობით და ჭელიში და

ნამარნევს მჭედლიძესი. ესენი ხელშეუალათ თქვენთვის გვიბოძებია, ასე რომე არაფერი ჩვენის კარისა გამოსავალი არ ბეგარა, ყალანი, სამსახური და სათხოვარი არაფერი არა ეთხოებოდეს რა, ისრე ხელშეუვალად თქვენთვის გვიბოძებია მათისა სამართლიანითა სახლკარითა, ჴურმარნითა, ეზოთა, გარეშემოთა ტყითა, სათევზოთა, სანადიროთა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათევზოთა, სათიბითა, საყანითა, სასაძოვრითა, ეკლესითა და სასაფლაოთა, შესავალ გამოსავლითა, საძებარ უძებარითა, მათის ყოვლის ფერის მართლის სამართლიანითა გვიბოძებია. აგრევე კისორეთს ლომთაძენი სრულობით მათით სამართლიანითა ყოვლიფერითა. წინათგანცა პაპის ჩუენისგანცა წმინდის გ˝ის მთის შეწირული ყოფილიყო, აწ ახლა ჩვენ გიბოძეთ კისორეთს ლომთაძენი მათითა მამულითა სამართლიანითა და ჩხეტიძე ლომინი მისით მამულითა დღეს რისაცა მქონებელი იყოს და აგრევე რაჭას ესტატეს გარეყანიძის შვილები მისითა მამულითა, ესენი მკვიდრად და სამამულოდ გვიბოძებია და რაც სხვა წიგნი და სიგელი ან ბატონის მამის ჩუენისაგან და ან ჩუენგან გქონდეს, არც ის მოგიშალოთ, არც დაგამცროთ და არც გაგიცეთ და არც წაგართვათ, ასრე უცილებლად გვიბოძებია. აწე ესენი გქონდეს და გიბედნიეროს ღთმან ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურშიგა ჩუენგან და ყოვლის კაცისაგან შეუცილებლად და უსარჩლელად. ამისად გაპავებისა თავსდებად მოგვიცემია თავად ღ˝თი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი, ქუეყანისანი, კორციელნი და უხორცონი. ვინცა და რამანცა ჩუენმა გვარის კაცმა ესე შეგიცვალოს, შემცაიცვლების რჯულისა ქრისტეანობისაგან და რისხავსმცა მამა ძე და სული წმიდა. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა ქ˝კნს ს სამოცდაცხრამეტსა (sic) თვესა მაისსა იე.

**1603 წ.** შეწირულობის წიგნი როსტომ მეფისა გელათის ტაძრის საბუთთაგან № 110, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით 73×15 სანტმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება სამი წერტილი. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 433.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

.... ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატუანმან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა, სომეხთა, მეფეთმეფისა შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და სამხრისა და ჩრდილოეთისა, ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა და ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა თვითმფლობით მტკიცედ მპყრობელმან ღმრთივ აღმატებულმან და ღმრთივ დამყარებულმან ძლიერმან და უძლეველმან ყოველთა მეფეთა შორის წარჩინებულმან სკიპტრა პორფირ გჳვირგჳნ შარავანდეთა შორის მბრწყინვალემან ჩვენ ღმრთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან როსტომ და დედოფალთ დედოფალმან თინათინ.... (შემოგწირეთ) სორმონს გლეხი გოგალი გოლათაძე, კანდელაკი და ქელბაქიანი გავაბრჭევით, ეს გლეხი საყდარსა და ბატონიშვილსა გენათელს დაუდევით სუმონს საუპატიოდ, ამისის თეთრის ბევრისაგან ორლი შამახური სანთელი ყოველთ დიდმარხვაშიდან ხახულისა ღმრთისმშობლის წინა აენთებოდეს კანდელზედან....... დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე გენათელ მთავარებისკოპოსისა ბატონიშვილის სუმიონისსა და ინდიკიტონსა (sic) მეფობისა ჩუენისასა ქორონიკონსა ორას ოთხმოცდათერთმეტსა თუესა აგვისტოსა.

ხვეულად: როსტომ

**1604 წ.** შეწირულობის წიგნი მეფე გიორგი III-ისა გელათის ტაძრის საბუთთაგან № 47, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით 83×26¼ სანტმ., თავი დაზიანებულია. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 434.

---...... ჩუენ ცუაფარვით შენ მიერ მინდობილმან ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შანშე და შარვანშთა მეფეთმეფემან ყოველთა მეფეთა შორის ქუეყანისათა ახოვნად სახელ განთქმულმან და კიდით კიდემდე სოფლისა მძლედ და უძლეველად და ქადაგებისათა ჩუენ ღთივ გვირგვინოსანმა მეფეთმეფემან გიორგი, თანამეცხედრემან ჩუენმა დედოფალთ დედოფალმან თამარ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, გკადრეთ და შემოგწირეთ კნინი და მცირე შესაწირავი ესე კურსებს რაც სამეფო

თეთრი გამოვიდოდეს და სამოცდათექუსმეტი კოდი ღომი ჩუენის ძმის მეფეთმეფის როსტომის სულის საოხად და ჩუენად სადგენგრძელოდ (sic) და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად, ასრე რომე ყოველს ახალკვირის შაფათსა ვინცაჲ გენათელი იყოს, ჩუენის ძმის მეფეთმეფის როსტომის სულის საოხად თავათ გენათელი მისი კრებულითა ჟამს სწირევდეს და ალაპს გარდიხდიდეს ერთის კარითა და სამ ცხურითა, მისი პურღვინითა, სანთლითა და საკმევლითა, შენდობასა ბრძანებდენ ბრალთა მისთა ალსახოცელად. ამ შეწირულის თეთრისა და ღომისაგან კანდელაკის გლეხების ღომი და თეთრი კანდელაკს მიეცემოდეს და ნუ ადვილდების, ვინგინდა ვინ კანდელაკი იყოს, კანდელაკის ნათესავი ყოველს დიდმარხვასა მეფეთმეფის როსტომის სულის საოხად..... (შემშლელი) კრულ იყოს... შვიდთა კრებათა მადლითა ღ აფხაზეთის კათალიკოზ პატრიაქთა მადლითა და ქართლისა კათალიკოზ პატრიაქთა მადლითა ღ მათთა მიმდგომთა მიტრაპოლიტთა და მთავარეფისკოპოზთა და სხვათა ეფისკოპოზთა მადლითა და ჯვარითა.... დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინდიკტიონისა მეფობისა ჩუენისასა მეფობისა ჩუენისასა (bis) მეოთხესა ქკსა ორას ოთხმოცდათორმეტსა თვესა აგვისტოსა ოცდაათსა. მე პაატას აბაშიძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, კელითა კარისა დივან მწიგნობარისა თავაქარაშვილის ასლანისათა.

ხვეულად ხელს აწერს გიორგი.

შემდეგ დროინდელი მინაწერი:

ქ: ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმან მეფემ მეფემ (sic) პატრონმა ბაგრატ მოკითხული ვქენით, დაუთრები მოგვიტანეს და როგორც ამ წიგნში ეწერა, ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია:

მორგვალო ბეჭედი წარწერით: მონა ღ̃თისა მეფე ბაგრატ

**1610 წ. ახლ.** შეწირულობის წიგნი მამია გურიელისა ბიჭვინტის ტაძრის საბუთთაგან № 33, დაწერილი ქალალდზე ზომით $45^1/_2 \times 14^1/_2$ სანტიმ. მამია მოკლულ იქმნა 1625 წ. შვილის მიერ. ამ სიგელის მიცემის დროს, როგორც ჩანს, მისი შვილები ჯერ კიდევ მცირეწლოვანები ყოფილან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ საბუთის შედგენა დაახლოვებით 1610 წ. ახლო ხანში უნდა მომხდარიყო.

ქ. შენ ცათა უვრცელესო და ქერაბინთა უზეშთაესო და თვალებისაგანცა ანგელოზთა თვალთაგან თვალთ შეუდგამო შვიდ ცათა უმაღლესო ბიჭვინტისა ღთისა მშობელო ჩუენ ცვა ფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან სიწმიდისა შენისამან გურიელმან ბატონმან მამიამან და თანამეცხედრემან ჩუენმან დიდისა და მაღლისა კელმწიფისა ათაბაგ ამისპასალარის ძემან დასულმან (sic) დედოფალმან ბატონმან თინათი (sic) და ძემან ჩუენმან პირმშომან ბატონმან მანუჩარ და სვიმონ, შვილთა და მომავალთა ჩუენთა ყოველთავე გკადრეთ და შემოგწირეთ და მოგახსენეთ შენ საშინელსა და ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთისმშობელისა სახსრად და საოხად სულისა ჩუენისა და სადღეგრძელოდ ძისა ჩუენსა (sic) აღსაზრდელად და ბატონობისა ჩუენისა წარსამართებლად და დღესა მას დიდსა განკითხვისასა ნებსით და უნებლიეთ ცოდვისა ჩემისა სახსრად და ალსახოცელად ცოდვთა ჩუენთა შვიდი კუამლი კაცი: კოპლატაძე ხახუტაი მისით მამულითა, საფლავით და ეკლესის კარითა, შესავალ გამოსავალითა; მამია ტოროზაძე მისის სახკარითა, საფლავითა, ეკლესის კარითა შესავალითა და გამოსავალითა; იმარიდო ტრაპაიძე მისის სახკარითა, საფლავითა, ეკლესიის კარით, შესავალითა და გამოსავალითა; ხახუტაი ტრაპაიძე მისის სახკარითა, საფლავითა, მამულითა, ეკლესის კარითა, მისისის (sic) ყოვლის ფერითა; ზაქარია ტრპაიძე მისის სახკარითა, მამულითა, საფლავითა შესავალითა და გამოსავალითა; მამისაი მჭედლისშვილები მისის სახკარითა, მამულითა, შესავალითა და გამოსავალითა; გელაძე მისი განაყოფი მგელაძე მისის სახკარითა, მამულითა, შესავალითა და გამოსავალითა. ესე შვიდი კვამლი კაცი ასრე შეგუიწირავს ბიჭვინტისა ღთისმშობლისათვის, ვინც კ̃ზი (sic) მისთვის მიგვიბარებია. წელიწადსშია ოროლს ჟამს სწირებდეს მისის კრებულითა, ერთს მარიობას, ერთს ხორციელს შაბათს სულთაობასა და მამულს რა რიგაცა სხვა საკათალიკოზო მამულია, ისრე კ̃ზი იხმარებდეს და იმ კაცებს არა ეთხოვებოდეს რა საკზოს გარეთ სხვის კაცისაგან სათემოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმის მეტი. აწე რამანც ძემან კაცისამან ან გურიელმან და ან კზმან ან ეფისკოპოზმან ათავადმან (sic) ან აზნაურმან ესე ჩუენი სულისათვის შეწირული ბიჭვინტისა ღთისმშობელსა მამული მოუშალოს, რისხავს ყოველნი წმიდანი ღთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი და ბიჭვინტისა ღთისმშობელი ნუ რარამცა ეშველებიs ნურცარა ამ სოფელს და ნურცარა საუკუნოსა. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღთმან. ან როდისაცა აქ მოხვიდოდე, აქ ჩემს საფლავზედა ჟამსა სწირებდე.

ხვეულად: მამია, თინათინ

**1616—1620 წ.** ნიშანისა და საწირავის წიგნი სეფედავლე ამირეჯიბისა, მიცემული მალაქია კათალიკოზისადმი. ამირეჯიბისეული მამული მოხსენებულია დიდს საკათალიკოზო დავთარში, რომელიც 1621 წ. შედგენილია (აფხ. საკათ. დიდი დავთარი, ს. კაკაბ. გამოც. 3). ამისდა მიხედვით საბუთი დაწერილია 1616—1621 წლებში. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

ქ. ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგახსენეთ ჩუენ ამირეჯიბმან სეფედავლე და ფეზბად თქუენ ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კზსა პატრონსა მალაქიას, ასრედ ამა პირსა ზედა რომე თქუენ (sic) ნიშანი და საწირავი გვემართა და იმისთვის მოგეცით ერთი ცოლქმარი კაცი, აგრევე ერთი საგლეხო პარტახტი ივან ტკბელაძისეული ჰიბრეუს მისითა ყოვლის ფერითა, ტყითა, ველითა, სახნავითა, წყლითა, წისქვილითა, სათეუზოთა, საფლავრთა, საძებრითა და უბროთა (sic), დღეს ის ალაგი რისაც მქონებელი იყოს, მისის ყოვლის ფერითა....

ბოლოში დასმულია ჯვარი.

**1628 წ.** შეწირულობის სიგელი ლევან დადიანისა, მიცემული ბიჭვინტის ტაძრისადმი, დაცულია ბიჭვინტის საბუთებში № 3, დაწერილია ლამაზი ხელით ტყავის გრაგნილზე ზომით 287 $\times 14^{3}/_{4}$ სანტიმ.. თავში დახატულია ფერადებით ღვთისმშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი იესოთი, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება სა-მი წერტილი. შავად აწყობილი დედანში წითურადაა. სიგე-გელი მოკლედ მოხსენებულია თ. ჟორდ. „ქრონიკ.“ II, 447 — 448.

ქ მეუფისა მშობელო, დაიცევ კელმწიფე დადიანი ლ́ევან და თანამეცხედრე მისი დედოფალდედოფალი ჰილაძის ასული პატრონი ნესტანდარეჯან, ამინ.

**ქ ჵი ასულო შვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, რტო განფენილო, ანნას მორჩო,** სიტკბოებით აღსავსეო, სოლომონის ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დაბადებულთა სულნელ მყოფელო, იესეს კვერთხო, დიდებით აღყვავებულო, იუდას შროშანო, ზეცად მიმართ აღამართებულო, ისაკის ვარდო, უბიწოებით განშვენებულო, აბრაჰამის კარაო, დიდებით აღმართულო, სემის დასაბამო, ნათესავთ მშვიდობაო, ნოეს სულისა სამოსელო დაულპოლველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინოვ მყოფელო და ამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო, ღთისა მამისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილად დედა ქალწულებით უთესლოდ მშობელად განწესებულო და სულისა წმიდისა ტაძარო, სამებისა წმიდისა ცნობისა მომატყუებელო, რომელმან ერთი სამებისაგანი შეიწყნარე და უაღრეს ყოველთა ბუნებათა შეუმხოლოდ შობილი ულმობელად და უხრწნელად შენ გარდმოიყვანე ქვეყანად ღ́თი და აღიყვანე და ამ ზეცად შენ აღამაღლე ბუნება ესე დაცემული შენ წმიდათა უწმიდესო, შვიდთა ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო და ყოველთა ქრისტეანეთა სასოვო და შესავედრებელო კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინტიისა (sic) ღმრთისმშობელო, ჩვენ თიხა შეზელილმან და ტვირთმძიმემან და ცოდვითა შებლალულმან და ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან და მოსავმან სიწმიდისა თქვენისამან და სასოებით მოსურნემან და მომლოდნემან სამსახურისა თქვენისამან ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ და აღვასრულეთ საღმრთო მსახურება ესე **ჩუენ კელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატრონმან ნესტანდარეჯან** და შვილთა და მომავალ-

ეროვნული

თა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე გკადრეთ, მოგახსენეთ და [illegible] წირეთ კნინი და მცირე ესე შესაწირავი პატრონობისა ჩვენისა წარსამართებლად და გასამარჯვებელად და ძეთა ჩვენთა გაწარმართებისათვის და დღესა მას დიდსა განკითხვისასა ნებსით და უნებლიათა ცოდვათა ჩვენთათვის სახსრად და აღსახოცელად და აღსასუბუქებლად, ოდეს მოვიდეს უფალი ჩვენი და დაჯდეს საყდართა ზედა განკითხვად, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, მაშინ თავსმდებ, მეოხ, მფარველ და შემწე მეყავ წინაშე ძისა შენისა და ქრისტეს ღ˝თისა ჩვენისა **შემოგვიწირავს** ლავლიძგას (sic) ძველი ჩვენი სასახლე მისის კარის ეკლესითა მოსახლე კაცი ერთი პარასქია ალესანდრია და მისი კაცი, მეორე მოსახლე ხახუტაი კომა (sic) რეკას (ეს სიტყვა ჩასატებულია), მესამე მოსახლე თილითს ელიჯარი ჩანგელია, მეოთხე მოსახლე თ (sic) კამულეთს გურმიხილი კუბეცია, მეხუთე მოსახლე გურმიხილი ესებია მარცხეულს თხალარი, მექვსე მოსახლე თხალარი გაიდრითი გაბრაა, მეშვიდე მოსახლე ზეგანს მუთაგილუნ ხუბილავა, მერვე მოსახლე სიქანდარა გოგუა მებოსტნე არის, მეცხრე მოსახლე სქვამიშია ნადარაია, მეათე მოსახლე ილორს გამიძულა წაწულუა, მეთერთმეთე მოსახლე ანაკლიას კოჩილაი ჩოდია, მეთორმეტე მოსახლე კიდევ ანაკლიას ფაცულაი წაწულუა.

**მართებს** პარასკა ალესანდრიას და ხახუტაი კოზმას ერთი ზროხა, ორსავ სწორად სამ სამი გუდა ღვინო, ოროლი ქილა ღომი, ერთი ქათამი, ერთი თევში პური.

**მართებს** ელიჯარი ჩანგელიას და მისსა სახლის კაცსა გურმიხილი კუბეციას და მისსა სახლის კაცსა ერთი ზროხა სწორად, სამსამი გუდა ღვინო, ოროლი ქილა ღომი, ერთი თევში პური, ერთი ქათამი. აწე ამა ოთხმან მოსახლემან კაცმან ორი ზროხა, მისი ღომი და ღვინო, პური და ქათამი ერთს წელიწადს მიიტანონ სალაპოდ.

**მართებს** გურმიხილი ესებიას ერთი ზროხა, სამი გუდა ღვინო, ორი ქილა ღომი, ერთი ქათამი, ერთი თევში პური.

**მართებს** გაიდურთი გაბრავას და მისსა სახლის კაცსა ერთი ზროხა, ერთი მახათელი ღომი, სამი გუდა ღვინო, ერთი ქათამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თევში პური. მეორეს წელიწადსა ამა ორმან მოსახლემან მოიტანოს ესე მისი ბეგარა საღაპოდ.

**მართებს** მუთაგილუნ ხუბილავას ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ორი ქილა ღომი, ერთი ქათამი.

**მართებს** ძვიბი ხუბილავას და მისსა სახლის კაცსა ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ერთი მახათელი ღომი, ერთი ქათამი.

**მართებს** სქვამიშია ნადარაიას და მისი სახლის კაცსა ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ერთი მახათელი ღომი, ერთი ქათამი.

**მართებს** სიქანდარას გოგუას მებოსტნეს გოჭკომურის საკლავისა, ღომისა და ღვინის მაგიერად ორი საპერანგო ტილო მოიტანოს სანთლის გულად საღაპოდ.

**მართებს** გამიძულა წაწულუას გოჭკუმურის საკლავისა და ღომისა და ღვინის მაგიერად ექვსი ლადარიკონი სანთელი, აღაპშიდ მოიტანოს.

**მართებს** კოჩილა ჩოდიას და ფაცული წაწულუას და ამათ სახლის კაცსა გოჭკუმურის საკლავისა, ღომისა და ღვინის მაგიერად ცალკე ცალკე თითოს მთელსა თევზსა მოიტანდეს აღაპშიდა.

**აწე ამა ცამეტმან** მოსახლემან კაცმან ამათი ბეგარა როგორაცა დაგვიწერია, ისრე ყოველსა წელიწადსა ყოვლად წმიდის მიცვალებისა მარიამობასა დღესა ლალიძგას სასახლეში მოიტანდენ და გლახაკსა მშიერსა და ვინც მოვიდეს აჭმევდენ და ორმან მღდელმან და ერთმან მთავარმან სასახლის ეკლესიაში ჟამი სწიროს. ხუთი მახათელი მარილი საღაპოდ რომ გაგვიჩენია, იმისგან იმ სამს მწირველს ხუცებსა ერთი ქილა მარილი ზოხისა (sic) და ცხვრისა თავი და გულ ღვიძლი და მკერდი საწირავად მისცენ. ზროხისა და ცხვრისა ტყავებსა და ფერკებსა მომყვანელსა მისცემდენ. ვინცა ამ აღაპისა გამრიგე და ჩენილი ბატონისაგან იდგეს, იმ კაცებმან, ვისაც ბატონის მარილი ებაროს, აღაპისა დროსა გამოართვას და როგორაცა ერსა ხუდებოდეს, იმ რიგად გასცეს ის ოთხი მახათელი და ერთი ქილა მარილი.

**ამა ცამეტმან** მოსახლემან კაცმან ექვსმან მეზროხემან კათალიკოზსა კარგსა ძღვენსა მოართმიდეს, ვითაცა ზოხა მართებს (sic) სა-

ლაპოდ ამისთვის ბეგარა არ გაგვიჩენია და შვიდმან მოსახლემან თითო საკლავი, იმის ლომი და ღვინო ბეგრად მოართვას ბატონს კზსა.

**სხვა ამას გარეთ კიდევ ამასთანავე შეგვიწირავს სასახლე წყალიძგა** ორი მოსახლე სალაყაია თეკლათს, **მესამე და** მეოთხე ფოთს მეთევზედ ძალიმაფუ თორდია და სურთამა გვიჩია, **მეხუთე** მოსახლე ჭალადიდს მეთევზე მახარობელი ლომაია, **მექვსე** (sic) მოსახლე წყალიძგას პიპილეი მელია, **მეშვიდე** მოსახლე ხუხუნია მელია, **მერვე** მოსახლე ინალუხუ შვაინქირია, **მეცხრე** მოსახლე მახარებელი გეროზია, **მეათე** მოსახლე ხუხუნია გვარამიშილი, **მეთერთმეტე** მოსახლე პატუაი ზერაგია, **მეთორმეტე** მოსახლე ნასყიდაი ზერაგია, **მეცამეტე** მოსახლე ბიბიაი სხვიტარია, **მეთოთხმეტე** მოსახლე შაქარი სხვიტარია, **მეთხუთმეტე** მოსახლე ივანე თეფანია, **მეთექვსმეტე** მოსახლე გვანიში ივანეიშვილი, **მეჩვიდმეტე** მოსახლე ელიჯარი ივანეიშვილი, **მეთვრამეტე** მოსახლე კაკალეი წულაია, **მეცხრამეტე** მოსახლე საგაგულიოს კაკაშია ჯინჯუა, **ოცი გულერის** კარს მიხილია ელიავა მეთევზე, **ოცდაერთი** მოსახლე ეკალს ივანე კოტირიძე მეთევზე, **ოცდაორი** მოსახლე საქუჩულორიოს გუმიხილაი კვირკვაია, **კიდევე** საქუჩოლორიოს გაბუნია, **კიდევე** წყალიძგას **ოცდაოთხი** მოსახლე დოსქუდაი ჩიგორავა, **ოცდახუთი** მოსახლე სოხერდია ზარაგია, **ოცდაექვსი** მოსახლე მიხილია ბადია, **ოცდაშვიდი** მოსახლე მზანათს დათვიაი პაპაჭკორია. **ჯუმლად** ესე ორმოცი კომლი კაცი დაგვიც და შემოგვიწირავს მათითა სახლკარითა, ჭურმარნითა, მიწა მამულითა, ეკლესითა და სასაფლაოთა, ტყითა; წყლითა, მათითა სამართლიანის საქმითა ყოვლის ფერითა, მას ჟამსა ოდეს შემოგვემთხვია უმზგავსო ცოდვა და მობრძანდით კათალიკოზი გურიელისძე ბატონი მალაქია ალგიარეთ ალსარება ჩუენი და დაიდევით ყოველსა წელიწადსა ორი წირვა, ერთი ყოვლად წმიდის მიცვალებს დღეს მარიამობას დღესა და მეორე ქრისტიშობის მარხვასა იანაშობასა დღესა თქვენ და თქვენმან კრებულმან ჟამი სწიროს და სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის დადიანისა პატრონისა ლევანისათვის და თანამეცხედრისა ჩვენისა დედოფლისა პატრონის ნესტანდარეჯანისათვის

**შემოგწირეთ** შენ საშინელო დედაო ქალწულო მსწრაფლ შემწეო და მეოხო ბიჭვინტისა ღთისმშობელო, შეიწირე ჩუენგან შემოწირული ესე მცირედი აგარაკი და კაცნი მტილითურთ, ვითარცა აბელის ძღვენი, ვითარცა ნოეს მსხვერპლი, ვითარცა აბრამის საკვერთხნი, ვითარცა სამოველის დასამშვიდებელი, ვითარცა მოსეს მიერ შეწირული საკმეველი, ვითარცა აროնის მსახურება და იეფთაესი იგი აღთქმული მსხვერპლი, ეგრეთ გკადრეთ გულით მდაბლითა და სულითა შემუსვილითა. შემოგწირეთ და გკადრეთ უნდო და კნინი ესე ძღვენი და შესაწირავი სოფელი და აგარაკი ესე. ნაცულად გვაგე, ოდეს მოვიდეს ძე შენი და ღ̃თი ჩვენი განსჯად ყოველთა ტომთა და ნუ ცოდვათა ჩუენთაებრ მომაგებ ჩვენ, არამედ გვასმინე ხმა იგი ტკბილი ძისა შენისა და ღთისა ჩუენისა, რამეთუ ჭეშმარიტად შენ ხარ დამხსნელი ჩუენი და შუამდგომელი და განმანათლებელი სულთა და ხორცთა ჩუენთა და შეიწერე (sic) ესე ჩვენგან შემოწირული კვამლი კაცი ორმოცი. აწე ორი მოსახლე ფოთური, ერთი მოსახლე ქალადიდური, თოთხმეტი მოსახლე წყალიძგას. ამათგან ათის მოსახლისა კაცისა გოჭკომური მართებული სადაბოდ გაგვიჩენია და ამათ ბეგარა მართებულსა კზი კმარობდეს, გოჭკომური თითო ღორი მართებს და იმ თითოს საკლავის ფასი თევზი გაგვიჩენია. ამათგან ათმან მოსახლემან, რომელიცა იყოს თითო საკლავისა ფასი თევზი მაზიდადა (sic), კაპარჭინა კდონა, ათი ქილა ღომი, თორმეტი ჩაბი ღვინო მოიტანოს და ბატონისა ჩენილმა კაცებმან და ბატონის დადიანისა და კათალიკოზის წყალიძგულმა მოხებმან (sic) ამა თევზითა, ღომითა და ღვინითა იანაშობასა დღესა ალაპსა გარდაგუხდიდენ წყალიძგას კათალიკოზის სასახლეში. ამ ალაპში გასაცემლად გაგვიჩენია ათი მახათელი მარილი, ხუთსა მღდელსა და ერთსა მთავარსა იანაშობასა დღესა ჟამი აწირვინონ დადიანისა პატრონის ლევანის სადღეგრძელოდ (ეს სიტყვა წაშლილია) და დედოფლისა ბატონისა ნესტანდარეჯანის სულისათვის და ხუცებსა საწირავად თითო ქილა მარილი მისცენ და სხვა ერსა გაუყონ. გვანიში ჩანჩავასათვის ამ ალაპში გასაცემლად სანთელი დაგუიც გოჭკომურის საკლავისა ღომისა და ღვინის მაგიერად, ხუთი ლალარიკონი სანთელი და სამი საპერანგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილო გუანიში ჩანჩავამ მოიტანოს სალაპოდ და ბატონის დადიანის ჩენილმა და მოხელეებმან სანთლად ჩამოქნას და ალაპშიდან გასცენ. ამ გუიანიში ჩანჩავას სხვა ხატის ამის მეტი არა მართებს რა, ბატონისა არის. ამ ალაპის მჩენილმა და გამრიგე კაცმან სალაპო მარილი ბატონის დადიანის ფოთურს მებაჟენსა (sic) გამოართვემდეს.

**აწე თვინიერ ამისგან** კიდე ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან მეფემან და დედოფალმა, ანუ დადიანმან, ანუ კათალიკოზმან, ანუ ებისკოპოზმან და წინამძღვარმან, ანუ დიდებულმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან ანუ რჯულისა გარდადამავალმან სარკინოზმან და სპარსმან, გინა თუ მწვალებელმან, ანუ თუ სხვათა რჯულისა მაცილებელთაგან ჯვარისა და ხატთა ბრძოლთა არა თაყვანის მცემელთაგანმან, ანუ თუ მშობელთა ქრისტიანეთაგანმან თავით თვისით უარის მყოფელთაგან, ანუ თუ მეფეთა მიერ ტყვე ქმნილმან და უნებლიეთ დაცემულმან ვინმე ამა ჩვენგან მტკიცედ და შეუკვალებელად შეწირულისა ამის აგარაკისა და წიგნისა კელყოს შლად, ქცევად და შეცვალებად, **ღთო ჩვენო**, ყვენ იგინი ვითარცა ურმისა თვალი და ლერწამი პირსა ქარისასა და ბრძანებითა საუფლოთ ცოცხლივ შთავედინ ჯოჯოხეთად და და (sic) იყავნ სავანე და საყოფი მათი ცეცხლი დაუშრეტელი და მატლი დაუძინებელი და ყოველი განგებული მისი შემცვალენნი ბოროტად და ბოროტისა წილ შერისხდი შენ, ღთო, ყოვლად ყოვლად ძლიერო სამებაო ერთარსებაო და კვალად რომლისა არს ქარტა და სიგელი ესე, შენ შერისხდი ზეშთა ყოველთა უალმატებულესო დედაო ყოველთა შემოქმედისა და მხსნელისა ღთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ, იძიე შური მისგან და აღმოფხვარ თესლითი თესლამდე ძირი და ნაყოფი მისი. კრულმცა არს ბრძანებითა მით ხმითა საუფლოთა ცათა შინა ზე და ქვეყანათა ზედა ქვეხული (sic) და კორცი მისი, მკუდარი და ცოცხალი მისი, საფასე და საუნჯე, სარეცელი და ცხედარი მისი, სავარძელი და სახსენებელი მისი, სმა და ჭამა მისი, აღდგომა და დაჯდომა მისი, სამოსელი დასაბურველი მისი, სიტყვა დასათქმელი მისი, თქმული და გაგებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მისი, სიცილი და სიხარული მისი, სამარე და სუდარი მისი, ფიცარი და მიწა მისი, საგრაგნელი და სამურველი მისი, აღსანთებელი და სასაკმევლე მისი, მახსენებელი და შემწირველი მისი, აღმომკვეთელი და შთამსვენებელი მისი და ნაშთომი მისი და ნუმცა გამოიღებს ონატი ვენახი და ხილი ნაყოფისა მის კაცისათვის არა განზარდოდეს ქვეყანამან და მწვანესათა ველისათა ყოველივე ოთხფერკი მისი, არა მოსცეს ცამან ცვარი და ერმან დამშვიდება მისი კაცისათვის, ყოველიმცა განგებული მისი მოიშლების, კრულმცა არს ოთხთა პატრიაქთაგან, მათთა მიტრაპოლიტთაგან, ებისკოპოზთაგან და ქორებისკოპოზთა და შვიდთა მათ კრებათაგან. ვინცა ესე ჩუენგან შეწირული და გაჩენილი აღაპი მოგიშალოს, შემცაედების ძრწოლა კეენისა, შვიდგზის შურისძიება ბილწისა ლამექისი, კეთარი (sic) გეზისი, ცოცხლივ დათქმა ფარაოსა დათან და აბირონისი, დაწვა ოფნი და ფინეზისი, მატლთა მიერ ცოცხლივ შეჭმა ეროდესი, მეხის დატეხა დიოსკორესი, მყიისა შინა ხულთ (sic) წარხდომა ანანია და საპფირისი, ერთ გზის შეწირულისა აგარაკისა თვისა რისტორ (sic) ოროგინე, ევტუქი, დიოსკორე, ტიმოთე, გაიანოს, ივლიანე, იაკობ, პეტროს მკაწრვალი, პავლე სამოსტაელი და თორმეტთა ამათ ქართა მწვალებელთა თანამც არს ნაწილი და სამუიდრებელი (sic) მისი. **ხოლო აწ ესე** ჩვენგან გაჩენილი აღაპი ერთი ქვემოდ ღავლიძგას კ̃ზის სასახლეში, მეორე ზემოდ კიდევ კზის სასახლეში წყალიძგას ვინცა ესე აღაპი თუ კვირესა დღესა მოშალოს, რისხავს თავად ღმერთი მამა ძე და სული წმიდა. თუ ვინმე ორშაფათსა მოშალოს, მასამც გაურისხდების მიქაელ და გაბრიელ მთავარ ანგელოზი. თუ ვინმე სამშაბათსა მოშალოს, შენ გაურისხდი შენ სანატრელო ყოველთა დედათა ნაშობთა უზეშთაესო იოვანე ნათლისცემელო. თუ ვინმე ოთხშაბათსა მოშილოს, შენ გაურისხდი შვიდთა ცათა უმაღლესო ქერაბინთა უზეშთაესო ყოველთა ქრისტიანეთა სასოო და შესავედრებელო დედაო ღთისაო ყოვლად წმიდაო ბიქვინტისა ღმრთის მშობელო. თუ ვინმე ხუთშაბათსა მოშალოს, შენ შერისხდი წმიდანო ათორმეტო მოციქულნო. თუ ვინმე პარასკევსა მოშალოს, შენ გაურისხდი ჯვარო პატიოსა-

ნო და ჯვარცმაო ქრისტესო. თუ ვინმე შაბათსა მოშალოს, რისხავს სული წმიდა და ყოველთა წმიდათა სული. ხოლო დამამტკიცებელმა ამა წიგნისა სიგლისაგან ესე ვითარისა წყევისაგან განარინნე სული მისი და ძისა შენი და თესლტომი მისი და არა შეხოს მას ბორო-ტი, არცა განიპყრნეს კელნი თუისნი უსჯულოებად და არა შესცვა-ლოს შეწირული და წიგნი ესე დამტკიცენე (sic) ღ̃თნ ყოველთა და-მატკიცებელთამან სულითა აბრამიანითა, სულით მოსეანითა, სულითა ყოვლად წმიდითა ნუგეშინის მცემელითა. დაიწერა წიგნი და სიგე-ლი ესე, ბრძანება და ნიშანი ესე შემოწირულობისა კელითა ბატო-ნის დადიანის კარისა მდივნისა ხახუს ჩარგაზიძისითა ქრონიკონისა სამას და თექვსმეტსა.

შემდეგ ტექსტის ხელითვე:

არის კათალიკოზის წესი ხომალდის ბაჟი ბიჭვინტისა ღთისმ-შობლის შეწირული ჩუენგან ერთი მშვილდი, ათი სურმა, ათი სამოგვე, ათი, ერთი ორპირი ქუნთი, ერთი ჩექმა, ათი მახათელი მარილი და ათი მთელი თევზი.

ხვეულად: ლევან

**1629 წ.** ლომკაც ჭილაძის შეწირულობის წიგნი ბიჭვინტის საბუთთაგან № 26, თეთრს ქაღალდზე ზომით $42^{1}/_{4}$ $15^{1}/_{4}$ სანტიმ. ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ 2 წერტილია. საბუთი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 448.

ქ:. შენ შვილ ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო ბიჭვინტისა ღთისმშობელო, ჩუენ ცვაფარვათა თქვენთა მიერ მონდობილმან და მოსავმან სიწმიდისა შენისამან ტვირთ მძიმემან და ცოდვათა შებღალულმან ჩუენ ჭილაძემან ბატონმან ლომკაცი და თანამეცხედრემან ჩუენმან ჩხეტიძის ქალმან ბატონმან ასტანდარ მოგახსენეთ და შემოგწირეთ და დავდევით საკანონოდ ეკს ორი კუამლი კაცი ხელშეუალად იოვანე გუნია, მეორე მოსახლე თვათვალეე გუნია მათის ცოლშვილითა ძმებითა და ძმისწულებითა, მათითა სახლკარითა, ჭურმარნითა, ეკლესის კარითა, ტყითა, ვე-ლითა, შესავალითა და გამოსავალითა, საძებრითა და უძებრითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისაცა მქონებელნი იყუვნეს და ან ყოფილიყოს, მისით სამართლიანით ყოვლის ფერითა. მას ჟამსა ოდეს შეგვემთხუა უმსგავსო ცოდვა და მობრძანდა ბატონი კ̃ზი გურიელის ძე ბატონი მალაქია, ეს ორი კვალი კაცი გუნიები დაუდევით და სხუა მრავალი საქონელი მივართვით და მოგვიხსენებია და შემოგვიწირავს ეს ორი კუამლი კაცი ჩუენთა ამ სოფელსა დღეთა სიგრძისათვის და გაწაღმართიანებისათვის და მას საუკუნესა საოხად და სახსრად და აღსახოცელად ცოდვათა ჩუენთათვის. ვინცა და რამანცა კაცმან ანუ დიდმან ანუ მცირემან ან ჩემმან გვარის კაცმან ამის დაშლად ხელყოს ან ეს ჩუენი შეწირული კაცები ბიჭვინტისა ღ̃თისმშობელსა გამოახუას, რისხავსმცა ღ̃თი და ყოველნი მისნი წმიდანი და საშინელი ბიჭვინტისა ღ̃თისმშობელი, ნუ რათამცა სინანულით ნუ იხსნების სული მისი და ჩუენისამც ცოდვისათვის ის განიკითხვის დღესა მას განკითხვისასა. წყეულ და შეჩვენებულ იყოს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და დამატკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღ̃თნ ა̃ნ. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორანიკონსა სამას და ჩვიდმეტსა.

ბოლოს დასმულია ორი ჯვარი.

**1630 წ.** შეწირულობის სიგელი გიორგი III იმერთა მეფისა, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 108, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $44^2/_3 \times 27^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

ქ: ჩვენ ღვათივა (sic) გვირგვინოსანმნ და ღვათივა დამყარებულმან პანკრატიონმან მეფეთ მეფემან გიორგიმ და პირმშომან ძემან ჩემმან ალექსანდერემ (sic), როსტომ და მამუკამ ესე აუარებელი მტკიცედ შეუცვალებელი და საბოლოოთ გასათავებელი სიგელი დავაწერინეთ, გკადრეთ და მოგახსენეთ მცირე ესე შესაწირავი ჩვენს ეკავადერს და სასაფლავოს ყოვალის მყორობელს (sic) მაცხოვარს პირსა ღვთისასა და მას შინა დადგინებულს წინამძღვარსა ზაქარიას შემოგწირეთ და მოგახსენეთ ლეყ̃ერეთს ქელბაქიანისსეული ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი შალიკიანები ლომინაი, ივანაი და გოჩიაი... ყოველს წელიწადს (ბეგრის მაგიერ) დიდს ხუჩაბათს თვითოს კელაპტარს ჩვენს საფალავაზე დაანთებდნენ მისი წინამძღვარი ჩვენს ეკავადერში ჩვენი სულისათვის... (არც ბეგარა, არც სხვა სამსახური) ... ქორონიკონსა სამას და ათვარამეტსა კარის მდივნის ჩვენის თავაქარისშვილის პაატასითა.

ხვეულად: „მეფე გიორგი“

მე გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ ამ შეწირულობის დავთარს.... (ეს XVIII საუკ. ხელით).

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი.

**1616—1639 წ.** ნუსხა კათალიკოზის მალაქია გურიელისძის შეწირულობისა, ბიჭვინტის საბუთებში დაცული № 80, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 44×15 სანტიმ ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

ქ შემიწირავს ჩუენ აფხაზეთის კზსა გურიელის ძესა ბატონსა მალაქიას ბიჭვინტისა ღმრთის მშობლისათვის თავს ერთი მურასა ყელსაკიდი ხატი, ერთი მურასა ბარტყულა, ერთი მურასა სარმუზა, ერთი მურასა ტახტი, ერთი დიდი ნალბაქი ოქროსა ოთხასის ფლურისა, ერთი მძიმედ მოჭედილი კონდაკი, ერთი მძიმედ ჩარყაფად შეკერული სტიხარი, ერთი კარგი ვეცხლის ჯვარსანთელი, ერთი მომარგალიტული მაზარა ოთხის მურასას ღილითა, ერთი ოთხთავი, ერთი ძილისპირი, ერთი აბრეშუმის ომფორის ხალიჩა, [შ]ეკერული საბეჭური მისის მურასას ჯვარითა, ერთი სტიხარი ნახლისა სამკლავები მძიმედ მოთვალმომარგალიტული თორმეტის მუშაბახის ღილებითა, ერთი მძიმედ შეკერული ოლარი, სამი მურასას ღილებითა, ერთი მურასათ ნაქნარი ამბრის ქამარა თერთმეტის ბალთებითა, ერთი მძიმედ შეკერული ჩარყაფათ ნაქნარი ენქერი მძიმედ მოთვალმომარგალიტული რვა ოქროს გრგოლითა, შვიდის მომარტალიტულის (sic) გოძგაროთა (sic), რვის თარნიშანის ღილითა,

ერთი დასაკიდებელის ბროლის ღილითა, ერთი ნაახლის ბისონი მოთვალმომარგალიტული, რვა მურასას ღილებითა, სამის ბროლის ღილითა, ერთი ოქროს ომფორი მძიმედ ს-რმით შეკერული მძიმედ მოთვალმომარგალიტული სამი ოქროს ღილითა მურასათ ნაქნარი მუშაბახისა მისის ნაქსოის ბახჩითა მისის დახატულის სკივრითა გარ ჯიბლიგრის (sic) ბუდითა და კლიტითა. არის მეორე ჯვარიანის ომფორის იარაღი, ერთი მომარგალიტული ატლასის საბეჭური მისის რუსულის ჯვარითა, ერთი ნახლის სტიხარი, აშია ჩარყაფისა აქვს, ერთი სტავრის ოლარი, ერთი ოქროს დიდის ბალთითა მურასათ ნაქნარი თხუთმეტის ოქროს ღილითა, ერთი შავის ხავედზედან ნაქნარი მძიმედ მომარგალიტული ქამარი, აბზინდი და წვერი მურასა არის, ერთი მძიმედ ს·ირმით შეკერული მოთვალმომარგალიტული სამკლავე ექვსის ვეცხლის ღილებითა, ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ენქერი ოთხის ვერცხლის გრგოლითა, ერთი ბისონი სტავრისა მომარგალიტული თვრამეტის ოქროს მუშაბახის ამბრიანის ღილებითა, ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ომფორი, ორმოცდაექვსი ყირმიზი იაგუნდი და ნიშაური ფეროზა არის ზედა და სხვა მრავალი თვალითა და მა[რგალიტითა], ოთხი მურასას ჯვარი აკერია ზედან, ორი ოქროს ღილი მურასა მუშაბახისა და ერთი საია მისის ნაქსოისა სახვევითა, მისის დახატულის სკივრითა და კლიტითა და გარე ჯიბლიგრის ბუდითა:.

**1616—1639 წ.** შეწირულების წიგნი მამუკა ჰილაძისა, ბიჭვინტის საკათალიკოზო ტაძრის საბუთთაგან № 60, დაწერილი ქაღალდზე ზომით $12^1/_2 \times 15^1/_2$ სანტ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია. კათალიკოზი მალაქია, აქ მოხსენებული, იჯდა 1616—1639 წ.

ქ სახელითა ღთისათა მამისათა და ძისათა [ესე] წიგნი დაგიწერეთ და მოგახსენეთ ჩვენ ჰილ[ა]ძემ მამუკამ და ჩემან შვილმან ბაკამ თქვენ საშინელსა მინჭვიტისა (sic) ღთისმშობელსა და თქვენ აფხაზეთის კათალიკოზს ბატონს მალაქას (sic), ასრე და ამა პირსა ზედა სა-

კანონო საქმე შემოგვარდა, მობრძანდით თქვენ და ბატონი ჭყონდიდელი და შუა ჩამოვიყვანეთ ჭყონდიდელი და მოგეცით ეწერშიდ ერთი გლეხი ნასხიდაი კალანდაძე და ჭანგას უმცროსაი რუხვაძე. თუ მოგახსენოთ უმცროსაის სახსარი, რარიგაცა გული შეგიჯერდეს, გვიბოძეთ, თვარა ღეთმნ (sic) ორივ გიბედნიეროს. ამისად გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღეთი და მიქვინტისა (sic) ღთისმშობელი.

**1628—1639 წ.** ლევან დადიანის განჩინების წიგნი, მიცემული ხონის ტაძრისადმი. ამ წიგნის ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ პირმა, რომელიც შენახულია ხუცურად 1803 წ. ოსე გაბაონის მიერ გადაწერილ ხონის გუჯრების კრებულში. ნიშნები არა აქვს, გარდა სამი წერტილისა ორს ადგილას, რომელიც დაცულია.

ეჰა შენ უზადოჲსა ნათლისა ზესთ ტრფიალო მკნეო შს მოწამეთა უძლეველო გ̃ი გნმშუჱნებელო ხონისაო, ვედრებელთა შნთა მსწრაფლ თხოვსა მიმფენო და არა წ̃თა სლთა მდევნელო, მფთა წინა მბრძოლო, ღუაწლით შემოსილო, დიდო მოწამეთა თხემო, ჩ̃ნ მსასოებელმნ თქუჱნმნ და მონდობილმნ ფარუა მცუჱლობათა თქუჱნთამნ დადიანმნ ლევან და თანამეცხედრემნ ჩნმნ დედოფალმნ ნესტარ დარეჯან, მს ჟ̃ა ოდეს აღსდგეს ვინმე შვდგზის პ̃ლ წყეულნი და უ̃კე წყევადნი მტერნი წ̃თა ხატთანი და შეურაცხის მყოფელნი პატიოსანთა ეკკლესიათანი გაბუნიები მივდეს და მრავალი უპატიოება ჰკადრეს პატიოსანთა ხატთა, შემუსუა (sic) სამღრთოთა იარაღთა ოშფორისა და საიდუმლოთა სამკაულთა გამოხუჱბა და არაწმინდება ქმნეს, ვ̃ა იტყჳს მეფსალმუნე დ̃თ: ღ̃ო შევდეს წარმართნი სამ(კ)ვდრებელსა შნსა და შეაგინეს ტაძარი წ̃ჲ შ̃ნი. აწე გნუჩინეთ მ̃თ ულთოთა სასჯელი, ვ̃ა ბრძანებს წ̃ჲ სჯულის კანონი. ბრძანებითა საჭეთმპყრობელისა თქუჱნისა კათოლიკოსის მალაქიასითა, რ̃ა არღარავინ იკადროს ეკლესიისა ამის ქრისტიანეთა შს ესე ვ̃რი უწესო და უმსგავსო. ხ̃ უკეთუ ვინმე იკადროს ეკლესიისა

ამის უპატიოება, შეიწირუენოს (sic) იგი, ვ˝ა სჳმონ მოგუ[illegible] მოციქულისაგან, წყეულ, კრულ და შეჩუენებულ ქეს დაუსაბამოს ღთისა˝გნ, ათორმეტთა წ˝თა მოციქულთაგნ, შჳდთა კრებათაგან და ყთა წთა მოციქულთაგნ, ნათესავითი ნათესავადმდე ამინ:. აწ დაუდევთ საუპატიოდ რისაც მქონებელი იმ ხატის კელად შემდები კ˝ცი ყოფილიყო და დამნაშავე კაცია გაბუნია, მამა გაბუნია და ჯაშუშია გაბუნია დასარჩობად; მისი სახლის კაცი ბახუელა გარჯღუელა, მესამე სხუა მომირთმევია მოსახლე კაცი თოლიორქო პაპავა, მეოთხე მოსახლე გოჩია მათითა ყოვლის ფერითა, უკლებლად რისაც მქონებელნი იყუნენ; ხახუს შვილის კცი მწყაზარია გაბუნია სარჩობად და სხჳ რისაც მქონებელი იყოს სახლკარიანად მისის ყოვლისფერითა უკლებლად და საუპატიოდ; კიდევ მოსახლე კაცი ჯატუეი ფანცულეია მისის ყოვლის ფერით უკლებლად სახლობით; გამსახურდიას კ˝ცი ნასყიდაი ნოდია დასარჩობად; ექუსი მოსახლე კ˝ცი ხონს დასასახლებელად მოგჳხსენებია. გამომწირველისა მისისა ნაწილი და სამკჳდრებელი დეოკლიტიანეს თ˝ა იქმნების და ვინც ეს გამოსწიროს, აქასა ამს მცირესა სოფელსა მწუხარებასა, ურვასა, ტირილსა, ტყებასა და გოდებასა და აღმოწყუედითცა აღმოიფხურას ყოვლით სამკჳდრებელით მისითურთ და მუნ საუკუნოდ ქ˝ეს ჯ˝ისმცემელთა თანამც დაისჯების, ხ˝ დამამტკიცებელნი ამისნი ღ˝ნ აკურთხნეს ცათა შ˝ა და ქუეყანასა ზ˝ა, ან, ან, ან. არიან ამისნი მოწამე თავად ღ˝ი და კაცთაგნ თავად პატრონი ჭყონდიდელი, მეფის ბოქოულთუხუცესი კაცია, ჩხეიძე სჳმონ, ჩ˝ნი ბოქოულთუხუცესი ჯავახ ჭილაძე, შედან ჩხეიძე, წულუკიძე პაატა, მეფის მდივანი მამუკა და სხვანი კარის ჩ˝ნისა გამგენი უსესთაესნი და უქუენაესნი:.

**1620—1640 წ.** დაახლოვებით ამ წლის ახლო ხანებში, ხელის მიხედვით, უნდა იყოს მიცემული შეწირულობის წიგნი იოსებ წულუკიძისა, ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 5, თეთრს ქაღალდზე. საბუთი დაზიანებულია და ბოლოც აკლია. თავში ხელოვნურად დახატულია წმ. ნიკოლოზ.

ეროვნული

(გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ).... მოსავი და მადიდებელი შენი, იოსებ წულუკიძე, რომელმან მცირედი ესე შესაწირავი ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, კურთხეულის მამის ჩემის გ˝ის წულუკიძის შესანდობელად დავდევით ალაპი სხუას ჯმუხაძეს თადუას, მის ძმას, მათთა შვილთა და მომავალთა სამისდღეშიოდ მოუშლელად ყოველს კორციელის შაბათს· სულთაობას უნდა მოიტანოს ერთი კაი ცხუარი, სამი კასრი ღვინო, ორი სვერული დამცხუარი პური, ნახევარი ჩარექი სამთელი. სამთელი ხატს მიართუან, კანდელაკმან ჟამი უნდა უწიროს გ˝ის წულუკიძეს შესანდობელად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და სულისა საოხად. სასმელსაჭმელი სულ სწორად მოიღონ ხევზედ· აწე ყოველს სულთაობას გარდაიხდებოდეს, როგორაც ამ წიგნშიდ სწერია და ან გაჩენილი არის და შევვიწირავს წმიდის ნიკოლოზისათვის ალაპი გ˝ის წულუკიძის და მისის შვილის იოსების შესანდობელად და წარსამართებელად ამ ალაპისათვის აქუს ხოხუა ჯმუხაძეს და მის სახლისკაცს ერთი პარტახი ბ[აჟ]უელს უთმლ[?]--ის ვენახიან საყანიანათ, საძებრიან უძებრიანათ, მისის ყოვლისფერითა, სამი კასრი ღვინო, ნახევარი ჩარექი სამთელი, ერთი კაი ცხუარი პარტახისათვის დაგვც, ერთი სახარჯო პური ბეგარა შეუალნეთ (sic) და ის უნდა გამოიღოს....(წყევა)---

**1650 წ. ახლ.** ნუსხა საკათალიკოზო დაკლებულ გლეხებისა, რომელიც ხელის მიხედვით შედგენილი უნდა იყოს 1650 წლ. ახლო ხანში. დაწერილია თეთრს ქაღალდზე, თავი და ბოლო აკლია და რაც დარჩენილია მისი ზომა არის $17^3/_4 \times 22$ სანტმ. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილი. დაცულია გელათის წმ. გიორგის ტაძრის საბუთებში.

---ებისა პარტახტები გეენათის. [მან]დიკორს ჩუჩხუნაძისა და კახიძისა პარტახტები გვაკლია.

ჯონიას ო[თხი] გლეხი, ერთი ლეთუთაძე, მეორე ჩორთიგიძე, მესამე გრიგოლაძე, მეო[თხე] გერენიყაძე დიდებულსა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოლევს ტყის ქათამაძისეული სამი პარ[ტახ]ტები გოშქოთელიანის კაცებს დაუყვიან და იმათ აქვან.

სამი პარტახტი ქუთათის, ერთი ციხისთავსა აქვს, ერთი მოძღვარასა (sic) ურიასა აქვს, ერთი---[კაცი]დიაკონი როსტიაისშვილი სახლობს, ერთს პარტახტზედან კაკ--ლა სომეხი დაუსახლებია ბატონსა.

ქაშლეთს ხურციძე ერთი კუამლ--კაცი დათუასა ასათიანსა აქვს. საჩხეურისა ერთი პარტახტი ლეო[ნტი ი]ნასარიძესა აქვს

ერთი სასახლე ადგილი გელათს საყდრის გვერდზედან [ამარით?] ბაკურაძისეული არა გვაქვს.

საჩხეური ლეონტამან ინასარიძემ დაგვიჭირა და იმისგან არა გვერგების რა.

ბურჯანაძეების ბეგარა გვაკლი[ა] ორი საკლავი, ერთი ბატკანი, ერთი კოდი პური. პირველად ოთხნი კვამლი კაცნი ყოფილან და აწ დაიყვნეს და ათი კვამლი კაცნი არია[ნ]. პირველად ბეგარას რომ მოგვცემდენ მთავნის ბეგრის მეტსა აღარ მოგვ[ცე]მენ და ბევრი გვაკლიან. მოველი ბატონისაგან გაგვიელინონ და გაგვირიგონ--[ო]ფჩას ორი კვამლის კაცისეული პარტახტები ნეფსაძისეული [გვა]კლია

წუგნას ერთი კვამლი კაცი კენჭაძე გოგნიასა ინასარიძესა ჰყა[ვს?].

გეგუთს ერთი კვამლი კაცი ხმელიძენი ხოსიასა წულუკიძესა ჰყავს.

[ერთი] კვამლი კაცი ბატონმა ყურიაშიდან დაასახლა ბიბაძე.

ნასყიდაი [ხ]მელიძე გეგუთს ბატონსა მოსახლეთ უსახლობს.

ერთი კვამლი კაცი გოგი-ბაზაძე ბახუტასა ალავიძესა ჰყავს.

ერთი კვამლი კაცი [ბრეგაძე აჯამეთს]პ[აპუნა?] ბარამისშვილსა ჰყავს.

იბრიალაძე ერთი ცოლქმარი კაცი წინამძღვარსა [საყ]ვარელიძესა ყავს. ხოშტიბელა ხატის შეწირულია, მაგრა სრულად დაკარგულ---ქი. აქა მაგათსა (sic) მაგათსა საბატონოშიდან არის კაცები დაფანტული, ერთი იასაული ბა[ტონმა] გვიბოძოს, რომელიც მაგათს საბატონოშიდან იყოს, ბატონმა მოგვიკითხოს და [რომელ]იც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდიშს არის, ჩუენ მოვიკითხავთ და მოვიყვანთ და მაგათდა სადღეგრძელოდ იქი---ახლებთ და ბატონის ხელი იმ კაცებშიდან ბევრი შევა და რა რიგადც პი---. იყოს, კიდეც ისრევ იმსახურონ ერთი ჩუენი აზნაურის შვილ----(მეტი არაა)

**1656 წ.** გაბრიელ ცაგერელის მიერ დადებული წიგნი საყდრის მამულების შემატების შესახებ. საბუთი იბეჭდება იმ პირის მიხედვით, რომელიც დაცულია პეტერბურგის აზიურ მი ზეუმში. საბუთი ზოგი შეცდომით ერთხელ დაბეჭდილი იყო (ს. კაკაბაძე—საცაგ. გამოსავ. დავთ., **10—11**).

---....ჩვენ ცაგერელ მამათმთავარმან გაბრიელ ბრძანებითა მეფეთა მეფისა ალექსანდრესითა და დედფლდფლისა კახთა მეფისა ასულისა ნესტან დარეჯანისათა და ძეთა ჩვენთა. როდეს ჩვენზედა წყალობა ყვეს და ცაგერლობა გვიბოძეს და მათი დიდი საყდარი ცაგერისა ღვთისმშობელი კელთ გვიგდეს და მერმე მათის ძალითა და წყალობითა ჩვენც ვეცადენით საყდრისა სამსახურსა და შემატებასა, რომელიმე ძველთაგან დაკარგული იყო მიწაცა და კაცისა და რომელიმე მიწა საყდრისა იყო და კაცი დაკარგული იყო და აწ ამას მეფის ალექსანდრეს ძალითა ვეცადეთ და სამართლიანის საქმითა მოვაგროვეთ: სამი კვამლი კაცი გელოვანის დანარჩომი, ერთი კვამლი ნინია გოლეთიანი დღეს რომ სახლობს იმ ალაგითა, ერთი კუამლი ფოჩიანი კაცია და მისი ძმა გ̃ი და თათია, დღეს რომ სახლობს იმ ალაგიანათ, ერთი კვამლი მეშველიანი კაცია და მისი ძმა წიწილა დღეს რომ სახლობს იმ ალაგიანათ და აყრილი გლეხი სამი სხვა უალაგოთ. ერთი ლაკოხელიანი კაცია და გ̃ი, მეორე მუცხვატილაძე კაცია და გონიერი და მესამე შკვიბლიანი გონიერი და მისი ძმა ყრუაშვილი გ̃ი. აწ ეს დასახლებული სამი კვამლი კადა სამი აყრილი ნაძალადევად გელუანს ჰქონდა ცაგერისა ღ̃თის მშობლის გამონართმევი. აწე გელუანს მეფის ლალაჭი შეაჩნდა, გაუწყრა მეფე, გამოართვა და ისრევე საყდარს შესწირა მისად სადღენგრძელოდ და სულისა მისისა საოხად, ჩვენს დროსა და ეფისკოპოზობაშიდ შესწირა. სხვა ამასად გარეთად ამავ ჩემის ბატონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობითა მიბოძა კელმწიფემ მამა იმისმან მეფემ გ̃ი ერთი გლეხი უსახელოს ფოჩიანი გუტა და მისი ძმა ძველია, ერთი გლეხი ფოჩიანი იონა და მისი ძმისწულები. ამასად გარეთად ორი გლეხი კიდევ მახალდიანი გოჩია და ფოჩიანი გიორგი ბატონმა გვიბოძა და ისენი მათს ადგილზედ აღარ დადგენ, აიყარენ და სხვაგან დავასახლეთ და იმ ალაგზედ შოშიტა გიორგობიანი დავასახლეთ, მისი ძმა ნასყიდა და მისი ძმისწულები. აგრეთვე კიდევ ბატონმა მეფემ გ̃იმ გვიბოძა ოყურეშს მეთევზე ერთი გლეხი მამარდაშვილი ლომინა, ბატონის მეფის წყალობა. ერთი გლეხი ამბროლიანი მათვალი სულა გელოვანისაგან ვიყიდე, ერთი გლეხი დათუა თედორაშვილი ხოხუა ლაშხიშვილისაგან ვიყიდე, ერთი გლეხი გ̃ი აკობიძე იოვაკიმ ნემსაძისაგან ვიყიდე, ერთი გლეხი არჩვაძე ივანე ბულია ყიფიანისაგან ვიყიდე, ერთი გლეხი ნემსწვერიძე კაკია, მისი შვილი და მისი ძმისწულები ელყან ყ̃ფიანისაგან ვიყიდე, დაშრიანი გ̃ი და გუგუტა, მეშველიანის ციხე და ალაგი ბატონმა მეფემ ალექსანდრემ მიბოძა. ოჯოლას ბოგვერაძე მახარა და ჟუჟუტა და ხუცესი მეფემ ალექსანდრემ მიბოძა. ქვანეთს ჯანელიძე ოტია და მისი შვილები მეფემ ალექსანდრემ მიბოძა. აწ ესენი მათის ცოლშვილით... შეგვიწირავს ცაგერისა ღ̃თისმშობლისათვის მეფის ალექსანდრეს სადღეგრძელოდ.... ამას გარეთად ერთი გლეხი იქავ უსახელოს პატა გოლეთიანი გ̃ი გელოვანისაგან ვიყიდე, ერთი სასახლე უსახელოს ალაგი ვიყიდე და სასახლედ გავაკეთე. აწე ეს გლეხები და სასახლე მათის ყოვლის ფერითა ცაგერისა ღ̃თისმშობლისათვის შვიდწილ უძლეველისა და მთავარ მოწამისა წდის გიორგისათვის შეგვიწირავს...... დაიწერა ბრძანება, წიგნი და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა პატრონისა ალექსანდრესსა ათცხრამეტსა კელითა ჩემ ცოდვილისა მგალობლისა თამაზასითა, ქკსა ტმდ.

აქ ყოფილა ჩვეული ხელისმოწერა გაბრიელ ცაგერელისა, შემდეგ ბეჭედი მეფე ალექსანდრესი და დედოფალ ნესტან-დარეჯანისა.

**1637—1657 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს დაწერილი ერთ-ერთ ყიფიანის მიერ მიცემული შეწირულობის წიგნი, გელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის საბუთთაგან № 80, დაწერილია ქაღალდზე, თავი დაზიანებულია. გენათელი ზაქარია ამ ხარისხში სჩანს 1637 წ, 1657 წ. კი ის აფხაზეთის კათალიკოზად დაჯდა

ქ. ესე წიგნი მოგარ-...-თქვენ გენათელს ბატონს ზ[აქარიას], დიდხანს გვიწყრებოდი და----ვის საუჰატიო არ დაგვადებინე, მადამდის----[შ]ეგვირიგე და არც შენდობა მოგვეცით. მე ერ[თი უშ]ვილო კაცი ვიყავ, სხვა საქმით შენდობა ვერ ვიშოვეთ, ჩემი კერძი ცხრა თავი თქვენ მოგართვი და გელათს შეუსწირე, ასრე რომე ჩვენ ნასაყდარს აქით მოგართვით, მაგრა თუ სხვა ყიფიანი ვინმე შამოგეცილოს, გაჰყავით სამართლიანის საქმით და ჩვენი კერძი გელათისათვის შეგვიწირავს და გელათს ქონდეს. თავად ეპისკობოზი იყავ ჩვენი და მერმე სადამდის ეს ადგილი არ შეგავაწირვინეთ (sic), მადამდის არცეთს ცოლქმარს შენდობის წიგნი არ მოგვეცით და აწე შეგვიწირავს გელათისა და ხახულისა ღთისმშობლისათვის....(წყევა). ამისნი მაშუალნი და მოწამენი ლაზარე ქშინაშვილი და დათუა, კანდელაკი ანდრია, პატა ლარაძე. მე გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

(აქ დასმულია ჯვარი)

**1639—1657 წ.** ნაწყვეტი საკათალიკოზო ტახტის განძეულობის ანაწერისა, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $42^{1}/_{4} \times 14^{3}/_{4}$ სანტიმ. მე-XVII საუკუნის ხელით. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება 3 წერტილი. ანაწერი უნდა ეკუთვნოდეს მაქსიმე მაჭუტაძის კათალიკოზობის დროს, დაცულია ბიჭვინტის საბუთებში № 69.

დავითნი ვეცხლით მოჭედილი ოქროთ შეღებული მისის ხარის ბოხჩითა; არის ერთი ოქროს ომფორის ხატი მისის ძელის ჭეშმარიტითა, სამსჭვალითა, პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა, მძიმედ მურასათი ნაქნარი, მოთვალმომარგალიტული, მისის ოქროს ჯაჭვითა გარ (sic) ჩარყაფის ბუდითა; მეორე ომფორის ხატი რუსული პილოს ძვლისა მისის ოქროს ჯაჭვითა მისის ბამბიანის ბუ-

დითა; ერთი მურასას პიტიოსანი ყავარჯენი ოქროსა პატიოსნისა თვალითა და მარგალიტითა შემკობილი მისის ყირმიზის არღავნისა სკალატის გრძელის ბოხჩითა და ბამბის ბუდითა, მისის სკივრითა, მისის თითბრის ირმის კლიტითა; მეორე ოქროს ყავარჯენი თავი მურასათ ნაქნარი სხვა საიათ ნაქნარი; არის მესამე ხათაბანდათ ნაქნარი ყავარჯენი მისის ბამბიანის ბუდითა; ერთი შავი ატლასის მაზარა, მდინარეები სირმისა აქვს, ხარება მძიმედ მოთვალმომარგალიტული; არის ოთხის ოქროს ღილებითა, ორი მურასათ ნაქნარი, ორი საიათი, ერთი პატიოსანი ბარტყულა პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა მძიმედ მოთვალმომარგალიტული; ერთი მურასათ ნაქნარი ოქროს საცეცხური; ერთი პატიოსანი ჯვარ სანთელი სულის წმიდის ტრედით ნაქნარი, ჯვარი ოქროთ შეღებული; მეორე ჯვარსანთელი ხათაბანდათ ნაქნარი, სტვირები ვეცხლისა აქვს, ჯვარი ბროლისა აქვს, ჯუარსა ძირი ვეცხლისა ოქრო შეღებული; მესამე ჯუარსანთელი, ვეცხლით მოჭედილი, მურასათ ნაქნარი, ოქროთ შეღებული; ერთი მურასათ ნაქნარი სრულად ოქროს კონდაკი მისის მძიმედ ჩარყაფათ შეკერულის სახვევითა; მეორე კონდაკი მუყავისა ოქროთ დაწერილი მისის ჩარყაფის ცხვირისახოცითა და მისის ბოხჩითა; მესამე კიდევ მუყავის კონდაკი მისის შეკერულის ცხვირისახოცითა; მეოთხე ეტრატის კონდაკი მისის შეკერულის ცხვირისახოცითა; მეოთხე ეტრატის კონდაკი დახატული ჩარყაფის ცხვირისახოცითა; მეხუთე ბერძული კონდაკი მისის ხავედის ბოხჩითა; ერთი ვეცხლის ჯუარსანთელი მისის ვეცხლის ჯუარითა, ერთი მისი ხის ჯუარი არის, ოქროს ომფორის იარაღი თავსა; ერთი მძიმედ სირმით შეკერული ებისტოლე, ერთი მძიმედ სირმით შ (მეტი არა არის რა)

მეორე გვერდზე სხვა ხელით, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ 2 წერტილია:

ქ: ჩუენ აფხაზეთისა კაზმნ მაჭუტაძემან მაქსიმე შემოგწირე გუირგუინი მარგალიტისა პატიოსნად თვალითა და მარგალიტითა უცხოდ შემკობილი და გაკეთებული შენ ბიჭვინტისა ღთისმშობელსა, რათა მასმინო კმა კურთხევისა ძისა შენისა და აღმრაცხო მარჯუენეთა თანა ამინ:.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1639—1657 წ.** ქაიხოსრო იაშვილის წიგნი ნიშანის მიცემის შესახებ მაქსიმე კათალიკოზისადმი. მაქსიმე კათალიკოზად იყო 1639—1657 წლებში. საბუთი, დაცული ბიჭვინტის სიგელ გუჯ-რებში № 61, დაზიანებულია, დაწერილია ქაღალდზე. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ხან 2 და ხან 3 წერტილი.

ქ ნებითა ღთისათა----. მე იაშვილმან ქაი[ხოსრო]----ის კათა-ლიკოზს პატრონს მაქსიმეს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მამის ჩემის ნიშანსა და საწირავშიდ მოგართვით ერთი მოსახლე გლეხი გეგუთს მამუკაი ფხაკაძე მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგი-თა და დღეს რისაც მქონებელი იყოს მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა. ამისად გასათავებლად თავდებად მომიცემია თავად ღ̃თი და ყოველი მისი წმიდანი ზეცისანი, ქვეყნისანი, ხორციელი და უხორცონი. არის ამისი მოწამე გენათელი ბატონი ზაქარია და მეფის კარის მდივანი თავაქარაშვილი პატაი, ასრე რომე რაც ჩვენს ყმობაშიდ სამეფო ბეგარა, გამოსავალი და სამსახური მართე-ბია, ის ჩვენგან არ გაიუმოდა (sic) და საჩვენო უკლებლად მოგვირ-თმევია.

ბოლოს დასმულია ჯვარი

**1658 წ.** ვამეყ დადიანის შეწირულობის წიგნი ბიჭვინტის სა-ბუთთაგან № 14, დაწერილი ქაღალდზე ზომით 24×21½ სანტიმ. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ 2 წერ-ტილი.

ქ. ღთისა და ყოველთა მისთა წმიდათა თა-··ა მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ფიცი პირობა და წიგნი გიბოძეთ ჩუენ და-დიანმა ბატონმა ვამეყ და დედოფალმა ბატონმა ელენემ და შვი-ლთა ჩუენთა გიორგიმ და ბაგრატ თქუენ კზს ბატონს ზაქარიას ასრე და ამა პირსა [ზედა], რომე სენაკის საყდარი გვთხოვეთ და მოგეცით მისის შეწირულის მამულითა და სასახლეებითა. მოგვიცე-მია ჩუენ და გვიბოძებია თქუენს სიცოცხლეშიდ ამაზედ სხვა კაცი

არც დავილაპარაკოთ (sic) და არც შემოგეცილოთ. აგრევე საკათალიკოზოჲს მამულის საქმეზე დაგველაპარიკენით, სხვა და სხვა მოჳრავი იდგა და აწე არც ამ სენაკზედ და არც საკათალიკოზოჲს მამულზედ მოჳრავი არ დაგიყენოთ თქვენთ უნებლად. ამისად გასათავებლად და თავდებად მოგვიცემია თავად ღ̃თი და ყოველნი მისნი წმიდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, უკორცონი და კორციელნი.

ხვეულად: ვამეყ, ელენე.

**1658 წ.** შეწირულების წიგნი სვიმონ-დემეტრე გურიელისა, რომელიც მიცემული უნდა იყოს 1658 წ., როდესაც მოხდა მისი გაგურიელება. ამ წიგნის ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ მე-XVIII საუკ. დასაწყისის პირმა, რომელიც დაცულია. ბიჭვინტის საბუთებში № 99. თავი დაზიანებულია საბუთი მოკლედ დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ., II, 472.

- - - ... ეს წიგნი და სიგელი მოგართვით თქვენ ყ̃დ სანატრელსა და პატიოსანსა ღთისა სათნოდ დიდისა და ზესთა აღმატებულისა ბიჭვინტისა ღ̃თისმშობელსა ზედა მჯდომარესა აფხაზეთისა კჳსა პატრონს ზაქარიას ჩვენ პატრონმან გურიელმან სვიმონ და პატრონმან დიმიტრი გურიელმან, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ბედნიერმან კელმწიფემან ალექსანდრე მეფემან შეგვიწყალა და გურიელობა გვიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გვიბოძეთ და მისდა საკანონოთ მოგართვით აკეთს საწინამძღრო მისის მამულითა, შესავალითა და გასავლითა, რისაც მქონებელი იყოს და ან ყოფილიყოს უკლებლად და ყოვლის კაცისაგან შეუცილებლად და შევსწირეთ წ̃დასა̃დ ზსთა აღმატებულსა უპატიოსნესსა და წღ̃ათა უწმინდესა ცათა მობაძავსა ყ̃დ პატიოსანსა დედასა და ქალწულსა ბიჭვინტისა ღთის მშობელსა ჩვენსა სალოებასა და მეოხსა სულისა და კორცისა ჩუენისასა და მხსნელსა ყოვლისა ბოროტისაგან, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და ბრალთა აღსაკოცელად.

აწე თქვენ, წ˝დაო და ყ˝დ გაწედილო (sic) სულ უტყუველო ჭეშმარიტო მეუფეო ბატონო კზო წელიწადსა მოქცევსა თქვენით ყდ წდით და პატიოსნითა თვით ჟამსა წირევდეთ თქვენის კრებულითა და სოფელსა მას შინა ლოცვასა გუიყოფდით. ესე ასრე შეიწირე შენ ყ˝დ წდა˝ო ბიჭვინტისა ღთისმშობელო და ნაცუალ გუაგე დღესა მას დიდსა განკითხვისასა და სოფელსა ამას დაგუიცევ უშფოთველად სამართლით და დღეთა სიგრძით. აწე ვინცა და რამანც კაცმან ანუ მეფემან, დედოფალმან, დადიანმან, გურიელმან, კზმან, ეპისკოპოზმან, თავადმან ანუ-------.--- (წყეგა)

**1658 წ.** შეწირულების წიგნი ვამეყ დადიანისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 4, დაწერილი ქაღალდზე, ნიშნად ყოველს სიტყვის შემდეგ იხმარება 2 წერტილი. სიგელი უფრო შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ „ქრონიკ." II, 475

....ბიჭვინტისა ღთისმშობელო, ჩუენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მსასობელმან ძისა შენისა და მეუფისა შენისამან ჩუენ კელმწიფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ და თანამეუღლემან ჩუენმან გურიელის ასულმან დედოფალმან პატრონმან ელენემ და ძეთა ჩუენთა გივორგიმ (sic) და ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, კადრეთ და შემოგწირეთ შენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ალთის მშობელსა (sic) სენაკს საწინამძღრო საყდარი და სასახლე სრულად მისის მამულითა და ორის სასახლითა, ოლვაწითა (sic) და ლეისტყითა, სრულად მისის შესავლითა და გამოსავლითა ჩუენ წასარმართებელად და დღეთ ჩუენთა სიგრძისათვის და სულისა ჩუენისა სავოხად. მას ჟამსა ოდეს მადლითა და ბრძანებითა თქუენით გარდაიცვალა დადიანი ბატონი ლევან და ჩუენ გავბატონდით, ყოველს საყდარს ცოცოტა რამე შევსწირეთ და მერმე დაგველაპარიკა (sic) ბატონი გაენათელ კათაკიკოზი (sic) ზაქარია ქუარიან (sic), გავსინჯეთ და სრულად ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არა ქონდა კზს, რომე დღესასწაული გარდაეხადა და ხან ერთს ეპისკოპოზს ჩაუდგებოდენ შინ და ხან მევორეს და ეპისკოპოზები მწვედ გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯით და დალოცნებით იყუნენ და ამისთვის შეუსწირეთ, რომე-რო-დესაც კ̃ზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა, ჯუარსა და ომფორს იქ საყდარზე დაასვენებდენ და გავაჩინეთ ამისთვის, ვინცა ვინ კათალიკოზი იყოთ და ოდიშს ბრძანდებოდეთ, ამაღლების დღესა ჩუენის სულის საოხად და სახსრად ჟამს გუიწირვიდენ, თვარადა თუ იმ დღეს ოდშს ვერ დაესწრათ, ამ თორმეტს საუფლოს დღეშიდ იმ საყდარს ჟამს გვიწირვიდენ, რათა არა განვარდეთ სასუფეველისაგან. ეს მამული, საყდარი და სასახლე̃ეს ასრე გარიგებით ბატონ კზის ზაქარიასათვის მიგვიბარებია.... (წყევა) დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქკსა ტმზ, ჴელთა ჩემ ცოდვილისა კათალიკოზის მგალობლისა თამაზისათა.

ხვეულად: ვამეყ, ელენე

**1658 წ.** შეწირულობის წიგნი ვამეყ დადიანისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 9, დაწერილი ქაღალდზე. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 472.

.... ჩუენ ჴელმწიფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ და თანამეცხედრემან ჩუენმა გურიელ[ის] ასულმან დედოფალმან პატრონმა ელენემ და ძეთა ჩუენთა გიორგი და ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულისმოვიდგინეთ, კადრეთ და შემოგწირეთ შენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა გურიას საწინამძღურო მაცხოვარი აკეთისა, მას ჟამსა ოდეს დიმიტრი ბერად იყო და მერმე გურიელათ დავსვით და ბერობის დაგდების საკანონოდ შემოგწირეთ და მივაბარეთ ბატონს კ̃ოზს ზაქარია ქვარიანსა მისის შეწირულობის მამულითა, გლეხითა, შენითა და პარტახითა, გასავალითა და გამოსავალითა, საძებრითა და უძებრითა, რ̃ლიც მაცხოვრისა აკეთისა ყოფილა, ბიჭვინტისა ღთისმშობლისათვის შეგვიწირავს. აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მცირემან, დადიანმან ანუ დედოფალმან ანუ კ̃ოზმან ანუ სხვა ვინმე ბატონმან ამისდა შლად ჴელყოს, რისხავს თავად დაუსაბამო ღ̃თი და მხოლოდ შობილი ძე ღთისა, უფალი იესო ქრისტე და ცხოველს მყოფელი სული მღუთისა ღ̃თმთავარი:....

ხვეულად: ვამეყ

**1659 წ.** ამ წელს უნდი იყოს დაწერილი ნიკორწმინდის ტაძა-რის საბუთი № 4, მიცემული დავით ნიკორწმინდელის მიერ. საბუთს თარიღი აქვს ქრისტეს დაბადებიდან 1559 წ., მაგრამ ხელის მიხედვით ის უფრო მე-XVII საუკ უნდა ეკუთვნოდეს. ნიკორწმინდელი 'დავით იხსენიება 1669 წ. ბაგრატ IV-ის წერილში რუსეთის მეფისადმი 'Переписка груз. царей съ росс. госуд. 82).

- -..... ჵი წმიდაო მღდელთმოძღვარო ნიკოლაოზ, ჩვენ ფრიად ცოდვილმან მღდელთმთავარებისკოპოსმან ნიკორწმინდელმან დავით საყვარელიძემან შემოგწირეთ და მოგახსეთ (sic) თქვენად სადიდებლად და სულისა ჩვენისა საოხად და ბრალთა ჩვენთა აღსახოცელად და შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი ხივში ერთი გლეხი დონაძე ლაზარე მისის ცოლშვილითა და ერთსახლითა, სახლკარითა, ჴურმანითა, სასაფლაოთა, ალაგითა, ვენახითა, ტყითა, საწისქვილოთა, საძებრითა და უძებრითა, დღეს ამას იქით რისაც მქონებელი იყოს მართლის სამართლიანის საქმითა, შემოგვიწირავს ყოვლის კაცის უსადევოთ.... აწ არიან მოწამენი წერილისა ამის უფლისაშვილი დავით. მე ჭიჭინაძეს მღუდელს სვიმონს დამიწერია და მოწამეც ვარ. აღიწერა თვესა ოკდომბრის კდ ქკნს ქეს აქეთ ჩფნთ (sic).

ბეჭედი წარწერით: დავით

**1639—1659 წ.** ალექსანდრე III-ის წყალობის წიგნი გიორგი და ხოსია ახვლედიანისადმი, რომელიც დაცული ყოფილა ცაგერის ტაძრის საბუთებში. იბეჭდება აზიურ მუზეუმში პეტერბურგს დაცულ პირის მიხედვით. საბუთში იხსენება სვიმონ ქუთათელი, რომელიც 1659 წ. კათალიკოზად დაჯდა.

...ესე...წყალობის...წიგნი გიბოძეთ ჩვენ ღთივ გვირგვინოსანმა მეფეთმეფემ ბატონმა ალექსანდრემ თქ̃ნ ახვლედიანს გიორგისა და ხოსიას, თქნთა შვილთა და მომავალთა, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თავდადებით ნამსახური იყავით და შამოგვეხვეწეთ და დაგვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გიბოძეთ ღვირიშის ციხე და ღვირიშის შემავალი კაცი სოფელი სრულა, აგრეთვე ცხუკუშერი სოფელი ხელშეუალად. ამას გარეთ ტვიშს იოანა ნემსწვერიძის შვილი გლეხი, მეორე გლეხი ბესია ხუცესი, მესამე გლეხი დათუნა ხუცესი, მეოთხე გლეხი ნასხიდა სვანიძე. ესენი მათის ცოლშვილით, სახლკარით, ერთ სახლის ძმით...არის იმისი მაშუალი ქუთათელი სვიმონ, აბაშიძე სახლთუხუცესი როსტომ.

აქ დასმული ყოფილა ბეჭედი ალექსანდრე მეფისა.

**1660 წ.** შეწირულობის წიგნი ბაგრატ IV ისა ნიკორწმინდის ტაძრის საბუთთაგან № 19, თეთრს ქაღალდზე. თავი საბუთს აკლია, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

---რემ ესე წი[გნი მო]გართვი თქვენ ნიკორწმინდელს ლორთქიფანიძეს გედევანს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე კურთხეულს ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შეწირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორწმინდელს ჰქონოდა და ახლა თქუენც შემოგვეხვეწეთ და გიბოძეთ ბაჯას ისივ გლეხი დათუა მღდელაძე, რაც მაშინ მამული ჰქონოდა, იმიანად ის გლეხი გვიბოძებია მისის ერთსახლის ძმითა, მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჰურმარნითა, ალაგითა, ველითა, ვენახითა, სახნავსათესითა, ეკლესითა, სასაძოვრეთა, სათიბითა, ტყითა, მთითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა, ქონდეს და გიბედნიეროს ღ̃თნ ჩვენსა ერდგულობაში. ამისად გასათავებელად მოგვიცემია თავდებად თავად ღ̃თი და ყოველი მისი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელი და უხორცონი. დაიწერა წიგნი ესე კარისა ჩვენის მდივან მწიგნობრის ქკს სამას ორმოცდარვასა ხოსინასითა (sic)

ბეჭედი ბაგრატ მეფისა.

**1661 წ.** შეჭირულობის წიგნი მეფის და დადიანის ვამეყისა, დაცული ნიკორწმინდის საბუთებში № 22, თეთრს ქაღალდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგელი დაზიანებულია, ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

...მოწამეთა მთავარო წ˝ა გ˝ი მთისაო, ჩუენ მონამან და მოსავმან და მინდობილმან ძალთა შენისამან სკიპტრა პორფირისა მპყრობელმან აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა, ლიხთიმერეთისა და სრულად საქართველოსა ფლობით მტკიცედ მპყრობელმან ღთივ აღმატებულმან და ღთივ დამყარებულმან, ძლიერმან და უძლეველმან კელმწიფემან მეფეთმეფემან დადიანმა პატრონმა ვამეყ და თანამეცხედრემან ჩუენმან მამია გურიელის ასულმან დ˝ფლთ დფლმან პატრონმან ელენემ და ძეთა ჩუენთა პირმშომან გ˝ი და ბაგრატ, ოდეს ჟამთა შლოლობისაგან მეფეთა სახლი ოხერ იქმნა და მკვიდრ პატრონობისა მჩინებელი არვინ იქმან (sic), ძალითა და შეწევნითა შენითა მკვიდრად ქუეყანისად დავიდგინეთ და მეფედ დავჯდით და მარიობას დღეს შენდა თაყუანისაცემლად მოვედით და შემოგწირეთ მეფობისა ჩუენისა წასამართებლად და ძეთა ჩუენთა აღსაზრდელად, მოგახსენეთ შავრას რაზმაძე სეხნია და მისი ძმა მამისთვალა მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ერთსახლის კაცითა, ჰურმარნითა, საყანითა, სათიფითა (sic), სასაფლაოთა, საწისქვილოთა, ტყითა, ველითა, ვენახითა, საძებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა, მისის ყოველისფერის სამართლიანის მზღვარითა. შეიწირე შენ შვიდწილ უძლეველო მთავარ მოწამეო წ˝ო გიორგი ..... ქკსა ტ[მ]თ

ბეჭედი წარწერით: მეფე დადიანი ვამეყ

ხვეულად: ელენე

**1661 წ.** ვამეყ მეფისა და დადიანის შეწირულობის წიგნი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 67, დაწერილი ქაღალდზე. სიგელი მოკლედ დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 479

.... ბიჭვინტისა ღთისმშობელო, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან ძისა და მეუფისა შენისამა ჩვენ კელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფემან მეფეთმეფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ და თანამეულლემან ჩვენმან გურიელისა ასულმან დედოფალთდედოფალმან პატრონმან ელენე და ძეთა ჩვენთა გ̃ი და ბაგრატ კადრეთ და მოგახსენეთ, მოგართვით და დაგიდევით სიგელი ესე თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთისმშობელსა და მას შინა დადგნებულსა ქუთათელ კზსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმეონს, ასრე რომე საკზო მამულები სადაც იყო, ყოულგან (sic) ვინ გინდა ვის სახელოთ ქონდა საბატიოს კაცებსა და აწ ბატონ (sic) კათალიკოზო, თქვენ მოინდომეთ და დაგვეაჯენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გარდაგვიგდია საკათალიკოზოს მამულზედა და ალაგებზედ ყოულგან (sic) მოურავი ჩვენს საბატში (sic), ასრე რომე ვერამ ჩვენმა შემდგომმა ბატონმა და დედოფალმა და კათალიკოზმნან sic) ბიჭვინტისა ღთისმშობლის მამულსა და ალაგებზე თუ არ იმაუ კატის ყმა, სხვა კაცი მოურად არ დაუსვათ და არცა ვის სახელოდ მიუსცეთ დარცა ვის ბიჭვინტისა ღთისმშობლის მამული და ყმები ჩვენ საძალოდ და საუკაცროთ (sic) არავის დავანებოთ და ამას გარეთ სამართალიც ასრეა და ძველათგანც ასრე ყოფილა, რომ კათალიკოზის უკითხავათ და უნებურად ეფისკოსობა არ გაცემულა და არც ჩვენ დღეს ამას იქით თქვენად უკითხავად და უნებლად ჩვენ ეფისკოპსი არ დაუსვათ და არც ეპისკპსობა გაუსცეთ და ვინცა ვინ სარჯულოს საქმეზედა თქვენ წინაღგიდგეს და გაუწყროთ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, მადამდის არც ჩვენ შევირიგოთ და როგორაცა მის დღეშიგა ამ ჩვენს სახლსა და საბატონოში სხვათ კათალიკოზებს ჩვენგან და და (sic) ამ სახლის ბატონებისგან პატივი ზდებოდეს, არც ის მოგიშალოთ და ჩვენც მწყალობელნი და კარგნი ვიყნეთ თქვენთვის და აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მცირემან, ანუ მეფემან ანუ და დადიანმან (sic) ანუ დედოფალმან და ანუ კათალიკოზმან და ანუ ვინმე სხვამ ბატონმან ეს ჩვენგან დადებული სიგელი და გარგებული საქმე მოუშალოს ბიჭვინტისა ღთისმშობელსა და ამისად შლად და გამოხმად კელჰყოს, მასამც რისხაჳს თავად დაუსაბამო ღმერთი და მხოლოდ შობილი უფალი იესო ქრისტე ძე ღთისა და სული წმიდა ცხოველს მყოფელი, მამისაგან გამოსრული, შემცაედების ძრწოლა კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენისი, შიშთვილი იუდასი, მეხ დატეხა დიოსკორესი, სირცხვილი კარისკენტი და საბიანესი, დანთქმა დათან დაბირონისი და მაზედამც მოიწევის წყევა მეას და რვეისა ფსალმუნისა და იუდასთანამც დაისაჯების სული და კორცი მისი და ნუ რა რათა სინანულითა არისი კსნა სულისა მისისა. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და ბიჭვინტისა ღთისმშობელმან და მომშლელნი ამისნი წყეულ,კრულ და შეჩვენებულ იყოს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქკსა სამას მ: თ: ორმოცდაცხრასა.

ხუცურად: მეფე ვამეყ, ელენე

**1660—1662 წ.** შეწირულების წიგნი მეფისა და დადიანისა ვამეყისა ბიჭვინტის ტაძრისადმი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 5, დაწერილი თეთრს ქაღალდზე, ზომით $49 \times 25^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება ორი წერტილი.

ქ: ეჰა შენ შვიდთავე ცათა უმაღლესო....ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა დედაქალწულო და დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა ღთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ.... ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან და მოსავმან წმიდისა სახელისა შენისამან ღთივ ამაღლებულმან და ღთისა მიერ დამყარებულმან ნეტარისა და დავითისა მოსახლემან და ღ̃თივ ზე გარდმოცხებულმან და ღთისა მიერ ახალგვირგვინოსან მყოფელმან ლიხთიმრისა და ლიხთამრისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელმქონებელმან დიდმა მეფეთ მეფემან კელმწიფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ და დიდისა გურიელისა მამიას ასულმან დფლთ დფლმან ბატონმან ელენემ და ჩვენგან გაზრდილ გაკეთებულმან გურიელმან პატრონმან დიმიტრიმ. მას ჟამსა ოდეს ძალითა და შეწევნითა შენითა და ძისა შენისათა სრულიად საქართველო დავიჭირეთ, იმ დროსა მიჭვიტის (sic) ღთისმშობელსა შამოგწირეთ გურიას წმიდის კვირიკეს საყდარი ძიმითისა და მისი დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანოზი და მისი შვილი გაბრიელ და მისი ძმა ბაუჟაი, კბილიანის შვილი მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა, ჰურმარნითა, ტყითა, და ველითა, ვენახითა და საყანითა, სათიბითა და სასაძოვრეთა (sic), ეკლესიითა და სასაფლავოთა, მთითა და ბარითა და მისი ყმა მამია ქართველაისშვილი ნასხიდაი რამისშვილის სეული, მამისთვალი ნანაძე, გიორგისაი მგელაძე, სეხნიაი და ხახუტაი კბილიანისშვილი, გაბრიელ კალანდარისშვილი, გიორგი მჩხაიძე ჯუმლად რაცშინ (sic) ყმა ყავდეს იმიანათ ეს რვა კვამლი კაცი მათის ცოლშვილითა, სახლკარით, ჰურმარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა დღეს რისაც მქონებელი იყვენ მათის სამართლიანის ყოვლისფერითა. სხვა ამას გარეთ ამათი ხარაჯა მიჰვიტის ღთისმშობლისათვის შეგვიწირავს, არც არავის ხორციელის კაცისაგან ეთხოვნებოდეს. გურიას შამოგვიწირავს ჩვენდა ამა სოფელსა სადღეგრძელოთ და კელმწიფობისა ჩვენისა წასამართებელად და პირმშოთა ძე ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად, დღესა მას საუკუნესა საშჯელისასა ცოდვილისა სულისა ჩუენისა სახსრათ და სავოხათ, რათა ფარევდენ სიწმიდე შენი ცხორებასა ჩვენსა წმიდა ვიდრე ჟამთა უკუნისამდის, ამინ.

ხვეულად: ვამეყ, ელენე.

**1664 წ.** შეწირულობის წიგნი გენათელ-ნიკორწმიდელის გედეონ ლორთქიფანიძისა, გელათის საბუთთაგან № 11, ფრიად დაზიანებული, სამს ნაჭერ ქაღალდზე. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილი, ვიდრე სიტყვებამდის „მას იქით მოხედვა“. ამის შემდეგ შემდეგ წერტილები არ არის, გარდა ერთ ადგილისა—სტრიქონი 23, შემდეგ სიტყვისა „განსამრავლებლად“. საბუთი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ., II, 481.

----დი სასწაულთა---სა დავით მეფეთა საკელ დებ---კმითა მით სანატრელითა შე---მეორედ იულუსალიმად (sic) აგებულ--- და შინაგან მსხდომსა ხახულისა და გაენათის---ვითარი მცირე უნდო და კნინი შესაწირ---მოსავმან და მსასოებელმან ძისა და სა-

ხისა თქ---[ფ]ანიძემან განათელ (sic) ნიკოლოზ წმიდელმა გედეო--[სა]კუთარი ქმნილი მამული შენი წილ---ერი ესეთს იწროებასა, ოხრებასა და მწ---ყო ოთხსა ხუთს წელიწადს რომე რა---ულიყო ესეთი შფოთი და ურვა მას აქათ-----და არცა ვის სმენოდა და ბძანებითა თქვენითა ტ---ამრ--ა და მეურნეობა მოგიბოძე და ტაძარსა თქუენსა მო---ერ ვექმენ და ესეთი ცდა და ღონის ძიება ვქენით, რომე ერთს მონასა და მეგობარსაც არა ექნა რა ყმასა თქვენსა და არცა რამე დაკლებულ იქმნა მამულის მის თქვენთვის შემოწ---ისა მას აქათ მოხედვა ჰყო ღთნ წყალობისა თვალითა იმერეთსა ზედა და მკვიდრი პატრონნი ვიშოვნეთ და ქვეყანამ დაწყნარება და დამშვიდება დაიწყეს. მას აქათ ვიგულეთ და ვიგ[ულის] მოდგინეთ და ბძანებითა მეფეთმეფისა პატრონისა ბაგრატისათა და დედოფალთ დედოფლისა ქართველთ მეფისა ასულისა პატრონისა თამარისათა კაცია კუჭაიძისაგან მაჭუტოური ვიყიდეთ, [არგვეთს] ძველი ციხე იყო და აღშენება დაუწყეთ და გლეხებს დასახლება და საზღვარი ამისა მუხურის მთამდის სკანდურს დაღმა, სკანდის შარას შემოღმა, აქათ თხილთა წყაროს ღელემდის და იქით სკანდის ღელემდის. ამ შვაზედ რაც მიწა ადგილია, ყველა უკლებლად და კელშეუვალად ვიყიდე, არას კაცს ამაშიდ კელი აღარ აქვს რა და ბაგრატ მეფის ბრძანებით და ნებადართულობით ხახულისა და გაენათისაა (sic) ღთისმშობელს შევსწირე მეფის ბატონის ბაგრატისა და დედოფლის ბატონის თამარის სადღეგრძელოდ და ნათესავთა მათთა განსამრავლებლად, სახსრად და საოხად სულისა ჩემისად. ამაშიდ ღთნ უწყის არა ნაძალადევი და არა ნაუსამართლევი არა ურევია რა, ჩემის ალალის თეთრით მიყიდია. ესეთი მცირე და კნინი შესაწირავი შემიწირავს ხახულისა და გაენათისაა (sic) ღთისმშობლისათვის, შევწირე შენ წაო დედოფალო ღთისმშობელო...... (წუგვა) დაიწერა წიგნი ესე ქკსა ტნზ კელითა ფრიად ცოდვილისა მღდლისა თეოდოსისათა

აქ ჯვარია დასმული და შემდეგ ბეჭედი ბაგრატ მეფისა
შემდეგ ხვეულად: გენათელი. ხვეულადვე: თამარ
გარშე: ქ. წყალობითა ღთისათა დავითიან ბაგრატოანი მეფე

სრულიად ლიხთამერთა სოლომონ ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა. (წუევა) ქეს აქათ ჩღპზ

ბეჭედი წარწერით: კეთილ ძირთაგან რტონი მეფედ ვარ ბაგრატოანი (ასო მთავრ.: სოლომონ.)

**1664 წ.** შეწირულების სიგელი გიორგი გურიელისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 35, დაწერილი თეთრს ქაღალდზე ზომით $81 \times 28\frac{1}{2}$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია. შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 481—482

......ბიჭვინტისა ღთისმშობლო, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან ძისა და მეუფისა შენისამა ჩვენ გურიელმან ბატონმან გიორგიმ და დედა ჩვენმან დედოფალმან ბატონმან ხვარამზემ და ბატონისშვილებმან მალაქიამ და ოტ~ამ გკადრეთ და მოგართვით და დაგიდევით სიგელი ესე თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღ~თის მშობელსა და მას შინა დადგინებულსა ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზ ქუთათელსა ჩხეტიძესა ბატონს სვიმეონს, ასრე რომე ძველადგან ამ სამს საბატონოშიგა სამართალიც ასრე ყოფილა და დღესაც ასრე არის, კათალიკოზის უკითხავად და ნება დაურთავად ეფისკოპოზობა არც გაცემულა და არცა ვის გამორთმევნია და არც ჩვენ დღეს ამას იქით ამ ჩვენს საბატონოშიდ თქვენად უკითხავად და უნებლად ჩვენ ეფისკოპოზი არ დავსვათ და არც ეფისკოპოზობა გავსცეთ და არცავინ გარდავაყენოთ და არცავის საწინამძღროები მივსცეთ თქვენად უკითხავად და ვინცავინ სარჯულოს საქმეზედან თქვენ წინა აღგიდგეს და გაუწყრეთ და შეაჩვენოთ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, მადამდის არც ჩვენ შევირიგოთ და როგორაცა მის დღეშიგა ამ ჩვენს სახლსა და საბატონოშიგა სხვათ კათალიკოზებს ამ სახლის ბატონებისაგან პატივი სდებოდეს, არც ის მოგიშალოთ და ჩვენც გულმართლად თქვენთვის მწყალობელნი, კარგნი და მოპატივენი ვიყოთ და რაც ბიჭვინტისა ღ~თის მშობლის მამული იყოს

ჩუენს საბატონოშიგა, არცავის საძალოდ და საჳკაცოდ ის დავანებოთ და არცარა ძალი და უსამართლობა დავატანოთ. . . . დაიწერა წიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქკსა ტ͞ნბ სამას ორმოცდათორმეტსა.

ხვეულად: გ͞ი, ხვარამზე

**1664 წ. ახლ.** შეწირულობის წიგნი გიორგი გურიელისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 34, თეთრს ქაღალდზე ზომით $41^{1}/_{2} \times 28^{1}/_{2}$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ 2 წერტილია.

. . . . ჩვენ გურიელმან ბატონმან გიორგიმ და დედა ჩემმან დედოფალმან ბატონმან ხვარამზემ, მას ჟამსა ოდეს დადიანსა ვამეყს და დედოფალსა ელენეს გურიას ჩვენი საყდარი კვირიკეწმიდა შემოეწირა ბიჭვინტისა ღთისმშობლისათვის იოვანე დეკანოზი და მისი შვილი გაბრიელ და მისი ძმა ბაუჟა მათის გლეხებითა და მამულითა და აწ ჩვენ გაგვიახლებია და ჩვენ შემოგვიწირავს, ბიჭვინტისა ღთისმშობელლო, წმიდის კვირიკეს საყდარი ძიმითისა და მისი დეკანოზი იოვანე და მისი შვილი გაბრიელ და მისი ძმა ბაუჟაი კბილიანის შვილი მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა, ჰურმარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, სათიბითა და სასძოვრეთა, ეკლესითა და სასაფლავოთა, მთითა და ბარითა და მისი ყმა მამია ქართველაისშვილი ნასხიდაი რამიშვილის სეული; მამისთვალი ნანაძე, გიორგისაი მგელაძე, სეხნიაი და ზაზუტაი (sic) კბილიანისშვილი, გაბრიელ კალანდარესშვილი, გიორგი მჩხაიძე, ჯუმლად რაც შინ ყმა ჰყავდეს იმიანად, ეს რვა კვამლი კაცი მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჰურმარნითა, ტყითა და ველითა, ვენახითა და საყანითა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყვენ, მათის სამართლიანის ყოვლისფერითა. სხვა ამას გარდა აზათი ხარაჯა ბიჭვიტის ღთისმშობლისათვის შეგვიწირავს, არცარა ვის კორციელის კაცისაგან ეთხოვებოდესრა. . . . . კათალიკოზი სვიმეონისთვის მიგვიცემია, ღ͞თნ უბედნიეროს. რამანც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარმან კაცმან ან დიდმან ანუ მცირემან ეს მოგიშალოს, ჩვენდა ნუქბად ის განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ.

ხვეულად: გიორგი, ხვარამზე

**1669 წ.** შეწირულობის წიგნი ქუთაისის ტაძრისადმი, უნდა ეკუთვნოდეს სახლთუხუცესს სეხნია ჩხეიძეს, ქუთაისის ტაძრის საბუთთაგან № 7, თეთრს ქაღალდზე ზომით $54^1/_2 \times 24^3/_4$ სანტიმ., თავი აკლია. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

----....მეფისა ბატონის ბაგრატის ბრძანებითა და დედოფლის ბატონის თამარის ბძანებითა და ნება დართვითა ეს გლეხები ქუთათისისა ღთისმშობელსა შევსწირე: ბაკისუბანს კვამლი ერთი ყვირიძე ტატია, მისი შვილი გიორგი და მამუკა მათის ცოლშვილით და ერთსახლის კაცითა; ქუტირს კვამლი ერთი ფეტვისნელიძე მახარებელი, მისი შვილი გოგიეი და ნასხიდი მათის ცოლშვილით და ერთსახლის კაცითა. ეს ორი გლეხი მათის ცოლშვილით ერთსახლის კაცით.... ასრე განთავისუფლებით შევვიწირავს, რომე არას კაცის კელი არ შევიდოდეს, არა მეფისა, არა მურავისა, არა საპატიოს კაცისა, არა ჯურუმი, არა მოსაკრეფულობა არა ეთხოვებოდეს რა....დაიწერა სიგელი და ბძანება ესე კელითა ჩემ ცოდვილისა მღდლისა თეოდოსისათა ქკსა ტნზ

ბეჭდები ბაგრატ მეფისა და სეხნია ჩხეიძისა (უკანასკნელი წარწერით: სახლთხუცესი სეხნია). ამ ორ ბეჭედს შუა არის ხვეული ხელის მოწერა: თამარ

**1669 წ. ახლ.** ჭყონდიდელ-ცაგერლის, როგორც სჩანს, გაბრიელის განჩინების წიგნი, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით. აქ მოხსენებული ხოსია ახვლედიანი ლეჩხუმის ბატონად უნდა გამხდარიყო ხოსია ლაშხიშვილის შემდეგ.

ქ მამა ჭყონდიდელი ცაგერელი მოგახსენებ ჩემს შემდგომს ეფისკოპოზს და საცაგერელოსა და საკუჭეიძოს აზნაურსა და გლეხს. ლეხანელი შემომეცილენ და დაბლა ქალას და შუაბის ზურგს აქეთ ფერდს. ასრე მითხრეს, ფულარიანის ცაგერლის ხელშიდ გავ-რიგებულვართ და საზღვარიც ასვიანო. მე ასრე უპასუხე, აშოროს ქრისტემან ღ˝თმან, კუჭაიძის მეტი მესაზღვრე ცაგერისა ღვთისმშო-ბელს არ ყოლოდეს, თავი ყვედრები არის და ბოლო ნაშკაშური და შუაბის ზურგს აქეთ ლეხანელი კაცი ცაგერისა ღ˝თის მშო-ბელს სამართლით არას ემართლება. აწ ამაშიდ ვინ იცის ცაგერელ-მან კაკმან თუ ლეხანელს კაცს საყანე ალაგი ან მიჰყიდა ან ვალ-შიდ მისცა ან სისხლშიდ დაუურვა, მაგისი არ ვიცი, თვარემ სხვა ხელი არა აქვს რა, აშოროს ღთმან. ახლა ლეჩხუმის ბატონი ხო-სია ახვლდიანი არის და იმისი სავალობისათვის დავანებეთ ლეხა-ნელს ქალის ბოლოს რომ გზა გაიარს, იმას დაღმან. სამართლის დღემდის ჩვენსა და ლეხანელს შუა თუ კიდევ საცილოდ საქმე გახ-დეს, ამ წიგნზედ დაიფიცოს ცაგერელმან და საცაგერლომ კაცმან.

ბეჭედი.

**1660—1670 წ.** ხელის მიხედვით ამ დროს ახლოს ხანს და საზოგა-დოდ მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს შეწირულობის წიგნი ქაიხოსრო იაშვილისა, ნიკორწმინდის საბუთთაგან № 29, თეთრ ქაღალდზე. საბუთი დაზიანებუ-ლია. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერ-ტილი.

. . . . ესე აუარებელი და საბოლაოთ გასათავებელი და უკუ-ნისამდე შეუცვალებელი ფიცი, პირი და სიგელი კადრეთ, მოგახსენეთ და შემოგწირეთ ჩვენ მაცხოვარსა პირსა და სახესა ღთისასა [დ ეკვ-დერსა] ჩუენს ყოვლად წმიდისა ღთ˝ის მშობელისასა ჩუენ იაშვილ-მან ქაიხოსრომ და მეუღლეთა ჩუენთა ჩხეტიძის ქალმან თამარ და შვილთა ჩვენთა [პაატა?] და სვიმონ და ასულთა ჩუენთა, შვილთა და მომავალთა მას ჟამსა ოდეს [ძლევაშენე საფლავი] და სამარხი

ეკვდერი წმიდისა ღთისმშობელისა და შევსწირეთ სახსრად და საოხად სულისა ჩუენისად და ცოდვათა ჩუენთა მოსატევებელად და შესანდობელად და დავასვენეთ ჩუენგან აღშენებულს ეკვდერშიდ ერთი პატიოსანი ხატი ყოვლად წმიდისა, ერთი მთავარანგელოზის ხატი მიქ[აე]ლისა და ერთი გაბრიელისა, წირვის იარაღი ვერცხლისა, ბარძიმი, ორი ფეშხუმი, კამარა, კოვზი, სამდულრავი და საცეცხური, ერთი კელი შესამოსელი და ერთი პატიოსანი სახარება საყდარს, კაცი (აქედან იწყება მეორე გვერდზე, შეიძლება ცოტა აკლდეს კიდეც.) რაშვილი ნინია და გოჩია + სვანი ძაღლუა და გოჩოლა + მუხლს მჭედლიძე პაატა, მისი ძმისწულები შალუტი და კაცია, აგლაძე დათუა + კაციტაძე ნინია და მისი შვილები + სანთის ენუქიძე მინდოდა, მისი შვილები და მისი ძმისწული კურცხალია, ესენი მათის მიწაწყლითა, მათის ერთსახლის კაცითა, მათის ცოლშვილითა და მათის ყოვლისფერითა, სამართლიანის საქმითა. ესენი ასრე შეგვიწირავს, რომე ჩუენი არა მიადგებოდეს რა და არცა რა ჩუენი კელი შევიდოდეს ალაპის მეტი. ასრე განთავისუფლებით შემიწირავს იმ ჩუენის საფლავისათვის. ვინცა ვინ წინამძღვარი იჯდეს, რაც ამ წიგნშიდ გარიგებული ალაპი ეწეროს, ჩუენ იმას გვიზემდეს ყოველს წელიწადს უკლისად. სხვა ჩუენი იმ გლეხებს არა მიადგებოდეს რა, არა მოსაკრებლობა, არც ჩუენით კარით გამოსრული არა ეთხოვებოდეს რა. ეს მამული გლეხები და სასახლეები ასრე შემიწირავს, რომე ჩემი ნაშოვნი და სამკვიდრო არის, არას ჩემს ნათესავს და არას ჩემს გვარის კაცს ამაშიდ კელი არა აქვს. ასრე უსარჩლავად შემიწირავს და უცილებლად და ვერა ჩემა გვარის კაცმან ჩემის სახლის კაცის მეტმან ამაშიდ კელი ვერ დაიდვას და არც [სასა]რჩლო არის და აწ ამ კაცების ბეგრისაგან ხუთს ცხვარს და ერთს კარს, ათს კოდს პურს და ათს კასრს ღვინოს გლეხები გამოიღებდეს ბეგრისაგან და ერთს კარს წინამძღვარი გამოიღებდეს. ამ ხუთის ცხვარითა, ორის კარითა, ათის კოდის პურითა და ათის კასრის ღვინითა ყოველს ღთისმშობლობას დ---[წ]ინამძღვარი ალაპს გვიზემდეს, თვითონაც ჟამს გვიწირებდეს და რაც ბარშიდ ხუცესი იყოს, ყველას მათაც ჟამს გვიწირვინებდეს და საწირავათ ცხვრისა და კარის ტყავს გაუყოფდეს და რაც ბარის სოფელს გლეხი ესა-

ხლოს, ყველას თითოს კაცს დაიხვედრებდეს, ასმევდეს, აჭმევდეს და შენდობას ათქმევინებდეს და ცოცხალს დაგვლოცვიდენ და თუ რამ ამ კორცსა, პურსა და ღვინოს---ოდეს საბრალოსა და გლახაკს აჭმევდეს და მისცემდეს . . (წყდება) აწე გამოი[ღებ]დეს ალაპისთვის ბეგრის----პურისაგნ და ცხვრისაგნ ორს კოდს პურს, ორს---

**1667—1673 წ** ამ წლის უნდა იყოს მიცემული ლევან III დადიანის მიერ დავით ნემსაძის კათალიკოზად დამტკიცების წიგნი, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 32, თეთრს ქაღალდზე, ზომით 40×16 სანტიმ ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ 2 წერ.. დავითის კათალიკოზად დამტკიცება მოხდა 1673 წ.

ქ. თავად დაუსაბამოსა დამბადებელის ღთისათა და [ანგელოზ]თა მისთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და [შ]უამდგომლობითა ესე საბოლოვოდ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან ლეონ და თანამეცხედრემან ჩუენმან მეფისა ასულმან დედოფალმან ბატონმან თინათინ და ძემან ჩუენმან მანუჩარ თქუენ კაზს ნევსაძეს ბატონსა დავითს, ასრე და ამა პირ სა ზედან, რომე მოგვადექით კარსა და დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გავსინჯეთ დოდიალ (sic) თავ დადებ ჩუენი ნამსახური და ნაერდგულევი იყავით ჩუენზედ და ბატონის მეფის ნება დართულობითა ავიღეთ და კათოლიკოზობა მოგართვით გვიბოძებია და გიბედნიეროს ღთმან ჩუენსა ერთგულობაშიდ, ასრე რომე რომელიცა სხვას კაზს დადიანისაგან კითხოდეს ამ ოდიშის ქვეყანას, აგრევე ჩვენც ისრე გკითხოთ და თქუენად შეუკითხავად არცა რა თქუენი საკითხავი საქმე რამ ვქნა და არც უთქუენოდ ეფისკოპოზსა და წინამძღვარს გაუწყრეთ და გარდავაგდოთ და მოგახსენოთ და როგორათაც თქუენ მოგვახსენოთ, ისრე ვქნათ. ამას გარეთ რჯულიერს საქმეზედ და სამართლით ან ეფისკოპოს შესწყრეთ და წინამძღვარსა და ან ერის კაცსა, ჩუენ იმას არ მიუდგეთ და თქუენ მოგიდგეთ. ამისად გასათავებლად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდებად მოგვიცემია თავად ღ̃თი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქუეყნისანი, კორციელნი და უხორცონი. არის ამისი მოწამე და შუამავალი ჭყონდელი ცაგერელი ბატონი გაბრიელ, ჩვენის სახლის უფროსი და ვეზირი ლიპარტიანი კაცია და კარის მესუმრები (sic) ჩუენი გოშოძე ზვიადი და მელია ოთარი და ხელიცა გულის მართლით ჩაგვირთვს, მეღვინეთ უხუცესი ლუარსაბ.

ხვეულად: ლევან, თინათინ

**1675 წ.** შეწირულობის წიგნი ლევან III დადიანისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 7, თეთრს ქაღალდზე ზომით 116╳25 სანტიმ., ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია. სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 489—490.

....(შემდეგ გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობისა)... ჩვენ სრულისა ოდიშისა და აფხაზეთისა მპყრობელი მქონებელმან დადიანმან პატრონმან ლევან და თანამეცხედრემან ჩვენმა მეფეთმეფისა ასულმან დედოფალმან პატრონმან თინათინ და პირმშომან ძემან ჩვენმან მანუჩარ და ძეთა ჩვენთა და მომავალთა ყოველთავე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და მობრძანდით თქვენ კ̃ზი ბატონი ღ̃თ, დაგველაპარაკენით და ძველადგანცა ხობი ბიჭვინტისა ღთის მშობლის შეწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან გამოხმოდა. აწე საკანონო საქმე დაგვედვა, ნათესავის სისხლში გავერიეთ და მობრძანდით თქვენ კ̃ზი ბატონი დავით ნემსაძე და ჭყონდელ ცაგერელი ბატონი გაბრიილ, როგორათაც ჩვენი ერდგული იყვენით, იმისთანა საქმე გვირჩიეთ და ჩვენის სულის სახსრად და საოხად და ცოდვათა ჩვენთა აღსახოცელად და ძეთა ჩვენთა მანუჩარის აღსაზრდელად და კელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებლად, ასე რომე ჩვენს ბატონობაშიდა მრავალი საკანონო საქმე იქნა და შემოგვიწირავს მცირე ესე და კნინი შესაწირავი ხოფი ორი სასახლითა, სხულებითა, და ხორგითა სულა მათის შესაულითა და გამოსაულითა, უძებრითა და საძებრითა, მისის ყოვლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფერის სამართლიანის საქმითა. ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაზარგანი ვაჭარი სახობოს კაცისას დადგებოდეს და სხვა რომელიც სარგოის იყოს ხოფისა ღუთისმშობლის შეწირული, ყველა ისრეუ შეგვიწირავს. შეიწირე მცირე ესე შესაწირავი შენ შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო, ბიქვინტისა ღუთისმშობელო, ასე რომე კათალიკოზს ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არ ქონდა, რომე დღესასწაული გარდაეხადა. ხან ერთს ეფისკოპოს ჩაუდგებოდენ შინ და ხან მეორეს, ებისკოპოზები მწეთ გარჯით იყვნენ და ამისთვის შეუსწირეთ, რომე როდისაც კ̃კოზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა, ჯვარსა და ომფორსა იქ დაასვენებდეს და სასაფლაოთაც ის შეგვიწირავს, იქ გაიკეთებდენ და გავაჩინეთ ამისთვის, ვინცა ვინ კ̃ზი იყოთ და ოდიშს ბრძანდებოდეთ, ხარების დღეს ჟამს გვიწირეუდეს ჩვენი სულის საოხად და სახსრად კარსგალებულს (sic) ალაპს გვიზემდის. თუ იმ დღეს ოდიშს ვერ დაესწროთ, ამ თორმეტს საუფლოს დღეში იმ საყდარს ჟამს გვიწირეუდით, რათა არა განვარდეთ სასუფეველისაგან. ესე მამული, საყდარი და სასახლე ასე გარიგებით ბატონის კ̃ზის დავითისათვის მიგვიბარებია (გრძლად წყევა შემშლელთა ზედა)... დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს სამას სამოცდა სამს. არის ამის მოწამე ჭყონდელ ცაგერელი ბატონი გაბრიილ, ჩიქუანი კაცია, ბეჟანი ლოლაბერიძე, კარის ჩვენისა მესტუმრე ოთარი მელია.

ხვეულად: ლევან, თინათინ.

**1678 წ.** საფიცრის წიგნი ბეჟან ყიფიანისა, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 68, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ოროლი წერტილია.

(გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ).... ესე... საფიცარი და პირი მოგართვი მე ყიფიანმა ბეჟან თქვენ გენათელსა ბატონს გედეონს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ნიშანი მემართა თქვენი და სხვა ვერა გიშოვეთ რა და მაშინა ყიფიანისოული მოგართვით მიწა საყანა (sic) ცხრა თავი ასრე: არას̃ძეს კაცისას ამ საქმეზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთან ხელი არ აქვს... კაცთაგან არის ამისი მოწამე პაატა მ--კძე, გელათის კანდელაკი გიორგი, მგალობლი დათუნა, ჩხეიძე ბედან... და მე ჭიჭინაძეს მღრდელს დამიწერია ქკნსა სამას სამოცდაექვსსა და ამა წიგნის დაწერაზედ მთავარ ებისკოპოზი საყვარელიძე სვიმონ თან დაგვესწრა და მოწამეცა არის ამისი.

აქ ჯვარია დასმული.

**1675—1680 წლ. ახლ.** ამ წლის ახლოს უნდა იყოს მიცემული ჭყონდიდელცაგერელ ბედიელის გაბრიელ ჩიქვანის მიერ საბუთი ცაგერის ტაძრის გლეხის ამოყვანის შესახებ. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

....წმინდაო გ̃ი სუჯუნისაო ჩვენ... ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჭყონდიდელ ცაგერელ ბედიელმან ჩიქვანმან გაბრიელ.. შემოგწირეთ მცირე ეს შემოსაწირავი ოდიშარია ხუხუ თუთარია, ხუხუსშვილი გოგილა და გელი და ბიძუა და მიამია მათის ცოლშვილით.. ა̃ე რომე პირველად ეს ოდიშარია პეპუნა ჭილაძეს შემოეწირა თქნთვის მესანთლეთ და მესაკმევლეთ, მერმეთ ეს ხუხუა ოდიშარია ბანძის ომზედ დაკარგულიყო და კაცია ჭილაძეს დაეხსნა. კაცია ჭილაძე მოკუდა და მე ნიშნისათვის კარს მოვადექი და ნიშანი ვსთხოვე. ნიშანი კარგი მომცა, მას ეკადრებოდა იმისთანა, მაგრამ არ ვინდომე და ეს ხუხუა ოდიშარია მისი ცოლშვილით ნიშანში გამოვართვი, ეს გლეხი ისრევე გაგისრულე. ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია ჭილაძეს მსახურებდა... მართებს ხატის ათი ლალარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი, სხვა ამის მეტი არაფერი ამას არ მართებს, არც ლაშკრობა, არც ნადობა, არც შინაყმობა, არც მუახლობა, არც სხვა საქმრობა, არაფელი სხვა უდიერობა ხატის სამსახურის მეტი არა მართებს რა, სხვა კაცისაგან ხელი არ ქონდეს. რამანც კაცმან ანუ ხელმწიფემან, დიდმან კაცმან ანუ აზნაურმან ანუ გლეხმან ეს ჩვენგან შემოწირული და გარიგებული საქმე წმინდა გ̃ის და ანუ ამ გლეხის ანუ კაცის გა-

ყიდვით ანუ ქალის გაყიდვით ანუ სხვა უსამართლო წართმევით ამ ოდიშარიას მოეკიდოს, მასამცა გაურისხდება თავად ღმერთი და ყლნი მისნი წა˝ნი ზეცისანი.... დამიწერია სეხნია ქვარიანს და მოწამეცა ვარ ამისი.

ბეჭედი

**1682 წ.** შეწირულობის წიგნი აფხაზეთის კათალიკოზის დავით ნემსაძისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 16, დაწერილი ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება ორი წერტილი.

ქ. ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან ნევსაძემ პატრონმან დავით შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი თქვენ საშინელსა ცათა მობაძავსა და ქერაბინთა უწმიდესსა ბიჭვინტისა ღთისამშობელსა ეჯიბია კკოლაი (sic) და მისი ცოლი, ასრე რომე ფარემუზს ანთიას ხვანდა (sic). ჯერ მინანდვი და მერმე ფირან მხეიძემ დაიჭირა და გასაყიდლად მოინდომა და წამოუვიდა და ბიჭვინტისა ღთისმშობელს და ჩვენ შემოგვეხვეწა. გავსინჯეთ და ყმათ არც ანთიას იყო და არც ფირანის, სადადიანო კაცი იყო, დავიყვნეთ (sic) და ბიჭვინტისა ღთისმშობელს შევსწირეთ, მას ჟამსა ოდეს გიორგიმ გურიელმან იმერეთი, ოდიში დაიჭირა და არც მან დაგვიჭირა და მისის ბრძანებითა შევგვიწირავს. აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ დადიანმან ან დიდმან და ან მცირემან შენ, ბიჭვინტისა ღთისმშობელს, შლაად და ქცევად და გამოხმად კელ ჰყოს, მასამც რისხავს დავად (sic) დაუსაბამო დამბადებელი ღ˝თი, მამა ძჱ და წმიდა სული და ყოველნი ანგელოზნი მისნი.... არის ამისი მოწამენი სრულა საკათალიკოზო აზნაურისშვილები და მე იესეს მდივანსა დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქორანიკონსა ათას ექუსას ოთხმოცდაორსა.

ჴელრთვა: კ˝თლკზი (აკურთხეველი ჯვარით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1685 წ.** შეწირულობის წიგნი მეფის ალექსანდრე IV-ისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 29, თეთრ ქაღალდზე ზომით $37\frac{1}{2} \times 16\frac{3}{4}$ სანტიმ., ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

ქ თავად დაუსაბამოს და დაუსრულებელის დამბადებლის ღმრთისათა მამისა ძისა და სულისა წმინდისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიანთ (sic) ჩვენ ღთივ აღმატებულმან და ღთივ დამყარებულმან, ძლიერმან და უძლეველმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, ოდიშისა და გურის მპყრობელ მქონებელმან მეფეთმეფემან ბატონმან ალექსანდრემ, ძეთა ჩუენთა ესე აუარებელი მტკიცე შეუცვალებელი, სიტყვით სულქმნილი (sic), საქმით საბოლოოდ გასათავებელი წყალობის ფიცი, პირი და წიგნი მოგართვით თქუენ ჩუენსა ერდგულს, თავდადებით მამისა და პაპის ჩუენის ნამსახურს ჩრდილოსა და აფხაზეთის კზს ნემსაძეს ბატონს დავითს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ფეშქაშიც კარგი მოგვართვით, როგორათაც ჩუენი გული შეჯერდებოდა, მიქვინტისა (sic) ღთისმშობლის შესაწირავად ორი გლეხი გვთხოეთ და მოგართვით, ერთი კვამლი კაცი ახალდაბას კუბლუასშვილი ნასხიდაი და ორი მისი ერსახლი ძმები და მეორე გლეხი ხრესილზედ გიორგა ობოლაძის შვილები კაცია, ზაქარია, ხახუტა, გიორგი და ქრისტეშია. ეს ორი მოსახლე გლეხი მათის ცოლშვილითა, ერსახლის ძმითა, სახლკარითა, ჭურმარნითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, საყანითა, სათიბით, საძოვრეთა (sic), ეკლესიას სასაფლაოთა, წყლითა და წისქვილითა, საძებრითა და უძებრითა დღეს რისაც მქონებელი იყოს მისის სამართლიანის ყოვლისფერითა მოგვირთმევია..... არის ამისი მაშუალი და მოწამე აბაშიძე პაატა, სახლითუხუცესი დედოფლის ჩხეიძე როსტომ, მდივანი ქაიხოსრო, მაჭავარიანი ქაიხოსრო. დაიწერა ბძანება ესე ქკას სამას სამოცდაცამეტსა ხელისა (sic) ჩუენის კარის მდივან მწიგნობარის თავაქარაშვილის ელიზბარისათა.

ბეჭედი წარწერით: მონა ღვთისა მეფე მამუკა (sic) ტოა (უკანასკნელი, ქორონიკონის მაჩვენებელი, შუაშია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**1660—1685 წ.** პირობის წიგნი, მიცემული ჭყონდიდელ ცაგერელ გაბრიელისადმი. ინახება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში და ცუდ პირის მიხედვით.

- - - - . ესე აუარებელი მტკიცე, შეუცვალებელი, საბოლაოთ გასათავებელი ფიცი, პირი და წიგნი მოგართვით ჩვენ გელოანმა ირინემ და ზურაბ თქვენ ჭყონდიდელ ცაგერელს ბატონს გაბრიელს, ასე და ამა პირს ზედან რომე თუ თქვენ თქვენი ყმა ფოჩიანი ჩვენს ალაგზედ დაასახლოთ, ბეგრის მეტს სხვას ჩვენ იმ კაცისას არას შემოგეცილოთ. მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქვენი იყოს და ბეგარას ჩვენ მოგვცემდეს. როდესაც მოინდომოთ თქვენის ყმის აყრა და აყაროთ და წაიყვანოთ, არავინ არ მოგიშალოთ, უსაყვედუროთ მოგართვათ და რაც მისი ნამუშაკევი პური და ღვინო და თეთრი ქონდეს, არ მოუშალოთ . . . . - - -

**1680—1685 წ.** ამ წლის ახლო ხანებში, უკეთ მე XVII საუკ მეორე ნახევარში უნდა იყოს მიცემული ხელის მიხედვით სვიმონ ნიკორწმინდელის შეწირულობის წიგნი, ნიკორწმინდის საბუთთაგან № 24, თეთრს ქაღალდზე დაწერილი.

. . . . მთის მთავარმოწამეო წმინდაო გ̃ი, ჩვენ შენ მიერ გულსმოდგინებით ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ ჩვენ წულუკიძემან ნიკოლაოზწმინდელმან სვიმონ, მოვეგენით გონებათა ჩვენთა და კადრეთ და შემოგწირეთ კნინი და მცირე ესე შესაწირავი შავრას გლეხი დვალი ნასხიდა მისის ყოვლისფერით, ასრე და ამა პირსა ზედა რომე ლაშხიშვილის ყოფილიყო, ლაშხიშვილს ლომინ ერისთვისაგან გამოერთმეოდა და ერისთვისაგან ჩვენ გვიყიდია და ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს, რაც შავრს ლაშხიშვილს ქონებოდეს და ერისთავს ჩვენთვის მოექრთამებინოს ან გარეშე პარტახტები ან ციხე ან ნაფუძვრები ან ან (sic) შიგნით ან გარეთ რისიც მქონებელნი შავრული დვლები ყოფილიყონ მთითა და ბარითა, ტყითა და ველით, საწისქვილოთა და საფლავით, სათიბითა და სახნავით, მათის ყოვლის ფერით შემოგვიწირავს და დაგვიც ბეგარა და გამოსავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი და ასრე მოგვიხსენებია ერთი შამახური (ეს სიტყვა წაშლილია, სხვა მელნით აწერია: ლიტრა) სანთელი, ერთი მარჩილის (ეს სიტყვა წაშლილია. ამის მაგივრათ მხვა მელნით აწერია: კარგი) ცხვარი, ერთი კოდის დამცხვარი პური, ერთი შაურის საკმეველი (ეს 3 სიტყვა სხვა მელნით ჩამატებულია) თქვენსა ტაძარს მოვიდოდეს, სანთელი და ცხვარი თქვენ შემოგეწირდეს, მარიობის წინ დღეს დეკანოზი ჩემად სულის სალხინებლად ჟამს მიწირებდეს და ცხურის საწესოს და ტყავს და ოთხს პურს დეკანოზს მიართმინდენ და ერთს მხარს ცხვრისას და ოროლს პურს ხელოსნებს მიართმინდენ (sic) და სხვას რომელიც ხატის კაცი დაესწროს, მას დახარჯებდენ და მე შენდობით მომიხსენებდენ. ეს გლეხი ასრე ხელშეუვალად შემოგვიწირავს, რომ თუ მსახურის ხატსა და მის საყდარს, თვარამ ჩვენ არც ვ ლაშკროთ და არც ვანადოთ. ესე ასრე გაგვირიგებია, დაგვიწერებია ბატონო წმინდაო გ'ი.... (წყდება)

**1660—1690 წ.** ამ წლებში დაახლოვებით უნდა იყოს მიცემული შეწირულობის წიგნი მერაბ წულუკიძისა, რომელიც გაზრდილი იყო ლევან II დადიანისა. ის დაცულია ნიკორწმინდის საბუთებში № 53 და დაწერილია თეთრს ქაღალდზე. ბოლოში საბუთი დაზიანებულია.

(გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ) . . . მე . . წულუკიძემან შემოგწირე შენ ცათა ურცეველ (sic) ბიჭვინტისა ღთისმშობელსა მცირე და ცნინა ესე შესაწირავი გუშტაბი ორის კვამლის კაცთა გუგუტა შვანგირიძე შვილთა და შვილებითა მიწა მამულითა, მისის სიმართლიანის საქმით, მეორე კვამლი კაცი ჩამჩაძე (ეს სიტყვა სხვა მელნითაა დაწერილი), ერთი კაცი ეზიას დახსნილია, ცოლშვილი და ძმისწული ყველა ხატისათვის შემიწირავს, ეზიას კელი არა აქვს რა, მიწიანათ ხატისა არის. ამას გარეთ სამი პარტახი სხვა არის ხატისა, ჩვენ მამუკა (ეს სიტყვა სხვა მელნითაა) ჩხეიძისაგან გვიყიდია, ორასი მარჩილი, ორი ტყვე მიმიცემია და ორი გლეხი (ეს 3 სიტყვა ჩამატებულია), ორმოცი მარჩილი შუამავალისათვის მიმიცემია, მე ბიჭვინ-

ტისა ღთისმშობლისათვის შემიწირავს გუშტიბის სასახლე გლეხუ-ბით, მიწა მამულითა, ტყითა, ველითა, წყლითა, სანადიროთა, რაც გუშტიბის შემავალია მისის ყოველის ფერის სამართლიანის საქმით და არც არა იოსელიანსა აქვს ამაშიდ კელი. (აქედან სხვა მელნით) ჩვენის სულის სახსრად და საოხად შემიწირავს მე, ჩემის მოძღვრის ზებედეს კელთ შემიგდია, ვერცა მოურაობას შეცილება კაცი, ისრე კელთ მიმიცემია. შეიწირე ბიჭვინტის ღთისმშობელო, ვითარცა შეიწირე ორნი მწლ ვილი ქვრივისა. აწ და რაჟამსცა ძემან კაცისამან ეს გუშტიბი ბიჭვინტისა ღთისმშობელს გამოსწიროს ან ამოსაწყვედად მოინდომოს ან მეფემან ან დადიანმან ან თავადმან ან აზნაურმან ან დიდმან ან მცირემან, დამცაედების კეთრი გეზის, შიოვ ლი (sic) იუდასი, მეხისტეხა დანთქმა დისოსკორესი (sic) და დათან და აბირონის.........(წყევა).

**1673 – 1696 წ.** პირობის წიგნი კაცია იაშვილისა დავით კათალიკოზისადმი, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 62, დაწერილია თეთრს ქაღალდს. თავში და ბოლოში საბუთს ცოტა აკლია.

---....ესე საბოლაოდ გასათავებელი ფიცი, პირი და წიგნი მოგართვით თქვენ კზს ნევსაძეს ბატონს დავითს ჩვენ იაშვილმან კაციამ და მხეიძის ქალმან თინათინ და ჩვენმან შვილმან სვიმონ, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე შათირი ობოლაძე სხვის პირობაზედ თათარს დაეჭირა და მერემე (sic) ჩვენ დავიხსენით და თქვენ იმისი დახსნა მწვედ გვიწყინეთ და კიდეც გუწყევლეთ და შეგვაჩვენეთ და შეჩვენების შეგვეშინა და შათირი ობოლაძე ისრევ დაგანებეთ აწე ეს პირობა მოგვიცემია, დღეს ამას იქით ჩვენ და ჩვენმან შვილმან არც ბიჭვინტის ღთისმშობელს შეგეცილოს და არც არას კათალიკოზს ამ შათირსა და მის სახლის კაცს ედავოს, ჩვენს სიცოცხლეშიდ არც ჩვენ და არც ჩვენი შვილი და სახლის კაცი ამ შათირს ობოლაძეს არას გედავოს, ისრე დავხსნივართ....არის ამისი მოწმენი თავს (sic) ბატონი მოურავი ბეჟან, ქაიხოსრო მაჭავარიანი, ქაიხოსრო იაშვილი და შუამავალიცა ის არის [ხუცი: ჟუჟატ?) და მისი ძმა დათუნა და ნასხიდა გამკერია სრულ---

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1700 წ. ახლ.** ამ წლის ახლოს ხანში ანუ უკეთ მე-XVII საუკ. დასასრულს ან მე XVIII საუკ. დასაწყისს უნდა იყოს მიცემული შეწირულობის წიგნი ეფთიმე ხოფელისა, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 44. საბუთი, დაწერილი ქაღალდზე, ფრიად დაზიანებულია. ფრჩხილებში ჩასმული შევსებულია პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

[დიდებულო ქალწულო უვრცელესო ცათაო და უწმიდესო ზეცისა მხედრობათაო და ყოვლისა სიმტკიცე და ზღუდეო ხელის ამპყრობელო და მრხინებელო (sic) ქრისტიანეთაო, შემიწყალე და სახიერ მექმენ] ღუთისმშობელო, რამეთუ დედასა ღმრთისსა შემოგწირე შენ ცეთა მობაძავსა ხოფისა ღმთისმშობელსა მცირე ესე და კნინი შესაწირავი. შემოგწირეთ ერთი კომლი კაცი, წალენჯიხელისაგან ვიყიდე როსთომია ამინათაი, მისი ძმა ურცხალაი მათის შვილებითა, მათის სახლის კაცითა, მისის ეკლესიითა, სახლკარითა, მიწამამულითა, შესავალითა და გამოსავალითა, ტყითა, წყლითა და ველითა, უძებრითა და საძებრითა ყოვლის ფერითა. [შემო]გვიწირავს ხოფისა ღმთისმშობლისათვის ჩვენ მთავარეპისკოპოზმან ხოფელმა ეფთიმი ფალავამ ჩვენთვის სახსრად და სულისა ჩვენისა წარსამართებლად მას დღესა განკითხვისასა, რათა შემაერთოს მარჯვენათა მათ ცხოვართათა და განმაშოროს უხილავი იგი მტერი. აწე ვინცა და რამანცა [ძე]მან კაცისამან ეს ჩვენგან შეწირული გლეხი შე[ნ გა]მოგწიროს, დიდმან ანუ მცირემან ან დადიანმან ანუ დედოფალმა ან ეპისკოპოზმან და ან თავადმან [ანუ აზ]ნაურშვილმან ან გლეხმა ამისდა შლად ქცევად და გამოხმად ხელყოს, მასამცა რისხავს თავ[ა]დ დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი, მასამც ედების ცეცხლი გეენისა, კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, მეხის ტეხა დიოსკორესი, [დათქმა დათან და აბირონისი, ნურას ქველის საქმითა იქმნების ხსნა სულისა მისისა, ნურცა წირვითა, ნურცა ლოცვითა და ნურცა გლახაკთა მიცემითა და დამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს, მომშლელნი ამისნი ღმერთმან მოშალოს, ამინ, ამინ და ხელიცა ჩაგვირთავს].

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1696—1700 წ.** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი მერაბ წულუკიძის შეწირულობის წიგნი ბიჭვინტის საბუთთაგან № 85, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 43×31 სანტიმ. ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

. . . ჩვენ ცვაფარ-ვათა შენთა მინდობილმან სასოებით მორწმუნემან და მოწლედ თაყვანისმცემელმან წულუკიძემან ბატონმან მერაბ და თანამეცხედრემან ჩვენმან აბაშიძის ასულმან ბტონმან დ-რეჯან ვინებეთ, ვიწადეთ და ვიგულსმოდგინეთ, მას ჟამსა ოდეს დიდი და ყოვლად ქებული ჩრდილოსა და აფხაზეთისა პატრიაქი კზი პატრონი გრიგოლი რაჭას მობრძანდა და სასაფლაოს ჩუენსა ნიკოწმიდას ალვიდა და რაოდენნი უწესოებ-ნი იხილნა, კეთილად და წესიერებად შეს-კვალნა, უადრესისაგან უარესად სრულ ჰყო, ვითარცა შვენოდა პატიოსნობასა მისსა. მაშ-ნ შემ-გწირეთ აქ რაჭას ივანა თევზაძე მისით ცოლშვილებ-თ, მისით მიწა ალაგ მამულით, ყოვლით მისითა უძებარ საძებრით. მეორე კვამლი კაცი მამუკა ნამგალაძე მისითა ცოლშვილებით, მიწა ალაგ მამულით, მისით ყოვლით უძებარ საძებრით. ეს ორი კვამლი კაცნი მათ მათის ბეგრებ მართებულით ყოვლ-თურთ შენთვის შემოგვიწირავს და ყმად ბატონის კზის გრიგოლისთვის მიგვირთმევათ და ხიმშს ვენახი პეტრე დონაძის სეული ჩუენს მზვარეს (sic) აკრავს, ისიც შემოგვწირავს. შეიწირე მცირე შესაწირავი ესე დედოფალო ღთ-სმშობელო მარად-ს ქალწულო მარიამ, ამა შესაწირავისა მცირისა მ-გიერ ნაცვალად ყოველსა მოქცევსა წელიწდისასა ბატონი კზი ჟამს გვიწირევდეს ჩუენის ცოდვილის სულისათვის და ბტონის აბაშიძის ქალის დარიჯანის სულის სახსრად დ- საოხად. ესბატონი კზი გრიგოლ და სხვანიც ამის შემდგომნი კზნ- ყოველსა წელსა ჟამს გუიწირევდენ, ჩუენს პ-რობის მოკვეთის კანიანს ქვეშე ნუ შევლენ.

ხვეულად: მერაბ, დარეჯან. -ქვე ორი ჯვარია დასმული.

სხვა ხელით: რომელმანც ჩვენმან შემდეგმან კზმ-ნ ჩვენს შემდგომად წულუკიძეს მერაბს და აბაშ-ძეს ქალს და-იჯანს წელიწა-შიდ წირვა მოუშალოს და არ სწიროს, ჩვენს კანონს ქვეშე იქმნების, ამინ.

**1701 წ.** გიორგი ლიპარტიანის შეწირულობის წიგნი ცაგერის ტაძრის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

ჩუენ თქუენ მიერ გამდიდრებულმან, ღთივ აღმატებულმან ოდიშისა და სალიპარტიანოს მპყრობელმან ლეჩხუმისა და საინასარიძოს მჭირავ მქონებელმან, იმერეთის სარდალმან და თავმან, სულ სვანეთის კლიტემან, დადიან ლიპარტიანმა ბატონმა გიორგიმ და პირმშომან ძემან ჩუენმან კურთხევით კურთხეულმან დიდმან მამამთავარმან ჭყონდიდელ ცაგერელმან ბატონმა გაბრიელ ვიგულისხმეთ და ვიგულისმოდგინეთ, შემოგწირეთ მცირე და კნიში შესაწირავი ესე იაშვილი სვიმონ, ასე რომ ამ სვიმონს მხეიძის კაცი ხახუტა ასათიანი ეშმაკის მანქანებით შემოაკვდა. ახლა სულ იმერელმან ჯარმან და დარბაისელმან ილაპარაკეს და იაშვილმან ასათიანს ვერა უპასუხა რა და სიმტყუნე დაედვა, ვეღარც სისხლის გარახდა შესძლო და მისის ყ́ლის ფერიანად ასათიანს ეს იაშვილი მიხვდა ახლა მოვიდენ ჩუენსა წინაშე ამისი ძმანი და მოყვასნი, შემოგვეხვეწეს დახსნას ამისას. ამათიც შეხვეწნა ვისმინეთ და კიდეც ჩუენს დასამხარს ალაგს ესახლა და ჩვენ ხუთასი მარჩილი მშრალი თეთრი გამოგვილია და დაგიხსენით და ჩუენ ჩუენად აქ სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად, ძეთა ჩუენთა წასამართებლად, ჩუენის სულის საოხად შესავედრებლად მისაშინელსა (sic) ცაგერისა ღუთისა მშობლისათვის და მის მიერ ხვამლის წმინდისა გიორგისათვის სვიმონ იაშვილი მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ყმითა და გარეთ გლეხებითა დღეს რისაც მქონებელი იყო, მისის ყოვლის ფერიანად შემოგვიწირავს და ყმად თქუენი იყოს და სამსახური ძეთა ჩუენთა ჭყონდიდელ ცაგერელს ერგებოდეს.... დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა სამას ოთხმოცდაცხრას კარის მდივნის მიშველიას ხელით.

ბეჭედი.

**1689—1701 წ.** მამია დადიან-გურიელის შეწირულობის წიგნი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 11, თეთრს ქაღალდზე ზომით $38\frac{1}{2}\times$

30½ სანტიმ., ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ [illegible] წერტილია.

.... ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან, სიწმიდისა შენისა მიახოებელმან, ძლიერებითა შენითა მადიდებელმან და კაცთ მოყვარებისა შენისა მაქებელმან, კაცთა ბუნებისა ჩვეულებითა ცოდვითა შებღალულმან და აურაცხელთა ბრალთა ჩემთა შენდობისათვის შენმან მორუდუნემან კელმწიფეთ კელმწიფემან დადიან გურიელმან პატრონმან მამია ვიგულვე, ვიგულსმოდგინე, ვიგემე, ვიწადე და ვიჯერჩინებეთ, ასრე და ამა პირსა ზედან რომე ხორგას ნაპარკაო სასახლე ცხრა კვამლის კაცით კათალიკოზს დავითს ნემსაძეს წულუკიძისაგან ეყიდა და მას გარეთ სხვა ეყიდა თუ წირვით ეშოვნა, ჩვიდმეტად კვამლს კაცად გაეხადა, ხვასკალია ხაზავა, ბაბადიშაი ხაზავა, ჯუბილეი მოჯალაბე, კიდე თოხულარა მოჯალაბე, ქუჩე დასტურაია, თომიხილი დასტურაია, კოჩილეი დასტურაია, მორდებული გიგიბერია, ხვიჩა ხოჭოლავა, ინაუხუ ლეფანავა---ალა ბერაია, ბაძლალა ბერაია, ბატკა ბერაია, დიაკონი ბერაია, ერთი ბერი კაცი მარტოხელი ქაშაგია, ქოჩუა მერცხულავა, მამახუტა წულაია, კიდე ზემო ხობს ბიბია ბორქვაია, ხოსია სიჭინავა. ესენი კათალიკოზს დავითს თქვენთვის შემოეწირა და მასუკან ჟამთა ვითარებისა მიერ გამოგწირდათ და სადადიანოდ გამხდარიყო და რადგან ბედნიერმან ხონთქარმან დადიანობა და ოდიში ჩვენ გვიბოძა, ჯერ იყო ჩემ მიერ ძალისაებრ ჩემისა სამსახური, ქველის მოქმედება და შემოწირვა, არა ხ˝ თუ მოკლება და წარსამართებელად და ამა სოფელსა საფარველად შენ მომიგიე მტერთა ჩემთა ზედან გასამარჯვებელად და ორგულთა დასამხობელად, ჩემდა სადღეგრძელოდ და ჟამიერ მყოფელად, შვილიერ მყოფელად. ხ˝ საუკუნესა მეორედ მოსლვასა ძისა შენისასა სულისა საცხოვნებლად ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს.... (ვინც შეშალოს კელმწიფემან ანუ თვითმპყრობელმან, ქალმან ანუ კაცმან, ანუ ერმან თავადმან ანუ აზნაურმნ, დიდმან ანუ მცირემან... წყევა)...

ხვეულად: დადიან გურიელი მამია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**1696—1704 წ.** საფიცრის წიგნი ყვაპუ შარვაშიძისა გრიგოლ კათალიკოზისადმი. საბუთი, დაცული ბიქვინტის საბუთებში № 48, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $42^{1}/_{2} \times 15^{1}/_{4}$ სანტიმ. ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილია. ყვაპუ ქვემოდაბეჭდილ 1705 წლის საბუთში უკვე გარდაცვალებულად იხსენიება.

....ესე საფიცარი ფიცი და წიგნი მოგეცით ჩვენ შარვაშიძემ ყვაპუმ და ჩვენმა შვილმა ავთანდილ თქვენ ქათალიკოზს ბატონს გრიგოლს, ასე და ამა პირსა ზედან რომე ჟამთა ვითარობით ქვეყანა ამოწყდათ და საქათალიკოზო ნაჟანეური და ხირული კაცები ზოგიერთი ჩვენ მოვარჩინეთ ახლა დაგველაპარიკეთ ბატონისშვილი ჩვენი დისწულის შუამავლობით და რომელიც ნაჟანეური და ხირული კაცები ჩვენ გვყავს, თავს ხატისთვის და მემ (sic) თქვენთვის სასამსახურროთ მომირთმევია, თავს ერთი მოსახლე კაცი ზაბადიში კონდარია, მეორე მოსახლე ხუცესი ლუბელაია, მესამე მოსახლე კაკაელიშია, მეოთხე მოსახლე ზუმალეი კოდია, მეხუთე მოსახლე ჯიმადიში უჩაძე, მეექვსე მოსახლე მამაკოჩი სუბუქია, მეშვიდე მოსახლე ხუხუტა ჯგუბურია, მერვე მოსახლე ობოლი ციცორია, მოჯალაბე ბაძლალეი მარკოზია, ამას გარეთ ერთი მოსახლე სახირო მიამია ბიგვავა. ეს ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად როგორც სხვა ქათალიკოზს სახურებდა (sic), აგრე გამსახურროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არც ჩვენგან ამ კაცებს არც აყრით და არც გაყიდვით არა უშავდეს რა. აწ ამის თავდებათ გასათავებლად მომიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი, ქვეყნისანი, უხორცონი და ხორციელნი ამაზე. ამაზე მოწერილის წმინდანთ მადლმან ხელიც მართლის გულით ჩაგვირთავს.

აქ დასმულია ჯვარი.

**1705 წ.** გრიგოლ კათალიკოზის შეწირულობის წიგნი ბიქვინტის საბუთთაგან № 24, თეთრს ქაღალდზე, ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

....(გრძელ ღვთისმეტყველურ წინასიტყვ. შემდეგ) ბიჭვინტისა ღთის მშობელო, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან პატრონმან გრიგოლ ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ ჯიქთუბანს კომლი კაცი ოთხი, მღდელი რაზმაძე გიორგი და მისი შვილები, შენგელია ხუხუა და ჰისი შვილი გაბრიელ, ვახანია ვაგენდია და მისი შვილი ბაბიელეი, მეოთხედ ვერულაშვილი შუშუაი და მისი შვილები, მეხუთე პარტახი, ესენი მათის ცოლშვილითა, ჰურმარნითა, ტყითა, ველითა, სასაფლაოთა, ეკლესის კარითა, წყლითა, საწისქვილოთა, მათის ყოვლის ფერითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი არიან, მათის ყოვლის ფერითა, ასე და ამა პირსა ზედან რომე ჩვენი გაზრდილი მგალობელი ლაზარეს შვილის პეტრეს შვილი გიორგი თანდარუხუს კახიანის შვილმა უბრალოდ მოგვიკლა და მის სისხლსა და ჩვენს საუპატიოს მაგიერ ეს ოთხი გლეხი გამოვართვით და თქვენთვის შემოგვიწირავს. ამ ამ (sic) გლეხებს ოთხოთხი ლორი ემართათ, ერთი დიდი და სამი მომცროანი. აწე იმ სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელ დაგვიც, თვითო შამაჩური ჩვენის ცოდვილის სულის საოხად, ის ერთი უფროსი საკლავი და სხვა ღომ სა და ღვინის ბეგარა რაც ემართა, ისევ მართებსთ. აწე რამანცა და ვინ ძემან კაცისამან ამისად შლად და გამოწირვად ხელყოს ან ჩვენმა შემდგომა კზმა ან ხემწიფემან, ან დედოფალმან, ან თავადმან, ან აზნაურისშვილმან, ანუ მსახურმან, ანუ გლეხმან, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ყოვლის მყრობელი ღ̃თი და ძე შენი მხოლოდ შობილი უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოველნი ანგელოზნი მისნი, წინასწარმეტყველნი და მოწამენი.... დაიწერა წიგნი ესე ქრონიკონსა ტჟგ სა თვე'ა ივნისსა ოცდახუთსა დღესა ორშაბათსა მეექსესა დღისასა.

**1706 წ.** სიგელი აფხაზეთის კათალიკოზის გრიგოლ ლორთქიფანიძისა, დაწერილი ქაღალდზე ზომით 140×20 სანტმ. ნუსხა ხუცურად, დაცულია ბიჭვინტის ტაძრის საბუთებში № 75 თავში დასმულია ბეჭედი გრიგოლ კათალიკოზისა. ნიშნად ფრიად იშვიათად იხმარება წერტილი და სამი წერტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰა ასულოჲ შუენიეროჲ იოვაკიმის ნაყოფოჲ, სიტკბ´იბით აღსვსეო, ანნას მორჩო, რტოჲ გრდაფენილო, სოლომონის ვენაკოჲ, რქაჲ მეწამლო, დთის ყუავილოჲ, დაბადებლთა, სლნელ მყოფლო, იესეს კუერთხო, დ ბით აღყუავებულოჲ, იუდას შროშანოჲ, დაბდებლთა სამკაულო, იაკბის კიბეო, ზეცად მრთ აღმართებაო, ისაკის ვარდო, უბიწოებით აღყუავებულო, აბრაჰამის კვრტოჲ, დბით აღმოფრჩნვილო, სემის დასაბამოჲ, ნთესვითაჲ მშვდობაო, ნოეს სლისა სამოსელოჲ დაულპოლველოჲ, ევაჲს ხთლო და მწუხრებისა უჩინო მყოფლოჲ, ადამის დბ´ო სამოთხეო პირმეტყულო, ღ´ჲ მმისა მხლოსაჲ წინათვე გმოჩეულოჲ და ძისაჲ მხლოსა პლ სკნეთაჲ მმისგნ შობილსა დედად ქწლბით უთესლოდ მშობლდ განწესებლო, და სლისა წისა ტძრო, რ´ნ ერთი სმებისგნი შეიწყნარე და უჴლრეს ყთა გნზთა ქ´ე ძე მხლოდ შბილი ულმობლდ და უხრწნლად შნ გრდამოიყვანე ღ´ი ქუნად და აღიყვანე ადამ ზეცად, შ´ნ აღამაღლე ბნბჲ ჩნი და ც´ლი და დასვ სყდრთა ღმთაებისთა შნ მშვდბჲ ჰყვ შს ღ´ჲ და კცთაჲ ქუნისა და ცათა სისხლითაჲ მისა შნისათა, შ´ნ დაჰკსნ მტროაბჲ იგი პ´ლი რ´ი იყო შ´ს ანგზთა და კცთა, რჲს იქმენ ცაჲ ქუნასა ზ´ან, და მიწისა ზეცათა შნ ნთესვ მოდგომობით ბრწყინვლედ შემზადებლო, შ´ნ ხრ ტაკუკი დბლი, რ´ნ ღჲ იგი მანანაჲ დაიტიე, შნ ხრ სსნთლე იგი ოქროჲსაჲ რ´ლსა ზან ვიხილეთ ნ´თლი დაუსრლბლი, რ´ი გნ ნათლებს ყ´ა კცსა მომავალთაჲ სფლდ და თჳთ მხლოდ ჰგიე მოუკლბლდ და შეუცვალებელად ტაძარსა მაგას სიწისხა, რ´ი პლ შეკმზადა სოლომონ დამტევნელი დაუტევნელისა და ძუელ ოდესმე მოსესგნ მოგასწავა კარვად სამეუფოჲდ ყ´დ წ´ო ც´თა დაუტევნელისა დამტევნელო წ´ო ბიჭვნტისაჲ ღ´ისმშბლო. ჩ´ნ ცვაჲფარვაჲთაჲ შ´თა მანდობილმან, შეწევნისა შნისა მოიმედოვნემნ, ერთგლებისა მსასოებლმნ და მოსავმან სიწიაჲ თქნისამნ ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კზმნ ლორთქიფანიძემნ ბტონმნ გრიგოლ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი თავს ხურგას ნაპარკევის სასახლე მისი წყლითა, ტყითა, ველითა, სსთლაოთაჲ, მპლითაჲ და საყანითა, შესავალ გამოსავლითა, მისის ყ´ისფერითაჲ. მოსახლე კ´ცითვს ერთი აზნაურისშვილი მორდებ გეგებერიაჲ ორის მოსახლე გლე-

ივერიელი

ხითა; მეორე ქუჩუ დასტურაია მისის ძმებითა და სახლკარითა; მესამე მამაში დასტურაია მისის ძმებითა და სახლკარითა; მეოთხე ხოჭოლავაჲ სოგიჯუმა, მეხუთე ხაზავაჲ სარჯელიაჲ; მეექუსე ხაზავაჲ ბაბადიშაჲ. ასე რომე პლ ნემსაძე კზს ბეჟან წულუკიძისაგნ ეყიდა და შეუწირავად დარჩომოდა. კზი გრდიცვალაჲ და დადიანმნ ლიონ დაიჭირაჲ, ის დადიანი რომ გრდაიცვალაჲ, მეორეს დადიანისგნ და ბატონის გ˝ის ლიპარტიანისაგან ჩ˝ნ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ. კიდევ ოთხი მოსახლე ბერაძეები იმავ კზის კლშიდ მიქელაძეს გი˝ს შეეწირაჲ და კზისათ˝ს წელიწადშიდ წირვაჲ დაედვაჲ. კზი გრდიცვალაჲ, იმავ დადიანს გამოეწირაჲ. დადიანი გრდიცვალა, მეორე დადიანისგან და ბატონის ლიპარტიანის გ˝ისაგნ ჩ˝ნ ვიქრთამეთ:. სხჲ მირცხულავა ქოჩუაჲ იმავ კზს ბაბადიში ხახუასგნ ეყიდა და ხატისათს შეეწირაჲ, იმავ დადიანს გამოეწირაჲ, დადიანი გრდიცვალაჲ, ხახუ ჩიჩუას დარჩაჲ და ჩიჩუასაგნ სამა˝ მარჩილად ვიყიდე. კიდევ ქითავაჲ მღდელი გ˝ი ციხისთს შვილს ჩაისელს პაქსიმეს ყვდა, სამკვდრო იყო მისი და მისგნ ჩ˝ნ ვიშოვნეთ მისის მმლითა, შვილიანყმიანათ, მისის ყისფერიანად; კიდევ ლეფონავა ინალუხუ ბატონმნ გ˝ი ლიპარტიანმნ მოგუცაჲ მისის სახლიან კარიანად, კიდევ ხუცესი არცანდია ბატონმნ ლიპარტიანმნ გ˝ი გვბოძაჲ: ხობს სამი მოსახლე კ˝ცი სადადიანო გაჯინედი საარიაჲ, მერკვრიაჲ გ˝ი, ბაბოლქუაძე ბიბია და მისი შვილები პლ იმავ კზს მოეყვანაჲ, ზოგი თათრისგნ დავიხსნით და ზოგი ბატონმნ დადიანმნ გ˝ი გვბოძაჲ. კიდევ ბიას სიჭინავაჲ ხოსიაჲ ხახუ ჩიჩუას საწირავს და ნიშანშიდ ავიყვანეთ, და კიდევ სახარებელდიოს სამი გლეხი, ორი ხოსიაჲ და სარჯელიაჲ იმავ კზს ჯგემორდილი ჩიჩუასთს გრდასახადშიდ გმოურთმევიაჲ და ეჯიბია მუთალა და მისი შვლი დადიანისგნ ეშოვნა და შეუწირავი დარჩენოდა. კზი გრდიცვალაჲ, იმავ დადიანს დაეჭირაჲ. დადიანი გრდიცვალა, ჩ˝ნ ვიშოვნეთ. კიდევ ნაჟანევს სფლი სკზი ნემსაძე კზის კლშიდ აფხაზისგნ აყრილიყო, ყვაპ შარვაშიძეს სხჲ დაეყიდა და ექუსი მოსახლე კ˝ცი ყვდა. ის კზიც ბევრს ედევაჲ და ჩნც, მაგრემ არც მს და არც ჩნ პასუხი მოგუცა. რომ შარვაშიძე მოკუდა, მივედით ჩ˝ნ და ნიშანიც მართებლი ავიღეთ და ექუსი მოსახლე კცის მეტი აღარ იყო და ის წამოვიყვანეთ მისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყისფერითაჲ: ღრუბელაიაჲ ამკსნელი და მისი სახლის კ῾ცი ელ[illegible] ხუტალა და მისი ძმები; კიდევ ელიშია ხუხაჲ და მისი ძმები ზუმალაჲ, კოდიაჲ და მისი შვილები; კიდევ ჯგუბურიაჲ სუბუქიაჲ და ბიგვააჲ; კიდევ ერთი მოსახლე კცი ჯღერიას ნაყმევი პაპაჲ ხუცობავაჲ და მისი ძმაჲ შარვაშიძისგნ სადეო კ῾ცი იყო ჩნი და იმა῾შიდ წამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არმანიაჲ ყვაპსეული კცი მაგიეშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ. კიდევ ელიბახუ ნანაისშვლი ეგურის გაღმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ. კიდევ მა.ხოჯს ბარაბაძე დათვიაჲ, ივანე და ნასხიდა წულუკიძის ყმაჲ იყო და ბატონის დადიანის გ῾ის დარჩაჲ, ვთხოვეთ და ჩნ გვბოძათ. კიდევ კონტუათს რუხუვაძე გუგუტა და მისი ძმაჲ მეფის ხოტივარი (sic) იყო, მეფეს გ῾ის ვთხოვეთ და ჩ῾ნ გვბოძა. კიდევ გეგუთს იაშვილს საკანონოჲ სქმე დაეუვაჲ, დედისაძე დათუნა და მისი ძმაჲ გარდავახდევინეთ და ჩნ დავიკავეთ. კიდევ ჩხარს ტენტერაჲ ოანაჲ აბაშიძეს გისგან ჩ῾ნ ვიყიდეთ, ერთი მოსახლე კ῾ცი ვარდოსანიძე მივეცით მისი მამულიანად და სხაჲ თეთრი აწ ამ გლეხებისათ῾ს სხჲ ბევარას და სამსახურის ჩამოის სანთელი დაგვც ჩ῾ნი ცოდვილის სლის საკსრად და საოხად და ცდვათა ჩნთა შესანდობლად. მართებს მოდებს გეგებერიას და ორს მასსა გლეხს ლოღარიკი სანთელი ოთხი, დასტურაიას ქუქუს ოთხი, მისი გნაყოფს მამაშის ოთხი, ხოჭოლავას მოხელეს სამი, ორს ხაზავას ოროლი ლოღარიკონი, ქოჩუას მირსხულავას ლოღარიკონი ოთხი, გ῾ი ჭითავას ლოღარიკნი სამნი, ეცადია გეგენაძავას ლოღარიკონი ორი, ინალუხუ ლეფ--ავას ლოღარიკონი ოთხი, ხუცეს ბერაიას ლოღარიკონი სამი, სამმნ მოსახლემ ბერაიამ, ბატკუამ და მამაგლმნ დოხვაღიამ ოროლი ლოღარიკონი. ხუცესმნ არცანდიამ ლოღარიკონი სამი, ზეით ხობს გ῾იმ მერკვრიამ ლოღარიკონი სამი, გაჯ--ედის შვილმან საარიამ ლოღარიკონი სამი, ბიბიამ ბოლქუაძემ ლოღარიკონი სამი, ხოსია სიჭინავამ ლოღარიკონი ხუთი, ნაჟანარეულებს გლეხებს უფროჲს უმცროსი ღორი ემართაჲ და მეხადილეს საჩუქარი ემართა, მეხადილისათ῾ს საჩუქარი შევვიწევიათ (sic) და გლეხისათს უმცროსი ღორი და მის მაგიერად სნთელი დაგვც. მართებს ღრუბელაიას ორი ლოღარიკონი სნთელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტალა ელიშიას ორი ლალარიკონი, მის განაყოფს ხუხას ორი ლალარიკონი, ზუმალაი კოდუას ორ ლალარიკონი, ბიგვაას ორი ლალარიკონი, ჯვუზურიას ორი ლალარიკონი, სუზუქიას ორი ლალარიკნი, ნარმანიას ორი ლალარიკონი, პაპა ხუცობავას ორი ლალარიკონი, სმს მოსახლეს ხარაბედიას და ეჯიბიას ოროლი ლოლარიკონი სნთელი მრთებს, სხჲ არა მართებს რჲ ამათ. წულუკიძის კცს მოხოჯს ბარაბაძეს ოთხი დიდი ლორი ემრთა და ორისათს ორი შამახური სნთელი დაგჳც და ორი საკლვი ისევ მრთებს, სხჲ ბეგარას ჩამოის. კონტუატ'ს რუხვაძეს ერთი საკლვი და მისი ქათამი ერმრთა (sic), ერთი შამახური სანთელი დაგჳც მას მაგიერად. გეგუთს იაშვილის ნაყმევს კ́ცს დედისაძეს ლომსა და ლ:ნოს გრდაის ორი სკლვი ემართა და ლორის მაგიერი შამახური ნახევარი სნთელი დაგჳც. ოკრიბას სმი მოსახლე ობოლაძე და ერთი კობლუაშვილი ალექსანდრე მეფისგნ კალიკზს ნემსაძეს ეშოვნა და ბეგარა არ მოეკითხა, ისე დარჩენოდა, ჩ́ნ მოკითხული ვქენით, იაშვილის ყმა ყოფილიყო და დიდი ბეგარა მრთებოდა, მაგრამ ყველას ვერ გამოეკიდეთ (sic), ერთი შამახური სნთელი კობლუაშვილს მრთებს. ობოლაძეს თამაზას ერთი შამახური სნთელი, მის გნაყოფს შათირიშვილს ერთი შამახური სნთელი, ერთი შამახური სნთელი მმუკა ობოლაძეს, ერთი შამახური ზქრიას და მის ძმებს მრთებს. ჩხარს ტენტერას შამახურ ნახევარი სკუმევლი და კობლუაშვილს ობოლაძეს და ტენტერას ბტონის სმსახურის მეტი სხჲ ბეგარა არა მრთებს რჲ, თვნიერ საყდრის სამსახური. ამ მესანთლეს კცეზს არც ოდიშს და არც იმერეთს გასამყოფლო არ ეთხოვებოდეს არც ბჲტნისგნ და არც მოურავისგნ და გლეხი რომ გაიყოფოდეს, სნთლის ბეგარა მთლად გაყვებოდეს. შემოგვიწირავს ჩ́ნ კზს ლორთქიფანიძეს გრგლს და შეიწირე თქნ საშინლო ბიჭვნტისა ღ́ის მშბლო მცირე და კნინი ესე შესაწირვი, ვ́ა შეიწირე აბელის მსხრპლი, ნოეს ძღუჱნი და ორნი იგი მწულილნი ქურივისნი, ეგრეთვე შეიწირეთ თქნ საშინლო ბიჭვნტისა ღ́ის მშბლო მცირე და კნინი ესე შესაწირვი ჩნად სადღეგრძელოდ და სლისა ჩმისა საკსრად და სოხად, რ́ა მომივლინო ძე თქუჱნი ტკბილი ივ ქ́ე და ღ́ი ჩნ́ი დღესა მს დიდსა გნკითხვისასა სკნოდ სსჯელისსა და მიკსნას მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტნჯვლთგნ სჯნეთა. აწ ვინცა და რ̃ჲმნცა ძეჲნ ადამის ნთესვმნ კცთგნნმნ ეს ჩნგნ შეწირლი და ახლად გარიგებლი მოშალოს და შლად და ქცევად კლ ყოს, მეფემნ ანუ დედოფლმნ, დადიანმნ ანუ გურიელმნ, თვდმნ ანუ აზნაურიშვილმნ, დიდმნ ანუ მცირემნ, ებისკპოსმნ ანუ წინამძღრმნ, მსხრმნ ანუ გლეხმნ და ან მეფისა, დადიანის კრის მოხელეჱნ, მოურავმნ და მპასახლისჱნ, ნაცვალმნ და მოხელემნ და კლის უფლმნ და რჲმნცა ძემნ კცისმნ ეს ჩნგნ შეწირლი და ახლად გარიგებლი სნთელი ბიჭვნტისა ღ̃ის მშბლს მოუშალოს და შლად და ქცევად კლყოს, თქნ გაურისხდი საშინლო ბიჭვნტისა ღ̃ისმშბლო და ძე შ̃ნი ტკბილი იჳ ქ̃ე ღ̃ი და წყეულ და შეჩუნებლ ამყოფე ღჲ დაუსაბჲმოს პირისაგნ, რ̃ნ შექმნნა სჯნენი. კრლმცა არს სმკვდრებლი მთი, სლი და კორცი მისი, კრლ, წყეულ და შეჩუცნებლმცა არს სახლი სამყოფი მისი, კრულ, წყეულ და შეჩუცნებლმცა არს პტსნის და ცხვლს მყფლის ჯისგნ, რლსა ზ̃ან განიპყრნა უხრწნელნი კლნი თსნი კსნისათს ჩნისა ქ̃ნ ღნ ჩნმნ. წყეულმცა არის წ̃თა ზეცისა ძლთგნ, წყეულმცა არის ი̃ეს ნთლისმცემლისგნ, კრლმცა არის წ̃თა და ყ̃დ ქბლოჲ მციქლთგნ, კრლმცა არის შვდთა კრებჲთგ̃ნ, კრლმცა არის ყ̃თა ღჲ წ̃თგნ, რნი სჯ̃ნიოგნ სათნო იყვნეს უფლსა ჩნსა იჳს ქ̃ა და აწლა სათნოდ ყოფად არიან აჲა მცნბთა და ჩნგნ შეჲოწირლთა მშლელნი და შემქცევლნი და შემცვლელნი კრლ და შეჩუცნებლმცა არიან ც̃თა და ქნისგნ კორცითა და სლითა, თვითა და ცოლითა და შვილითა და შვილისშვილითა მისითა ერთბილოთა, არისმცა ეს სფლი მისთს მოკლე და უსარგებლო, არისმცა ცოლი მისი ქურივ და მწხრე, შვილნი მისნი ობოლ და შერყეულ და დაცვვნებლ ვ̃ა მრთვენი ყორნისნი, უნაყოფომცა არის ყანა სათესვი, არა არს თესლისა გამომღებლ მამული მისი, უნაყოფმცა და ნუ შეიკრებს მ̃სგნ ნყფსა, წყეულმცა არის მისი ცხენი და ზროხა და ყ̃ი საცხოვარი მისი, ნუცა ეპოვების სახლისაჲ მისისგნ სანუგეშინისცემა, კრლმცა არს თვი მისი მხართა მისთა ზ̃ან, კრლმცა არს მხარი მისი წელთა მისთა ზ̃ან, კრლმცა არის წელნი მისნი თეძოთა მისთა ზ̃ა, კრლმცა არის თეძონი მისნი წყვილთა მისთა ზ̃ა, კრლმცა არის წყვილი მისნი მუკლთა მისთა ზ̃ა, კრლმცა არის მუკლნი მისნი კოჭთა მისთა ზ̃ა, კრლმცა არის

კოჭნი მისნი ფერკთა მისთა ზ˝ა, კრლია ფერკი მისი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა ზ˝ა, კრლ არს იგი ადგილი მისთს, სადა დადგენ ფერკნი მისნი, კრლ არს თლნი მისნი სახედვლად და მხედვლად, კრლმცა არს პირი მისი პურის მჭამელად, ენა მეტყუად, კლნი საქნელად, ფერკნი სავლელად, გ˝ლისთქმისა გასაგონებლ˝დ, კრლმცა არს იგი და მისი გასაზისი მისი გასაგებ˝ლი სხჲჳნ მიღოს, კრლ არს მისი სიცოცხლე, კრლ არს მისი სიკდილი, კრლ არს მისი სფლვი, სადა დაეფლვის, ნუმცა იკსნების სლითა და კრცითა, თვითა და ცოლითა და შვილითა და ყითა მისითა გასაგებლითა, ნუმცა იკსნების წირვითა ებისკპსთა და მღდლთათა, ნუმცა იკსნების იჱლმს წასლვითა, ნუცა ლცვითა მონაზონთათა, ნუცა გლხკთ მიცემითა, ნუცა მშიერთა გაძღომითა, არარჲ ქველის საქმე რჲ ერგოს მს, ყნიმცა უსარგებლო არის მისთ˝ს. ვინცა ესე მცნებჲ და ესე ჩნგნ გარიგებლებჲ და შეწირლობჲ მოშალოს, იყოს იყო (sic) ნაწილად მისდა, სადა არს ტანჯვით სამყფი ქს უარის მყფლთა, ბნლი წყუდიადი გნუნათლებ˝ლი ვაებითა აღსავსე, ცცხლი უშრეტი და მატლი უძილი, ტარტროზი გლოვაჲ უნუგეშინისცემა და ღრჭენა კბილთა, ნისლი წყუდიად საზურვლი თლთა მყფთა ფსკერთა ჯხთისათა. ნუმცა არს კსნა და გამოკსნა მათ მრ ვ˝ე უ˝კი უ˝კე ან, ან:. დამმტკიცებლი ამისი ღ˝ნ აკხოს და წ˝ნ ბიჭჳნტისა ღ˝ის მშბლმნ და მშლელნი და მქცველნი ამისნი წყეულ და შეჩუჱნებულმცა არის აწდა უ˝კე ან: დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქკნსა სამს ოთხმოცდაათოთხმეტსა:.

არშიაზე: მათხოჯელებს ყველას თეთრის ბეგარაჲ ემართა, ცუდად იხარჯებოდა, ხატს არას ემატებოდა. აწე მის მაგიერად სანთელი დაგჳც, მარჩილის თავს შამახური და რუბის თავს ჩარექი. აწე ჩნმნ შემდგომმნ კზმნ ანუ მოურაუმნ და ანუ მოხელმნ ეს სანთლის ბეგარა მოშალოს, ჩნსამც კანონს ქუჱშ შევარდებაჲ აზნაურისშვილის ყმნცა კზს მიართვას სანთლის ბეგარა ს˝ხსომ˝ცა (sic):.

კიდევ საგელათოში საწირეს, ბუეთს, ოხუამირას, სორმონს, რიონს სკზო კცებს თეთრის ბეგარა ემართა. ისიც ცუდად იხარჯებოდა, ხტს არას ემტებოდა. აწე მის მაგიერად სანთელი დაგჳკ, მარჩილის თავს შამახური და რუბისთვს ჩარექი. აწე ჩ˝ნმნ შემდგომმნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კზჵნ ანუ მოურავმნ და ანუ მოხელმნ ეს სნთლის ბეგარაჲ მოშალოს, ჩნსიმც კანონს ქუცშე შევარდებაჲ. აზნაურისშვილის ყმამნც გელათს მეტანოს კზის წინამძღრს, ბატონის სახსომნცა. (sic)

აქ დასმულია ორი პატარა ბეჭედი გრიგოლ კათალიკოზისა ხვეული წარწერით „გრიგოლ კზი“ ჯვარით

**1696—1706 წ.** შეწირულობის წიგნი ქაიხოსრო იაშვილისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 83, დაწერილი ქაღალდზე, ფრიად დაზიანებულია. ეს შეწირულობა იხსენიება ზემოდ დაბეჭდილ 1706 წლის საბუთში კათალიკოზ გრიგოლისა.

---.... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩვენ... იაშვილმან ქაისხრო.... საკანონო საქმე გვედვა, წადიერებითა ჩვენითა და შეწევნითა თქვენითა ჩვენცა ვიწადე---ლობათა თქვენთაგან მცირედი და კნინ ოდენი შესაწირავი [შე]გვიწირავს დიდისა და ცათა მობაძავისა ახლისა იერუსალიმისა ბიჭვინტისა ღმთისმშობლისათვის გეგუთს ერთი----დედისაძე [ლუ]კა და მისი ძმა დათუნა მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ქურმარნითა რისაც მქონებელი იყოს, მისის ყო[ვ]ლის ფე]რითა. მართებს ამ დედისაძეს ბეგარა შამახურ----წელიწადშიდ და თექვ----

**1707 წ.** შეწირულობის წიგნი გიორგი ლიპარტიანისა ბიჭვინტის ტაძრისადმი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს, როგორც საკანონოდ მიცემული თამარ აბაშიძის ასულზე ჯვარის დაწერის შემდეგ, ე. ი. 1707 წ. საბუთი დაწერილია თეთრს ქაღალდზე და დაცულია ბიჭვინტის საბუთებში № 6.

....ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან, შეწევნისა შენისა მოიმედოვნემან და ერთგულებისა შენისა მსასოებელმან ლიპარტიანმან ბატონმან გიორგი და დედოფალმან აბაშიძის ასულმან ბატონმან თამარ ვიგულვეთ და ვიგულს მოდგინეთ და ცოდვათა ჩვენთვის უღირსი მსახურება ვყავით აურაცხელისა წყალობისა თქვენისა ჩვენდამო, რომ-

ლისა სიმრავლე უფროს არს ვარსკვლავთასა და სივრცესა ზღვათასა, გარნა ზღვისაგან მკადრე წვეთსა უნდოსა ამას და მცირედსა ძღვენსა გულსმოდგინებით შევსწირავთ და სიღრმით სულისათ უხმოთბთ (sic), დედოფალო, ნუ საზომისად, არამედ ვითარცა მცირისაგან დიდი აბრაჰამისაგან ისაკ, ეგრეთ შეიწირე ჩვენ უღირსთაგან წადიერებით შენდა შეწირული ესრეთ, ვითარმედ სოფლისა შფოთაგან ჩვენ ნათესავი კაცთა მოცულ ვიქმნენით და ადამის შემდგომად ნებსით და უნებლიეთ ოთხთა ნივთთა მიერ შემზადებული კაცი ჟამად ჟამად მცოდველი ვართ და ჩვენცა ეგე ვითარი საკონონო საქმე დაგვედვა და წადიერებითა ჩვენითა და შეწევნითა თქვენითა ჩუენც ვიწადეთ და ვიგულსმოდგინეთ და ამთა წყალობათა თქჳენთაგან მცირედი და კნინ ოდენი შესაწირავი და ბტონი კათალიკოზი გრიგოლ მობრძანდათ ჩვენს სახლშიდა და შუამდგომლობითა მისითა შემოგწირეთ შენ ახლისა იერუსალიმისა და ცათა მობაძავისა ბიჭვინტისა ღმრთის მშობლისათვის ეკს ნათლისმცემელის საყდარი მისის სამკუიდროთ სამწყსოთა და ერთი მოსახლე კაცი ბიძალია ადამია თოლიკავასშვილი შვილები, მეორე მოსახლე ხოსია ადამია, მესამე მოსახლე ხუცესი ადამია, მეოთხე მოსახლე ხუხუ ადამია, მეხუთე მოსახლე ოთია ადამია და მისი შვილები, მეექვსე მოსახლე მისი განაყოფი ბაბადი ადამია და მისი შვილი მჭედელი, მეშვიდე მოსახლე ობიშხა ადამია, მერვე კაკალაი ჩუჩეხია, მეცხრე მოსახლე უჩაკოჩას აბრუულავას შვილები, მეათე მოსახლე ჯვიბი ადამია, მეთერთმეტე მოსახლე გაგონია ადამია, ეს სამი კვამლი კაცი დეისმამას ყავს (უკანასკნელი სიტყვა წაშლილია). სხვა რაც ამ საყდრის შესავალ გამოსავალი აქვს ან რაც ამ კაცებს სარჩო და სახმარი აქვს, მისის ყოვლისფერით შემოგვიწირავს . . . .აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ან დიდიანმან, დედოფალმან ან ლიპარტიანმა ან თავადმან ან აზნაურმან ან ქალმან ან კაცმან ეს ჩვენგან შეწირული და სიგელი გუჯრით დამტკიცებული საყდარი ნათლისმცემელის მისის ყოვლის ფერით მორთმეული ცათა მობაძავს ბიჭვინტისა ღმრთის მშობელს გამოახვას და გამოხმად შლადდა ქცევად ხელყოს, ან განიზრახოს, მასმცა გაურისხდება მართლი მსაჯული იესო და ყოვლად უბიწო დედა წმიდა ბიჭვინტისა ღმრთის მშობელი . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასმულია ორი ჯვარი, ერთი ბეჭდის წინ და მეორე ხვეული ხელისმოწერის წინ. ბეჭედს მორგვალო სახისას ირგვლივ თურქული წარწერა აქვს გაურჩეველი; შუაში: ლიპარტიანი გიორგი. ხვეული ხელისმოწერა: დედოფალი თამარ.

**1696—1710წ.** ამ წლის ახლო ხანებში ხელის მიხედვით უნდა იყოს მიცემული ჩიჩუას შეწირულობის წიგნი, ბიჰვინტის საბუთთაგან № 76, დაწერილი ცუდის ხელით თეთრს ქაღალდზე თავი საბუთისა დაზიანებულია. ნიშნად იხმარება ორი წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ სათაურად აქვს: ჩიჩუას შე წირულობა.

----[სახელითა] ღთისათა ესე სიტყ --ი საქმით საბოლოდ გა[სათავებელი] უტყუარი, ჟამთა დაუდებელ[ი წიგნი გკადრ]ეთ და მოგართვით ჩვე[ნ ჩიჩუამ]---თქვენ ქრისტეს მიერ კ[ურთხეულსა ჩრდილო]ეთისა და აფხაზეთის კაზს პატონს (sic) გრიგოლს, ასრე რომე ჩემს ყმას გაუწყერი ღალატი და ორგულობისათვის და იქ სტუმრად დაესწრა თქვენი ყმა კანდელაკი სასანიას ძმა და ეშმაკისა მანქანებით შემომემარცხა და გამიწყერით და ბევრს ხან არ შემირიგეთ და გეხვეწეთ და ამისგან უმცროსს გარდასახადს არას დამჯერდით სისხლში და მოგართვით ბერაია ხახუ ორი ვაჟიშვილებით, ძმა მისი ბაბაკოჩი ბერაია მისი ცოლით და სამი შვილებით, კიდე უმცროსი ძმა მათი ბოშიკავა და მისი შვილი და კიდევ მათი სახლი კაცი მახუტია, ესენი ჯუმლად თერთმეტი კაცის სული და ამ თერთმეტს კაცს გარეთ მათივე სახლის კაცი ორი კაცის სული დაგვიწინდებია და ვიყოთ თქვენი გარდამხდელი და იმ ორის კაცის სულის ამომყვანელი. აწ ამ საწინდრიანად იქნა ცამეტი კაცის სული. ეს ასრე გაგითავოთ, მოგვირთმევია ხახუ ბერაია და მისი სახლის კაცი მათის საზღვარ მიწა მამულითა, შესავალ გამოსავლითა, უძებრითა და საძებრითა, ეკლესიის კარითა, ტყითა, ველითა, საყანე სათესითა, რისიც მქონებელნი არიან მათის ყოვლისა ფერითა უკლისად მოგვირთმევია. სხვა ორი ხახუ ბერაიას ქალები გათხოვილი ერთ ტყვედ

ჩაგვიგდია და იმიანაჲ და საწინდრიანად იქნა თოთხმეტი კაცის სული და მოგვირთმევია ყველანი და გიბედნიეროს ღ҃თნ ჩვენსა სიბრალულსა და მოწყალებასა შინა. არის ამის მოწამე თავად დამბადებელი ღ҃თი და კაცთაგან ჩიჩუა გ҃ი, ფალავა ვახტანგ, ჩიჩუა შაქარი, ჩიჩუა მოგელი, გვათუა ბუბული, ლოლუა ხოსია. დამიწერია მდივანს ქობალიას ჯგეგეშიას და მოწამეცა ვარ ამისი.

აქ ჯვარია დასმული.

**1696—1706 წ.** შეწირულობის წიგნი ხახუ ჩიჩუასი, ბიჭვინტის საბუთგან № 42, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

ქ: თავად ყოვლის მპყრობელისა ღთ:ისა და ყოველთა მისთა წმიდათა ნებითა და ჯერჩინებითა ესე წიგნი მოგართვი თავს ბიჭვინტისა ღთისმშობელს და შენგან და ძისა შენ სა იესო ქრისტეს მიერ პირმეტყუელთა ცხოვართა მწყსად ჩინებულს კ҃ზს ბატონს გრიგოლს ჩუენ ჩიჩუამ ხახუმ, ასე რომე ერთი წყალიგზელი ბიჭი ივანე ლუხავა ცაიშელისთვის მიგეცეს და ცაიშელს დედა ჩემისთვის მოეცა. მერმე ისევ თქვენ მოინდომე და გვთხოვეთ და მოგვირთმევია თავს შენი ბიჭვინტისა ღთისმშობელისათვის და თქვენთვის მოგვირთმევია და შეგვიწირავს კურთხეულის მამისა და დედისა ჩემის სახსრად და საოხად და ჩვენდა სადღეგრძელოთ და მშვიდობით და ყოველათ (sic) და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლათ. აწ ამის თავსმდებად მომიცემია თავად ღ҃თი და ყ҃ნი მისნი წმიდანი, კაცთაგან თავად ბატონი დადიანი და ბუჭუ აფაქიძე, დადიანის მაგიერი კაცი გაბუ გეგეჭკორი, ჩუენი კაცი გორკი გვალია და ხარამია მატახერია. ვინც ეს მოშალოს, მასამც რისხავს უხრწნელი ღ҃თის მშობელი და მისგან უთესლოდ განხორციელებული იესო ქრისტე ღ҃თი ჩუენი და ამაზედ მოწერილთ მადლმა კელით (sic) მართლის გულით ჩამირთავს

ჯვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1700 წ. ახლ.** შეწირულობის წიგნი ფირან მხეიძისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 41. საბუთი დაზიანებულია.

ქ. მეოხებითა და შუამდგომლობითა ღისათა ესე წიგნი და სიგელი---ერეთ და მოგართვით თქვენ ბიჭვინტისა----და გელათის მონასტერს წმიდას გიორგი---ს კ̃ზს გრიგოლს ჩვენ მხეიძემან ბტონმან ფირან, მეცხედრემან ჩვენმან დადიანის ასულმან ბატონმან მზეხათუნ და ძემან ჩვენმან და მომავალმან ყოველმანვე, ასე და ამა პირსა ზედა რომე---ღთისმშობლის კაცს საკათალიკოზოს სამოურაო მოსაკრებულო რკინა ემართა ოკრიბას. ახლა მობძანდა ბტონი კზი გრიგოლ და დამელაპარაკა, ბატონის კზის ბძანებას ვერა ურჩ ვექმენ და დავემორჩილე. გკადრეთ, მოგართვით და შემოგწირეთ ჩვენთვის სადღეგრძელოთ დ ძეთა და მომავალთა ჩვენთა გასაძლიერებლათ და ჩვენი ცოდვილის სულის საოხად და იმ საყდრის წმიდის გიორგის წინამძღვრისაგან მისის კრებულით ყოველს გიორგობას ჟამს გვიწირვინებდეთ ჩვენთვის სადღეგრძელოთ და სულის სახსრად და საოხად... კაცთაგან არის მოწამე ამის კვინიხიძე მიქელა, წინამძღვარი გაბრიელი, ნემსაძე დავით. დამიწერია მე ბატონი კ̃ზის მთავარდიაკონს ჰყონიას ნიკოლვზს (sic) და მოწამე ვარ ამისი.

ჯვარი

**1696—1710 წ. ახლ.** ამ წლების ახლო ხანში და საზოგადოდ მე-XVIII საუკ. დასაწყისში უნდა იყოს მიცემული ოტია ლორთქიფანიძის მიერ წიგნი გრიგოლ კათალიკოზის მიმართ, რომელიც დაცულია გელათის წმ. გიორგის ტაძრის საბუთებში, დაწელია ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია. თავიც აკლია.

---ესე.... წიგნი მოგართვით ჩვენ ლორთქიფანიძემან ოტიამ თქვენ კზს ლორთქიფანიძეს ბატონს გრიგოლს, ასე რომე შვავრის (sic) ჰილაძე ჰყონდიდელს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის ნემსაძე კზის ხელშიდ გლეხები შეეწირა. მერმე ის კზი რომ მოკვდა, მანვე დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქირა და ერთი გლეხი ჩვენ მოგვაქრთამა. მერმე თქუენ კზობა იშოვნეთ და გიორგი ქალაძეს (sic) შინ ჩამოუდეგით და თქვენი გლეხები ჩემი ნაქრთამიცა და სხვაც ყველა ისევ ბიქვინტისა ღთისმშობელსა და თქვენ მოგართვეს. მერმე ჩვენ შემოგეხვეწეთ... და ბასილი ნიჟარაძისა და პეპუნა ნიჟარაძის შუამავლობითა და თავდებობით შვალერიას(?) აფშილავა გვიბოძეთ მისის ცოლშვილით... ბიქვინტის ღთისმშობლის და თქვენს მეტი ბატონი არ გვინდოდეს და ერდგულადაცა გმსახუროთ... თუ ... ჩვენი თავი ბიქვინტის ღთისმშობელს გამოვსწიროთ, თქვენი გლეხი.... ისევ ყოველის ფერით მოგართვათ...მოწამე და თავდები და შუამავალი ნიჟარაძე ბასილი, ნიჟარაძე პაპუნა, საკათალიკოზო აზნაურისშვილი მდივანი იესე, ჯორჯიკია ხახუტა.

ჯვარი

**1700—1712 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს დაწერილი გრიგოლ კათალიკოზის მიერ დადებული წიგნი, ბიქვინტის საბუთთაგან № 90, თეთრ ქაღალდზე ზომით 70×16 სანტიმ. საბუთი დაწერილია ნუსხა ხუცურით, თავში დასმულია საკათალიკოზო ბეჭედი წარწერით: „მფე და მღუდელ მთავარი აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ ქკს ტპდ.“ ბეჭედის შუაში გამოსახულია ღვთისმშობელი ძით.

..... შნ შჳდ ცათა უმაღლესო ბიქვინტისა ღისმშობელო, ჩნ ცვაფარვათჲ შთა მინდობილმან და მსასოებელმან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კზმან ლორთქიფანიძემნ გრიგოლ კადრეთ და მოგაკსენეთ ნაპარკავს სასახლე და მისი შემავალი აზნაურისშვილი და გლეხი, ასრე რომე პ῀ლ ნემსაძე კზს ბეჟან წულუკიძესაგან შვიდას მარჩილად ეყიდა და შევწირავად (sic) დარჩენოდა. მერმე ის გარდაიცვალაჲ, სადადიანოდ გნკდა, დადიანობჲ გურიელს მმიას დარჩაჲ და თავობჲ გ῀ი ლიპარტიანს. ჩ῀ნ კლახლავ დიდის ქრთამითა ვიშოვნეთ ამთგნ და თქნთს შემოგვიწირავს ჩნის ცოდვილის სლის საოხად და სანთლის ბეგარა დაგჳც. თვს მორდებს გიგიბერიას ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატის საწირავი ემართაჲ, მისთს ნამეტნავი ვერ დავადევით, სამი ლალარიკონი სანთელი მორდებუს. აგრეთვე გეგენავას საწირავი მართებს ორი ლალანიკუნი, (sic), ეცადია გეგენავას და მის ძმებს ხუთი ლოლარიკონი, ლეფონავას ინალუხუს და მისი ძმებს ხუთი ლოლარიკონი, ჰუჰუი დასტურაიას ხუთი ლოლარიკონი, თომიხილი დასტურაიას, ხჳჩა ხუჰულავას შვილებსა სამი ლოლარიკონი სანთელი, ბაბადიშა ხაზავას ორი ლოლარიკონი, მეორე ხაზავას მიკურცხია და სარჯულიას ორი ლოლარიკონი, თომა ბერაიას ხუცეს სამი ლოლარიკონი, ბატკუა ბერაიას სამი ლოლარიკონი, მმაჲგ˝ლი ბერაიას სამი ლოლარიკონი ამავებსა საწირავი არც ერთსა მართებს. ამს გარეთ კიდევ ბიჯოჯია მისხულაჲ ნემსაძე კზს მმაშვლნი ცალცალკე ეყუდაჲ, ხატისათ˝ს შეეწირაჲ, კ˝ზ გარდაცვალა, ისევ გამოეწირათ. ჩ˝ნ კლ ახლაჲ პეპნა ფალავასაგნ ორას სამოც მარჩილათ ვიყიდეთ, თქნთ˝ს შემოგვწირავს და სანთელი დავვკ, ხუთი ლოლარიკონი ყ˝ლს წელიწადს მოვართმიდეს.

სხვაჲ კიდევ სახარაბედიოს ჩიჩუას ნაყმევი კაცები ორი გლეხი ხოსია და სარჯელია ნემსაძე კზს, ერთი ჯკემორდილი ჩიჩუასაგნ და მეორე პეპუნა ჩიჩუასაგნ წულაისქირის მაგიერშიდ გმოერთმია, თქნთს შემოეწირაჲ, კლახლა მ˝თი ბევარაჲ მოვიკითხეთ, როგორათაც გლეხს ემრთა, ის ამოუწერე. მაგიერად ხატისაჲთ˝ს სანთელი დავსდევი, ოთხი ლოლარიკონი ხოსია ხარაბედიას, ოთხი ლალარიკონი სანთელი სარჯელიას. კიდევ ერთი გლეხი იქავ ეჯიბია ნემსაძე კზს ორი ტყვს ნაქურდალში ეშუაჲ დადიანისგნ, ახლა ჩნ შემოგვწირავს, ორი ლოლარიკონი სანთელი დავვკ.

სხვაჲ ამს გრე გაჯინედი საარია სადადიანო კ˝ცი იყო. რაჯხუს რომ ლევან დადიანი მოკუდა, მისი სიცოცხლეშიდ დადიანის ალნებით (sic) ნემსაძე კზს მოსლოდა. მს უკან ბევრს ავს დროშიდ შემოეარა, კიდევ ერჩინა, მს შეუწირავი დარჩა, ახლა ჩნ შემოგვწირავს გაჯინედი საარიაჲ, ერთი მისი ნათესავი საბაჲ. ესენი მთის ყმითა და რისაც მქონებელი არის, მისის ყ˝ლისფერითაჲ. კიდევ სადადიანო კ˝ცი თამაზ მერკულიაჲ ნემსაძე კზს ეშოვაჲ, დაერჩინა. ახლაჲ ჩ˝ნ მისი შვლი დაურჩა და შემოგვწირავს მისი ყ˝ლისფერითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ლოლარიკონი სანთელი დაგჳც. კიდევ ბიბია ბოლქუაძე აფხაზს (sic) ცოლიან შვილიანად წაეყვანა, ნემსაძე კზს სორეხისაგნ დაეხსნა, ნოჯიხევს დაესახლებინა. ახლა ჩ̃ნ ერთი მისი უფროსი შვილი თათრისაგნ ას მარჩილად დავიჴსენით, სამოცი მარჩილი ბიჭჳნტისა ღ̃ისმშობლის ბარქაში გეიცა, მ̃ს უკან ბიბია და მისი შვილები წრთმეული გუყაუდა, ბატონი გ̃ი ლიპარტიანის წყალობითა ამოვიყვანეთ და მმიანშვილიანათ მთის ყისფერით თ̃ქნთ̃ს შემოგჳწირავს და სამი ლოლარიკონი სანთელი დაგჳც.

კიდევ ამს გრეთ წყლიძგას ანდრეათს ერთი გლეხი ჭკადუსუა მამიხუხუ გაყიდული სათათრითგნ ჩ̃ნთან მოვიდა, მისი ძმა ბაბუა გაყიდული ქართლიდან ვიშოვნეთ, მ̃თი ძირი მმ̃ლი და ადგილი ბატონმნ გ̃ი ლიპარტიანმნ და დფლმნ გჳბოძაჲ. აწე ჩნ მ̃თი ცოლშვილითა, სახლკარითა, მმლით, სსფ˜აოთ, ტყითა და წყლითა, მთის ყ̃ისფერითა შემოგჳწირავს ერთი მოსახლე კაცი ჭკადუსუა მამიხუხუ ბაბუა და დაგჳცნ (sic) ექვსი ლოლარიკონი სანთელი.

წინა გვერდის ტექსტის მე-25 სტრიქონის პირდაპირ ცუდის ხელით არშიაზე ჩამატებულია: მეჯინიბობა ამოგვიკვეთია. არის ამისი მოწამე ჩიჩუა ხახუ და სულებით ჩნი შინა ყმ̃ნი, ხეიძე ქაიხოსრო, ბაბუში ჯორჯიკია, თევზაია შოშიტა, მახარებელი გეგენავა. ვინც ეს წიგნი მოგიშალო', შეჩუენებულ იყოს:

**1712 წ:** გარიგების წიგნი გრიგოლი კათალიკოზისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 2, ქაღალდზე ზომით 138$\times$26 სანტიმ. დაწერილია ნუსხა ხუცურით.

...... წმიდაო ბიჭვინტისა ღუთისმშობელო, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმა შეწევნისა შენისა მოიმედოვნემან, ერდგულებისა მსასოებელმა და მოსავმა სიწმიდისა თქვენისამან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კ̃ზმან ლორთქმანიძემ ბატონმა გრიგოლ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ეს̃ე და კნინი შესაწირავი თავს ხიარგას ნაპარკეოს სასახლე, წყლითა, ტყითა, წყლითა, ველითა, სსფალაოთაჲ, მმლითა და საყანითა, შესავალ გამოსავალითა, მისის ყოვლიფერითა, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლე კაცი თავს ერთი აზნაურისშვილი მორდებ გეგეჭერია ორის მოსახლე გლეხითა, მეორე პეპუ დასტურაიაჲ მისი ძმებითა და სახლ-კარითა, მესამე მამაში დასტურაიაჲ მისის ძმებითაჲ და სახლკარითაჲ, მეოთხე ხოპოლავა სოგიჯუმაჲ, მეხუთე ხაზავაჲ სარჯელიაჲ, მეექვსე ხაზავაჲ ბაბადიშაჲ, ასე რომელ პირველ ნეფსაძე კათ:ლიკოზს ბეჟან წულუკიძისაგან ეყიდაჲ და შეუწირავად დარჩომოდა, კათალიკოზი გარდაიცვალა და დადიანმან ლევან დაიჭირაჲ. ის დადიანი რომ გარდაიცვალაჲ, მეორეს დადიანისგან და ბატონის გ̃ის ლიპარტიანისაგან ჩვენ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ. კიდევ ოთხი მოსახლე ბერაიები იმავ კ̃ზის კელშიდ მიქელაძეს გ̃ის შეეწირაჲ და კათალიკოზისათს წელიწადშიდ წირვაჲ დაედვაჲ. კ̃ზი გარდაიცვალაჲ, იმავე დადიანს გამოეწირაჲ, დადიანი გარდაიცვალაჲ და მეორე დადიანისაგან და ბატონის ლიპარტიანი გ̃ისაგან ჩვენ ვიქრთამეთ. სხვაჲ მირცხულავ ქოჩუაჲ იმავ კ̃კოზს ბაბადიში ხახუსგან ეყიდა და ხატისათვის შეეწირაჲ, იმავე დადიანს გმოეწირაჲ. დადიანი გარდაიცვალა, ხახუ ჩიჩუას დარჩაჲ და ჩიჩუასაგან სამას მარჩილად ვიყიდე. კიდევ პითავა მღუდელი გ̃ი ციხისთავისშვილის ცაიშელს მაქსიმეს ყავდა, სამკვიდრო იყო მისი და მისგან ჩვენ ვიშოვნეთ მისის მამულითა, შვილიან ყმიანათ, მისის ყ̃ისფერიანად. კიდევ ლეფონავა ინალუხუ ასმანა ფალავას საკზო კაცები დაეყიდა, იმაშიდ საუპატიოდ გამოერთმია არცანდია ხუცესი, მისი შვილები იმავ კათალიკოზს ეშოვნა, ხატის მამულზედ დაესახლებინა. ესენი ყველა სტანბოლის დადიანი რომ მოკუდა, იმას გამოეწირაჲ. ესენი ყველაჲ ხელახლაჲ გურიელის და გ̃ი ლიპარტიანისაგან ვიშოვნეთ ზოგი დიდის ქრთამით, ზოგი ფასით. ხობს გაჯინედი საარიაჲ, გ̃ი მერკვრიაჲ, ბოლქვაძე ბიბია, ზოგი თათრისაგან დავიკსენით და ზოგი ბატონისაგან ვიშოვნე. ხოსია სიჭინავა ბიას ხახუ ჩიჩუას საწირავში და ნიშანში ვიშოვნე. მანამდისაც ხატის შეწირული ყოფილიყო. ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა, სამოცი მოსახლე კაცი. ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა. უფროსი ერთი დაკარგულიყო, ის კ̃ზი ეცადა და ჩვენც ვეცადეთ, მაგრამ ვერ ამოვიყვანეთ. შარვაშიძე რუხს მოკვდა, წავედით და ვიტირეთ, ნიშანიც მართებული ავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღეთ, მეტი აღარ იყო, შვიდი მოსახლე კაცი წამოვიყვანე მათის ყოვლისფერითა, ღურბელაიაჲ ამკსნლი და მისი სახლისკაცი ელიშია ხუხა და მისი ძმები კოდია, ზუმალა, ჯკუბურია, სუბუქიაჲ ბიგვაგვაჲ და უჩაიდია ერთი მოჯალაბე. სხჲ კიდევ ელიშახუ ნანაისშვილი ჩარმანია და ხუცობავა პაპა ენგურიდამ ყველაჲ ფასით ამოვიყვანე, ზოგი ხიბულას დავასახელე და ზოგი ხობს. აწე ჩვენი ცოდვილი სულის საოხად ამ კაცების ყველასათვის სანთელი დაგვიც ბეგრად. მარდებს (sic) მორდებუ გიგიბერიას ორს მის გლეხს ოთხი ლოდარიკი სანთელი, ოთხი დასტურაიას ქუქუს, ოთხი მამაშის, ოთხი ხოჭოლავას, სამი ხაზავას, ორს ოროლი ქოჩუაჲ მირსხულავას ოთხი, ქითავაჲ გ˝ის ხუთი, ამიტომ რომე ერთი მესანთლე გლეხი ეიყარა აფხაზისგან, ამისეულისოული პარტახი მივეცი ლეფონავას, ოთხი არცანდიას, სამი ხობს მერკვირიას, სამი ლადარიკონი გაჯინედი საარიას, სამი ბოლქუაძეს ბიბიას. სამი კიდევ ხორგას, ოთხს ბერაიებს ხუცეს სამი ლადარიკონი, სამს მოსახლეს ბატკუას მამაგულას და დოხვადიას ოროლი ლადარიკონი, ეცადია გეგენავას ორი, ბიას ხოსია სიქინავას ხუთი, ენგურს გაღმართელს ნაჭარეულებს ღრუბელაიას ორი ლადარიკი, ელიშიას ორი, ნანაიშვილს ორი, ნარშანიას ორი, კოდუას ორი, ჯგუბურიას ორი, სუბუქიას ორი. ამ მესანთლე კაცებს ნუ გასცემს ბატონი კზი. თუ ან წინამძღვარს ანუ აზნაურისშვილს მიეცეს, სანთლის ბეგარაჲ ხატს მიერთმეოდეს. ვინც მეხადილე კაცი იყოს, ამ სნთლის მაგიერად საჩუქარი შეგვიწევაჲ და მეორე კაცისათვის უმცროსი საკლავი შეგვიწევია. სახარაბედიოს მართებს ხოსიას სამი, სარჯელიას სამი და ეჯიბიას ორი. ამ სამს მოსახლე კაცს სხვაჲ ბეგარა არა ეთხოვება რაჲ საყდრის სამსახურის მეტი. მათხოჯს წულუკიძის ნაყმევი კაცი ბარაბაძენი გ˝ი დადიანს ეყიდა და მან გვიბოძაჲ დათუა, ი˝ნე და ნასხიდა. ამ გლეხებს სხჲს ბეგარას გარდაის მესამე წელიწადს ოთხოთი sic) საკლავი ემართა. სამს საკლავში ოროლი შამახური სანთელი დავადევით, ბიჭვინტისა ღუთისმშობელს შევსწირეთ. კონტოათს როხვაძე გუგუტა და მისი ძმაჲ მეფის ხოცივარი (sic) იყო. მეფე გ˝ის ვთხოვეთ და ჩვენ გვიბოძა, ჩნ ხატს შევსწირეთ. სხჲს ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარას გარდაის ერთი საკლავი და მისი ქათმები ემართა. მის მაგიერად ერთი შამახური სანთელი დაგვიც. გეგუთს ქაიხოსრო იაშვილს საკანონო საქმე დაედვაჲ. იმაში ერთი მოსახლე კაცი დედისაძე მოგუცა. სხვა ბეგარას გარეთ ორი საკლავი ემართა, მის მაგიერად შამახურ ნახევარი სანთელი დავადევით, ხატს შევსწირეთ. თეკლათს კანდელაკის შვილი სალაყაია კოჩაილეი დაღიანმნ გ̃იმ ნაგუაზავს ხატის ყმა აყარა, მის მაგიერად საუპატიოდ მოგუცა, ხაღილი ემართა, საჩუქრის მაგიერად ლალარიკი ოთხი სანთელი დაგვიც, ბიჭვინტისა ღუთისმშობლისათვის შევვიწირავს. ჩხარს ოლან ტენტერაჲ გ̃ი აბაშიძისაგან ვიყიდეთ დიდის ფასით, ადგილიც უფროსი მივეცით და კაციც მაგიერი, ლიტრა ნახევარი საკმეველი დავადევით და ხატს შევსწირეთ, ყოველს წელიწადს გელათს კათ̃ზის წინამძღვარს მიუტანდეს. ოკრიბას ხრესილზედ ობოლაძენი და კუბლაშვილი ნემსაძე კ̃ოზს ალექსანდრე მეფისაგან ეშოვნა და ბეგარა დარჩენოდაჲ, არ მოეკითხა. ჩვენ მოკითხული ვქენით, იაშვილის ნაყმევი კაცები ყოფილან და ბევრი ბეგარა მართებოდათ. ყველას ჩვენ არ გამოვეკიდეთ და თითოჲ შამახური სანთელი დავადევით, კუბლაშვილს ნასხიდას ერთი შამახური, ობოლაძეს თამაზას და მის ძმებს შამახური ერთი, ქებიას და მისი ძმებს შამახური ერთი, შათირიშვილებს შამახური ერთი, მამუკას შამახური ერთი. ამ ობოლაძენს (sic), კუბლაშვილს, ჩხარს ტენტერას სხჲ ბეგარა არა ეთხოვებოდეს არც ბატონისაგან და არც მოხელისგან. ამას გარეთ ოკრიბაშიდ საკათალიკოზო კაცებს ზემოსაწირეს, ბუეთს, ოხუამირას, სორმონს, რიონს, ყველას თეთრის ბეგარა ემართა, მის რიგისათ ხატს არას ემატებოდა, სხჲ რიგად იხარჯებოდა. აწ ჩვენ მის მაგიერად სანთელი დაგვიც რუბის თავს ჩარექი სამთელი და მარჩილის თავს შამახური. ეს ოკრიბელი ბეგრის სანთელს გელათს კ̃ოზის წინამძღვარს მიუტანდენ უკლისად. კიდევ მათხოჯს ყველას თეთრის ბეგარა ემართა მისი რიგისათ, ესე ცუდად იხარჯოდა, ხატს არას ემატებოდა. მისი მაგიერად სანთელი დაგვ̃ც, რუბის თავს ჩარექი და მარჩილის თავს შამახური, ყოველს წელიწადს ბიჭვინტისა ღუთისმშობელს მიერთმეოდეს. როდესაც სამთელი გაძვირდებოდეს, ამ თეთრის ბეგრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელშიდ წინამძღვარი შალავათს უზმიდეს გლეხს მის რიგისათ. ეს მესანთლე კაცი რაც გაიყოს, სანთლის ბეგარა მთლად განყვებოდა და გასამყოფლო არას კაცისაგან ეთხოებოდეს. თუ ჟამთა ვითარებისაგან აიყაროს, ვისაც იმის პარტახი მიეცემოდეს, სანთლის ბეგარა გაყვებოდეს. თუ გლეხი ან წინამძღვრის იყოს და ან აზნაურისშვილის, სანთელი მაშინც ხატს მიერთმეოდეს იმერეთსაც და ოდიშსაც. შეიწირე წმიდაო საშინელო ბიჭვინტისა ღვთისმშობელო ცოდვილისა სულისა ჩნისა საკსრად და საოხად, ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად. აწე ჩვენო შემდგომნო ნეტარნო კათალიკოზნო, ქრისტეს მიერ კურთხეულნო პ˝ტისნო მეფენო და დადიანნო, კეთილმორწმუნენო დედოფალნო, მართლმადიდებელნო მთავარნო, დიდებულნო დარბაზის ერნო, კეთილმსახურნო მხედრობანო, აზნაურნო და ყოვლისა სახლის უფალნო, ამას მოგახსენებ და გევედრები, რათა დიდსა და ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღუთისმშობელსა ჩვენ მიერ შეწირული სიგელი, დავთარი და სანთლის გარიგებულობაჲ არ მოშალოთ, ასე დაამტკიცოთ. უჯერო და უსამართლოება არა მიქმნია. ჩვენ რომ კათალიკოზობას მოვესწარით, საკათალიკოზოს მონასტრებზედ სულა იმერეთ ოდიშიან გურიანათ თორმეტი ლიტრა სანთელი არ მოვიდოდა. ახლა ჩვენ გამოძიებითა და გამოწვლილვით სხვაჲ ბეგარა მოუკლით, შალავათით სანთელი დავადევით არ მომშლელნი, შემწენი და დამმტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე ამ სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა, ამინ. ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მცირემან, თავადთა ანუ დიდებულთა, აზნაურთა ანუ მხედრობათა, ხემწიფეთ კარის მოხელეთა ანუ სოფლის მოურავთა და მამასახლისთა ეს ჩვენგან შეწირული და ახლად გარიგებული ან კაცი ან მიწა მამული, ან ტყე და წყალი ან სანთლის ბეგარა ბიჭვინტისა ღუთისმშობელს გამოსწიროს, ანუ შლად და ქცევად ხელ ყოს....(გრძლად წყევა) ....

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტს ტყჸ (sic)

ბეჭედი წარწერით: ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს მწყემსი კათალიკოზი გრიგოლ ლორთქიფანიძე.

**1713 წ.** შეწირულობის წიგნი გიორგი გურიელისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 10, თეთრს ქაღალდზე ზომით 44³/₄×25 სანტიმ. ნიშნათ ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

. . . . ჩუენ კელმწიფემან გურიელმან პატრონმან გიორგი და დედოფალმან დედამან ჩუენმან აბაშიძისა ასულმან პატრონმან ელენე კელჰყავთ (sic) კადრებად ამისად, ვიგულეთ, ვიგულსმოდგინეთ შეწირვად შესაწირავისა ამი, ამა პირსა ზედან რომ ძველადგან ბეური რამ მამულები შეწირულ ყოფილიყო ჩუენის ძველის სახლის ბატონებისაგან გურიელებისა და დედოფლებისაგან ბიჭვინტის ღმრთის მშობლის და საკზოდ, მაგრამ ცოდვათა ამბოხებითა და შფოთთა მიერ ჟამთა ვითარებისა მიერ მოშლილიყო და ახლა რა ჩუენ, ვაპატრონდით (sic), გურიელად დავსჯდით, დედოფალო, ჩუენ, ბიჭვინტისა ღთის მშობელო მარადის ქალწულო მარიამ, შენი და ტაძრისა შენისა და კათოლიკე ეკლესიისა შენისა აღვირჩიე, ვიწადე და ვიგემე და აკეთს ართმელაძეს მამუკას საკანონო საქმეც დაედვა და მისი მამული რაც არის კუამლი კაცებით, სასახლებით, სახლკარით, პურმამულით, უძებარსაძებრებით, ტყით, წყლით, საყანებით, სასაფლაოთ, ყოველისფერით შენთვის შემოგუიწირავს და თქვენის კზის პატრონინის (sic) გრიგოლისთვის მოგუირთმევია, რაცა სამკუიდრო მამისოული ბატონის წყალობა თუ ნასყიდი და ნაშოვნი ჰქონდა, ყველა; თავს აკეთს სასახლე და მისი მოჯალაბე ჴუცისშვილი მამიელა და მისი შვილი იოვანე, ასკანას მარანი ერთი კარგი; წვიტაისშვილისას ის კაცები დაეყიდა და მისოული პარტახი უძებარ საძებრით, კიდეუ მარანი; კაკაცაისშვილი ტულუში მისი უძებარ საძებრით; ამას გარეთ აკეთს ორი განაყოფები კუაშლები ჟოჟიკა გიორგი და იოვანე მათის ცოლშვილით ყოვლიფერით უძებარ საძებრით. ამას გარეთ მსახური დეისმამა კილაძე და ჴუცესი მისი შვილი გაბრიელა მათის ცოლშვილით, უძებარ საძებრით; ჴინთიბიძე გეგია და მისი შვილი იოვანა ჴინთიბიძე გიორგელა და მამუკელა, მისი ძმა გაბრიელე. ესენი მათმათის ცოლშვილებით, უძებარ საძებრით; მიქატაძე იოვანე და მარანი არის იქ, მისი ცოლშვილით, უძებარ საძებრით; მიქატაძე გაბრიელა ცოლშვილით, უძებარ საძე-

ეროვნული

ბრით; ქურიძე ორი ძმა გაბრიელ და ნასხიდა მათის ცოლშვილით, უძებარ საძებრით; კუკლაძე შაქარა მისი ცოლშვილით, უძებარ საძებრით, გოგვაძე გიორგი მისი ცოლშვილით, უძებარ საძებრით; ხუცესი მგელაძე დახსნილი ჰყოლოდა მარტო; ლანჩხუთს დავითაი ცინცაძე მისი ყოვლიფერით, უძებარ საძებრით; ესენი ყველა თქვენთვის შემოგვიწირავს და თქვენის კ̃ზის გრიგოლისთვის მიგვირთმევია. შეიწირე დედოფალო ღთისმშობელო ბიჭვინტისაო, ნაცვლად მოგვაგე მადლი და მეოხება შენი და შენი (sic) და ძისა შენისა. ამის მოწამენი არიან კაცთაგან ჩვენი დარბაზისეურნი ნაკაშიძე ბეჟან, ნაკაშიძე გიორგი და მამუკა, სახლთუხუცესი მაჭუტაძე ალექსანდრე, მაჭუტაძე მამუკა, ბოქაულთუხუცესი თაგდირიძე როსტომ და თაგდირიძე გიორგი, გუგუნავა აკეთის უხუცესი მამუკა და ტატუა, ღოღაბერიძე დათუნა, ნაკაშიძე ბეჟან, მამუკასშვილი ნაკაშიძე ბეჟან, ბახუტასშვილი მდივანი გაბრიელ, ჟვნია გიორგი და ბოლქვაძე სეხნია. დაიწერა კელითა მდივან მგალობელ მწიგნობრის პეტრესითა და მოწამეცა ვარ. ვინცა ეს ჩვენგან შემოწირული და დამტკიცებული შენდა შენს კზს მოუშალოს, ან ამის შეცვლად და შლად ხელყო (sic), რისხავს მამა ძე და შენი (sic) და სული ყ̃დ წმიდა ძლიერება შენი და ჩვენ მაგიერის განიკითხვის დღესა მას განკითხვისასა. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს გუმანოელ (sic) ამენ. დასაბამითგან წელთა კსკგ, ხოლო ქრისტეს აქათ ათას შვიდას და ასამმეტსა (sic).

ხვეულად: გურიელ, გიორგი; დედოფალი ელენე.

**1713 წ. ახლ.** შეწირულობის წიგნი ელენე დედოფლის და გიორგი გურიელისა, თეთრს ქაღალდზე დაწერილი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 28. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

ქ ესე წიგნი მოგართვით ჩვენ დედოფალმან ბატონმან ელენე და გურიელმან ძემან ჩვენმან პატრონმან გიორგი თქვენ კზს პატრონს გრიგოლს, ამა პირსა ზედან რომ ჩემის კელმწიფის სულის საოხად ბეჟან ოქრომჭედელი ხატს შევსწირე და საფლავზედ დავაყენეთ და

რომელიც ჩვენი მართებული სამსახური სძეს ჩვენის სულისათვის, წელიწადშიდ (sic) მწირკელებზედ გასცემდეს და რადგან იმ ჩვენის მონასტრის და სასაფლაოს სამსახური თქვენით გუნებით მოგანდომიათ, იმ ბეჟან ოქრომჭედელსაც თქვენი კელი ედვას და ამისთვის დავსდევით თქვენი კელი, რომ ავი დრო და ჟამია, ამ ჩვენს შეწირულსაც უფრო შემოუკლით თქვენ და ჩვენს საფლავსაც უმეტესად შეემატებით. ამის მოწამე არის სრულად ჩვენი ებისკოპოს მიტრაპოლიტები ყველანი, ერისთავი გიორგი, ნაკაშიძე ბეჟან, სხვები ჩვენი კარის მდეგნი უზედაესენი და უქვედაესენი. დამიწერია პეტრე მდივანს, მოწამეცა ვარ.

ხვეულად: დ˝ფლი ელენე, გურიელი გ˝ი.

**1700—1714 წ.** ამ წლების ახლოს უნდა იყოს მიცემული პირობის წიგნი ჭყონდიდელ ცაგერელის გაბრიელის, ცაგერის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

. . . . . ჩვენ ღთისა მ˝ერ კურთხევათ კურთხეულმან ჭყონდიდელ ცაგერელმან ბატონმან გაბრიელ (გიბოძეთ) თქვენ ერთობით ცაგეროვანის ხატის ყმას, მერმე ოყურეშის ერთობით აზნაურიშვილს, მსახურს და გლეხს, მდიდარსა და მცირეს, ნაკურალეშელს, ლახაფელს, უსახელოველს, მთას გარდაღმა ქვიშარს, ცხვედიანსა და მისს სახელოს კაცს, ოკრიბისა მოურავსა და ხელოსანსა და მისს სახელო კაცს, ქუთაის კოსტანაძე ცხადაბერიძეს, ერთობით ცაგერისა ღ˝თისმშობელისა და ოყურეშის წ˝ის გ˝ის ყმისთვინ მომიცემია ესე სამუდამო ყმანი (sic), ასე პირსა ზედან რომე თქვენ ჩვენგან გაყიდვით და სიკვდილით არა გიშავდენ (წყევა) . . . . მე დიაკონს კაჭარავას დამიწერია . . .

ბეჭედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1700—1714 წ.** გაბრიელ ჭყონდიდელის შეწირულობის წიგნი მარტვილის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

.... წმიდაო გ̃ი სუჯუნისაო, ჩვენ.... დიდის ლიპარტიანის ძემან ჭყონდიდელმან პატრონმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ჟამთა ვითარებისაგან ჩემსა და ჩემს მამას შუა აშლა მოხდა და ეს კაცები მე დავიკავე, სამი კვამლი კაცი ქვანია და სამი ხაფავა და ხატს შევსწირე.... ყოველს გიორგობას წინა დღეს თითო მარჩილის სანთელს მოგართმიდეს ესენი ყველა.. . (ვინც შეშალოს, ანუ, მიტროპოლიტმან და ანუ ეპისკოპოსმან, ანუ კანდელაკმან და ანუ სხვამან მებეგრე კაცმან, წყევა).

ბეჭედი

ქ მელია ოთარი და მისი შვილები ჩემი დახსნილია და ესეც შენთვის შემომიწირავს და ამანაც ისე თითო მარჩილის სანთელი მიართვას ყოველს გიორგობას წინადღეს, იცოდეთ ყოველმან კაცმან.

**1700—1714 წ.** შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდლისა მარტვილის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

....... წმიდაო გ̃ი სუჯუნისაო, ჩვენ ... დიდის ლიპარტიანის ძემან ჭყონდიდელმან ბატონმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულს მოდგინეთ, ჟამთა ვითარებისაგან ჩემსა და ჩემსა სასულიეროთ შეგწირეთ ქობალავა ივანე და მისი შვილები შაქარი, მათე, მისის სახლკარიანათ ხატს შევსწირე..... ყოველს გიორგობას წინადღეს ერთს მარჩილს სამთელს მოგართმიდეს. ეს.... შეიწირე.... და ან რამანცა ძემან კაცისამან, დადიანმან ანუ დედოფალმან და ანუ ჩემმან შემდგომმან მიტროპოლიტმან და ანუ ეპისკოპოსმან ანუ კანდელაკმან და ანუ სხვამან მებეგრემ კაცმან დიდმან ანუ მცირემან ეს ჩემი შეწირული ქობალავას ბეგარა შენ მოგიშალოს და გამოგწიროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან..... ან ქადაგმან, ან მესტუმრემ ან სხვა ვინმემ მოშალოს (კრულ და შეჩვენებულ)..... ეს ქობალავა ამისთვის შევსწირე, რომ წმინდა გ͠ის სუჯუნისას იესელამ დიდიამ ორი მტყვე წმიდის გაყიდა, ცოლი ორსული დააგდო, თემისა და ქვეყანის ფიცი და პირი გასტეხა, ქურდობა ქმნა ხარის, ძროხის და ცხენის. ამისთვის ხატის საუპატიოთ შევსწირეთ წმინდა გ͠ის სუჯუნას.

ბეჭედი

**1700—1714 წ.** შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდლისა, მარტვილის საბუთთაგან, იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

.....(მე)....ლიპარიტიანის გ͠ის ძემან პატრონმან ჭყონდიდელმან გაბრიელ შემოგწირეთ შენ, წმინდა გიორგის სუჯუნის, მცირე ესე შესაწირავი ოთხი კვამლი კაცები, თავს ხოსია ბზიავა მისის შვილებით, ბაბუშია, გიორგია მისის შვილებით და სახლკარით და რისაც მქონებელნი იყვნენ ყოვლის ფერიანათ; მეორედ შაქარელა მიმინოს შვილი, მისი ძმა ბურდღუა მისის სახლ კარიანათ და რისაც მქონებელნი იყვნენ; მესამედ ბაბადიში კომაია მისის შვილებიანათ და სახლკარიანათ, რისაც მქონებელნი იყვნენ, მეოთხედ ბაძველა კუციას შვილები მისის სახლკარით და ყოვლის ფერიანათ რისაც მქონებელნი იყოს, ეს ოთხი კვამლი კაცები მათით უძებარ საძებრით, ტყით, წყლით, მიწა ადგილით, რისაც მქონებელნი არიან ყოვლის ფერიანათ შენთვის შემომიწირავს, წმინდაო გ͠ი სუჯუნისაო.....

ბეჭედი

განზვ: ქ. ვისაც ამაშიუ რომ კაცები სწერია და ორი ღორი მართებს, ერთს ღორს არ ვსთხოვ და ყოველს გიორგობას თითო მარჩილის სანთელი ხატს მიართვას ჩემის სულის ცოდვათა შესანდობელად. ასე იცოდეთ ყოველნო სულნო. და ან აზნაურის შვილმან სთხოვოს და მას მისცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**1714 წ.** შეწირულობის წიგნი ბექან დადიანისა მარტვილის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით.

.... ჩვენ... დადიანმან ბატონმან ბექან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ ვინებეთ საქმისა ამის გამოკულევად, ასე რომ ჩვენი ძმა ჭყონდიდელი გაბრიელ საჭყონდიდლოშიდ ბატონად იჯდა და ეშმაკის საბრხით ჩვენსა მის შუა აშლა და ერთმანერთის მოცილება შეიქმნა. ახლათ მოვედით ჩვენ საჭყონდიდლოშიც და ჩემი ძმა ჭყონდიდელი გარდავაყენე. მას მოლმა მოვიკითხეთ და ერთობ დიდი ხანი გამოვიდა რომ საჭყონდიდლოში მწირველი ეპისკოპოსი არ მჯდარიყო და ჟამთა ვითარებისაგან ალაგალაგ საჭყონდიდლოს ბევრი დაკლებოდა კაცი თუ ალაგ მამული. ახლათ ჩვენ ჩვენის ჭყონდიდლის სამაგიეროთ წმიდა და მართლმადიდებელი მწირველი ლოლაბერიძე ევდემონ მიტროპოლიტი გვიკურთხებინებია და ჭყონდიდლად დაგვიჯდენია და საჭყონდიდლო ამისათვის მიგვიცემია. სხვა რომელიც ძველთაგან თუ ახალი შენაწირი დავთრები იყო, მოვიკითხეთ ზოგი უდროობით დაკარგულიყო და ზოგი კიდევ იყო. ყველანი გამოვიძიეთ და შევიტყვეთ. ანჯელი და კოდორა გალზართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ, მაგრამ კიდევ ვინმე დაობდა. აწ ჩვენ რომ მოვიკითხეთ და გავსინჯეთ. ჭყონდიდელი ერთობ დიდი ხნის განთავისუფლებული და დიდი მიტროპოლიტი გამოვიდა და ეს პირველი გარიგებული და წიგნი ჩვენ ასე ხელახლა განგვიახლებია და შეგვიწირავს პირველ მარტვილისა ღთისმშობლის ტაძრისათვის და მერმეთ წ̃ის გ̃ის სუჯუნის ეკლესიისათვის, რომ არც დადიანმან, არც დედოფალმან, არც უფლისწულმან, არც დიდმან და არც მცირემან ეს საჭყონდიდლო კაცი და ალაგმამული სახაროთ მისთვის არ დაიკავოს. დასტურ დადიანი ბატონი არის და ვისაც უნდა იმსახურებს, სხვეფ ამაში ხელი არავის აქვს, ისე შეგვიწირავს და განგვიაზატებია და ამჭ ყონდიდელ ლოლაბერიძისათვის ამ რიგად ჩაგვიბარებია..... დაიწერა ქეს აქეთ ათას შვიდას და ათოთხმეტსა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**1714 წ.** ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს მიცემული გრიგოლ კათალიკოზისადმი პირობის წიგნი ევდემონ ჭყონდიდელის მიერ. საბუთი, დაცული ბიჭვინტის ქაღალდებში № 31, დაწერილია თეთრ ქაღალდზე ზომით 33×16 სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორიწერტილია.

ქ ნებითა და წყალობითა ღთისათა და ყოველთა მისთა წმიდათა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა, ესე საბოლოოდ გასათავებელი პირი და წიგნი მოგართვით თქვენ ჩრდილოსა და აფხაზეთისა კზს პატრონს გრიგოლს ჩვენ ჭყოინდელმან ლოლაბერიძემან ევდემონ, ასრე და ამა პირსა ზედან რომ ბატონის დადიანის ბეჟანის სიტყვით და ბრძანებით მიტრაპოლიტად კურთხევას შემოგეხვეწეთ და მოგახსენეთ. სხვას ჟამს ჭყოინდელი მიტრაპოლიტად კურთხეულნი არ ყოფილან და მერმე სხვანი ებისკოპოსნი, რომელიცა მიტრაპოლიტად თქვენგან იკურთხნენ, მართებულად ვერცა სათნო გეყუნენ და ვერც მცნება და სამსახური თქვენი მართებულად აღასრულნეს, ჩვენს წინანდელი ჭყოინდელნი ძველთა და დიდთა კელმწიფეთაგან დიდად პატივცემულნი ყოფილან მონასტრითაც, სიმდიდრითაც და მამულითაც, მაგრამ მიტრაპოლიტად კურთხევა არ ჰქონიან. აწ რადგან ჯერ ღთის ბრძანებით და მერმე ბატონის დადიანის წყალობით ჩვენზედ მიტრაპოლიტობის კურთხევა მოვიღეთ, დღეს ამას იქეთ ვიყოთ თქვენთვის კარგი და კარგის მდომი, სჯულიერისა და საღმრთოს საქმეზედ ბატონთან ხვეწნით და მოხსენებით თქვენს მოდგომას ვეცადოთ და სხვაზედ რისაც შემძლებელი ვიყოთ, სამართლიანის საქმით მოგიდგეთ და სადაც დავესწროთ ბიჭვინტისა ღთისმშობლის ყმების მოხმარებასაც ვეცადოთ მართებულის საქმით. ამის გათავების თავსმდებად მოწამედ მოგვიცემია თავად ღ̃თი და ყოველნი მისნი წმიდანი და თვითონ ბიჭვინტისა ღ̃თის მშობელი.

ხქ ჯვარია დასმული.

**1714 წ.** ნაგლეჯი შეწირულების წიგნისა. დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

----(წყვეტა) . . . კაცთაგან არიან ამისა მოწამე ჯვარისმტვირთველი გიორგი, კანდელაკი ანანია, ჩვენის კარის მოხელენი სახლთუხუცესი ანდრია, მეღვინეთუხუცესი გოგოლაშვილი, ხახუტა [მუ-ქი]ფი, ზაქარია მემარნე, ხოსია მემგალობელი, მწიგნობარს ს---ნ ჰიჰინაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დამამტკიც[ებელ]ი აკურთხოს წმ˜ნდანმან ღთისმშობელმან, მომშლელი ამისი [წყეუ]ლ, კრულ და შეჩვენებულ იყოს. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს [ოთ]ხას და ორსა თვესა დღესა (sic მეტი არაა). ქ ამ წიგნშიდ რომ ეს ორ მოსახლენი სწერიან (მეტი არაა)

ამ საბუთზე დაკერებულია საბეგრო ნუსხის ნაგლეჯი, რომელიც 1716—1730 წლის ახლო ხანს უნდა ეკუთვნოდეს.

---[ქოჩიანა]შვილებს მართებს ღვინო კოკა შვიდი თორმეტიანი, ლო----რი პური დარჩეული ნახევარი კოდი ორი შ----ყველი, კვერცხი ოცდა ათი, სანთელი ორი ჩარექი და ყველიერის ძღვენი.

ქ. აგრევე მახარებელს კუპალაშვილს მართებს შვიდი თორმე[ტიანი] კოკა ღვინო, ღომი კოდი ერთი, პური ნახევარი კოდი დარჩეული, ორი შამახური, ყველი, ოცდა ათი კვერცხი. ორი ჩარექი სანთელი, საშობაო და საყველიერო ძღ- -რე გაგვირიგებია.

სხვა ხელით: ჩვენ მეფეთ მეფეს პატრო[ნს ალექსან]დრეს ასრე დაგვიმტკიცე ---ორი წიგნი იყო და ნიკოლოზ გენა. . --გედევან ერისთვისაგან და გაბრიელ ცაგერელ გენა[თელო]საგან და ჩვენც ესრედ დაგვიმტკიცებია.

**1696 1715 წ.** ამ წლის ახლო ხანებში და საზოგადოდ მე-XVIII საუკ. დასაწყისში არის შედგენილი ხობის შესავალ გლეხების სანთლის ბეგრის ნუსხა, დაწერილი ნუსხა ხუცურად თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია. თავში დასმულია კათალიკოზის ბეჭედი წარწერით: მეფე და მღდელთმთავარი აფხაზეთის კ˜ზი გრიგოლ ქკს ტპდ. ბეჭდის შუაში გამოხატულია ღვთისმშობელი ძით.

ქ. წყალობითა ღთისათა ხობის შესავალი და შეწირული სანთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორგას თავს დასტურაია ჭუჭუ და გაბრიელ ოთხი ლოლარიკი სანთელი.
ილორისა შვილები ოთხი ლოლარიკი სანთელი.
არცანდია გაგინა ოთხი ლოლარიკი.
დასტურაია დათუ და მახუტუ ოთხი ლოლარიკი.
ხაჩქილა ოთხი ლოლარიკი.
მამაშისშვილები ოთხი ლოლარიკი სანთელი.
ხოჭოლავა მიამია ოთხი ლოლარიკი სანთელი.
პაჭკუტია მესხულავა ოთხი ლოლარიკი სანთელი.
გალმა ხორგას თაბუნია ხოჭოლავას სეული პარტახი ძველთაგან შეწირული ყოფილიყოდ (sic) და ოთხი ლოლარიკი სანთელი.
ბესია გიგიბერია და ორი მისი გლეხი ხუთი ლოლარიკი სანთელი.
ილანახუ ლეფონავა ოთხი ლოლარიკი სანთელი.
მისი ძმა ნიკოლა ოთხი ლოლარიკი.
კიდევ მისი განაყოფი გიგანძალა ოთხი ლოლარიკი.
ბერაია ბაბაკოჩი ხახუ და მისი ძმისწულები ოთხი ლოლარიკი.
თომა ბერაია და მისი ძმები ბეჟია ოთხი ლოლარიკი.
კიდევ ბერია გურიკავა და შოშიტა ოთხი ლოლარიკი.
არცანდია ქომოკორდა მისი ძმისწული ოთხი ლოლარიკი.
ჯაიანისსეული კაცი ავშილავა გონჯი ოთხი ლოლარიკი.
ხობს ბაბაკოჩი ბიგვავა ხუთი ლოლარიკი.
ძლიკვიდი ხამინჯია და თაიმაზი ხუთი ლოლარიკი.
წულაი თუთაშხია და გვაძაბია ხუთი ლოლარიკი.
დალუზია გოგელეი ხუთი ლოლარიკი.
ხუტუ კოდუა და მოგელი ხუთი ლოლარიკი.
სუბუქა მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი ხუთი ლოლარიკი.
კიდევ ჯგებურია ჭუჭუ ახალიკოჩი და მისი ძმები ხუთი ლოლარიკი სანთელი.
ელიშა ოსათარა დაკავა ხუთი ლოლარიკი.
ბიას კოჩიორე სიჭინავა და მისი გლეხი იმანცალა დხადაია ხუთი ლოლარიკი.
ბიგავა ჯვებე და მისი ძმისწული ხუთი ლოლარიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახარბედოს ეჯიბია ივანელა სამი ლოდარიკი სანთელი

კიდევ მეორე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაბალია სამი ლოდარიკი სანთელი

ხუცესი ხარბედა სამი ლოდარიკი სანთელი.

ნასხიდა შულლაი სამი ლოდარიკი.

ხორგას ჩემი შეწირული რომელიც იყო ის დამიწერია. ძველადგან ქოვლიებს სდებია და როგორც სდებოდეს, ისე გარდიხადოს. ამ ჩემს შეწირულს კაცებს ვისაც სანთელი ემართოს, მეხადილეს კაცისათვის საკლავი შეგვიწევია და მეორე კაცისათვის უფროსის აკლავი, არც გასამყაფლო (sic) ეთხოებოდეს, არც ბატონისაგან და არც მოხელისაგან და ხატის ბეგარა სანთელი რამდენათაც გეიყოს, თან გაჰყვებოდეს მთლად.

ბეჭედი წარწერით: აფხაზეთის კ̃ზი გრიგოლ

ხვეულად: კთლზი

**1716 წ.** გარიგების წიგნი ნიკოლოზ გენათლისა, დაცული გელათის საბუთებში № 88, თეთრს ქაღალდზე ზომით 37×16 სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება ორი წერტილი. საბუთი ფრიად დაზიანებულია.

...[ჩვენ]...გენათელ[მა] ბატონმა ნიკოლოზ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ ასე --- ტიოსანს საყდარს სანთელი შეჰკლებოდა და ზოგი ო--- მ ჩავნს საყდარსაც და ეკვდერსაც და სხვას ეკვდე--- ელიც და გარიგებულობაც და ამ წმიდის მარინეს ს---ათ დედოფლის საფლავს სრულა აღარა ქონდა სან--- ჩემის სულის საოხად და ცოდვათა ჩემთა შესანდობელ---ნიანიძის ბეგარა ხახუტასი, ზაქარიასი და გოჩიასი---ბაზი თეთრი და აწ ჩვენც ასრე გაგვირიგებია რომ --- ეხისაგან თითო შამახური სანთელი წმინდის მარინი --- დედოფლის სასაფლაოს მიერთმეოდეს და ჩვენ მოგ---იდენ და თუ ღთნ ქვეყანას მოხედოს და მშვიდობა --- შამახურს სანთელს ნამეტანი შეიქნას ის პატიოსანს --- თმენდეს ჩვენ ასრე გაგვირიგებია......---ამისნი მოწმენი ჩვე---გი ჭიჭინაძე ჯვარის მტვირთველი

შელვინეთ უხუც---მე მღრდლმონაზონს დავით კოფილს [illegible]ტის---სხა ესე ქკნსა ოთხას და ოთხსა

აქ დასმულია ბეჭედი, რომლის წარწერა სანახევროდ არ სჩანს.

**1720—1730 წ.** შეწირულობის წიგნი როდამ დედოფლისა, რომელიც **ახლ.** იყო ცოლი იმერთა მეფის გიორგი VI-სი, გელათის ტაძრის საბუთთაგან, თეთრს ქაღალდზე № 64. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია. საბუთი ფრიად დაზიანებულია.

.... ესე.... საფიცარი წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ- ჩვენ დიდის ხელმწიფის ქართველის ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან როდამ შენ რობაქიძეს გოჩას და შენს შვილს გიორგის და დათუნას და კიდევ შენს ბიძაშვილს გიორგის, სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა, ასრე და ამა პირსა ზედა რომ დაგვეაჯენით.... ბევარა ამოგიკვეთეთ და ჩვენდა სადღეგრძელოთ და ჩვენის სულის საოხათ ხახულის ღვთისმშობლისათვის შეგვიწირავხართ და ჩვენთვის დაგვიცს წირვა, ამაღლობას დღეს ცხვარს დაგვიკლიდეთ, ხუცეს ჟამს გვიწირვინიებდეთ, ცოცხალს დღეგრძელობას შამოგვითვლიდეთ და (შკვდარს).... შენდობას შამოგვითვლიდეთ, თითოს ჩარექს სანთელს ყოველს აღდგომა დღეს ხახულისა ღმრთისმშობელს შესწირებდეთ და ჩვენის ცოდვილის სულის საოხოთ თქვენც იმისთვის შეგვიწირავხართ.... არის ამის მოწამე ჯაფარიძე ლომკაცი, მიქაძე მამისთვალი, ბუაძე დათუნა, მიქაძე დიაკონი, კუმბურიძე ოთარა. მე კარვიშვილს მდივანს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ხვეულად: დედოფალი როდამ.

**1715—1730 წ.** ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს მიცემული გიორგი თავდგირიძის ცოლის ბატონიშვილის ხვარამზეს მიერ შეწირულობის წიგნი, ბიჭვინტის საბუთთაგან № 13, თეთრს ქაღალდზე დაწერილი, ზომით $42^1/_2 \times 15^1/_2$ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

.... შენ ცათა მობაძავო ბიქვინტისა ღთისმშობელო, [illegible]ოდენ სულკურთხეული გიორგი თავდგირიძე მიიცვალა და მისის სულის საოხად ჩვენ ბატონისშვილმან ხვარამზემ ცვაფარვათა თქვენთა მონდობილმან და მსასოებელმან სიწმინდისა თქვენისამან და შემოვედრებელმან ცოდვათა მისთა შენდობისანი ჩვენ მიერ მცირე ესე შესაწირავი შამოგწირეთ ერთი კვამლი კაცი ხორგას ბერია ბარდლალეი და მისი ძმა დოხვადი და შემოგვიწირავს ცოლშვილებითა, სახლკარითა, მიწა მამულითა, სასაფლავოთა, ეკლესის კარითა, ტყითა, წყლითა, ველითა, საყანეთა, სათევზითა, შესავალ გამოსავალითა, მისის უძებარსაძებრითა, შემოგვიწირავს ჩვენდა ამ სოფლის სასიმრთელოდ, სადღეგრძელოდ და საყვარლისა ჩვენისა მიცვალებულისა გიორგი თავდგირიძის სულის საოხად.....

**1730 წ.** ალექსანდრე V-ის შეწირულობის წიგნი, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 89, დაწერილი ქაღალდზე. საბუთი ფრიად დაზიანებულია. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილი. გელათის საბუთებშივე დაცულია შეწირულობის წიგნი ალექსანდრე V-სი იმავე მიზნით. ეს საბუთი, ხუცურად დაწერილი, № 135 ქაღალდზე ზომით 120¹/₂ ×33 სანტიმ., მიცემული უნდა იყოს უფრო გვიან. № 89 სიგელის ტექსტის თავში ფრჩხილებით აღნუსხული შევსებულია № 135 სიგელიდან.

----(... წყალობითა ღვთისათა მეფეთმეფემან... მეფემან ალექსანდრე ძემან მეფისა [გიორგისამნ და დედოფლისა დ[ე]დისა ქართველთ მეფისა სპარსთა ენათაებრ შაჰნა ვაზ ხმობილის შვილისშვილისა და სახე~ოანის მეფის გიორგის [ასულისა პატრონისა] როდამისამან მეფემ ალექსანდრემ, რ~ მეფობათა შინა ჩემთა ფრიადითა მოწყალეჲითა [პატივმცა მეუფემან და ვ~ა შვილსა სასურველსა მამამან, ეგრეთ შემიყვარნა, რამეთუ პირველ ჩვენსა მეფენი] მამაპაპანი ჩემნი ღალატითა და ორგულობათა [თვისთა ყმათა და ქოლათა (sic) დაემარცხებინათ და ადგილნი და სასახლენი და თავადნი და სიმაგრენი მისთვის დაეპყრათ], კნინღა და მრავალი ჟამიცა გამოსულიყო უმე-

ფლ და ქვეყანა ესე ჩვენი. [ხოლო ნებითა ღ˝ისათა და წყალობითა დიდისა კეისრისათა დავჯედ სამეფოთა ზედან ჩემთა და ესრეთ აღმიპყრა მეუფემან ჩემმან სიჭაბუკესა ჩემსა კელი, მტერთა ჩემთა საზარელ მყო და საშინელ და დავიპყარ ლიხთ იმერეთისა სამეფო უნაკლულოდ და მტერნი ჩემნი ვერცა თვინიერ სიმაგრეთასა იკადრებდეს ცხოვრებად. ესრეთ განმაძლიერა უფალმან ჩემმან, ხოლო მე არა დავადგერ სჯულსა სამეუფოსა და მრავალთაებრ ბრალთა ჩემთ თვის საცთურიანმა სოფელმა] წარმილო ჩემისა თვალისა ნათელი [მეუღლე ჩემი დადიანის ბექანის ასული დედოფალთ] დედოფალი მარიამ. [მას ჟამსა შეედვა ვაებაჲ სამეფოსა ჩემსა. ვინათგან დაუდგრომელმან და წარმდინარემან სოფელმან ესრეთ განაგო, წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა მეფეთა სასაფლაოსა გელათს. ხოლო საძვალენი მეფეთანი აღვსილიყუნეს მრავალთა შეწირულებითა შინაგან ეგუტრისი და ერთ გლეხითა და სოფლებითა გაწყობითა არა რაი აკლდათ. ამისთვის ცალკედ ვინებეთ მიღება მიცვალებულისა ჩემისა, რამეთუ მენება საყვარელისა ჩემისა ეგუტრის გაპატიოსნება რაოდენ ძალ მედვა. იყვნეს მუნ გელათისა კერძო მარჯუენით ეკუტერი დავიწყებული, ჟამთა ვითარებისაგან არა ვინ უწყოდა თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. კელ ვყავთ გაშენებად და შემკობად მისა, წილი წლით ვიგდეთ სახელსა ზედან ღ˝ისსა და წ˝თა მისთა ზედა თუ რისა არს და აღმოვდა სახელი სიმკნისა მოსახელესა ანდრია პირველ გამორჩეულისა და ფრიად მთნდა ესე და] მოვიმოწმეთ აფხაზეთისა კზ˝ი გრიგოლი და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი და აღვაგებინე საკურთხეველი სახელსა ზედა ანდრია მოციქულისათა დამყარე˝ითა კელთა მათთა[თა?] და მუნ [მივიღეთ] დედოფალი კურთხეული მეუღლე ჩემი საუკუნოდ მოსახსენებელად.

ქ. შევწირეთ შინაგან საყდარსა და ადგილი და ყმანი განსასვენებელად მისა და ვიდრემდის მ[რა]ვალსა ღმობიერსა ამას ცხოვრებასა ვიყო წარსამართებლად და განსაძლიერებელად ჩემდ წელთა და ჟამთა შინა ჩემთა, რათა არა მივეცე კელთა მტერთა ჩემთასა....

ქ. წმიდასა საკურთხეველსა ზედან შეგვიწირავს ბარძიმი კარგად მოყვანილი ჩარხითა შექმნული.

ქ. ორი მის შესაკადრი სიწმიდისა და სეფისკვრისა ფეშხუმი.

ქ: კიდევ კამარა, კოვზი, ლახვარი და ტაკუკი.

ქ: კიდევ კარგად ხალასად ნაკერი სირმითა დაფარნები და მისი პერექლები.

ქ: კიდევ სამლთოს ტრაპეზსა ზედან სასვენებელი კარგად მოჭედილი რუსულებ პატიოსანი ოთხთავი.

ქ: კიდევ ჯვარი ცხოველსმყოფელი კარგად ნაქმარი მინანქრით და შემკობილობით.

ქ: კიდევ ჯვარი ბერძნული კარგად მოჭრილი სადაფქრისა.

ქ: კიდევ საცეცხლური ვერცხლისა კელმწიდათ (sic) მოჭედილი პატიოსანი.

ქ: კიდევ სახარება სტამბისა ვერცხლით გაწყობილი და სამოციქულო.

ქ: კიდევ მარხვანი უნაკლულო პარაკლიტონი და დავითი და ხატები კარგად დახატული.

ქ: ხატი რუსული ქარხნისა ანდრია მოციქულისა.

ქ: ვარდოსანიძე ლეკვიას მართებს ორი შამახური სანთელი და ნახევარ მარჩილის საკმეველი ყოველ წლივ.

ქ: აზნაურშვილი ციმაკურიძე შეგვიწირავს სულის (sic), ყოველ წელიწადს თითოს ჟამს წინამძღვარს გვიწირინებდეს, ცხვარს დაგვიკლევდეს მოსახსენებლ[ად].

ქ: გაბრიელა კირაეზაშვილს მართებს ოთხის მარჩილის სანთელი და ორის მარჩილის საკმეველი ყოველწლივ, სხვა არარა.

ქ: მართებს მაჩალაძეს ოცი მენახევრე ღვინო, ერთის მარჩილის სანთელი, ერთი ურემი ღომი, ერთი ქათამი. კიდევ სამოურაოთ აძეს ერთი რუბი, ამისგან ერთი მენახევრე ღვინო კელოსნისა არის, ორი ფოხალი ღომი, ერთი კოკა ღვინო, რუბის საკმეველი დაგვიცა, ღომი და ღვინო წინამძღვარს.

ქ: ნაფიჩაძეს მართებს ოცდარვა მენახევრე ღვინო, ათი შაურის სანთელი, ერთი ურემი ღომი, სამი ქათამი, ღვინისაგან ერთი

კოკა კელოსნისა არის. სამოურაო ერთი კოკა ღვინო, ერთი რუბი თეთრი და საკმეველი დაგვიც, ორი ფოხალი ღომი. ესენი ღომი და ღვინო წინამძღვარს.

ქ: ზურდაძეს მართებს ოცი კოკა ღვინო, ათი შაურის სანთელი, ერთი ურემი ღომი, ორი ქათამი, სამოურაო ერთი რუბი და ამისი საკმეველი დაგვიც, ორი ფოხალი ღომი. სხვა ესენი წინამძღვ.რს, ერთი კოკა კელასანსა (sic).

ქ: კოღუაშვილს მართებს ოცი მენახევრე ღვინო, ერთი მარჩილის სანთელი, ერთი ურყმი ღომი, ოთხი ქათამი, ერთი რუბის საკმეველი, ერთი კოკა ღვინო კელოსნისა არის.

ქ: ადამაძეს მართებს ოცდაათი მენახევრე ღვინო, ერთი მარჩილის სანთელი, ერთი ქათამი და სამი ქათამი სამოურაო და ესენი წინამძღვარს, ერთი კოკა კელოსნისა არის.

ქ: ამკვერიძეს მართებს ოცი მენახევრე ღვინო ყოველს წელიწადს. ერთი კელოსნისა არის. კიდევ მესამე წელიწადს ხადილი, ორი მარჩილი თეთრი. ამისთვის დაგვიც ორი მარჩილის სანთელი, მესამეს წელიწადს ცხრა მენახევრე ღვინო, ორი ქათამი, შინ თუ დახარჯა, ღომიც ამისი არის, თუ არა და, ღომს არ მისცემ[ს].

ქ: დათიას მართებს ცხრა რვიანი ღვინო, ორი რუბის სანთელი, ერთი ურემი ღომი სამოურაოთ, ერთი რუბი თეთრი და საკმეველი დაგვიც და ერთი კოკა ღვინო.

ქ: ჩიტინს ხუცესაძეს ათი შაურის სანთელი, ოცი მენახევრე ღვინო, ერთი ურემი ღომი, ერთი რუბის საკმეველი, ორი ქათამი, ორი ფოხალი ღომი, ერთი კოკა ღვინო, სხვა სანთელი ხახულისა ღვთისმშობლის წინ მიიტანოს და სხვა ბეგარა და სამსახური წინამძღვარს.

ქ: ლიჩელს გიორგის მართებს ოცი მენახევრე ღვინო, ერთი ურემი ღომი, ათი შაურის სანთელი.

ქ: ზაზამას და დადუჩავას მართებსთ ოცი მენახევრე ღვინო, ურმეული ღომი, ათი შაურის სანთელი.

ქ: ქუტირს კცია თევდორაძეს ოცი მენახევრე ღვინო, ერთი

მარჩილის სანთელი, [სამი] საბაზიარო ქათამი, ერთი საშობაო ქათამი. ესენი შეგვიწირავს საოხად სულისა ჩემის წმიდის ეგვტრისა ანდრიას მოციქულისა.

ქ: აწ დავადგინეთ და განვაჩინენით ეკვდერსა ჩვენსა ზედან წინამძღვარნი, რათა გამოირჩეოდენ მუნ დასაყენებელი ბერი არათუ ქრთამითა ვინმე იკადროს უწესოება ანუ დიდის კაცი'ს შვილობითა ანუ გაენათელმა მისთვის დაიპყრას.... არარა სამსახური და ვალდებულობა დაგვიდვია გენათლისა ჩვენის ეგვტრის წინამძღვრისთვის არცა შინაგან საყდრისა და არც გარეთ ადგილსა და სოფლშიდნ სრულიად განგვითავისუფლებია თვინიერ მორჩილებისა გენათელ მიტრაპოლიტისა და სჯულიერად განწესებისა რისამე.

ქ: ჰო ყ̃დ დიდებულო დედოფალო... მე... მეფე ალექსანდრე მოგართვამ და შემოგწირავ, ძველთაგანვე დავიწყებულსა ეგვტერს ვამკობ და ვაშენებ ზემოწერილითა ამით შემოსაწირავითა. შეიწირე მცირედი ესე შესაწირავი დედოფალო ... ქრისტეს აქეთ ჩღლ ქკს---კელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრისთა..

ხვეულად: მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა

ქ: იქმნა შეწირულის ბეგრის ჯამი

ქ: ექვსი ლიტრა სანთელი

ქ: ასოცი კოკა ღვინო

ქ: სამმარჩილ ნახევრის საკმეველი

ქ: შვიდი ურემი ლომი

ქ: ორი კოდი გაცეხვილი ლომი

ქ: ოცდა ორი ქათამი

არშიაზე ტექტის ხელით. ქ: ამას გარეთ შეგვიწირავს ერთი ხულის ქირა თვს თავზედ თითოს ქირას მარჩილს წინამძღვარი აიღებდეს, ჩვენი მოხელენი მისცემდეს. რომელიც ენებოს, თუ უნდა ისე მიჩინონ ხულა და სანთელი აკლდეს თუ საკმეველი, მაზედ მოიხმარებდეს.

ხვეულად: ალექსანდრე.

განზე მინაწერები: I ქ: გიორგიტა ნუცუბიძე ბატონის მეფის სოლომონის ბრძანებით გელათს წმინდის მოციქულის ანდრიას ეგვტერს შეეწირა და ჩვენ მისმა წინამძღვარმა ნიკოლაოზ ბატონის

მეფის სოლომონის ბრძანებით პატიქეთ უშვილო კაცის სეფლობაზედ დავასახლეთ და იმ ადგილს სრული ბეგარა ემართა, მაგრამ რადგან ამ გიორგიტამ თავისი ნებით მოიწია ამ ეკლესიისათვის, ჩვენც შევიბრალეთ და ყოველისფერს ბეგარაშიდი (sic) ორს ჩარექს სანთელს დავსჯერდით...

II ქ. ჩვენ იმერთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან [სოლო]მონ დავითიანმან შევსწირე გელათის წმიდა ანდრია მოციქულის ეკვდერს პაპის ჩემის მეფის ალექსანდრეს სასაფლ----დუფლის მარიამისაგან დახსნილი ბიჭი გიორგიტა ნუცუბიძე... (დავასახლეთო პატრიქეთს უშვილოთ გარდაშენებულ აკვერიძის ადგილზედ, სამსახური ამ ადგილისა წინამძღვარს არ მოეშალოსო)... ჩღკგ.

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: მეფე იმერთა სოლომონ

III ქ: მინდიაშვილი რომ შევსწირეთ, მისი ხორცის ბეგარა სამთლის ფასათ მიერთმეოდეს და სხვა სამსახური ხატისა და წინამძღვრისათვის იყოს.

IV ქ ს˝დ იმერთა დედოფალმან მარიამ შევსწირე (ანდრია მოციქულის ეგვტერს) ქუთაის ორი ხულის მიწის ქირა წელიწადშიდ ოროლი ფლური სანთლისა და საკმევლის ფასად....

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: დ˝ფლი მარიამ

V ქ ჩვენ ბატონმან დედუფალმნ წულუკიძის ასულმან გულქან შემოგწირეთ შენ წმიდის ანდრია მოციქულის ეკლესიას ერთი ხულის ქირა, ჩვენი მოხელეები თვის თავზე თითოს მარჩილს წინამძღვარს მიართმევდეს სამთლისა და საკმევლის ფასად... ხელითა სიმონ ავალიანისათა.

ბეჭედი წარწერით: წულუკიძის ასული დფლი გულქან

VI ქ. ჩვენ. ღვთივ. გვირგვნოსანი ძე. სულ კურთხეულის მეფის მიის (sic) მეფე სოლომონ ვამტკცებ სიგელსა ამას.

ქ ერთი გლეხი გაბრიჭიძე ხახუტა და მისი სახლი გამდლისეული შესწირა სულ კურთხეულმა მამა ჩვენმა.

ქ. ერთი გლეხი ჩვენის ძმის ნა---სულის საოხად მი----ნულა, შეწირა ა---თხუცესი ჯაფარიძე-----[და]ვით მდივანს დამიწე --მოწამეცა ვარ, დაიწერა ქორონიკონს ჩღნგ.

ბეჭედი.

VII ქ: კანდელაკის შვილი: გალობელი: ნ̃ს მახვილით: ალესრულა და: ვაჟი: არ: დარჩა: ძველნი: მატიანენი: გავსინჯეთ: და: საქართველოში წესი: ყოფილიყო: უშვილოთ: ამოვარდნილის: კაცის: მამული: თვის: შეპატრონის არისო: რადგან: ის: ზემოხსენებული: საყდროვანი: იყო: ჩვენდა: სახასოდ: საერის კაცოდ: არ: იქნებოდა: და: ისევ: ჩვენს: საძვალეს: წმინდის: ანდრია: მოციქულის ეკვდრისათვის: შეგიწირავს: ეს გლეხები.... ქ: გოდოგანს: გიორგი: ჭარბაძე: მანდიაშვილი: მოჯალაბაძე: დადუნასშვილი: მამაშვილი: ნაბოსლევს: ორი: გლეხი: ქათამაძე და: ხეჯაძე: ტყირბულს: ქასრაშვილი: ორი კომლი: ქვემო ქვიტირს: იამანიძენი: მამუკა: და: მისი: განაყოფი: დაიწერა სიგელი ესე ქკს ქრისტეს აქეთ: ჩღმთ: მაისის: კა:.

ხვეულად: მეფე ა̃ლე

კიდევ ერთი მოკლე მინაწერი, რომელიც აგრეთვე მეფის ალექსანდრესი ყოფილა (დარჩენილია ხვეული ხელისმოწერა), ფრიად დაზიანებულია.

**1731 წ.** შეწირულობის წიგნი გელათის წმ. გიორგი წინამძღვრის გაბრიელის, ბიჭვინტის საბუთთაგან № 38, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია. თავში დასმულია საკათალიკოზო ბეჭედი წარწერით: მე̃ფე და მღდელთმთავრი: აფხაზეთის კ̃ზი გრიგოლ ქკს ტპდ. ბეჭდის შუაში დახატულია ღვთისმშობელი ძით.

ქ ეჰა შენ იაკობის კიბეო, დავითის ვარდო, რომლისა სურნელებით ფშვ ის ქვეყანა, ქე აბინთა უაღრესო და სერაბინთა უწმიდესო, ბრწყინვალებაო ანგელოზთაო, პირველ საუკუნეთა დედაო ღთისა გამორჩეულო, ადამის ცთომისა დამხსნებლო (sic), ჩვენ დაცემულისა აღმართებაო, დედაო ემმანოელისაო, მშობელო სიტყვისა ღთისაო, შუამდგომელო ღთისა და კაცთაო, ანგელოზთა და კაცთა ერთსამწყსო მყოფელო, ყ̃დ წმიდაო დედოფალო ბიჭვინტისა ღთის მშობელო, შენგან გამორჩეულისა და შენის ნება ჯერჩინებითა

ქმნით კზქმნილის შენის პირმეყტველის ცხოვარის კეთილბოროტის განრჩევით მწყსელის კზის ბატონის გრიგოლის წინამძღვარმა გელათს წმიდის გიორგის ზედა მდგომელმა გაბრიელ თათრითგან დავიხსენი მოსახლე კაცი გ˝ი ხანთაძე და შენთვის შემომიწირავს, პატიოსანო ცათა უმაღლესო ბიჭვინტისა ღთისმშობელო და შენი მონასტრის გელათის წმიდის გიორგისათვის შემომიწირავს გ˝ი ხანთაძე ცოლშვილითა, სახლკარითა, ჰურმამულითა, რისაც მქონებელი არის, მისი ყოველისფერით შემომიწირავს. შეიწირე ყ˝დ წმიდაო ღთისმშობელო, ვითარცა ძემან შენმან ორნი მწვლილნი ქვრივისანი. რამანც ძემან კაცისამან ამის შლად და გამოწირვად კელჰყოს, ან ენა შესძრას, ისიმც მოიშლება შჯულისა ქრისტიანობისაგან, ძველის და ახლის სჯულის წყევა მაზედამც აღესრულება. მომშლელი ამისი მოშალოს და დამამტიცებელი ამისი აკურთხოს ღ˝თნ. დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ჩღლა კზობასა ბატონი კ˝ზი გრიგოლ ლორთქიფანიძისასა, მეფობასა პატრონის ალექსანდრესსა.

ბეჭედი წარწერით: მონა ღთისა აფხაზეთის კ˝ზი გრიგოლ

**1731 წ.** ნიშანის მოცემის წიგნი ანიკა ჩოჯავაძისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 43, თეთრს ქაღალდზე ზომით 60×21¾ სანტიმ.. საბუთი დაწერილია ნუსხა ხუცურით.

(გრძელი წინასიტყვაობის შემდეგ).... და აწ ჩნ ჩინებულისა თვდის ჩოჯავაძის ლომკცის თ˝ა მეცხდრემან აბაშიძის ასლმნ ანიკამ და ჩმა შვლებმა გიჲ, ვახუშტიმ და ილარიონ ეს სფიცრის წიგნი მოგართვთ ცთა მობაძავსა ბიჭვნტისა ემბაზისა კზს ლორთქიფნიძეს ბტნს გრიგოლს ამა პირსა ზ˝ა, ჩნს სხლს თქნის ტხტის ნიშანი ემრთა, მოგვადექით და გვთხოვეთ. ჟ˝თა ვრებისგნ ჩ˝ნი სხლი დამცირებლ იყო, ვერც თქნი სყდრის და თქნი გ˝სჯის და ვერც ჩნი სკდრისი ნიშნის მორთმევა შევიძელით. მგიერდ მოგართვთ ჩნი კარის წინამძღარი ჩნი წყლბა სრჩოთ და მისი მონღვწით მკრიოზ, მისი ძმა გიოგხუცესი, რისიც მქონებელ იყოს, კცით, დედკცით, სხლითკრით, ჰრმრნით, ტყით, წყლით, სყნით, მმლით, წისქვლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძებრით, სძებრით, რისიც მქონებელი იყოს, თქნი წის ბიჭუნისა (sic) ღ̃ის მშობლისათჳს შემოგჳწირავს ....ამისდა გასაოავებლად მოგჳრთმევია... კაცთაგან სლა ერთობით თქნი წჲნი კრებულნი არქმნდრიტნი, მღდლმნზონი, მღდლნი და დიკნნი. ჩნი სახლის აზნაურისშვლი პაპუნს შვლი ქველი ლორთქიფნიძე და მისი ძმა სჳმნ, სხჲნი სლა ერთობით აზნაურნი და მსხურნი. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღ̃ნი. მომშლელნი ამისნი შეჩვენებლმცა იქმნების თქნგნ და თქნი ხტისგნ. დაიწერა ქორნიკნსა უით.

ორი ჯვარი.

**1720—1730 წ.** შეწირულობის წიგნი შოშიტა რაჭის ერისთავისა, გელათის საბუთთაგან № 65. დაწერილია თეთრს ქაღალდზე იმავე ხელით, როგორც ზემოდ (გვ. 118) დაბეჭდილი საბუთი როდამ დედოფლისა. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია. საბუთი დაზიანებულია.

... [ჩვენ] ... ერისთავმან ბატო[ნმა შო]შიტა და თანამეცხედრემან ჩვენმან ბატონისშვილმან პატრონმან მარიამ და ძემან ჩვე[ნმან გრი]კოლ და ვახტანგ და ძმამან ჩემმან გაენათელმან ბატონმან გედეონ ვიგულსმოდგინეთ და შემო---შესაწირავია ასე რომ ჟამთა ვითარებისაგან და უბატონობისაგან ჩხარის საწინამძღვრო საყდ[არი და]იკარგა და საერისკაცოდ გამხდარიყო და ახლა ჩ[ვენ]გან ჩვენდა ხელად ჩამოვარდა. ჩვენ შევკარით და უმადელი პირველადაც შეწირული ყოფილი ყოფილიყო (sic) და ჩვენც თქვენთვის შემოგვიწირავს (ხახულისა და გენათის ღვთისმშობელო) ჩვენდა წარსამართებლად და ჩვენის ცოდვილის სულის საოხად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად.. ... (წყდება)

შემდეგ მიწერილია: ქ სხავს (?) საწინამძღვრო მაგრამ (?) მოსამსახურე ყოფილა.

ბეჭედი წარწერით: მოსავი და მონა ღთისა საქეთმპყრობელი გენათისა გენათელი გედეონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**1700—1731 წ** შეწირულობის წიგნი შოშიტა რაჭის ერისთავისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 50 წითლად შეღებილ ქაღალდზე ზომით 45×30½ სანტიმ. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი, იშვიათად ერთი წერტილი.

..... ჩვენ ერისთავმან ბატონმან შოშიტამან და პატრონის შვილმან ბატონმან ბაგრატ მეფისა ასულმან მარიამ და ძეებმან პირმშოთა ჩვენთა ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ მცირისა ამის შესაწირავისა მოხსენებად და შემოწირვად შენ და, ამა პირსა ზედან რომ იაშვილი მამუკა და მისი შვილი დაიცნერ (sic) და მამული მათი უმკვიდროდ დარჩა ჩვენდა კელად. მერმე თქვენი (sic) კ̃ზი პატრონი გრიგოლ ბიძა ჩვენი აქ რაჭას მობრძანდით და ჩვენის ცოდვილის სულის საოხად და სახსრად საცხოვნებელად და ამა სოფელს წარსამართებლად და სადღეგრძელოდ შემოგწირეთ ბარისთავს სასახლე ქიბო მისის მოჯალაბებიანად, ტყითა, წყლითა, მისი მიწა ალაგიანად. ამას გარეთ სულაძე ხუცესი მისის ცოლშვილებიანად, სახლკარით და, სასაფლაოთა, საწისქვილო მიწა ალაგიანად. კიდე ნასხიდა ბუხრასშვილი მისის სახლკარიანად, მიწა ალაგიანად, სასაფლაოთა, საწისკვილოიანად. კიდე მისი განაყოფი ოთინიკი ბუხრასშვილი და მისი ძმა კაციტი დათუკი მათის ცოლშვილებიანად, სახლკარიანად, მიწა ალაგიანად, სასაფლაოთა, საწისკვილოინად. შეიწირე დედოფალო ღთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ, შესაწირავი ესე და შენგან და ძისა შენისა მიერ ზეგარდამო გამორჩეულისა ჩრდილოსა და აფხაზეთის სრულიად საქრისტიანოს მაკურთხეველისა დიდისა მამადმთავრისა უფლისა ბიძისა ჩვენისა კზის პატრონის გრიგოლისთვის საყმოდ და სასამსახუროდ მიგვირთმევია და ყოველსა შინა მოქცევასა წელიწადისასა მისის კრებულით პატრონი კ̃ზი ჩვენთვის თვითოს ჟამს სწირევდეს და შემდგომად მისსა სხვანიცა სანატრელნი კზნი ჩვენის ცოდვილის სულისათვის წელიწადშიდ თვითოს ჟამის წირვასა ასრულებდენ. ეს ასრე დაამტკიცონ ....(წყვეტ)

ბეჭდები შოშიტასი და მარიამისა

**1730—1731 წ.** გრიგოლ კათალიკოზის შეწირულობის წიგნი, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 22.

…. უფალო იესო ქრისტე ღთო ჩვენო, მაცხოვარო ტყვირისაო, ჩვენ მცველობისა და მფარველობისა თქვენისა შევრდომით თაყვანისმცემელი ჩრდილოსა და აფხაზეთისა კზი გრიგოლ შემოგწირავ მცირედსა ამას შესაწირავსა შენ და მშო̃ელსა შენსა დედოფალსა ბიჭვინტისა ღთისმშობელსა მარადის ქალწულსა მარიამს, ასე და ამგვარად. ოდეს მეუღლე მეფისა მიცვალა და ადგილი ესე მშობელსა შენსა მიერთვა, ერთი კვამლი კაცი ამ ადგილის დაკარგულიყო და ვიპოვეთ და ვევედრეთ მეფეს, ამოიყვანა და შესაწირავათ და მისართმევათ თქვენდა გვიბოძა. ახლა ჩვენ დავასახლეთ თქვენთვის სა'ამსახუროთ და შესაწირავათ სანთელი დავადევით. შემოგვიწირავს თქვენთვის, მა'ცხოვარო ცხოვრებისა მომნიჭებელო, დუხუჩავა იოვანე და ორი მისი ძმები ხახუ და ოთიეი ცხოვრებისა მის დაუსრულებელისა ჩემდა მიმთხვევად და ღირს ყოფად სასუფეველსა ცათასა, ხოლო მეფესა ალექსანდრეს ძლიერებისა და წყალობის მინიჭებად და ამაღლებად რქათა მეფობისა მისისათა და წარსამართებელად ცხოვრებისა საუკუნოსა ....დაიწერა სიგელი ესე ჴელითა ჩემ ცოდვილსა ბერისა კზას არქ·დიაკონ მგალობელ მწიგნობარ ერისთვისშვილს ეფთვიმისათა

ბეჭედი ასომთ. წარწერით: მფე და და მღდლთმთავარი აფხაზეთის კზი გრიგოლ ქკს ტპდ

განზე: ქ ეჰა შენ მშობელო უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესო ღმთისმშობელო, საყდარისაო ხაბისასა (sic) განსვენებულო, ჩუენ ძისა შენისა მიერ კზ პატრიარქმან ბესარიონ შემოგწირეთ ჯაიანის მერაბისშვილი ივანე და სვიმონ, პირველ დადიანმა ოტიამ შესწირა და ჩვენ მოგცა (sic) და ჩვენ თქვენდა შემოგვიწირავს ის ორი ძმა და მისი კაცები შაქარი ჰაჰის სახლი და მაჯინე და კორტავას სახლი მათის ყოველისფერით, გეგადა ხურცილავა ერთი პარტახი ნაგეგენაუ ტყით, წყლით და მიწამამულით, საყანით, სახოხბით…

ბეჭედი ბესარიონ კათალიკოზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1733 წ.** ალექსანდრე V-ის მიერ მიცემული წიგნი. გელათის საბუთთაგან № 90, თეთრს ქაღალდზე ზომით მე $30^{1}/_{2} \times 22^{1}/_{3}$ სანტიმ. საბუთს თავი აკლია. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

---ესე... მტკიცე და მოუშლელი საფიცრის წიგნი დაგიწერინეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს და მლოცველს ღირსსა და წმიდად მსახურსა ღთისასა ბერს კოპალიანს წინამძღვარს გრიგოლს, ასე რომენ გაენათს პაპის და მამა ბიძათ ჩვენთა სასაფლაო ეკვდარი არის და იმისი წინამძღვრობა და საწინამძღვრო მამული და შეწირულობა ჟამთა ცვალებაში მოშლილიყო, აღარც წინამძღვარი იჯდა და აღარცარა მამული ქონდა, ყვალა (sic) ავს დროსაგან მოშლოდა. აწ ჩვენ... დავაყენეთ პაპისა და მამის ჩვენის სასაფლაოზედ და ... პატივსა წინამძღვრობისასა აღგიყვანეთ, მოკითხული ვქენით და რომელიც ძველად შეწირულობა მამული და გლეხნი ყოლებოდა ან პარტახი იყო სადმე და ან შენი, ნასყიდი თუ უსყიდი, ყვალა მოგათვალეთ და გიბოძეთ. ამასთან ასე გავათარხნეთ ეს შენი საწინამძღვრო მამული, რომენ (sic) არაფერი საჩვენო სათხოვარი არც ძველად სდებოდათ და არც ჩვენგნით ეთხოებოდესთ. თითო კოკა ღვინო სდებოდათ, ისიც გვიპატიებია და არარა სხვა საჩვენო ბაჟი, სათემო სათხოვარი არას ნივთისაგან არა ეთხოებოდესთ რა, არცარა სათათრო ხარჯი და სამასპინძლო და გამოსაღები, არა დიდი და არა მცირე, ვერც მდგმური ჩაუდგესთ. ასე გვითარხნებია...... დაიწერა ნიშანი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა (აქ ცარიელი ადგილია დატოვებული) თვესა ივნისსა იზ ქკს უკა.

ხვეულად: მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისაათა

ბეჭედი, რომელიც უნდა იყოს ალექსანდრე მეფისა, გაურჩეველი წარწერით.

მეორე ბეჭედი წარწერით: ქ. სძლად მომიწოდა პალატმან სახლმან სოლომონ ბრძნისამან.

(ასომთავ.:) ღფლი თამარ

განზე მინაწერები: I---ტონისშვილი: მამუკა. ამ. ბატონის. ჩვენის. ბძანებას: ვემოწმებით. მტკიცე. იყოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ბატონიშვილი: გიორგი. ბატონის. ჩვენის ბძანებას. ვემოწმებით. მტკიცე იყოს:

III---უცესი. იაშვილი. ბააკა. ბატონის. ჩვენის. ბრძანებისა. მორჩილი ვართ

IV ქ. სახლთუხუცესი, ჯაფარიძე. ლომკაცი. ჩვენის ხელმწიფის ბძანების. მორჩილი ვართ:

V ქ: მდივანი. გურგენ.... მორჩილნი ვართ:

VI ქ: მელვინეთუხუცესი. ფხეიძე. ხოსია... მორჩილნი. ვართ:

VII ქ: ჩვენ. ბატონი. გენათელი. გედეონ: ამ. ბატონის ჩვენის. ბძანებას: უმტკიცებთ

**1733 წ.** გუჯარი გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინტის საბუთთაგან № 17, დაწერილია გრძელ გრაგნილად ზომით $372\frac{1}{2} \times 22\frac{1}{2}$ სანტიმ. ნუსხა ხუცურით. ტექსტი მე-140 გვერდიდან 1 სტრიქ. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ პირის მიხედვით, რომელიც თავისს პირველ ნახევარში საკმაოდ სწორად არის გადმოწერილი. შავად აწყობილი დედანში წითურადაა.

**შუა ახო მთვრული ზეით სტრიქნს ბოლოდ აქვს და ქვედს თავად ერთად ნუ წიკითხვთ, ჯერეთ ზეითი, მერმე ბოლოს რ˝ათა თვნი იტყლნ. ნკზ რსთლი ვმუსიკობ**

(აქ არშიაზე სათაურად სწერია: **ქებაჲ ღსა ოთხი მხლი**) ნეტარ არს კ˝ცი იგი რ˝ლსა არა რა ჰრწმუნეს უფროს ღისა სხუ, იგი არს სძიებლ უმტეს ყლისა, რისა მდლი სმრდისდ ვსვ, კეთლ არს ალსრბა ოისა რ˝ი ყთა მეფჱ და უფლი არს. ორღ˝ნოთა კმა ტკბილითა და ქნჲითა სი˝თთა უძნბს დ˝ვი (აქ არშიაზე: **ქება კოზისა**) ლოცვა, ვ˝ა ანნსა, ამისაცა ისმინა ო˝ნ ამისთსცა ყთავე ანგლზბრ უკრცოეებს და იქმნა კოზ და ნთობს ყოთა, ვ˝ა მზ ორკელ გნპყრბილ მუკლთ მდგომი ცრემლოის უმ˝ფცე ზეცისა რ˝ლნი უვის მგობრად და წ˝და არს ვ˝ა ოქროპრ რწყვს სხელითა ამერთა და არს მცირების ხვავ, უვის აფხზნი სწვრთელდ, რმსდ ჩრდილოსათს არ მშრომ სხლით გრგლ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რლის მტყლიცა მსგვსდ მისსა ვთქვუ. თ҄ვს იწოდს პტრიაქ, გრნა სიწმდით უმოყვს ბასილის ვ҄ა ნკზ, ამასცა აქვს მწყლობა, რ҄ი ყითრთ არს მსგვსი მისი. ესე არს ლომბრ სრლუბიი, გალბისა ხმცნრებით, მუსიკ ლოცვ მისი მომეცინ ო҄ნ. რ҄ამე რუსთლმან მოვილო. ინება ესე გუჯარი ჩვნ ცეირედ (?) რ҄ი იამბიკოსა ამს ვმუსკობ

**დაწყება ღუთისა სიტყვისა, რომელი ძალმა ღუთისამან სრულყო და ბრძანებული ესე აღვასრულე შემკობად წმიდათა ღუთისათა და ქებად ღუთისა ერთარსებისა, რ҄ი პირითა ყრმათა ჩვილთათა დაამტკიცებს ყოველსა ქებასა. ამისთვს მეცა აღვასრულე ბრძანება ყოვლისა ჩრდილოეთისა მაკურთხევლისა კათალიკოზისა უფლისა გრიგოლისა და აღვწერე იადგარი ესე მამულისა და შემწირველობისა, რომელსაცა მკითხველთა გასმენს, მოგახსენებს დაწყება, სიტყვიერობისა და შეთხზვა რიტორებისა და შეწყობა მეტყველობისა ამის წიგნისა** განწმენდილთა, ხოლო საუწყონი და ღირსებით მცხოვრებთათვის და სარკებად წინადადებანი და კნინლა მოსიანებრ (ამ სტრიქონის პირდაპირ არშიაზე სწერია: **პ҄ლი წყება**) თავის ქონებით მგლებელთა საკადნიერონი გარდამოცემნი და საუწყო ბრძენთა უბრძნოსა დამორჩილებად მებრძანეს საძნიადონი. აწ ესეობა, ვინადგან მოსე იშიშოდა თვით იგი წინასწარმეტყველთა და მთა იგი სინა კმოდა სმენისათვის ღუთისა სიტყვისა ვერ დამტევნელი, ხოლო ხმა მღლი ესაია უბადრუკით უხმობდა თავსა თვისსა ხილვისათვის ღ҄სა ხორცითა. გარნა ნაშობთა შორის დედათასა უმეტესი დიდი ი҄ე საშინელსა კამლთასა განხსნად წინწეულობდა, რომელ ჰურიცა იგი რჩეული თვით მოციქულთა პავლე ვერ თავს იდებდა გამოთქმად უთქმელთა მათ სიტყვათა თქმისა, რომელიცა არს და არსთა ყოველთა არსებ҄სა არსებად ყოფს მის მიერისა არსისა არსებად მოსრულნი კნინ ოდენობითა უსხეულოთა პირებითა და უხორცოთა წესითა და ალად ცეცხლისა დაბადებულთა ანგელოზთაგან ვისწავეთ სამ წმიდა არსობისა გალობისა გალობად და საუწყოდ უწ-ებისა მის დიდისა და მიუწდომელისა ღუთისაჲ, ვითარმედ არს ღმერთი მყოფი და თავით თვისით არსებისა მქონებელი სამ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებითა და ერთ ჟამთა სამ გვამოვნებით და ერთ ღვთაებით სმი სამებისა ჩინებით და ერთ ხელმწიფებით, ვინაიდგან სხვითა ამათ გარდა მოგუცემენ უწყებანი იგი ზეცისა ძალთანი, რომლითაცა აქებენ სამებასა წმიდასა და იტყვიან: წმიდა არს, წ̃ა არს, წ̃ა არს უფალი საბაოთ, ხოლო ჩვენცა მათ მიერ ვისწავებთ ერთობასა სამებისა წმიდისასა და კვალადცა მომღებელნი სერაბინთაგან საგალობელსა კმასა და ქერაბინთა მიერ სკმობიეროსა გალობასა და სამპირებისათვის მტკიცე ჰყოფენ სავედრებელსა ამას მეორესა გალობასა და იტყვან: ეჰა, ეჰა, ეჰა, ეჰა, რამეთუ ამით სამ წმიდა არსობისა გალობითა გვაუწყებენ სამებისა წმიდისა ერთსა ძალსა, ერთსა ხელმწიფებასა და უფლებასა, რომელსა ანგელოზნი და მთავარანგელოზნი ჩვენ კ́ცთა მომართ მოწევნულნი განცხადებულითა პირითა და განმარტებულითა გალობითა მოგვთხრობენ და იტყვიან: წ̃ო ღმერთო, წ̃ო ძლიერო, წ̃ო უკუდაო, შეგვიწყალენ ჩვენ, რამეთუ ამით ვცანით, ვითარმედ მამა არს ღმერთი დაუსაბამო უწინარესი ყოველთა საუკუნეთა და თანასწორ არს მამისა ძე ძლიერებით, ვინადგან სძლო მთავარსა ამას ბნელისასა ერთმან სამებისაგანმან, რომელმანცა დამამონა ჩვენ გარდასლვითა მცნებათათა ესე ძე მამისა არს ძლიერი, ხ́ უკუდავო (sic) სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, იგი არს უკუდავი და მოუკლებელ, რომელი არს სული სიბრძნისა, სული მეცნიერებისა და სული მამისა ღდ. ესე და ესრეთ სამგვამოვნებად ქებულნი და ერთ უფლებით თაყუანისცემულნი უფალნი მთავარნი ხელმწიფენი მფლობელნი და მპყრობელნი იდიდებიან უწინარეს საყდართა მიერ ქერაბინთა და სერბინთაგან მრითგან (sic) ძალთა უფლებათა და მრავალთაგან და ხელმწიფებათა, ხოლო ამისსა შემდგომად მთავრობათა მთავარანგელოზთა და ანგელოზთაგან, რამეთუ ესე ცხრად დასად განყოფილნი სამსამ რიცხობით მპყრობელნი სამებისა წმიდისა, რომელსა დაგვისახვენ და გვაუწყებენ ქებასა ანგელოზებრსა, რომელსა მიწისა პირებითა ღუთის მეტყუელებდეთ და ვიტყოდეთ ღვთის მეტყველებისა სამებისათვის.

ეჰა არსო სამებაო, პირველ ყოველთასა უპირატესო და არსები-

თა თჳთ არსო, ერთო დასბმო დაუსაბამო და დაუწდომელო, ვინაჲ-გან ბუნებით უშობლად ღვთისმეტყველთა გვიქადაგეს და გვასწავეს ჩვენ ერთ მეუფებაჲ უფლებაჲ და ძლიერება, რამეთუ მამაცა ცხად მიყოფს სამ გვამოვნებისა მათისა სახესა, ოდეს იგი ეტყოდა ძესა და სულსა წმიდასა: მოვედით და გარდავიდეთ, რათა შეურივნეთ მათ ენანი, რომლისაცა ხილვასა ღირს იქმნა დიდი აბრაჰამ სახითა სამთა კაცთათა და ერთი ბუნება სამ გვამოვნებისა გამოაჩინა, ეგრეთვე სახისა გამომსახველმან ელია სამგზის დასხმითა წყლისათა მსხვერპლთა ზედა გვასწავა სამებისა სამგვამოვნება ღმერთი ყ~დ ძლიერი, ვინაცა განცხადებულად ვიხილეთ იორდანესა ზედა საცნაურ ყოფა მამისაგან წამებითა ზეგარდმოთა ძე საყვარელი, ხოლო სული წ~ა სახითა ტრედისათა გამოჩინებული, ვინადგან ხმა მაღლი ესაია იშიშოდა, რა ჟამს იხილა მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა და გალობა სამგზის წ~ა ესმა სამწმიდაო არსობისა და ერთ უფლებისა. ხოლო დანიელ კაცი იგი გულის სათქმელი იწყებს ზეშთა აღმატებულსა უწყებასა, ოდეს იგი იხილა ქ~ე მსაჯულად მამისა მიერ მომავალად და სულმა აუწყა ხორცთა შესხმა, რამეთუ დავით მამა ღუთად წოდებული გალობათა თვისითა ებნითა უძნობს და იტყვს, ვითარმედ ნ·თლითა შენითა სლრითა ძე ნათელი ვიხილეთ ღმერთი, რამეთუ სიტყვისა მისებრ და მოძღვრებისა წმითა წერილთასა ესრედ დავამტკიცებთ და აღვიარებთ, ვითარმედ ნათელი არს დაუალი სამმნათობიერი, სამ ბრწყინვალე, ყ~დ ძლიერი; უსაზღვრო და სამარადისო ერთარსი ღუთაებითა და სამებაჲ პირებითა.

**ღუთის მეტყველება ორის ბუნებისათვის.** ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთა განზრახვითა მამისათა და ნებითა სულისა წმიდისათა მოივლინა ანგელოზი ღუთივ ბრწყინვალე ტომით დავითისით აღმოსრულისა ქალწულისა და მიაგებაჲ კურთხეულსა გიხაროდენ, ხოლო მკვრნემან (sic) ქალწულთა ჰრქვა ძალთა მთავარსა უცხოსა ს~სმენასა მსმენელ მყავ, რამეთუ მამაკაც მეუცხოემან ბუნებამან თბეთამან ვითარმე იყოს ეგრეთ, ხოლო ძალთა მთავარმან ჯერ მჩინებელ ყო ქალწული და შეიწყნარა ხარება ზეგარდამო და მოვიდაჲ

მის ზედა სული წ˝ჲ და ღმერთი ჭეშმარიტი და მეცა ქალწულსა ძლი დატევნად ცეცხლსა ღუთაებისასა და ესრეთ აგრილობდა გვამოვანი სიბრძნე და ძალი ღუთისჲ ვითარცა სღჲ (sic) რჲმე თესლი და უბიწოთა სისხლთაგან ქლწულისთა უშენა თავსა თვისსა სული სიტყვერი არა თუ თესლოვნებისა, არამედ დამბადებლობისა და ესრეთ მცირედ წარმოაჩინა სღჲსა მხლდ ღვთაებისა სახე. ამისთვის ბუნებით სრულ ქმნილი ღმერთი ბუნებით სრული კაცად იპოვა, ვინათგან სრული სრულსა შინა გუამსა ღმერთ ყო უხრწნელად. ამისთვის აგებულსა აგებულად და აუგებელსა აუგებელად უგრძნოპ სამარადისოდ. ვინათგან ერთი იგი ბრწყინვიდა ღვთაებითა, ხოლო მეორე თავს იდებდა შეურაცხებით. ამისთვის უფალი დიდებისა ჯვარცმლად აღიარების სსღჲსა ბუნებისა უვნებლად გებითა და ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან უხრწნელო ხორცნი და სული კაცობრივი მიიხუნა სიტყვამან ღუთისამან და ამისთვის საკუთრად ღუთისმშობლად აღიარებთ, რომელმან სიტყვისა განკაცებული გუამი გვიშევ, ვითარ იგი გამობრწყინდა შენგან ჟამიერად უჟამო სიტყჲ და უხორცომან ღმერთმან მიიღო მსგავსებაჲ კაცთა და მის მიერ ვცანთ სამებით ღმერთი. ვინაცა ვინ საუკუნიდგან მხოლო გპოვა სიტყჲმან მამისამან შ˝ნრბჲ ეგე იაკობისა, ამისთვისცა სიტყვა მამისა შეიწყნარე მუცელსა შენსა, რამეთუ სიბრძნემან მამისამან იშენა სახლი თვისი შენგან უხრწნელო. ამისთვის ღის მეტყველთა კმანი გიგალობენ შენ, მოციქულთა გუნდნი გქადაგებენ შენ და მრავალ მწყობრნი დედად მეუფისად აღგიარებენ, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა ხორცითა შენგან ქალწულო, განმართლდა სულითა, ეჩვენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის, ჰრწმენა სოფელსა და ამაღლდა დიდებით. ხოლო შენ ქალწულო გქადაგებთ სოფლისა ცხოვრებად, მცხოვრებთა შემწედ, უსასოთა სასოდ, ცოდვილთა ცხოვრებად და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელად.

**შესხმა ანგელოზთათვის**: რამეთუ ჯერ მჩინებელი წყალობისა სამება წ˝ა ს˝მწჲ არსობისა კელითა იდიდების ანგელოზთაგან ძალთა და მთავრობათა, რომელნი არიან მსწრაფლნი და მსუბუქნი და ნათელნი მეორენი, რომელთათვის იტყვს დ˝თ ვითარმედ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა, რამეთუ ამით ეუწყებიან განზრახვისა ღუთისა საიდუმლონი, ესე დიდნი მთავარნი ბრწყინვენ ელვის სახედ და ცხოველსა მას ნათელსა ღვთაებისასა მდგომარე არიან და აქებენ სამ გუამოვანსა ღმერთსა წმიდასა არსობისა კელითა და უგალობენ სიბრძნისა სივრცესა და ცნობისა სიმაღლესა მარტივსა და უცვალებელსა. ხოლო თქვენ გნბნო წმიდანო და პლნო ბრწყინვალებნო, რომელნი წოდებულ ხართ ქადაგად მახარებლად, მოციქულად ზედა მდგომელად და წინამძღურადგან მკითხველად სღჲდ გნბდ და გულისკმის მყოფელად, რომელთა ზედა აღვალს და განისუსნებს სიტყუაჲ ცხოველს მყოფელი.

**კაცთა დაბადებისათვის**. აწ ეს რჲ ვადიდოთ ხელოვანთ მთავარი ღმერთი და სიბრძნით მუშაკი კაცობრივისა ბუნებისა, რომელმან ხატად და მსგავსად თვისად დაჰბადა კაცი, რომელი იტყვის ძისა მიმართ და სულისა წმიდისა, ვითარმედ ვიქნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა სულად გუნებად და სიტყვად. ამისთვისცა არა თანა წარვკედით კაცთა წმიდათა ხსენებჲსა და მოვიხსენეთ ადამისითგანნი იგი და თვთ ადამი პირველი იგი კაცი და კელთაგან ღჲთა მიწისაგან ნამუშაკევი და სღჲსა შთაბერვითა განცხოცხებული (sic), კვალად აბელ მსხვერპლისა უბიწოსა შემწირველი და სახედ ქრისტესა უბრალოდ მოკლული, ეგრეთვე ნოე სიმართლისა მუშაკი აღმაშენებელი, ღუთისა დიდისა ეკლესიისა მიერითგან აბრაჰმ მამათმთავარი, უწინარეს ყოველთასა ღუთის მცნობელი. ამასთანა ისაკ შეკრული და დაკლული და გა˹ტევებული ი˹ისგან, გამოისახნეს დაკლვა ქრისტესი. კვალად იაკობ დიდი იგი მამათ მთავართა შო˹ის ძისა წელთაგან აღმოუცენნეს ათორმეტნი მამათ მთავარნი, ხოლო იოსებ დაგვისახვიდა მსგავსებასა ქრისტესსა. კვალად მოსე თვით იგი წინასწარმეტყველთა. რომელმან ათთა მიერ წყლ˹ლებათა გვემა ეგვიპტე და კვერთხითა განაპო ზღვა მეწამული. ამის შემდგომად დ˹თ მამა ღუთისა წოდებული, რისათვისცა ბრძანებჲ ღუთისა წარმოიტყვის, ვდ ვიპოვე დ˹თ ძე იესესი კაცი გულითადი ჩემი. ხოლო დასასრულ და დამბეჭდველი წინასწარმეტყველთა დიდი ნათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისმცემელი იოვანე ძისა თჳსცა ჰქადაგა ესია. აჰა ეს რაჲ მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი და კვალად ეწამების მისგან ნათლღებლი იესო ქრისტე, ვითარმედ არა აღდგომილ არს ნაშობთა შს დედათასა უფროს იესსა ესე კაჲ მღლი ქადაგი სინანულისა და ხელით მსახური სამეუფოჲსა მის ხატისა, რომელმან იხილა თვალითა სული იგი ჭეშმარიტებისა გარდამოსრული ზეცით, მისგან ნათელი ღვთაებისა იესოს ზედა. ხოლო ხმა მამისა, ვითარმედ ეგე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ **მოციქულთა.** ხოლო ქადაგნი სარწმუნოებისანი და მრავალ საგალობელნი ქნარნი სულისა წმიდისანი ათორმეტ ძალნი ებანი მადლისა მის სულისანი და მეტყველნი სიტყვისა მის დაუსაბამოსანი, რ~ ამათ მიერ აღავსებს და განაჩინებს სავსებასა ეკკლესიისასა, რომელთა ჰრქვა პირმან სლჲსამან, ვითარმედ თქვენ ხართ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და მიგცნე თქვენ კლიტენი სასუფეველისა ცათა'ანი, რომელი შეჰკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი და რომელი განხსნათ ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა. ესე ათორმეტნი მოციქულნი ვადიდნეთ, რა მშვიდობა მ~თ მადიდებელთა მათთა ზედა მოვიდეს და არა განყრითა მტვერთათა საწამებელ ვიქმნნეთ ყოველთა ტომთა და ენათა შორის.

**მღუდელთ მოძღვართაჲ.** აწ მოვედინ კრებული ღირსთა და მოციქულთა მოსაყდრეთა დიდთა მღუდელთ მოძღვართა, რომელმან ღირს იქმნნეს დაკლვად და შეწირვად ტარიგისა და კრავისა უმანკოსა, რომელი გალობენ გალობასა კრავისასა, ვითარმედ დაიკლვის და შეიწირვის ტარიგი ღუთისა ძე მამისა, ხოლო სხვაჲ **იტყვიან**, ვითარცა ცხვარი კვლად მიგურა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა (sic) და კვალად სხვაჲ ხმობედ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი და სხვა ღაღადებდ (sic) სუთამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის დათხეული. არამედ მერმეცა ყნივე ერთბამად გარდმოუწოდენ სულსა წმიდასა და სრულიად შესცვალებენ ხორცად და სისხლად მეუფისად და ესრეთ ნებითა საღთოჲთა მღუდელ მემსხვერპლეობენ ქადაგნი სამებისანი.

**მოწამეთათვის.** გარნა ვინაითგან მამათ მთავართ წინასწარმეტ-

ყველთა მოციქულთა და მღუდელთ მოძღვართა განთვისეს ჩ҃ნ ჩ҃ნ სამკობელად, ჯეროვნად ვაგენით სახსენებელნი მოწამეთა, რამეთუ შვენიერ არიან ყოველნი სოფელნი ღვაწლთა მათთაგან და აღვსებულ არს სამყარო ეკლესიათა კსენებითა მათითა, შემკულ არიან ტრაპეზნი სისხლთა მათთა უბიწოთა დათხევითა, რომელთა ვნებანი ღჲ იჳსნი ხორცთა შინა თსთა ეტჳრთნეს და მოელოდეს ნეტარსა მას სასოებასა და იტყოდეს—ღვაწლი მოგვიღებიეს, სრბა აღგვისრულებიეს. ამიერიდგან მიგველის სიმართლისაჲ იგი გვირგვინი ზღუდენო ყოვლისა სოფლისანო, პატიოსნებანო მღუდელთანო და მარგარიტნო მრავალ სასყიდლისანო, შემკობილნო მოსავთა თქვენთანო.

**მამათათვის.** აჰა ესე რა წარხდა ხსენება მოწამეთა. ხოლო აწ მოვედინ ყდ ღირსნი მამანი, რნი თვინიერ სისხლთა დათხევისა იმარტვილებდეს და ცხოვრებასა ელიასა და იესსა ბაძვიდეს. ჵოი რჲზომ საწადელ არს ქცვცჲ მ҃თი, ანგელოზთა მიმსგავსებული შვენიერ არიან და ოქრო ბრწყინვალე ფერნი პირთა მათთანი; ჵოი სიქდლნო ყ҃თა მრწმნეთანო, რამეთუ თქუენთვის იტყოდა ბრძენი სოლომონ, პირსა მართლისასა გამოვალს სიბრძნე და ბაგეთა მათთა მოსიან (sic) წყალობა, რომელთაცა სულნი თქვენნი ხელთა შინა შეჰვედრენით წერილისებრ, სულნი მართალთანი ხელთა შინა ოჲთა და არ შეეხოთ მ҃თ, რამეთუ სღჲთა მის დაბადებულისა ღუთისა ხატად და მსგავსად დაიბადა კაცი მიერითგან აღმოეცენნეს კაცნი ღმერთსა სათნონი და სასწაულთა და საკვირველთ მოქმედნი. რამეთუ ამათ მიერ მეცნეს ღჲ მრ გამოცხადება საიდუმლონი მადლნი კურნებათანი, შეწევნანი, წარმატებანი და სიმრავლენი სასწაულთანი. ესე იხილა მორწმუნემან ერმან და აღუშენეს ეკლესიანი თვითოეულსა მათგანსა სალოცავად სულთა მრავალთა და სახედ და იგავად აღთქმულთა მათ კეთილთა, რამეთუ ამას ეკლესიასა შინა გამოსახეს ვნება, ჯვარცმა და აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რამეთუ ესე ეკლესია მამათმთავართა წინათვე მოასწავეს, მოციქულთა დაამტკიცეს, მღუდელთ მოძღუართა განაშვენეს, ხოლო მოწამეთა აღიარეს და სარწმუნოებით იწამნეს.

აწ უკვე ვინადგან მოიგნა წნ ამნ ელესიამან მოსახელენი თვის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი წმიდანი ღუთისა კაცნი, აღეტყინეს შურითა სამღთოჲთა ქვეყანისა მეფენი და მდიდარნი, თვისთვისად შეესაკუთრნეს მსახურებად წ῀თა, რომელნიმე მოციქულთა და მღუდელთმოძღვართა, რომელნიმე მოწამეთა და მამათა და ესრედ განაშვენეს ეკლესია და აღავსეს სამკაულითა და სამღთოთა ძღვნის შემწირველობითა და სამღუდელოთა სახმრითა, რამეთუ ამათ პირთათვის განაგეს მღუდელთმთავარნი, პატრიაქნი, მთ῀ეფ῀ოზნი, მღუდელნი და დიაკონნი. ხოლო ამათ განწესებულთა და სამღუდელოთა დასთა და კრებულთა თავად და მწყემსად და ზედა მდგომელად განეჩინეს კათალიკოზნი, რათა ამის მიერ განწმდენ, განათლდენ და სრულ იქმნენ ერი ქრისტიანეთა, რომლისათვის დიდად ელვაწათ მეფეთა, მთავართა და დარბაზიერთა განდიდება ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ბიჭვინტისა ღუთისმშობელისა და სამოციქულოსა საყდრისა და მას ზედა მჯდომარისა კზისა ამაღლება და აღმატება რათა შეკრვითა და განხსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ ამერისა აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიანი და ყ῀ი სული დიდთა და მცირეთა, ვ῀რ იგი პეტრეს მოციქულსა მიეცა პირით მოქცევა, ხოლო პავლეს წარმართთა ზედა, აგრეთვე პირველ წოდებულსა ანდრიას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად ჩინებითა წ῀ისა ღვთისმშობლისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილ ხდომილნი ვართ და ვიქდით სახელითა მისითა და ნეტარ ვართ, რამეთუ დედა მეუფისა მეოხად გვვის (sic) წინაშეთ (sic) ძისა თვისისა. ამათ კათალიკოზთა და საჭეთმპყრობელთა ბიჭვინტისა ღუთისმშობლისათა მსახურება საყდრისა დიდად ელვაწათ, რომელთამე სოფელნი და აგარაკნი შეეწირნეს, რომელთა ხატნი და ჯვარნი და სამკაულნი ეკლესიისა, ვინათგან ამათ მიერ შემწირველობისა მატიანე ვიხილეთ, ფ῀დ განკურდა გული ჩემი. მეცა მათივე მოსაყდრე და ხარისხსა მათსა ზედა მჯდომარე კათალიკოზი ლორთქმანიძე პატრიაქი გრიგოლ მივბაძევდ (sic) წინათქმულთა კათალიკოზთა და არა დავსცხერ ძღუნის შემწირველობასა მცირედისაგან დიდად და დიდისაგან უმეტესობად სარწმუნო ვიყავ, ვითარ იგი აღმართებასა კარვისა მის საწამებელისასა მიართმიდნენ რომელნიმე პატიოსანთა და რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე ტარსიკონსა და სხვა ჰიქნაურსა და ყოველსავე შეიწირვიდა ზედამხედველი ღმერთი, ვითარცა ვინ აშენებნ საფარველსა მას ზედა ოქროსა, ვერცხლსა, ძელსა, თივასა, კაცად კაცადსა იგი საქმე დღემან გამოაცხადოს, ეგრეთვე მე ძალისაებრ ჩემისა თავსმდებელმან გონება ი სული თბე და ქუსი და ყოველი არსება ხორცთა ჩემთა გიძღვენ და შემოგწირე შენ ცათა და ქვეყანისა დედოფალო, ანგელოზთა და კაცთა შემაერთებელო მამისაგან დაუსაბამოსა სძლად გამორჩეულო და ძისა მხოლოდ შობილისა უბიწოდ მშობელო მიქვინტისა (sic) ღუთისმშობელო, შენ შეგვედრებ ყოველსა ცხოვრებასა ჩემსა და სასოებასა და მოგახსენებ ამ აგარაკთა, სოფელთა, გლეხთა, სასახლეთა და ეკლესიათა, რამოდენიცა სახელდებით სიგელითა ამით სამკვიდროდ დაგვიდვია და შემოგვიწირავს, ზოგი თავით ჩემით ნაშოები და ზოგი რომელიმე საყდრისა მამული სხვათაგან დაჭერილი მრავლის გარჯით ამომიხსნია და ესრედ მომიხსენებია, ვითარცა აწ ეს ქვემორე წერილი საცნაურ ყოფს ჩემ მიერ შეშწირველობასა თავს რაჭას ბარისთავს სასახლე ვარდისგორა ჭბოში გაწყობილი ერთის მოჯალაბით, ტყით, წყლით, მთით, ბარით, მისის ყოვლისფერიანათ. აგრევე მოჯალაბეს თავის სარჩო ფუტიეთს აქუს ტყით, წყლით, სავენახ·თ, რაიც მოუნდება ერთს მოსახლე კაცს. სულაძე ხუცესი დ́თ მისი შვილებით და ერთ მოძმის შვილიანა ნინიყიდა, მეორე მოსახლე კაცი ბუხრაშვილი ნასხიდა და მისის შვილებით, მესამე მოსახლე ბუხრაშვილი კაცია და დათუა და მეოთხე მოსახლე კაცი ლოლაძე პაატა და ძაღლუა მათის შვილებით, მეხუთე მოსახლე არჩვაძე გიორგი მისის შვილებითა, მეექუსე არჩვაძე მამუკა და დათუკერი და რამაზიკა, მეშვიდე მოსახლე არჩვაძე ნინიკი, მერვე მოსახლე გელბ.ხიანი კაცია და გოგიტი, მეცხრე მოსახლე ქელბახიანი თამაზიკი და მისი ძმა ნინიკი, მეათე სილაძე ნაცვლისშვილები ხუცესი სვიმონ, მეორე ძმისა დათური, მესამე ძმისა გიორგიტა და მეოთხე ძმისა პაპუჩი და ბეჟუკი. ახალსოფელს წულიკიძის შეწირული კაცი ერთი მოსახლე ნამგალაძე მამუკია და მისი შვილი, მეორე მოსახლე თევზაძე შოშიტა, მისი ძმა და მის ძმისწული მათის ცოლითა და შვილით. კრიხს სასახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიტასშვილის დარისპანისაგან შეწირული ერთი მოსახლე კაცი ხელოსანი გუბჭერიძე სეხნია და მისი ძმები ივანა, შაქარია და დათუა ხელოსანი, მეორე მოსახლე გ˝ი და შოშიტა, მესამე მოსახლე გოჩა და მისი შვილი პაატა, მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შვილები გ˝ი და თამაზა და ძმისწული მისი კაცია, მეხუთე მოსახლე მესხია გ˝ი და მისი შვილები, რომელიცა ამას ზეით წერილი არს მათის სარჩოთ, ტყით, წყლით, აგარაკით და სავენახით, უძებარ საძებრიანათ.

გელათს სასახლე სამხრეთის კერძო მისის მოწყობილობით, ორი მოსახლე მეახორე სახლეპულიყო და დაკარგულიყო და მათი მიწა ადგილი ამოვილე და მოჯალაბენი დავასახლე. ერთი მოსახლე კაცი სოლომონს თათრიდგან ვიყიდე, გ˝ი ხამთაძე და მისი შვილი ბასილა, ხატს შევსწირე, ერთი შამახური სამთელი დავადევი. მეორე მოსახლე კაცი კიდევ სოლომონს ქორქიას საპარტახო ვიყიდე და იმაზედ დავასახლე, ხატს შევსწირე მისის ყოვლისფერიანათ და ერთი შამახური სამთელი დავადევი. მეორე მოსახლე კაცი კიდევ სოლომონს ქორქიას საპარტახო ვიყიდე და იმაზედ დავასახლე, ხატს შევსწირე მისის ყოვლის ფერიანათ და ერთი შამახური სამთელი დავადევი. ოკრიბას ობოლაძენი და კუპრაშვილები დ˝თ კათალიკოზს ეშოვნა და ბევარა არ ექითხა რაჲ, დიდი ბევარა ემართა და მეც არ ვიკითხე რა. ის დიდი ბევარა შევაწიე და თითო შამახური სამთელი დავადევი. რომ გაიყოფოდენ, თითო შამახური სამთელი თან გაყვებოდენ. არგვეთს იოვანე ქანარა და მისი ძმა მათის ყოვლისფერიანათ, სვიმონ ღულაშვილი ათანდილა და მისი ძმა არუთენ, იოვანე ტერტერა და მისი შვილი, ოფჩას ჩხიკვაძე ზაქარია და მისი ძმა ყოვლის ფერიანათ, გეგუთს მეცხვრისშვილის პარტახი მისის მოჯალაბიანათ, მესხეთს მახარობელი შალამბერიძე და სამი მოსახლე სილაგაძენი მათის ყოვლის ფერიანათ, ფარცხანაყანევს ფხაკაძე დათუა და მისი ძმა მის ყოვლისფერიანათ და აბაშიძის შეწირული ბერდალეისშვილი ხუცესი და მისი განაყოფი მისის ყოვლის ფერიანათ, აბაშას ერთი მოსახლე კაცი, საჩინოს ზავთასი წინამძღვარი მაკარიოზ და მისი ძმა გ˝ი და სამი სხვა მაკარიოზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხები მახარაძე ნასყიდა და ორი სხვა, ავალიანი ხუცესი და მამისთვალი მისი ძმა და ორი მისი ძმისწულები, ეს ყველა საჩინოს მათის ყოვლის ფერიანათ. სამიქელაოს სასახლე გვაზაური მაჭარაძის სეული მისის გაწყობილებით, მამუკა მიქელაძისაგან ვიყიდე ერთი აქაური ძირი ყმა კახაბერა ფანცულაია და მისი ძმა მახარობელი, მეორე მოსახლე ჩემი ამოყვანილი იოვანე ფრანგისშვილი ელია და მისი ძმა გ˝ი, მესამე მოსახლე მალალურიძე შაქარა და მისი ძმა გ˝ი, მეოთხე მოსახლე ნადარაია უკულაშა, მეხუთე სალარაძე მოგელეი და მისი სიძე მახარობელი მებუკე, მეექვსე მოსახლე ივანდიდელი ქაზზინაძე მახარობელი, ესეები ყველა ტყით, წყლით, მათის ყოვლისფერიანათ. ტყვირს მონასტერი თორმეტი მოსახლის კაცით მეფემან ალ˝ემ დადიანის ქალის თავის მეუღლის ნიშნებად შესწირა სამწყსოიანი ნიშნიანა ტყით, წყლით, აგარაკითა და სავენახედ უძებარ საძებრიანად. საკათალიკოზო აზნაურისშვილებს ყველას მისი ნიშანი ჩართებს.

ქორეისუბანს ორი მოსახლე კაცი, ერთი ხუცესი ჟორდანია და მისი ძმა ოთია, მეორე მოსახლე გ˝ი ვადაჭკორია მათის ყოვლისფერიანათ. ოდიშს ქვეყანას მეჯეთს დოდელიას სეული ადგილი ბეჟან დადიანისაგან ვიქრთამეთ მისის ყოვლისფერიანათ, თავს ერთი მოსახლე კაცი გეგენავა მამუკა, მეორე მოსახლე ინალი კუპრაისშვილი, მესამე მოსახლე განაყოფი მისი ძმა ჭუჭუა, მეოთხე მამაგულა კუპრაისშვილი, მეხუთე ჯღამაია ბაბუშია, მეექვსე ნანაია ჯღამაია, ესეები ყოვლის ფერიანათ. მეშვიდე დათუნა გულაიცა სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე მისის ცოლშვილით, ტყით, წყლით, ადგილით, მისის ყოვლის ფერიანათ. ეკის მონასტერი იმანიერი (sic), ამ მონასტერზედ ბერი დავაყენეთ და მისი სარჩო კაციან ალაგიან საწირავიან სალოცავიან ყოვლის ფერიანათ მიუჩინეთ და ერთი მოსახლე მოჯალაბე ჩვენი არს. ამასთან ერთი მოსახლე კაცი ხუბულავა ნინია და მისი ძმა ბაბაკური და მასთან ფარცვანია დავაყენე მისი ცოლშვილით და სხვის შვილით. მეორე შულალაძე ნასხიდა ჯერ სათათროდამ მოვიდა, მერმე აფხაზეთიდამ ამოვიყვანეთ და დავაყენეთ ცოლშვილით და თავის ყოვლის ფერით, მესამე თათრისშვილი კიკო, მეოთხე დავითა და სკუდია,

მეხუთე ფარულავა ოფიშხია ჯოლიას ნაყმობი კაცი მისის ცოლითა და შვილით. შხეფს იმ საყდართან ბერდია დოხვადია შეწირული, მეორე მოსახლე ფხეიძის ნიშანში ავიყვანე ოთია ესებუა, უშაფათს ლააკია ხუტა და მისი ძმა კოჩა დადიანის ქალის ნიშნებად ავიღე მათის ყოვლისფერიანად, საწულაისქიროს ერთი მოსახლე კაცი ჩილაჩავა მისის ყოვლის ფერით, სახარბედიოს ეჯიბია ზალ მხეიძის საწირავში ავიყვანე და დავასახლე, მეორე კიდევ ზალ მხეიძის ნიშანში ავიყვანე ტყვირს ბიშხუა ჯოჯუა მისის ყოვლის ფერიანათ. თეკლათს ერთი მოსახლე გარუჩავა ერისთვის ქალმა დედოფალმა შესწირა მისის ყოვლისფერიანათ. წყალისგზას ციხისთავის (sic) ცაიშელის ნაქონელი თავს ერთი ხელოსანი მამიგული სხვიტარია, მეორე ქითავა მაკარია, მესამე ლუხავა გ῀ი და მისი ძმა ქუქუ, მეოთხე ჩოხოლეი ლუხავა და მისი ძმა ნინიაკოჩი, მეხუთე ჯაჯავა გაჭირვებული ხორავა, მეექვსე გელოზია გიორგელა და ორი მისი ძმა და ერთი მისი ბიძაშვილი, მეშვიდე მამაგული ლასურია მისი შვილებიანათ, მერვე ფაცილეი მელია, მეცხრე გარუჩავა იესე და მისი შვილები, მეათე თოლიკავა. ეს მოსახლე კაცები მათის ტყით, წყლით, სარჩოთ ყოვლისფერიანათ თეკლათს და სირიაჩქონის.

სახოფოთ ბიას კოჩიგაძე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბეჟან დადიანმა მოგვცა ორი მოსახლის გლეხით, მისის ყოვლისფერიანად.

თვითონ ხოფს საცხომარიოს გ῀ი პაინჭკურია და მისი ძმისწული მახარობელა. პაატა ჯოლიამ ჩვენ კაცს ქალი გაუყიდა და ბეჟან დადიანმა იმაში მოგვცა. მეორე მოსახლე ხუხუ კოდუა და მისი ძმა მაგულია და მასთან კობახიძის ნაყმევი კაცი გოგოლავა მისის ცოლშვილით; მესამე სუზუქია მამუკული, მისი ძმა ბაბადიში; მეოთხე ჯგუბურია ახალკოჩი გურუშია და ორი მისი ძმები; მეხუთე ჯგუბურია ნიკურცხია; მეექვსე ბიგვავავა ბაბაკოჩი; მეშვიდე ლიფო ჩაგვავა მისი შვილებით. ორი მოსახლე კაცი კიდევ დეისმა ჯაიანმა და ცოლმა მისმა ხახუ ლოლაბერიძის ქალმა შესწირა ძლიკი ჯლამაძე და მასთან კიდევ თამაზა და ერთი ბაბა ახალკოჩი; მეორე მოსახლე კაცი თუთაშხია წულაია. ეს სახოფო მათის წყლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყით, ადგილით და ყოვლისფერით. ხორგას საკუტალიოს გოჯი აფშილავა მისის ცოლშვილით და მამულით მერაბ ჯაიანმა შესწირა, მეორე ქითავა მახარობელი და მისი ძმა შაქარა მათის ცოლშვილით და ყოვლისფერით; მესამე პაჭკუტი მირცხვილავა მისის ცოლშვილით და ყოვლისფერით; მეოთხე სამი ძმები ობლები ბერაია ეცადია, გიორგელა ბაჭიჭუჭუ არცანიადისსეულში დავასახლეთ; მეხუთე პაატა დუდუნია, მეექვსე ხოჭოლავა მამა და მისი ძმისწული; მეშვიდე დასტურაია მამაშიშვილები; მერვე ხანჩქილაი დასტურაია; მეცხრე კიდევ დასტურაია მახუტი დათუა; მეათე კიდევ დასტურაია ხუტულია და ძიწიბა; მეათერთმეტე არცანდია მამაძინა და მისი ძმები კიაოლია, გაბრიელა, გიორგელა და ბაჟია; მეათოთხმეტე კიდევ დასტურაია ჭუჭუ თავის ყ˜ით. ნურკელის სასახლე ერთის მოჯალაბით, ტყით, კარგი სათევზე წყლით, ადგილით, თავის ყოვლისფერიანით; ორი მოსახლე გაღმა გიგიბერიები ბერი გარე ყმიანად და თავის ყოვლის ფერით, ლიფონავა ინულუხუ და მისი შვილები, მისი განაყოფი ნიკოლა და მისი შვილები, კიდევ მისი განაყოფი გემანცალი და მისი შვილები. იმას ზეით ბერაიები ერთი მოსახლე ხახუ და მისი შვილები; მეორე ბაბაკოჩი და მისი შვილები; მესამე თომა ხუცესი ბერაია; მეოთხე განაყოფი მისი ბეჟა ბერაია და მისი შვილი; მეხუთე შოშიტა ბერაია და მისი შვილი; მეექვსე გიგიბერია ზალიკა და მისი ძმა კაკა ხარაბედიები და ეჯიბია დავით კ˝ხს ეშოვნა და ბევგარა არ მოეკითხა. ჩვენ მოვიკითხეთ და კარგა მართებოდა, მათ ხუთ ხუთი ლალარიკი სამთელი დავადევით და ბეგრობით არ ეთხოვებოდეს რა. გურიას ასათიანი ხუცესი ენუქიასშვილი იესე მამუკა ნაკაშიძის, მისი ცოლისა და მისი შვილის ბეჟანის ნიშნებშიდ მოგვცა გურიელმა გ˝იმ და ხატს შევსწირე მისის ოთხის გლეხით და ყოვლის ფერით. ერთი მოსახლე ჟღენტი ბეჟან ნაკაშიძემ მისი მეუღლის ნიჟარაძის ქალის ნიშანშიდ მომცა ლაჩხუთს; ერთი მოსახლე იმედაიშვილი ხუცესი იოვანე და მისი ორი ძმები მამუკა და ხახუტა გურიელის გ˝ის ნიშანში მომცეს და ხატს შევსწირე მისი ყოვლისფერით; მეორე კიდევ ხუცესი ქარამიძე მახარობელი ბეჟან ნაკაშიძის

ეროვნული

ნიშნებში მოგვცეს და აღვიყვანე და მისი მონასყიდით [illegible] ფერით ხატს შევსწირე. კიდევ ამის გარეთ ბეჟან მამუკაისშვილს ასი მარჩილი დაედვა ჩემი და ებრალიძე თანდახახუ მარტო მისის ყოვლისფერით კერძოთ ჭყონდიდელი ლოლაბერიძის შვამდგომელობით და ჭყონია ხოსიას თავსმდებობით იმ ას მარჩილშიდ მოგვცა და ჩვენი არს. არიან ეს ჩვენი შეწირული კაცი ზოგი რომელიმე სხვა კათალიკოზის ხელშიდ დაკარგულიყო და ქრთამით ჩვენ ამოვიყვანეთ და ზოგი ჩვენ ვიშოვნეთ, რომელი ოდეს საკათალიკოზო ყოფილიყო და ხატის შემატებისათვის და საბოლაოთ შერჩენისათვის ამ ჩვენს შეწირულს კაცს ყველას ბეგრათ სამთელი დავადევით, ცხენის წყლის გამოღმა იმერეთის ქვეყანას თითო შამახური და გაღმა ოდიშს ქვეყანას ხუთხუთი ლალარიკონი. ამის მაგიერად მეხადილეს საჩუქარი ამოუწერეთ და ღორის მებეგრეს თითო საკლავი და სადაც მონასტერი იყო, მის შემავალს კაცისაგან იმ მონასტერს მიეტანებოდეს ის სანთელი და სადაც არა, კათალიკოზს მიერთმეოდეს და ტყვირის მონასტერს თორმეტი მოსახლე კაცი ყავს, იმათი სამთელი უკლებლად იმ მონასტერს მიერთმეოდეს. ასე გაგვირიგებია და შემოგვიწირავს შენ, საშინელო და ცათა ურცეველესო ბიჭვინტისა ღუთისმშობელო და ხოფისა ღუთისმშობელო. ახლა ვინცა და რამა ძემან კაცისამან ანუ მეფემან ანუ დადიანმა და ან გურიელმა ანუ მთავართა ანუ დიდებულთა და წარჩინებულთა ანუ დიდთა ანუ მცირეთა ეს შეწირულობის სიგელი და იადგარი მოშალოს, დიდისა ანუ მცირისა რასამე ახოცად ხელი ყოს და ესე არ დაამტკიცოს და დახსნას, წყეულ და შეჩვენებულ არიან ღუთისა დაუსაბამოსა დაუსრულებელისა პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი, კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს სული და ხორცი მათი, წყეულ და შეჩვენებულ არის პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისაგან, წყეულმცა არის წმიდათა ზეცისა ძალთაგან, წყეულმცა არის წმიდისა იოვანე ნათლის მცემლისაგან, კრულ, წყეულ და შეჩვენებულ არს წმიდათა და ყ̃დ ქებულთა მოციქულთაგან, წყეულ და შეჩვენებულ არის წმიდათა და ყდ წმიდათა შვიდთა კრებათაგან და ყოველთა წმიდათა ღუთისათა, რომელმან საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნიდგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა და [illegible] სათნო ყოფად არიან. კრულ, წყეულ და შეჩვენებულ არის ცათა და ქვეყანისაგან ხორცითა და სულითა, თავითა და ცოლითა, შვილითა და შვილისშვილითა და ერდგულის ყმითა, იქმნების სოფელი ესე მისთვის მოკლე და უსარგებლო, იქმნების ცოლი მისი ქვრივ და მწუხარე, შვილი ობოლ და შერყეულ და დაცვინებულ, ვითარცა მართუნი ყორნისანი, უნაყოფო არს ქვეყანასა თესვად, არა რაჲ ნაყოფისა თესლისა გამომღებელი მამული მისი უნაყოფო და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა, წყეულმცა არს ცხენი და ძროხა მისი და ყოველნივე საცხოვარნი და ნურა რამცა ეპოვების სახელისაგან მისისა სანუგეშინისცემო, კრულმცა არს თავი მისი მხართა მისთა ზედა და მხარნი მისნი წელთა მისთა ზედა, კრულმცა არს წელნი მისნი თეზოთა მისთა ზედა და თეზონი წყვილთა მისთა ზედა, კრულმცა არს წყვილნი მისნი მუხლთა მისთა ზედა და მუხლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა, კრულმცა არს კოჭნი მისნი ფერხთა მისთა ზედა და ფერხნი მისნი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა ზედა, კრულმცა არს იგი ადგილი მისთვის სადაცა დადგეს ფერხნი მისნი, კრულმცა არს თვალნი მისნი მხედველად, კრულმცა არს პირი მისი პურის მჭამელად, ენა მეტყველად, ხელნი მოქმედად, ფერხნი სავლელად, გული საქმის გამგონებელად. კრულმცა არს იგი და მისი განსაგისი და განსაგებელი მისი სხვაგან. კრულმცა არს მისი სიცოცხლე, კრულმცა მისი სიკვდილი, კრულმცა არს მისი საფლავი, სადა იგი მიიღების და დაეფლვის და ნუმცა იხსენების სული მისი წირვითა მღუდელმთავართა და მღუდელთათა, ნუმცა იერუსალიმის წარსლვითა, ნუცა ქველის საქმითა გლახაკთათა, ნუცა პურის მიცემითა მშიერთათა, ყოველივე კეთილიცა მისი უსარგებლო იქმნების მისთვის, მის ექმნების კერძი გეზისა, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, წყევა, კრულვა და შეჩვენება სამებით სრულ მყოფელისა ღუთისა, ამინ, ამინ, ამინ და მიიწევის იგი ადგილთა მათ, სადა არს ბნელი წყუდიადი განუნათლებელი ვაებითა აღსავსე, ცეცხლი უშრეტი, მატლი უძილი, ტარტაროზი და ღრჭენა კბილთა, ნურარამცა ექმნების გამოხსნა

ფსკერთაგან ჯოჯოხეთისათა აწ და უკუნისამდე ამინ, ამინ, ამინ. დაიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ ჩღლგ ქორონიკონს უკა თვესა ოკდონბრისასა ივ.

ეს იესე ზეიმა ამაღლებას დავასახლე, ძირი საკათალიკოზო რაჭველი კაცი მივეცი და ბიჭვინტისა ღუთისმშობელს შევსწირე, რომლისაც მქონებელია, ის რისხავს, ვინაცა გამოსწიროს მას.

**1730—1734 წ.** ალექსანდრე V-ეს მიერ მიცემული წიგნი, დაცული ბიჭვინტის საბუთებში № 23. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

ქ ჩვენ მღვთის მიერ კურთხევი----ებულმან იესიან დავითიან სო---ბაგრატიან მეფემ ალექსანდრე----ლობის წიგნი და არ ძალი ---[თ]ქვენ ერთობით სოფელშიდ მოსახლე კაცს, რომე არც ქვრივი და არც ობოლი არ გაგეცემოდეს თქვენ სახსვიშვილოთ, არცავინ ქმარი შერთოს ძალით და ჩვენი ბეგარა ეს დაგვითს (sic), რომე ყოველს წელიწადს სულთას ცხვარს დაგვიკვლიდეთ, რაც ხუცესი იყოთ, ჟამი გვიწირევდეთ ჩვენის მეუღლის დედოფლის ბტონის მარიამის სულის საოხოთ, ჩვენთვისაც საოხად. თუ თქვენ ეს არ მოგვიშალოთ, არაოდეს თქვენ ეს არ მოგეშალოსთ. როდესაც ეს ალაპი იქნეს, კანდელაკის სახლშიდ მიტანებოდეს.... არის ამისი მოწამე და გამრიგე დათუა მაჭავარიანი, გურგენ მდივანი.

ხვეულად: ალ ე

**1734 წ. ახლ.** შეწირულობის წიგნი ლევან აბაშიძისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 45, თეთრს ქაღალდზე. საბუთს თავი აკლია.

-- -რთნენ და იზრახეს ზრახვა ბოროტი მეფისა ალექსანდრესი და სამეფოსა მისისა ვიდრემდის---განქარვებაცა ივერაგეს და მოიწინეს ქვეყანასა არგვეთისასა და დაიბანაკეს ადგილსა ჩიხორს წოდებულსა. მას ჟამსა სახლთა შინა ჩვენთა ბრძანდებოდი და ვი-

თარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმათ (sic) წყალთასა, ვერცა სურვილითა სულისათა და სულთქმითა გონებისათა აღიმსთვეს წინაშე შენსა თვალთა ჩემთა და ვედრებით აღგითქუ აღთქმა მცირედ შესაწირავთა, რამეთუ ჩვენთვის ცუნდუკობდეს ყოველნი მტერნი და ზრახვიდეს ბოროტსა, ოდესმე მოკვდეს და წარწყმდეს სახელი მისი და სასოებისა შენისა მიმღებელმან მეფეთა და უფალთა ჩემთა თანა მივიწიე. ვიხილე იგი უმეტეს შეწევნისა და ძალისა შენისა მსასოებელად და მეყსეულად განვიდა წყობად სპარაზენებითა დიდითა და ძლიერითა და შეეკვეთნეს ურთიერთარს და იძლინენ იგინი დიდითგან ვიდრე მცირემდის, ვითარმედ წარიოტნა ერთმან ათასეში და ორმა წარიქცია ბევრი, რამეთუ არაღა მახვილითა მათითა დაიმკვიდრეს ქვეყანა და არცა მკლავმან მათმან იხსნა, ა̃დ იქმნენ იგინი ვითა მტვერი წინაშე ქარსა. ხოლო ჩვენ არა მშვილდსა ჩვენსა კვესევდით და არცა მახვილმან ჩვენმან გვაცხოვნნა, ა̃დ შენ გვაცხოვნენ ჩვენ მაჭირვებელთა ჩვენთაგან და მოძულეთა ჩვენთა არცხვინე. აღმისრულებიეს აღთქმა, რომელი აღგითქუ შუამდგომელობითა და მოწამებითა დედისა ჩვენისა ლორთქიფანიძის ასულის მონაზონის ნინოსითა, ერთი კვამლი კაცი ფარცხმანაყანევს შემოგვიწირავს მახარობელი მარდალეიშვილი ხუცესი (ეს სამი სიტყვა ჩამატებულია სხვა ხელით) მისის სახლით, კარით, ტყით, წყლით, აგარაკით და სავენახით, უძებრ საძებრიანათ დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა წარსამართებლად, მეუღლეთა, ძეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოდ, ხოლო დღესა განკითხვისასა ურცხვენელად წარდგომად წინაშე საყდართა ძისა შენისათა და დამამტკიცებელი ამისი ორსავე ცხოვრებასა კეთილი სუფევით დაამტკიცოს უფალმან, ხოლო შემშლელი ორთავე ცხოვრებათა შინა შეიშლების და აღიხოცების წიგნისა მისგან ცხოველთა და გეენისა და ტარტაროზსა შინა დაისაჯების სული მისი.

ბეჭედი ლევან აბაშიძისა.

**1739 წ.** რაჭის ერისთავის გრიგოლის შეწირულობის წიგნი, გელათის საბუთთაგან №17 თეთრს ქაღალდზე ზომით $36^2/_3 \times 24$ სანტიმ. ლამაზი ხელით. სანიმუშოდ ნიშნები დაცულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

.... ჩვენ. ცვა ფარვათა შენთა მონდობილმან. და მოსავმან ძისა შენისამან. ლიხთ იმიერისა. და ამიერისა მთავრად და მსაჯულად დადგინებულმან მპყრობელმან რაჭისამან: ერისთავმან. ბატონმან გრიგოლიმ:. ვიგულეთ. და. ვიგულისმოდგინედ: გკადრეთ. და. შემოგწირეთ: თქვენ საშინელსა ცათა მობაძავსა. სასოსა. და. შესავედრებელსა. სულისა. ჩვენისასა: ხახულისა. და. გელათისა ღთისმშობელსა მარიამს მცირე. ესე შესაწირავი: ჯვარისას. ორი გლეხი ბოჭორიშვილები: გოჩია და მისი. შვილები. პაპუნა და რამაზა: მეორე გლეხი: გოგიტა და თამაზა. და მისი ძმისწული: შოშიკი. მათის. ცოლით. შვილით. სახლით კარით. მამულით. ვენახით წყლის პირით საწისქვილოთი. მთით. ბარით. სახნავით. უხნავით. შესავლით. და. გამოსავლით... არც. ჩვენგან და. არც. სხვათა. ჩვენთა. შემდგომთა. ერისთავთა. და. მეპატრონეთაგან. შემოგვიწირავს. სულისა. ჩვენისა. საოხად და ცხოვრებისა. ჩვენისა. წარსამართებელად. ძეთა. და. ასულთა. ჩვენთა. ალსაზრდელად:..... (წყევა) დაიწერა. წიგნი. ესე. კარისა. ჩვენისა. მდდელ. მონაზვნის. წინამძღვრის. სტეფანეს. კელითა. მეფობასა: საკელაოანის. ალექსანდრესასა: აგვისტოსა. ათჩვიდმეტსა:. ქ~კს: უკზ:.

ბეჭედი წარწერით: მონა ღთისა მოსავი ჯვარისა მპყრობელი რაჭისა ერისთავი (ასომთ.:) გრიგოლ ქ~კს უკ.

**1696—1742 წ.** პირობის წიგნი, მიცემული მერაბ ჯაიანის მიერ კათალიკოზ გრიგოლისადმი, დაცული გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთებში. საბუთი დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 44×16 სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილია.

... ესე მტკიცე .. წიგნი მოგართვი თქვენ კზს ბატონს გრიგოლს ჩვენ ჯაიანმა მერაბ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქნა და მერმე ამ კელი კაცი ვარ და იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგეხვეწეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჯიქთუბანს სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპალაისშვილი და სასახლის ადგილი გვიბოძეთ. ოლონ ჩვენს სიცოცხლეში, თვარა ეს ამ მიზეზით ხატს არ გამოეწიროს და თუ რამ შევიძლოთ და შევმატოთ, ისიც თქვენს ხატს შევსწიროთ და შევმატოთ.... მოწამე ამისი მიქელაძე გიორგი და რევაზ, მდივანი გურგენ, ლოლაბარიძე დათუა, კორძაია გიორგი, ბერიძე ივანე, ჩაჩავა ლაზარე. დამიწერია ბტონი კზის მთავარდიაკონს ჰყონიას ნიკოლოზს...

ჯვარი და შემდეგ ხვეულად: ჯაიანი მერაბ.

**1720—1742 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს მიცემული შეწირულობის წიგნი მამუკა მეფისძისა, ბიჭვინტის საბუთთაგან № 30, თეთრს ქაღალდზე. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

ქ. ნებითა და შეწეუნითა ღმთისათა ესე წიგნი და საფიცარი მოგართვით ჩვენ ბატონიშვილმან ბატონმან მამუკამ თქვენ კ̃ზს ბატონს გრიგოლს, ასე რომე ჩვენმან შინაყმამ აბესაძემ დათუნამ თქვენი კაცი დაიხსნა მარდალეისშვილი. მერმე იმ კაცს თვის სახლისკაცი ხუცესი შემოაკდა, მკლელი კაცი დაგიჭირეთ და მოგეცით, მაგრამ ჩვენის სათნოებისათვის ამ აბესაძეს მისი ნაყიდი კაცი ისევ მიეცით. ახლა გავსინჯეთ და ამის მეტი არა გეწყობოდა რა და ეს ებესაძე (sic) მისის ნაკსნის კაციანათ ბიჭვინტისა ღმთისშობლისათვის შეგვიწირავს, ასე რომე არც ჩვენგან, არც სხვა მებატონეს კაცისაგან ეს ჩვენი შეწირული კაცი ხატს აღარ გამოეწიროს და ჩვენს ხლებასა და სამსახურს ნუ მოუშლით. ამისათ გასათავებელათ თავდებათ მომიცემია თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელი და უხორცონი. ვინც და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩვენი განარიგები საქმე მოშალოს, მასამც მეორეთ მოსლას ჩვენის ცოდვის ნუქაბათ გაიკითხვის. კაცთაგან ამისი მოწამე და გამრიგე აგიაშვილი სვიმონ, ალავიძე ქაიხოსრო. მე მდივანს ლაზარეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი.

აქ დასმულია ბეჭედი და ჯვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**1700—1742 წ.** კათალიკოზის გრიგოლის მიერ დადებული „საკათალიკოზო სანთლის ანაწერი“ (ასეთია სათაური საბუთისა), დაცული საკათალიკოზო გელათის წმ. გიორგის საბუთებში. დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით 38×10¾ სანტიმ. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ სამი წერტილია.

ქ... ჩრდილოსა და აფხაზეთის კზმან ლორთქიფანიძემ გრიგოლ.... მოგართვით დავთარი ესე, დავდევით ტაძარსა შინა თქვენსა, ასე რომე მოკითხული ვქენით იმერეთს, ოდიშს, გურიას და ბიჭვინტას ჟამთა ვითარებისაგან შეწირული სანთელი საკათალიკოზო მონასტრებშიდ აღარ იყო, არც შევიდოდა... ჩვენს კათალიკოზობაშიდ თქვენს მონასტრებს სანთლები დაკლებოდა, არ იქნებოდა. ზოგი რომელიმე ოცისა და ათის წლიდგან დაკარგული ყოფილიყო და ჩვენ ამოვიყვანეთ და ხელახლა ჩვენ დავასახლეთ და შემოგწირეთ. ზოგს ბევრის თეთრი ემართა, იმ თეთრის ნაცლად სანთლის ბევარა დავადევით, რუბისთვის ჩარექი და მარჩილისთვის შამახური იმერეთს, ოდიშსა და გურიას ლოღარიკით და ჩვენი ნაშოვარი და ხელახლა შეწირული კაცები რომელიც არის, მოხადილეს საჩუქარი შევაწიეთ და მეღორეს საკლავი უმფროსი მისის ქათმიანათ და ასე შეღავათით მისმისი (sic) სანთელი დავადევით. აწ ჩვენი ამოყვანილი და შეწირული რომელიც არის მესანთლე, იმათ გასამყოფო აღარ ეთხოვებოდეს არც კათალიკოზისაგან, არც სხვა მოხელისაგან და რომ გიყოჳვოდენ (sic), ხატის სანთლსი ბევარას მთლათ გაყვებოდეს. არის ჩვენი ნაშოვარი გლეხი და მამული თუს (?) რაჭას.

არშიაზე: ზოგი რომელიმე საკათალიკოზო არ ყოფილა, ჩვენგან ნაყიდი და ნაშოვარი არის.

**1730—1742 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს დაწერილი გრიგოლ კათალიკოზის შეწირულობის წიგნი, რომელიც მოთავსებულია ზემოდ (გვ. 107—109) დაბეჭდილ ბიჭვინტის № 2 სამეორე გვერდზე ნუსხა ხუცურით. შავად აწყობილი წითურადაა.

ეჱა ყოველთა დაბადებულთა უპატიოსნესო სიწმინდისა ეტლო და ღრუბელო სლ მცირეო, რომელმან იტვირთე წიაღითა შემოქმედი ყოველთა და მეუფჱ, რომელი ქება მოგართვა შენ წმიდათა უწმიდესო, პატიოსანო სამკაულო ზეცისა ძალთაო, დიდებულო და ზეშთა აღმატებულო წმიდაო წმიდათაო ბიჭვინტისა ღუთისმშობელო, ჩვენ ცვაფარვათა თქუჱნთა მინდობილმა და შეწევნისა შენისა მსასოებელმან და მოსავმან სიწმიდისა თქვენისამან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმნ ლორთქმანიძემ ბატონმან გრიგოლ, ვიგულსმოდგინეთ შეწევნითა შენითა და კვალად გკადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი **რაჭას ბარის თავს სახახლე ვარდისგორა ჭბოში** გაწყობილი ერთის მოჯალაბით, ტყით, წყლით, მთით, ბარით, შესავალ გასავლით, მისის ყოვლისფერიანათ. აგრეთვე მოჯალაბეს თავის სარჩო ფუტიეთსა აქუს ტყით, წყლით, სავენახით, საყანით, რაც მოუნდება. ერთი მოსახლე კაცი სულაძე ხუცესი დ͠თ მისის შვილებით და ერთი მოძმისშვლი ნინიკი, მეორე მოსახლე კაცი ბუხრაშვილი ნასყიდა მისის შვილებით, მესამე ბუხრაშვილი მოსახლე კაცია და დათუჩი, მეოთხე კიდევ ბუხრაშვილი დათუა და მიქელა ქაიხოსრო იაშვილის ქალმა შესწირა ბიჭვინტისა ღუთისმშობელს, მეხუთე მოსახლე კაცია ღოთოძე, პაატა და ძაღლუა მათის შვილებით, მეექვსე მოსახლე არჩვაძე გ͠ი მისის შვილებით, მეშვიდე არჩვაძე მამუკა და დათუკიჩი და რამაზიკა, მერვე მოსახლე არჩვაძე ნინიკი, მეცხრე მოსახლე გელბახიანი კაცია და გოგიტი, მეათე მოსახლე ქელბახიანი თამაზიკი და ნინიკი მისი ძმა, მეათერთმეტე სულაძე ნაცვლის შვილები ხუცესი სჳმონ, მეორე ძმისა დათუჩი, მესამე ძმისა გ͠ტი და მეოთხე ძმისა პაპუჩი და ბეჟუკი. **ტყვირის მონასტერი** თერთმეტის მოსახლე კაცით მეფემ ალ͠ემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანშიდ შესწირა მისი სამწყსოიანათ და ნიშნიანათ, ტყით, წყლით, აგარაკით, სავენახით, უძებრით და საძებრით და ყოვლის მისის შამოსავლით, ასე რომე საჭილაო აზნაურისშვილებს ყუჱლას მისი ნიშანი მართებს. **კრიხს სახახლე** კვიტასშვილის დარისპანისაგან შეწირული ერთი მოსახლე კაცი გუბერიძე ხელოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი სეხნია და მისი ძმები იონა, შაქარი და დათუა ხელოსანი, მეორე მოსახლე გ͠ი და შოშიტა, მესამე მოსახლე გოჩა და მისი შვილი პაატა, მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შვილები გ͠ი და თამაზა და ძმისწული მისი კაცია, მეხუთე მოსახლე მესხი გ͠ი და მისი შვილები, რომელიცა ამას ზეით წერილ არს მათის სარჩოთი, ტყით, წყლით, აგარაკით, სავენახით, შესვალით და გასავალით, უძებრითა და საძებრითა.

**ახალსოფელს** წულუკიძის შეწირული კაცი, ერთი მოსახლე ნამგალაძე მამუკა და მისი შვილი, მეორე მოსახლე თებზაძე შოშიტა, მისი ძმა და მისი ძმისწული მათის ცოლით და შვილით, ამათის სარჩოთ, ტყით, წყლით, შესავლით გამოსავალით, აგარაკით, სავენახით, მისის ყოვლის ფრიანათ, უძებრით და საძებრიანათ. აწ ეს რაც ჩვენგან ნაღვაწი და შემატებული კაცები არის, იმათი ბევარა ცუდად იხარჯოდა, საყდარს არ ემატებოდა. ახლა ჩვენ ბეგრის მაგიერად სამთელი დავადევით საყდრის შესამატად და გურიგეთ (sic) რუბის თავს ჩარექი და მარჩილის თავზედ შამახური. **ამბროლაურს** გამყრელიძისეული პარტახი შოშიტა ერისთავმა გვიბოძა, იმაზედ კაცი დავასახლეთ და ისიც ხატს შევსწირეთ. ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდმა ანუ მცირემან, თავადმან ანუ აზნაურმან ანუ რნ ადამის მონათესავემ ამ ჩვენი საყდრის და ეკლესიის შეწირულობის სიგლისა და იადგარის შლად კელყოს და გამოხვებაჲ იკადროს, ისიმც შეიშლების სახისაგან და ყოვლის კეთილის საქმისაგან, ისიმც გამოეხვება იესო ქრისტეს და უბიწოდ მშობელისა მისისა მიერ საუკუნეთა კეთილთაგან, მასამც ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი, ძრწოლა კაენისი, ულხინებელი წარწყმედა ჰეროდესი და ნუმცა დაიკსნების სული მისი საუკუნესა ჯოჯოხეთისაგან, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან ორსავე შ͠ა ცხოვრებასა აქაცა და საუკუნოს͠ცა.

**არშიაზე** თავში: სწირეს ბატონმა მეფემ ალ͠ემ და ბებია მისმა ბატონმა დიდებულის ქალმა მათის სულის საოხებლად და ცოდვათა შესანდობელად შემოწირეს მისი მენალარე ცირეგიძე სეხნია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მისი შვილები წმიდას ბიჭვინტისა ღუთისმშობელს, მისი სამსა-რი—ბატონს კათალიკოზს უნდა ახლდეს გაუყრელად და ბეგარა ჩა-რექნახევარი სანთელი აძეს, მის მეტი არაფერი.

**1696 – 1742 წ.** გრიგოლ კათალიკოზის მიერ დადებული წიგნი, დაცუ-ლი გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთებში. საბუ-თი ფრიად დაზიანებულია. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილი.

----ს გორა ქბო-სასახლე მისი შესავალი და გამოსავალი, სასაფლაო, [მ]თა, ბარი, ტყე, და-ვალი(?), სახნავი და სათესი. მოჯალაბე სუტია გიორგობია ერთი მოსახლე, სულაძე დავით, მისი ძმისწულები თამაზა და ნინია მათის ცოლშვილ-ებით და ყოვლის ფერით. მეორე მოსახლე ბუხრასშვილი ნასხიდა მისის ცოლშვილით და სახლკარით. მერმე კიდევ ბუხრასშვილი ჩითია, კაცია, დათუა. მეოთხე ლოთოძე (?) ძაღლუა პაატა და დათუა. ამ ოთხთ მოსახ-ლეს თითო შამახური სანთელი (აქ ჩამატებულია სხვა ხელით: ხორ-ცის მაგიერ) სხვას ბეგარას გარდა. კიდევ არჩვაძე თამაზა. კიდევ რაჭას ამრალაული გალმა თებზაძე შოშიტა და გოკია.

ქ და მეორე მოსახლე ნამგალაძე მამუკა მათის ცოლშვილით, სახლკარით და ყოვლისფერით, სხვას ბეგარას გარდა თითო შამა ხური სანთელი.

ქ. ოკრიბას საწირეს (აქედან სხვა ხელით და მელნით:) კუპლა-შვილები გაძვერიასშვილი ჟოჟუა და დათუა, ერთი შამახური სან-თელი. მეორე მოსახლე ასამბეგ მისი ცოლშვილით, ერთი შამახუ-რი სანთელი. მესამე პატია და მისი ძმისწულები, ერთი შამახური სანთელი. ხრესილზედ ობოლაძენი თავს შათირისშვილები ხოსია და ივანა, ერთი შამახური სანთელი. მეორე მოსახლე ზაქარა და ქრისტეშია მათის ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი. მესამე მოსახლე თამაზას შვილი კაცია ასამბეგისა და დათუნას შვილები მათის ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი. მეოთხე მოსახლე მამუკა ობოლაძე ამოწყდა და მისი პარტახი გელათის წინამძღვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივეცი და მისი სანთელი ვისაც ის ქონდეს; მან გარდიხადოს. კიდევ საწირეს მენალარე ცირეკიძე სეხნია მისი ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი.

(აქედან წინანდელის ხელით:) ქ. მათხოჯს სხვას ბეგარას გარდა თეთრის ბეგარა მართებს ყველას, თეთრის ბეგრისაგან სანთელი დაგვიკ, ჩარექს რუბის თავს, მარჩილის თავს შამახური ყოველს წელიწადს ბიჭვინტისა ღთისმშობელს მიერთმოდეს (sic) (სხვა ხელით: ბიჭვინტას)

ქ. ოდიშს თავს მეჯეთს მამუკა გეგენავა მისის ცოლშვილით, სახლკარით და ყოვლის ფერით მეხადილეა, სამი ლოლარიკი სანთელი. ქ მეორე მოსახლე უგლავა დათუნა მისის ცოლშვილითა და სახლკარითა, ხუთი ლოლარიკი სანთელი. მერმე ბიჭია ჭითანავა და ორი მისი გერი მათის ცოლშვილითა და სახლკარითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი. მეოთხე კუპრაისშვილი ინალი და ბიბა (sic), ხუთი ლოლარიკი. ქ მეხუთე კიდევ კუპრაისშვილი მამაგული და კოჩია ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ მეექვსე ჯღაბაია ნანია, ხუთი ლოლარიკი სანთელი. ეს ექვსი მოსახლე კაცი მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, სასაფლაოთა, ტყითა და წყლითა და ქუნიერი სასახლე თსის ტყითა და წყლითა და საყანითა ბატონის დადიანის ბეჟანისაგან გვიქრთამებია და ბიჭვინტისა ღთისმშობლისდა შეგვიწირავს. ქ სენაკს გიორგი გურიელი ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ. წძგას ლეხავა ჩოხოლეი და წიწაკოჩი მათის ცოლშვილით და სახლკარითა, ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ მეორე მოსახლე მამაგული მონია და ბარკლია განიშა, ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ. მესამე თოსვებია (?) გელოზა მისის ცოლშვილით და ხუთი ლოლარიკი სანთელი. მეოთხე გაჭირებული ხვარავა და ახალიკოჩი ჯაჯავა მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ მეხუთე კიდევ ლეხავა ჭუჭუ და გიორგი მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ. მეექვსე მაშანუ სხვიტარია და მამაგული მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი. მეშვიდე ლიხურია მამაგული მისის ცოლშვილითა და ხუსი ლოლარიკი სანთელი. ქ. მერვე ქვაჩლაია გეგეშია (?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თოლიკავა, ხუთი ლოლარიკი სანთელი. მეცხრე ფაცილი მელია გაბრიელ და მამაგული და ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ მეათე გარეუჩავა იესე მისის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი. ეს წყალიძგა უმალ კურთხეულს ნებსაძე კზს ცისთვის (sic) შვილის ცაიშლის მაქსიმესათვის მიეცა. მერმე ის ძირი კაცები ამოწყვეტილიყვენ, ცაიშელს თავისი სამკვიდრო ყმები დესახლებინა. მერმეთ ჩემს კზობაში თავათ ცაიშელი მოვიდა, მისი სიძე პეპუნა ფალა (sic) და თავისი და ციხისთვის ქალი გუდია იერუსალემს მივიდოდა, ისე მოვიდენ და ისიც და სხვაც რომელიც თავისი სამკვიდრო ყმა ყვანდა, დავთრით ყველა ბიჭვინტისა ღთისმშობელს შესწირეს. ჩვენ უფროსი საკლავის მაგიერ სანთელი დავადევით. ბიჭვინტისა ღთისმშობელს შევსწირეთ.

ქ. ამას გარეთ თეკლათს ერთი მოსახლე კაცი ღვაკალაი გრიგოლა ზაალ მხეიძეს ნიშანში ამოვიღეთ და ბიჭვინტისა ღთისმშობელს შესწირე (sic) მისის ცოლშვილითა, სახლკარითა (აქ სამი სიტყვა წაშლილია: ტყითა, წყლითა, სასაფლაოთა) და მისის ყოვლისფერითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი დავადევი. ქ მეორე მოსახლე კაცი გოქაცირია კოშანიძისსეული კაცი იყო, ბიჭვინტისა ღთისმშობელს შევსწირე მისის ცოლშვილით და ხუთი ლოლარიკი სანთელი დავადევი. სახარბედოს კაჯიბია ივვანელა მისის ცოლშვილით, სახლკარითა, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოლარიკი სანთელი. ქ მეორე მოსახლე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაძალია, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოლარიკი სანთელი. ქ ხუცესი ხარიბედია მისის ცოლშვილითა, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოლარიკი სანთელი. ქ. კიდევ ნასხიდა შულლაია მისის ცოლშვილითა, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოლარიკი სანთელი. ქ. ბიას კოჩიორი სიჭინავა და მისი გლეხი ამაცალა ცხადაია, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოლარიკი სანთელი. კიდევ ბიას ჯვებე ბიგავა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოლარიკი სანთელი. ხობს ხუტუ კოდუა და გელი მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოლარიკი სანთელი. ქ. კიდევ ხობსა მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი, ხუთი [ლოლარიკი სანთელი]. ქ კიდევ [ბებგი]ბერია ჭუჭუ, ახალიკოჩი და ---(მეტი არაა)

ეროვნული

**1745 წ.** შეწირულობის წიგნი გუნცაძის ასულის ელენესი, გელათის ტაძრის საბუთთაგან № 59, ზომით 34×23 1/3 სანტიმ., დაწერილი თეთრს ქაღალდზე. ნიშნად იხმარება ყოველ სიტყვის შემდეგი თითო წერტილი. საბუთი რამოდენადმე დაზიანებულია.

ქ. ნებითა ღთისათა და ჯერჩინებითა პატრონის ჩემის უფლისწულის გენათლის იოსებისათა ვიგულსმოდგინე მე ფრიად ცოდვილმან იმ ჩემის ხელმწიფის შვილის გენათლის გამდელმან გუნცაძის ასულმან ელენემ, ასე რომ დათუნა ღოღანაძე, მისი შვილი ღომინა და მათვალა, მისი ძმა კაცია და მისი შვილი მახარა ჯერ მის ბატონისაგან დავიხსენი და მემ (sic) კიდე მისი შვილი ცალკე დავიხსენი, მემ კიდე ჩემა ულირსმა გაზდილმა მიბოძე (sic). ასე ულსაყვედუროთ ხელშეუალათ.... ჩემი იყო... შემოგწირე... ხახულისა და გელათისა მღთისმშობელს...... ჩემის თეთრით დამიხსნია და ამ კაცისათვის ჩემის სულის საოხად ცხვარი დამიც და ამ კაცმაც მოინდომა, ასე რომ ნაღდგომევს სულთას ერთს მღდელს ჟამს აწირვინებდეს და ერთს ცხვარს დამიკლიდეს. ასე დამიც ამ კაცისათვის.... დაიწერა წიგნი ესე ხელითა ჩემ ცოდვილის წინამძღრის სილიბისტოსითა, მოწმობითა ჯვარ მტვირთველ კანდელაკსა წინამძღრს დავითისათა, კანდელაკისა იესესითა, ხოსიას შვილი გოგოლასშვილისა ქაიხოსროა ზაზუტასითა, მუქიბ მემარნ---ხელს---ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩღმე, თვესა დეკემბერსა ით დღესა გ

ხვეულად: გენათელი იოსებ

**1745 წ.** ჰუბაბრიძეების მიერ ხონის ტაძრისადმი მიცემული წიგნი, ხონის საბუთთაგან № 49 თეთრს ქაღალდზე.

... ჩვენ ჰუბაბრია მერაბამ, ძმათა ჩემთა ბუჰუ, გიორგი, დავით და გაბრიელ შემოგწირეთ ჰანტურისშვილი კაცია მისი ცოლშვილიანათ, ასე რომე ძირათ თქვენი ყმა იყო მედროშე და წამოსულიყო და ჩვენს ადგილზე დასახლებულიყო, ჩვენ ვიმსახურებდით ყმათ. ახლა თქვენი ყმა ჩვენ ველარ დავიკავეთ, თქვენი

შევვეშინდა და თქვენვე მოგართვით.... ამისი მოწამე დეკანოზი გიორგი და სულ ერთობით ხონელნი. დაიწერა ქკსა ულგ თვესა აპრილსა იბ ბძანებითა ბატონის კოზის ბესარიონისითა, კელითა ქიქინაძე მღდლის გიორგისითა, ხოსია წულუკიძის და მისი შვილის მერაბის დასტურით·

5 ჯვარი.

**1740—1750 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს დაწერილი შეწირულობის წიგნი ალექსანდრე V-ისა, გელათის საბუთთაგან **№ 135** თეთრს ქაღალდზე ზომით 170½×33 სანტიმ. საბუთი შეეხება იმავე ეკვდერს, როგორც ზემოდ დაბეჭდილი 1730 წლის საბუთი № 89. საბუთი დაწერილია ნუსხა ხუცურით.

.....მე ალექსანდრე ძემნ მეფისა გისამნ და დფლთ დფლისა დიდისა ქართველ მეფისა სპარსთა ენათაებრ შაჰნავაზ ხმობილის შვლიშვლისა და სხლოვჲნის მეფის გ̃ის ასლისა პტრონისა როდამისამნ მეფემა ალექსანდრემ, რ̃ მეფობჲთა შ̃ა ჩმთა ფდითა მოწყლბითა პატივმცა მწფემნ და ვ̃ა შვლსა სასურველსა მმნ, ეგრთ შემიყრნა, რ̃ ჰლ ჩა მეფენი მამა პაპანი ჩმნი ღალატნა (sic) და ორგულებითა თსთა ყმთა და ქოლათა (sic) დაემრცხებინათ და ადგილნი და სასახლენი და თვდნი და სიმგრენი მისთ დაექირათ, კნინღა და მრვლი ჟმიც გმოსულიყო უმეფოდ ქყნა ესე ჩნი. ხ̃ ნბითა ღისთა და და წყლობითა დიდისა კეისრისათა დავჯედ სამეფოთა ზან ჩმთა და ესრეთ ალმიპყრა მფლმნ ჩმნ სიჭაბუკესა ჩ̃ა კლი, მტრთა ჩმთა ხაზარელ მყო და სშინელ დავიპყჲრ ლიხთა იმერეთისა სამეფო უნაკლულოდ და მტრნი ჩმნი ვერცა თვნრ სიმგრეთასა იკდრებდეს ცხრბჲდ, ესრთ გნმაძლრა ივ ჩმნ. ხ̃ მე არა დავჲდგერ სჯლსა სმეუფოსა და მრვლთა ებრ ბრალთა ჩმთათს საცთრიანმა სფლმა წრმილო უჟმოდ სიკდილმან ჩისა თლისა ნთლი მეუღლე ჩ̃ი დადიანის ბეჟნის ასლი დედოფლთ დედოფლი მრმ. მს ჟა შეედვჲ ვჲებჲ სამეფოსა ჩა. ვინთგნ დაუდგომელმნ და წრმდინრმნ სფლმნ ესრეთ გნგო, წრვილე ცხედარი

სასურველისა ჩემისა მეფეთა სსაფლაოსა გელათს. ხ˝ სძვლენი მეფეთანი აღვსილიყვნეს მრავლითა შეწირულებითა შაგნ ეკდრისა და და ერთ გლეხითა და სოფლებითა გაწყობითა, არა რჲ აკლდათ. ამისთს ცალკედ ვინებეთ მიღება მიცვალებულისა ჩ˝ისა, რ˝ მენბა სყვარელისა ჩისა ეკდრის გაპტისნება რაოდენ ძალმედვა. იყვნეს მუნ გელათისა კერძო მრჯნით ეგუტერი დავიწყებული, ქმთა ვ˝რბისგნ არა ვინ უწყოდა თუ ვისი საძულე ყოფილიყო, ანუ სხელსა ზა წისსა შენბა საყდრისა. (sic) კლ ვყავით გაშენბად და შემკობად მისა, წილი წლით ვიგდეთ სხლსა ზ˝ან ლისსა და წთა მისთა ზა, თუ რისა არს და აღმოკდა სხლი სიმკნისა მოსხელესა ანდრია პლ გმორჩეულისა და ფდ მონდა ესე და მოვიმოწმეთ აფხაზეთისა კზი გრიგოლი და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი და აღვაგებინე სკხლი სხელსა ზ˝ა ანდრია მოციქლისთა დამყარებითა კლთა მთთათა და მუნ მივიღეთ დფლი კხლი მეუღლე ჩ˝ი საუკუნოდ მოსხსენბელად: (აქედან მართლწერა სავსებით არაა დაცული). შევწირეთ შინაგან საყდარსა და ადგილნი და ყმანი განსასვენებლად მისა და ვიდრემდის მრავალსა ლმობიერსა ამას ცხოვრებასა ვიყო, წარსამართებლად და განსაძლიერებელად ჩემდ (sic) წელთა და ჟამთა შინა ჩემთა, რათა არა მივეცე კელთა მტერთა ჩემთასა....

წმიდასა საკურთხეველსა ზედან შეგვიწირავს ბარძიმი კარგად მოყვანილი ჩარხითა შექმნული.

ორი მისი შესაკადრი სიწმიდისა და სეფისკვრისა ფეშხუმი

კიდევ კამარა კოვზი ლახვარი და ტაკუკი.

კიდევ კარგად ხალასად ნაკერი სირმითა დაფარნები და მისი პერექლები.

კიდევ სამღთოს ტრაპეზსა ზედან სასვენებელი კარგად მოჭედილი რუსულებ პატიოსანი ოთხთავი.

კიდევ ჯვარი ცხოველსმყოფელი კარგად ნაქმარი მინანქრით და შემკობილობით.

კიდევ ჯვარი ბერძნული კარგად მოჭრილი სადაფქრისა.

კიდევ საცეცხლური ვერცხლისა კელმწიდათ მოჭედილი პატიოსანი. კიდევ სახარება სტამბისა ვერცხლით გაწყობილი და სა-

მოციქულო. კიდევ მარხუნი სტამბისა, ზატიკი სტამბისა, გულანი და დვითნი და ამას თ̃ა მოსახლე გლეხნი და ადგილ მამულნი ძველითგნვე შეწირულნი, ართგვეთს (sic) სოფელსა მძორეთისასა ვარდოსანიძე ლეკვია შეგვიწირავს თავისის ადგილმამულით და ამას მართებს ბეგარა ორი შამახური სანთელი და ნახევარ მარჩილის საკმეველი. პატრიკეთს სოფელსა შეგვიწირავს პდ ჩვენი სასახლე და ამას თ̃ა გლეხნი მათის ადგილ მამულით რიცა ქვემორე აღგვიწერია. კ̃დ აზნაურშვილი ციმაკურიძე ყლ წელ სულთას გარდაგვიხდიდეს და თითოს ჟამს წინამძღუარს გვიწირვინებდეს და ცხუარს დაგვიკლევდეს და სხუებრ წინამძღუარს ემსახურებოდეს. მართებს მარჩალაძეს ოცი კოკა ღვინო, მარჩილის სანთელი, ერთი ურემი ღომი, ერთი ქათამი. კიდე სამოურავთ ედვა ერთი რუბი და ჩვენ ეს ერთი რუბის ეკუდრისთვის საკმლის ფასათ დაგვიც. ორი ფოხალი გცეხვილი მოურავისა იყო და ესეც წინამძღუარს მიერთმეოდეს და ეგრეთვე სხვათა მოსახლეთაგნცა, ამისთჳს რომ ყველას ასე ედვა. მართებს ნაფიჩავაძეს ოცდაორა (sic) კოკა ღვინო, ათი შაურის სანთელი, ერთი ურემი ღომი, სამი ქათამი. მართებს ზურდაძეს ოცი კოკა ღვინო, ათი შაურის სანთელი, ერთი ურემი ღომი და ორი ქათამი. მართებს კოლუაშვილს ოცი ღვინო, ერთი მარჩილის სანთელი, ერთი ურემი ღომი და ოთხი ქათამი. მართებს ანკვერიძეს ოცი მენახევრე ღვინო და მესამე წელიწადს ხადილი და ორი მარჩილის სანთელი და ორი ქათამი. მართებს დათიას ცხრა რვიანი ღვინო, ორი რუბის სანთელი. მართებს ჩიტიანს ხუცეს ათი შაურის სანთელი, ოცი მენახევრე ღვინო, ერთი ურემი ღომი, ორი ქათამი და სანთელი ხახულისა ღვთისმშობლის წინ მიიტანოს და სხვა ბეგარები წინამძღვარს მიერთოს. ლიჩელი გიორგი ამოწყუედილი იყო და მისეული ვენახი, ადგილ მამული საწინამძღროთ დაგვიც. ამზამა დალუჩავას მართებს ოცი მენახევრე ღვინო, ათი შაურის სანთელი, ურმეული ღომი. შენგელია ქუემოდგნ მოვიყვანეთ და მოჯალაბეთ დავაყენეთ წინამძღურისთვის და თუ წინამძღუარმა ინებუს (sic) და მამული მისცეს, ბეგარა როგორც სხუას გლეხს ხდებოდეს, ისე გრდაახდევინოს და იმსახუროს და სხუა როგორც ძველს დავთარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერია, ეგრეთ გნთავისუფლებულნი იყუნენ და თავის წინამძღუარს უმუშავებდენ, ემსახურებოდენ და თავეანთ ბეგრას გელათს მიუტანდენ. ამას გარდა შეგვიწირავს ჩხარს გმრეკელაშვილი, ამას მართებს ოთხი მარჩილის სანთელი, ოარი მარჩილის საკმელი. კდ ქუტარს შევვიწირავს კაცია თევდორაძე მისის ძმ ს წულის მახარობელათი. ამას მართებს ოცი მენახევრე ღვინო, მარჩილის სანთელი, საბაზიერო სამი ქათამი და ერთი საშობაო ქათამი.

ამას გარდა შეწირული არის, როგორ ძველი დავათარი აცხადებს, გოდოგÉს გაბრიჭიძე ხახუტა მხიარულა....

კიდევ გოდოგნს გაბრიჭიძე კაცია....

კიდევ გოდოგნს მიდიაშვილი მახარობელა.... და ამათსა ბეგარასა და სამსახურსა ძველი დავთარი აცხადებს:.

ამას გარდა ამოწყვეტილი ნკზ კანდელაკის მამული და გლეხნი არიან შეწირულნი, რლსაც ძველი დავთარი აცხადებს.

ამას გარდა ქუთათისს ორი ხულის ქირა არის შეწირულია, რლსაც ძველი დავთარი გმოაჩენს. ესე ყლი უკლებლად და ყ̃თ უცილებლად შევვიწირავს და ამას ზ̃ა დაგვიდგენია წინამძღუარი, რათა გამოირჩეოდეს მეფეთა მიერ მუნ დასადგენელად....

**1700—1750 წ.** მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს ხელის მიხედვით წირვის იარაღის ანაწერი, დაცული გელათის საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთებში. დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $43^{3}/_{4} \times 15^{1}/_{2}$ სანტიმ., დაზიანებულია. საბუთს სათაურად აქვს: „წივრის (sic) იარაღის“. ნიშნად იხმარება 1, 2, და 3 წერტილი.

[ქ] ერთი ბარძიმი მურასა თვალითა და მარგალიტითა მისის ფეშხუმ კამარითა და ოქროს კოვზითა, სამი ბისონი მის-ს მურასას ლილიკა და და მარგალიტითა, ერთი ომფორი მარგალიტი'ა, კივ (sic) ერთი ომფორი ჯვარიანი მარგალიტითა, ერთი ბისონი ხალასად შეკერული მისის მურასას ლილითა, ერთი სარტყელი თორმეტის ძაფითა, საბეჭური ხალასად შეკერული, სამი ფეშხუმი ვეც_

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლისა, ერთი ჰოშაია მურასა, ვეცხლის საზედაშე, ერთი ენქერი მომარგალიტებული მურასა ქ ერთი ბისონი ხავედისა ათის ვეცხლის ღილითა, ოთხი დაფარნა გარეშემო შეკრული სირმითა, თანა არის სადაფისა, ყავრჯენი მურასა, ერთი ბისონი ხავედისა მურასა ვეცხლისა ღილითა, სამზეური მურასა, ერთი შავი ხავედი შავი სირმითა ხალასად შეკერული ყლილო (sic) და ერთი ოქროს სახარება, ერთი ვეცხლის სახარება ერთი ბისონი სარასრისა ორის ღილითა, ერთი სტიხარი შეკრული ერთი სარტყელი ოცდასამის ბალთითა, ომფორი მურასა თვალმარგალიტითა, კიდევე ენქერი მურასა თანა არის ვეცხლისა, სწურული ვეცხლისა მისის მაკრატლითა, კიდევე თანარსი მომცრო ვეცხლისა, კიდევე საბექური მურასა, ერთი ხვედი წითელი შეკერული სირმითა, ოლარი სირმით შეკერული, სამკლავე მარგალიტითა შეკრული, კონდაკი, კარგი ბისონი სარასრისა, წითელი სარტყელი მურასა მარგალიტითა და თუალითა, სამკლავე ოქროსი თვალითა და მარგალიტითა, ერთი ურუბელი (?) სარტყელი შვიდის ბალთითა, კიდევე სამკლავე მარგალიტითა ომფორი შავის ხვედის მარგალიტითა, ოქროსი, მურასა ათის ოქროს ღილითა, ბისონი სარასრისა ერთი, ზარძიმი უფერულ ვეცხლისა, ყ ვარჯენი სადაფისა, ერთი ოქროს გვირგვინი მემომარგალიტისა მესამე ჰედი (sic) შავს ხავედზე და ოქროთა, თეფში ოქროსა. (მეტი არა რა)

**1742—1750 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს დაწერილი პირობის წიგნი, მიცემული მერაბ ჯაიანის მიერ დაცულია საკათალიკოზო გელათის წმ. გიორგის საბუთებში, დაწერილია თეთრს ქაღალდზე ზომით $30^1/_2 \times 3^1/_2$ სანტიმ. ნიშნად იხმარება იშვიათად ორი წერტილი, რომელიც დაცულია,

ქ: ნებითა ღთისათა ესე... წიგნი, ფიცი და პირობა მოგართვით თავს პატიოსანს ბიჭვინტისა ღთისმშობელს და მერმეთ... ბატონს კ̃ზს ბესარიონს ჩვენ ჯაიანმა მერაბ, ჩემმა შვილმა ბეჟან და ჩვენმა ყმანებმა კაკა გიგიბერიამ: ქუჩუჩა გიგიბერიამ: ძალუა აბრა-

მიამ და მისმა შვილმა ნაარტიამ: ქველია გერალიამ: და სეხნია ჯაბელიამ: და სხვამ ერთობით ჩემმა ყმანებმა: ასე რომ: თქვენმა ყმამ ბესია გიგიბერიას შვილმა ტყვე გაყიდა, გაუწყერით და გლეხები დაუკავეთ. მოვედით, შემოგეხვეწეთ და გვაპატივე, ქალის გაუყიდლობის პირობა მოგართვათ და რაც წაგვერთმიათ, ჩვენ დაგვამადლეთ და ისევე უბოძეთ. ახლა თუ იმ ქალს გაყიდვით რამე უშავდეს, ან სააფხაზოთ და ან სათათრეთ გახდეს და ხორგას იქით სადმე გეაცეს, თქვენგან და თქვენის ხატისაგან შეჩვენებული ვიყოთ და ბატონმა დიდიანმა თავისად ღალატათ გვიკითხოს და შვიდეულათ მზღველი ჩვენ ვიყოთ. ან ამისა ყმა რომელიც ახლა უბოძეთ ისენი ან გაყიდოს და ან გაყიდვით რამე უშავდეს, გარდამხდელი ჩვენ ვიყოთ.

7 ჯვარი.

**1742—1750 წ.** ამ წლების ახლო ხანში უნდა იყოს მიცემული პირობის წიგნი კათალიკოზ ბესარიონნისადმი, დაცული საკათალიკოზო წმ. გიორგის საბუთებში, თეთრ ქაღალდზე დაწერილი.

ქ: თქვენ ზეშთა აღმატებულსა წმინდასა და ყოვლად სანატრელს აფხაზეთის კზს უფალს ბატონს ბესარიონს ესე სათავდებო წიგნი და პირობა მოგართვით ჩვენ ქუჩუხიამ გიგიბერიამ, გოგიტამ გიგიბერიამ, ძლინკიამ გიგიბერიამ, ტატუმ გულარიამ, ჯაბესია გულარიამ, მამუკა ბუკუჩავამ.... ნაარტია აბრამიას თქვენი დიდი შეცოდება დაედვა თავს და გარდასახადი ველარ შეიძლო და თავათ მისმა ბატონმა ჯაიანმა გიორგიმ და ბატონის მაგიერმა ქოქაულმა (sic) ჩიქოანმა გიორგიმ და გვალიამ გიორგიმ ეს ნაარტია აბრამია სამართლის დღემდის მოგართვეს მისის ყოფა ცხოვრებით და ჩვენ ეს სათავდებო წიგნი მოგართვით. თუ თქვენის ხელით არავის მისცეთ, თუ ეს აბრამია თქვენათ უნებურათ სადმე წაგვივიდეს, ას ასის მარჩილის თეთრის მიმცემი ვიყოთ არის ამისი მოწამე და გამრიგე ჩიქოანი ტატუშვილი გიორგი, ყამირისშვილი ჩიქოანი გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი, ჩიქოანი ტატუ, ჯაიანი ბერუკია, გვალია გიორგი, თქვენი კრებული, პატრიაქის კაცი ევქსარხოზი სვიმეონ, ჯვარის მამა ანტონი, მაქსიმე ჭყონია და ზაბილოვან, სვიმონ ჯაფარიძე, ყუფიანი თამაზა, გიორგი ჯაფარიძე, მთლათ თქვენი კარის მდევნი დიდნი და მცირენი. დაიწერა კელითა წინამლვარ მდივან მგალობელის ჯაფაძის სვიმონისათა და მოწამეცა ვარ ამისი.

6 ჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 4/290
ეროვნული ბიბლიოთეკა